ეროვნული ბიბლიოთეკა

# საბჭოთა ხელოვნება



СОВЕТСКОЕ ИСКУССТВО

SOVIET ARTS

SOWJETKUNST

ART SOVIETIQUE

9

1968

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# საბჭოთა ხელოვნება



თეატრი
მუსიკა
მხატვრობა
კინო
არქიტექტურა
ქორეოგრაფია

9

1968

ეროვნული ბიბლიოთეკა



ვ. ნეჩიტაილო — წითელ მოედანზე

ეროვნული ბიბლიოთეკა



ო. სკულმე

ვ. ი. ლენინი ლატვიელ მსროლელებთან კრემლში 1918 წლის 1 მაისს

მთავარი რედაქტორი — ოთარ ეგაძე

სარედაქციო კოლეგია: შალვა ამირანაშვილი, გელა ბანძელაძე, კარლო გოგოძე, ალექსი მაჭავარიანი, ნათელა ურუშაძე, გრიგოლ ფოფხაძე, ვანო წულუკიძე, დიმიტრი ჯანელიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის მზადების შესახებ

## სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება

**1970 წლის** აპრილში კომუნისტური პარტია, საბჭოთა ხალხი, მსოფლიოს ყველა ქვეყნის მშრომელები აღნიშნავენ ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის დაბადების 100 წლისთავს.

ლენინის სახელთან განუყრელად არის დაკავშირებული მთელი თანამედროვე ისტორია. ლენინი მარქსისა და ენგელსის რევოლუციური მოძღვრების გენიალური განმგრძობი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დამაარსებელი, უდიდესი სოციალური რევოლუციის ბელადი და მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს მშენებელია. ლენინურმა იდეებმა უდიდესი ზემოქმედება მოახდინეს და ახდენენ მსოფლიო განვითარების მთელ მსვლელობაზე.

ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის სახელი უკვდავია, ისევე როგორც უკვდავია მისი იდეები, როგორც უკვდავია მისი საქმენი. მთელი თავისი ცხოვრება ლენინმა მოახმარა პროლეტარიატისადმი, მშრომელი მასებისადმი სამსახურის კეთილშობილურ საქმეს, მსოფლიოს რევოლუციურ განახლებას. ლენინმა გამოხატა მუშათა კლასის, მშრომელი ხალხის მისწრაფებანი და იმედები, უპასუხა ცხოვრებით ნაკარნახევ ძირეულ საკითხებზე. ლენინის ხელმძღვანელობით ჩვენი პარტია გაუძღვა მუშათა კლასს, ყველა მშრომელთ ექსპლოატატორული წყობილების დამხობისათვის, უკეთესი ცხოვრებისათვის, სოციალიზმისათვის საბრძოლველად.

ლენინიზმთან არის დაკავშირებული მეოცე საუკუნის უდიდესი რევოლუციური მიღწევები — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია, რომლითაც დაიწყო ახალი ეპოქა კაცობრიობის ისტორიაში, სოციალიზმის მსოფლიო სისტემის შექმნა, გრანდიოზული განმათავისუფლებელი ბრძოლები და გამარჯვებანი, რომლებიც მუშათა კლასმა, მშრომელებმა კაპიტალიზმზე მოიპოვეს. ლენინის სახელი გახდა პროლეტარული რევოლუციების, სოციალიზმისა და პროგრესის სიმბოლო, მსოფლიოს კომუნისტური გარდაქმნის სიმბოლო.

კომუნიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლაში ლენინური იდეები ჩვენთვის ძალისა და შთაგონების დაუშრეტელი წყაროა. კომუნისტური პარტია, საბჭოთა ხალხი, ყველა ქვეყნის მშრომელები გამოხატავენ ილიჩისადმი უსაზღვრო სიყვარულისა და პატივისცემის გრძნობებს, მას მიაპყრობენ საუკეთესო ფიქრებსა და მისწრაფებებს.

**ლენინი ისტორიაში შევიდა როგორც პროლეტარული რევოლუციისა და საზოგადოების სოციალისტური გარდაქმნის გენიალური თეორეტიკოსი.** მასში ორგანულად შერწყმულია მოაზროვნის სიბრძნე და ხალხის ცხოვრების გამოცდილება, მარქსისტული თეორიის ბრწყინვალე ცოდნა და მუშათა მოძრაობის საარსებო მოთხოვნილებათა გაგება. ორი ისტორიული ეპოქის მიჯნაზე ახალი ისტორიული გამოცდილების, საერთაშორისო მუშათა კლასის ბრძოლისა და ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის შესწავლის საფუძველზე ლენინმა შემოქმედებითად განავითარა და გაამდიდრა მარქსის მოძღვრება. ლენინიზმი ახალი ისტორიული ეპოქის, კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე კაცობრიობის გადასვლისა და კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის ეპოქის მარქსიზმია. ლენინიზმი რევოლუციური აზრისა და რევოლუციური მოქმედების მარად მჩქეფარე წყაროა.

ვლადიმერ ილიას-ძემ თავის შრომებში კიდევ უფრო გაამდიდრა და დააკონკრეტა მარქსიზმის ყველა შემადგენელი ნაწილი — ფილოსოფია, პოლიტიკური ეკონომია, მეცნიერული კომუნიზმი.

ლენინის მოძღვრება იმპერიალიზმზე როგორც კაპიტალიზმის უკანასკნელ სტადიაზე, ახალი ტიპის პარტიაზე, სოციალისტურ რევოლუციაზე, პროლეტარიატის დიქტატურის სხვადასხვა ფორმებზე, სოციალისტურ დემოკრატიაზე, გლეხობასთან და ყველა მშრომელთან მუშათა კლასის კავშირზე, ეროვნულ და აგრარულ საკითხებზე, სოციალისტური საზოგადოების აშე-

ნების გზებზე — ლენინის მთელი იდეური სიმდიდრე ჩვენი პარტიის, მსოფლიო რევოლუციური განმათავისუფლებელი მოძრაობის საიმედო იარაღია.

ლენინი უკომპრომისოდ იცავდა დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის პოზიციებს, მან მოგვცა ბუნებისმეტყველების უახლეს აღმოჩენათა ღრმა ფილოსოფიური განზოგადება, გაამდიდრა საზოგადოებრივი აზრი ახალი დასკვნებით, რომლებიც ბრწყინვალედ დაადასტურა საზოგადოებრივმა პრაქტიკამ, თანამედროვე მეცნიერების წარმატებებმა. ლენინის შრომების ძვირფასი ფურცლები დღესაც აქტუალურია. ლენინიზმი რევოლუციური ბრძოლისა და ახალი საზოგადოების მშენებლობის ურთულესი საკითხების გადაჭრის თეორიული საფუძველია.

ლენინს თეორია დოგმად კი არ მიაჩნდა, არამედ მოქმედების სახელმძღვანელოდ. სწორედ მარქსიზმის შემოქმედებითს განვითარებაშია ვ. ი. ლენინის იდეების მარადიული ქმედითი ძალა. თეორიისადმი ლენინის დამოკიდებულებაში შერწყმულია რევოლუციური შემოქმედება და მარქსიზმის პრინციპებისადმი ერთგულება, თეორიის კავშირი ცხოვრებასთან, რევოლუციურ პრაქტიკასთან.

ლენინის ფიქრები ყოველთვის მშრომელთა ინტერესებს დასტრიალებდა.

ლენინი თანმიმდევრულად იცავდა მარქსიზმის სიწმინდეს, შეურიგებლად იბრძოდა რევოლუციური თეორიის რევიზიონისტულ და დოგმატურ დამახინჯებათა წინააღმდეგ. ისტორიულმა გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ ყოველგვარი გადახვევა მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების პრინციპებისაგან, მისი ინტერნაციონალური არსისაგან, ყოველგვარი ცდები შეცვალონ მეცნიერული თეორია ბურჟუაზიულ-ლიბერალური ან ფსევდორევოლუციური ფრაზით გარდუვალად და შეურიგებლად ეწინააღმდეგება საერთაშორისო მუშათა კლასის ისტორიულ მიზნებს, სოციალიზმის ძირეულ ინტერესებს.

მარქსიზმ-ლენინიზმის იდეები ცოცხლობს და იმარჯვებს იმ გრანდიოზულ გარდაქმნებში, რომლებიც საბჭოთა ხალხმა მოახდინა ლენინური პარტიის ხელმძღვანელობით. მარქსიზმ-ლენინიზმის იდეები ცოცხლობს და იმარჯვებს სოციალისტური ქვეყნების ხალხთა მიღწევებში, მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის საერთაშორისო მუშათა კლასის, ეროვნული განმათავისუფლებელი ძალების წარმატებებში. რევოლუციური თეორია განუწყვეტლივ მდიდრდება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და მოძმე პარტიათა თეორიული საქმიანობით, მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის კოლექტიური აზრით.

**ლენინი ისტორიაში შევიდა როგორც პროლეტარული რევოლუციის უდიდესი ბელადი, როგორც შემქმნელი და ხელმძღვანელი ბოლშევიკური პარტიისა — მუშათა კლასის ავანგარდისა, ახალი ტიპის პარტიისა, სოციალისტური რევოლუციის და პროლეტარიატის დიქტატურის პარტიისა, სოციალიზმისა და კომუნიზმის, უმაღლესი ფორმის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციის მშენებლობის პარტიისა.** მისი ცხოვრება და მოღვაწეობა განუყოფელია მუშათა კლასისა და კომუნისტური პარტიის ბრძოლისაგან. იგი ნათლად ხედავდა, რომ რევოლუციური მარქსისტული პარტიის გარეშე შეუძლებელია სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება, სოცილიზმისა და კომუნიზმის აშენება.

ცხოვრებამ დაადასტურა ლენინური იდეა, რომ მოწინავე მებრძოლის როლი შეიძლება შეასრულოს მხოლოდ პარტიამ, რომელიც მოწინავე თეორიით ხელმძღვანელობს, პარტიამ, რომელსაც შეუძლია სწორი პოლიტიკური ხელმძღვანელობა. ლენინი რეალური პირობების საფუძველზე ასწავლიდა პარტიას გაბედულად გამოეჩინა ინიციატივა, გამოეყენებინა მოქნილი და მრავალფეროვანი ტაქტიკა, კლასობრივი ბრძოლის სხვადასხვა ფორმები და მეთოდები. პარტიამ, ლენინმა შეიმუშავეს დემოკრატიულ და სოციალისტურ რევოლუციურ გარდაქმნათა პროგრამა, პოლიტიკურად დარაზმეს მუშათა კლასი, მშრომელი მასები თვითმპყრობელობისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ საიერიშოდ. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია, სოციალიზმის მსოფლიო — ისტორიული მონაპოვრები ლენინიზმის სტრატეგიისა და ტაქტიკის უდიდესი გამარჯვებაა.

ლენინმა ყოველმხრივ გამოავლინა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელი როლი არა მარტო ძალაუფლების დაპყრობაში, არამედ სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობაშიც. მან განსაზღვრა პარტიის დიადი მიზნები და ისტორიული მოწოდება ხანგრძლივი პერიოდისათვის. „მარქსიზმი, მუშათა პარტიას რომ ზრდის, — აღნიშნავდა ვლადიმერ ილიას-ძე, — იგი ზრდის პროლეტარიატის ავანგარდს, რომელსაც შეეძლება ხელთ აიღოს ძალაუფლება და **გაუძღვეს მთელ ხალხს** სოციალიზმისაკენ, წარმართოს და მოაწყოს ახალი წყობილება, იყოს ყველა მშრომელთა და ექსპლოატირებულთა მასწავლებელი, ხელმძღვანელი, ბელადი უბურჟუაზიოდ და ბურჟუაზიის წინააღმდეგ თავისი საზოგადოებრივი ცხოვრების მოწყობის საქმეში“.

კომუნისტური პარტია, რომელიც თავის რიგებში აერთიანებს მუშათა კლასის, გლეხობის, ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლებს, გამოდის სოცილისტური საზოგადოების ხელმძღვანელ პოლიტიკურ ძალად. წყვეტს რა კომუნიზმის მშენებლობის დროს წამოჭრილ ახალ რთულ ამოცანებს, ჩვენი პარტია ეყრდნობა მარქსის, ენგელსის, ლენინის თეორიას, საბჭოთა კავშირის, მოძმე სოციალისტური ქვეყნების, მსოფლიო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის უმდიდრეს გამოცდილებას. კომუნისტური პარტია ავითარებს, ამდიდრებს მარქსიზმ-ლენინიზმის შინაარსს, მეცნიერებას სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობის შესახებ. საზოგადოების სოციალურ-ეკონომიური და სულიერი ცხოვრების ობიექტური პროცესების ღრმა ანალიზი, კლასობრივი ძალების თანაფარდობის თვითეული ისტორიული მომენტის კონკრეტულ თავისებურებათა ყოველმხრივი გათვალისწინება მარქსიზმ-ლენინიზმის განვითარების, კომუნისტური პარტიის საშინაო და საგარეო პოლიტიკის შემუშავების საფუძველთა საფუძველია.

ლენინი უდიდეს, გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებდა პარტიის შეხედულებათა და მოქმედების ერთიანობას, მისი რიგების შეგნებული დისციპლინისა და შეკავშირების განმტკიცებას, შინაპარტიული დემოკრატიის, პარტიის წევრთა შემოქმედებითი აქტივობის განვითარებას, მან შეიმუშავა და დაასაბუთა პარტიული ცხოვრების ნორმები და პრინციპები, რომლებითაც ხელმძღვანელობდა ჩვენი პარტია და უდიდეს წარმატებებსაც მიაღწია. მუშათა კლასთან, ყველა მშრომელთან მტკიცე, ფართო კავშირი, განუწყვეტელი კრიტიკული თვითშემოწმება ჩვენი პარტიის ძალისა და უძლეველობის წყაროა.

სკკპ XXIII ყრილობის დოკუმენტებში აისახა პარტიის რიგების შემდგომი განმტკიცების, შინაპარტიული დემოკრატიის განვითარებისა და პარტიული დისციპლინის განმტკიცების, პარტიის პირველადი ორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობის გადიდების, კადრების შერჩევის, განაწილებისა და აღზრდისათვის მუშაობის გაუმჯობესებისა და პარტიულ გადაწყვეტილებათა შესრულების შემოწმების, პარტიული მუშაობისადმი მეცნიერული მიდგომის უმნიშვნელოვანესი მოთხოვნები. ასრულებენ რა სკკპ XXIII ყრილობის გადაწყვეტილებებს, პარტიულმა ორგანიზაციებმა მნიშვნელოვნად გამოაცოცხლეს თავიანთი საქმიანობა, გააძლიერეს კომუნისტთა აქტივობა.

**ლენინი ისტორიაში შევიდა როგორც მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს — მუშათა და გლეხთა სახელმწიფოს დამაარსებელი და ხელმძღვანელი.** ლენინმა განავითა-

რა მარქსისტული მოძღვრება სახელმწიფოს შესახებ, ნათლად გვიჩვენა, თუ რა ისტორიული მნიშვნელობა აქვს საბჭოების რესპუბლიკას — ახალი ტიპის სახელმწიფოს, განუზომლად უფრო მაღალსა და დემოკრატიულს, ვიდრე რომელიმე ბურჟუაზიულ-პარლამენტური რესპუბლიკაა. იგი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ საბჭოებში გაერთიანებულ მშრომელ ხალხს შეუძლია მართოს და კიდევაც უნდა მართოს სახელმწიფოს მთელი საქმენი.

ლენინს მიაჩნდა, რომ საბჭოების, სოციალისტური სახელმწიფოს მუდმივი განმტკიცება არის ის მთავარი და საჭირო პირობა, რომელსაც შეუძლია უზრუნველყოს მუშათა კლასის, ყველა მშრომელთა ინტერესების საიმედო დაცვა, საზოგადოებრივი ცხოვრების გარდაქმნა სოციალისტურ საწყისებზე.

კაცობრიობას, აღნიშნავდა ვ. ი. ლენინი, არ შეუძლია წინსვლა, თუ არ გადადგა ნაბიჯები სოციალიზმის გზაზე. სოციალიზმი არის საზოგადოებრივი განვითარების ობიექტურ მოთხოვნილებათა განხორციელება, მუშათა კლასის, ხალხის უფართოესი მასების ინტერესების გამოხატულება. მხოლოდ საზოგადოების სოციალისტურ ორგანიზაციას შეუძლია ხალხის კეთილდღეობას მოახმაროს ეკონომიკის, მეცნიერებისა და კულტურის განვითარება, აამაღლოს მშრომელები თავისუფალ შრომასა და შემოქმედებამდე, გზა გაუხსნას ადამიანთა ნიჭისა და უნარის ყოველმხრივ განვითარებას. სოციალიზმი არის სწრაფი და განუწყვეტელი პროგრესი საზოგადოებრივი ცხოვრებისა და ადამიანის საქმიანობის ყველა დარგში.

ლენინი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ სოციალიზმის ერთადერთი მატერიალური საფუძველი შეიძლება იყოს მეცნიერებისა და ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით შექმნილი მსხვილი მრეწველობა, ხოლო მაღალ განვითარებულ წარმოებას შეუძლია შეუმსუბუქოს შრომა მუშებსა და გლეხებს, შექმნას მატერიალური დოვლათის სიუხვე. სოციალისტური მშენებლობა, აღნიშნავდა ვ. ი. ლენინი, შეიძლება ეწოდოს მხოლოდ იმ მშენებლობას, რომელიც იწარმოებს დიდი საერთო გეგმით და თანაბრად გამოიყენებს ეკონომიურ და სამეურნეო ფასეულობებს.

ვ. ი. ლენინის ინიციატივითა და უშუალო ხელმძღვანელობით შემუშავდა გოელროს გეგმა — პირველი ერთიანი სახალხო-სამეურნეო გეგმა, რომლის განხორციელება სოციალისტური საზოგადოების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის უმნიშვნელოვანესი ეტაპი იყო. ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია, რომელიც პირველ ხუთწლედებიდან გაიშალა, იყო საბჭოთა ხალხის გიგანტური ბრძოლა სოციალიზმისათვის. მან მტკიცე საფუძველი ჩაუყარა სახალხო მეურნეობის ყველა დარგის განვითარებასა და ხალხის კეთილდღეობის აღმავლობას, უზრუნველყო ჩვენი სამშობლოს თავდაცვისუნარიანობა, გაიყვანა ჩვენი ქვეყანა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მოწინავე მიჯნებზე. სოციალიზმის ნახევარსაუკუნოვანმა გამოცდილებამ ცხადყო, რომ სწორი იყო მსხვილი სოციალისტური ინდუსტრიის შექმნის ლენინური პოლიტიკა.

იმისათვის, რომ ბოლო მოგვეღო გლეხობის საუკუნეობრივი ჩამორჩენილობისათვის, შეგვექმნა სოციალიზმის მტკიცე ეკონომიური საფუძველი სოფლად, საჭირო იყო ღრმა სოციალური გარდაქმნების განხორციელება სოფლის მეურნეობაში ლენინური კოოპერაციული გეგმის საფუძველზე. ვ. ი. ლენინს არაერთხელ უთქვამს, რომ წვრილი მეურნეობები თავს ვერ დააღწევენ გაჭირვებას, რომ კომუნიზმის საფუძველი მიწათმოქმედებაში შეიძლება უზრუნველყოს მხოლოდ და მხოლოდ უდიდესმა ტექნიკურმა ევოლუციამ.

გლეხთა ნებაყოფლობითი მასობრივი გაერთიანებით კოლექტიურ მეურნეობებში, კულაკობის—უკანასკნელი ექსპლოატატორული კლასის ლიკვიდაციით, საბჭოთა მეურნეობების შექმნით დაიწყო ძირეული სოციალური გადატრიალება გლეხთა ცხოვრებაში, ყოველივე ამის შედეგად შეიქმნა თანამედროვე მსხვილი სასოფლო-სამეურნეო წარმოება, რომელმაც შეცვალა სოფლის ცხოვრების მთელი წესი. კოლექტივიზაციამ სოფელი გამოიყვანა განვითარების სოციალისტურ გზაზე, განამტკიცა მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირი. სოციალიზმის ნახევარსაუკუნოვანმა გამოცდილებამ დაადასტურა, რომ სწორი იყო პარტიის ლენინური პოლიტიკა სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნის პოლიტიკა.

**ვ. ი. ლენინი ამბობდა, რომ სოციალიზმი არის ხალხის ცოცხალი შემოქმედება, როცა მშრომელები თვითონ აშენებენ ახალ ცხოვრებას, თავიანთი გამოცდილებით წყვეტენ სოციალისტური ორგანიზაციის უძნელეს საკითხებს.** ეს არის სოციალიზმის რეალური დემოკრატიზმი. სოციალიზმი აქტიურ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში აბამს მილიონობით მუშასა და გლეხს, ქმნის საზოგადოებრივი საქმეების მართვაში მათი მონაწილეობის ფართო შესაძლებლობებს, უზრუნველყოფს მშრომელების უფლებათა და თავისუფლებათა მატერიალურ და პოლიტიკურ გარანტიებს.

კომუნიზმის მშენებლობის პროცესში ხდება სოციალისტური სახელმწიფოებრიობისა და დემოკრატიის სრულყოფა და შემდგომი განვითარება. საბჭოთა საზოგადოების ცხოვრებაში, მასების პოლიტიკური და შრომითი აქტივობის განვითარებაში დიდმნიშვნელოვანი ადგილი უჭირავთ სახალხო ხელისუფლების ორგანოებს — საბჭოებს, საზოგადოებრივ ორგანიზაციებს — საბჭოთა პროფკავშირებს, ლენინურ კომკავშირს, კოოპერაციულ და სხვა ორგანიზაციებს. ჩვენს პარტიას თავის ამოცანად მიაჩნია შემდგომშიც ყოველი ღონისძიებით გააძლიეროს საბჭოების, პროფკავშირული, კომკავშირული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების აქტივობა და ინიციატივა. სოციალისტური დემოკრატიის განმტკიცებისა და განვითარების გადამწყვეტი პოლიტიკური პირობაა ხელმძღვანელი როლი კომუნისტური პარტიისა, რომელიც მუშათა კლასის, ხალხის მასების ინტერესების გამომხატველია.

მშრომელთა თავისუფლება უწინარეს ყოვლისა არის თავისუფლება ექსპლოატაციისაგან, სოციალური, პოლიტიკური და ეროვნული ჩაგვრისაგან, უცოდინარობისა და უმეცრებისაგან. ლენინი გვასწავლიდა, რომ თავისუფლების საკითხს კონკრეტულ-ისტორიულად უნდა განვიხილავდეთ: ვისი თავისუფლება, რომელი კლასის თავისუფლება? რისგან თავისუფლება? რისი თავისუფლება? სოციალიზმის ინტერესები, ხალხის ინტერესები მოითხოვს დავიცვათ სოციალისტური დემოკრატიის მონაპოვარნი იმპერიალიზმის ხრიკებისაგან, ანტისაზოგადოებრივი, ანტისოციალისტური ელემენტებისაგან. სოციალისტური დემოკრატიის, პიროვნების თავისუფლების შემდგომი განვითარება გულისხმობს, რომ საზოგადოების ყველა წევრს ჩავუნერგოთ შეურიგებლობა სოციალისტური საერთო ცხოვრების პრინციპებისა და ნორმების ყოველნაირი ხელყოფისადმი.

სოციალიზმის განმტკიცებისათვის, ხალხის კეთილდღეობისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ საზოგადოების თვითეულ წევრს სწორად ესმოდეს თავისი პასუხისმგებლობა ჩვენი საერთო საქმისათვის, თავისი მოქალაქეობრივი მოვალეობა სოციალისტური სამშობლოს წინაშე. თავისუფლება წარმოუდგენელია ისე, თუ საზოგადოების თვითეული წევრი პასუხისმგებელი არ არის საზოგადოების წინაშე. ლენინი ხაზგასმით აღნიშნავდა: არ შეიძლება ცხოვრობდე საზოგადოებაში და თავისუფალი იყო საზოგადოებისაგან.

სოციალიზმის მშენებლობა, აღნიშნავდა ვლადიმერ ილიასძე, შეუძლებელია თუ არ იქნა მთელი ისტორიული ხანა მასების კულტურულ განვითარებაში. ოქტომბრის რევოლუციამ, საბჭოთა ხელისუფლებამ შექმნეს პირობები მუშათა და გლეხთა განათლებისა და შეგნებული შემოქმედებისათვის. ჩვენს ქვეყანაში კულტურულმა რევოლუციამ საბჭოთა ადამიანებს

მოუტანა სწავლა და განათლება, მეცნიერების აყვავება, შექმნა სახალხო ინტელიგენცია, დაამკვიდრა სოციალისტური იდეოლოგია საზოგადოების სულიერი ცხოვრების ყველა სფეროში, შეინახა და ამრავლა მსოფლიო კულტურის ფასეულობანი. სოციალისტური რევოლუციის იდეებით შთაგონებული ლიტერატურა და ხელოვნება საერთო პროლეტარული საქმის, კომუნიზმის გამარჯვებისათვის საყოველთაო-სახალხო ბრძოლის შემადგენელი ნაწილი გახდა. სოციალიზმის ნახევარსაუკუნოვანმა გამოცდილებამ დაადასტურა, რომ სწორია პარტიის ლენინური პოლიტიკა კულტურული მშენებლობის დარგში.

ლენინის გენიამ თეორიულად და პრაქტიკულად გადაწყვიტა ეროვნული საკითხი. ვ. ი. ლენინი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ საჭიროა განთავისუფლებული ერების ისეთი კავშირი, რომელსაც საფუძვლად დაედება სრული ნდობა, ნათელი შეგნება ძმური ერთიანობისა სოციალიზმისა და კომუნიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლაში. სსრ კავშირის ხალხთა ურყევი ძმობის დამკვიდრება, ჩვენი სამშობლოს სოციალისტური რესპუბლიკების ეკონომიკისა და კულტურის აყვავება, მათი მტკიცე ერთიანობა დამაჯერებლად ადასტურებენ, რომ სწორი იყო ლენინის მოძღვრება და პარტიის პოლიტიკა ეროვნული საკითხის გადაწყვეტაში, რომ გაიმარჯვეს პროლეტარული ინტერნაციონალიზმის იდეებმა.

ვ. ი. ლენინის სახელთან განუყრელად დაკავშირებულია საბჭოთა შეიარაღებული ძალების შექმნა, მათი გმირული ისტორია, ლენინის ისტორიული დამსახურებაა პროლეტარული რევოლუციის სამხედრო პროგრამის, სოციალისტური სამშობლოს დაცვის მოძღვრების დასაბუთება. საბჭოთა სახელმწიფოს მთელი ისტორიის მანძილზე ჩვენმა შეიარაღებულმა ძალებმა მტრებთან ბრძოლაში ღირსეულად გამოატარეს თავიანთი საბრძოლო დროშა, დაიცვეს სოციალისტური სამშობლოს თავისუფლება და დამოუკიდებლობა, ფაშისტური დამონებისგან იხსნეს მსოფლიოს ხალხები, საბჭოთა ხალხსა და მის შეიარაღებულ ძალებს ყოველთვის ახსოვთ ლენინის ანდერძი — გაძოიჩიხონ სიფხიზლე, ყოველთვის ყურადღებით მოეკიდონ იმპერიალისტთა ხრიკებს.

პარტიამ და საბჭოთა ხალხმა, რომლებიც ასრულებდნენ ლენინის ანდერძს, დაძლიეს უდიდესი სიძნელეები და ექსპლოატატორთა კლასების ნაშთების გააფთრებული წინააღმდეგობა და უმოკლეს ისტორიულ ვადაში გადააქციეს ჩვენი ქვეყანა მძლავრ სოციალისტურ სახელმწიფოდ, რომელიც ემყარება მუშათა კლასისა და გლეხობის ურყევ კავშირს, სსრ კავშირის ყველა ხალხთა ძმურ მეგობრობას.

სოციალიზმის აშენების გენერალური კურსი პარტიამ დაიცვა ტროცკიზმის, „მემარცხენე“ და „მემარჯვენე“ ოპორტუნიზმის, ნაციონალ-უკლონისტებისა და სხვა ანტილენინურ დაჯგუფებათა წინააღმდეგ ბრძოლაში, რომლებიც ცდილობდნენ აეცდინათ პარტია ლენინის მიერ დასახული სწორი გზიდან.

სსრ კავშირში სოციალიზმის სრული, საბოლოო გამარჯვება და კომუნიზმის მშენებლობაზე გადასვლა ლენინური იდეების რეალური განხორციელებაა, კომუნისტური პარტიის პოლიტიკის გამარჯვებაა. სოციალიზმმა მთელ მსოფლიოს უჩვენა თავისი დიადი გარდამქმნელი ძალა, უდავო უპირატესობა კაპიტალიზმის წინაშე. საბჭოთა ხალხის გამარჯვება დიდ სამამულო ომში, პროგრესისა და ცივილიზაციის უსასტიკესი მტრის — ფაშიზმის განადგურება დამაჯერებლად ცხადყოფს საბჭოთა სახელმწიფოს უძლეველობას, მრავალეროვანი საბჭოთა ხალხის ერთგულებას მარქსიზმ-ლენინიზმის იდეებისადმი.

საბჭოთა კავშირის ნახევარსაუკუნოვანი განვითარების შედეგები უცილობლად მოწმობენ, რომ სწორი და სიცოცხლისუნარიანია მარქსისტულ-ლენინური მოძღვრება, სწორია გზა, რომლითაც ჩვენი ხალხი მიდის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით.

**ლენინი ისტორიაში შევიდა როგორც მსოფლიო პროლეტარიატის, საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის აღიარებული ბელადი.** რუსეთის სამი რევოლუციის, საერთაშორისო მუშათა კლასის ბრძოლის გამოცდილების განზოგადების საფუძველზე მან უდიდესი წვლილი შეიტანა კომუნისტური მოძრაობის სტრატეგიისა და ტაქტიკის შემუშავებაში ვ. ი. ლენინი დაუცხრომლად იბრძოდა პროლეტარიატის ერთიანობის განმტკიცებისათვის. მუშათა კლასის ერთიანობა მას მიაჩნდა დასახული მიზნისაკენ წარმატებით წინსვლის უმნიშვნელოვანეს პირობად.

ლენინმა მაღლა აღმართა ინტერნაციონალიზმის დროშა, ზრდიდა კომუნისტებსა და ყველა მშრომელთ საერთაშორისო სოლიდარობის სულისკვეთებით. „კაპიტალი, — განმარტავდა ლენინი, — საერთაშორისო ძალაა. მის დასამარცხებლად საჭიროა მუშათა საერთაშორისო კავშირი, მათი საერთაშორისო ძმობა.

ჩვენ ეროვნული მტრობის, ეროვნული შუღლის, ეროვნული განკერძოებულობის წინააღმდეგი ვართ. ჩვენ საერთაშორისო სოლიდარობის მომხრენი, ინტერნაციონალისტები ვართ“.

რევოლუციური ძალების შეკავშირებაში თვალსაჩინო როლი შეასრულა კომუნისტურმა ინტერნაციონალმა, რომელიც ლენინის ინიციატივით შეიქმნა. ვ. ი. ლენინი მისთვის დამახასიათებელი რევოლუციური მგზნებარებით იბრძოდა ოპორტუნიზმის, ავანტიურიზმის, ნაციონალიზმის წინააღმდეგ საერთაშორისო მუშათა მოძრაობაში, აფრთხილებდა კომუნისტურ პარტიებს, თუ რა საფრთხეს უქმნიან ოპორტუნიზმი, ავანტიურიზმი, ნაციონალიზმი რევოლუციისა და სოციალიზმის ბედს.

ისტორიის მსვლელობამ სავსებით დაადასტურა მსოფლიო განვითარების ლენინური ანალიზი, იმპერიალიზმის რეაქციული არსის დახასიათება, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შეფასება როგორც კაცობრიობის განვითარების გარდამტეხი ეტაპისა, როგორც მსოფლიო კომუნისტური რევოლუციის დასაწყისისა.

მარქსიზმ-ლენინიზმის საბრძოლო დროშით საერთაშორისო კომუნისტურმა მოძრაობამ ჭეშმარიტად გმირული გზა განვლო — ერთი მუჭა რევოლუციური მებრძოლებიდან მძლავრ არმიამდე, რომელიც თავის რიგებში აერთიანებს ათეულ მილიონობით კომუნისტს. მარქსისტულ-ლენინური კომუნისტური და მუშათა პარტიები, რომლებიც მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში არსებობენ, რევოლუციური მოძრაობის ავანგარდში არიან, თავიანთი წვლილი შეაქვთ მარქსიზმ-ლენინიზმის საერთო საგანძურში.

კომუნისტურმა პარტიებმა, მუშათა კლასმა, მშრომელებმა თვალსაჩინო გამარჯვებანი მოიპოვეს იმპერიალიზმის წინააღმდეგ, კაპიტალის მხრივ კლასობრივი ჩაგვრისაგან განთავისუფლებისათვის, კოლონიური მონობის სამარცხვინო სისტემის მოსპობისათვის ბრძოლაში. საერთაშორისო მუშათა კლასის, სოციალიზმის მსოფლიო სისტემის მოქცევა თანამედროვე ეპოქის ცენტრში, ეროვნულ-განმათავისუფლებელ რევოლუციათა წარმატებანი მარქსიზმ-ლენინიზმის მსოფლიო-ისტორიულ გამარჯვებებს მოასწავებენ. ახდა ლენინის წინასწარგანჭვრეტა იმის შესახებ, რომ რაგინდ ცოფს ყრიდეს და ღვარძლიანობდეს იმპერიალისტური ბურჟუაზია, გარდუვალია ახალი, სოციალისტური წყობილების გამარჯვება.

იმპერიალისტური რეაქცია ცდილობს თავი დააღწიოს ეკონომიურ და პოლიტიკურ შერყევებს, გადაუჭრელ სოციალურ წინააღმდეგობათა ჩიხს და სულ უფრო მეტად ადგება სამხედრო ავანტიურებისა და პროვოკაციების გზას. იმპერიალიზმი დაღუპვის საფრთხეს უქმნის მილიონობით ადამიანის

სიცოცხლეს, ცივილიზაციისა და კულტურის ნაყოფს. ამერიკის იმპერიალიზმი, რომელიც ხალხთა მშვიდობისა და უშიშროებისათვის მთავარი საფრთხე გახდა, აძლიერებს დანაშაულებრივ მოქმედებას მსოფლიოს სხვადასხვა რაიონში. რეაქციის ძალები ხელყოფენ ხალხთა დამოუკიდებლობასა და თავისუფლებას. ისევე როგორც წარსულში, იმპერიალისტური ბურჟუაზია სულ უფრო ხშირად და ხშირად მიმართავს ფაშისტური დიქტატურის მეთოდებს. ამ პირობებში განსაკუთრებული ძალით გაისმის ლენინური მოწოდება მთელი რევოლუციური, პროგრესული ძალების გაერთიანებისათვის იმპერიალისტური ყაჩაღური პოლიტიკის წინააღმდეგ, დემოკრატიის, სოციალიზმისა და მშვიდობის საქმისათვის ბრძოლაში.

თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარეობს უმწვავესი ბრძოლა ორ იდეოლოგიას — სოციალისტურ და ბურჟუაზიულ იდეოლოგიებს შორის, ბრძოლა რომელიც ასახავს პროლეტარიატისა და ბურჟუაზიის, სოციალიზმისა და კაპიტალიზმის კლასობრივი პოზიციების შეურიგებლობას. ვ. ი. ლენინი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ „ჩვენი ამოცანაა დავამარცხოთ კაპიტალისტთა მთელი წინააღმდეგობა, არა მარტო სამხედრო და პოლიტიკური, არამედ იდეური, წინააღმდეგობაც, რომელიც ყველაზე უფრო ღრმა და ძლიერია“. იმპერიალისტური ბურჟუაზია ყველაზე დიდ იმედს ამყარებს ნაციონალისტურ, რევიზიონისტულ და ცრუმემარცხენე ელემენტებზე, ცდილობს დააჩლუნგოს კლასობრივი შეგნება, შეასუსტოს სოციალისტური ქვეყნების ხალხთა იდეურ-პოლიტიკური ერთიანობა, დაქსაქსოს მშრომელნი.

არ არის და არც შეიძლება იყოს ნეიტრალიზმი, რაიმე კომპრომისი ბურჟუაზიულ იდეოლოგიასთან ბრძოლაში: კლასობრივი პრინციპები ვერ ურიგდებიან ერთმანეთს, ისინი იმარჯვებენ ბრძოლაში. მარქსისტ-ლენინელთა რევოლუციური მოვალეობაა ამხილონ ბურჟუაზიული იდეოლოგია.

მარქსიზმ-ლენინიზმის დროშით მთელი მსოფლიოს მშრომელნი ირაზმებიან იმპერიალიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად, სამხედრო ავანტიურებისა და საერთაშორისო პროვოკაციების იმპერიალისტური პოლიტიკის, მშვიდობისათვის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის, ხალხთა ეროვნული დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის საბრძოლველად, მარქს-ენგელს-ლენინის მოძღვრება ყოვლისმძლეა, იმიტომ რომ იგი სწორია.

**ლენინი ისტორიაში შევიდა როგორც მშრომელთა თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის მგზნებარე მებრძოლი.** იგი თავდადებით იბრძოდა სოციალიზმის გამარჯვებისათვის. „ეს დიადი საქმეა. — წერდა ლენინი, — და ღირს მისთვის ადამიანმა სიცოცხლეც გასწიროს“. და მთელი მისი სიცოცხლე მოხმარდა მუშათა კლასის, მშრომელი ხალხის საქმეს, რევოლუციის საქმეს, კომუნიზმის საქმეს. ილიჩი შეურიგებელი იყო მტრებისადმი, პრინციპული — პოლიტიკაში, მოქნილი — კონკრეტული პრობლემების გადაწყვეტისადმი მიდგომაში. უწყვეტი კავშირი მასებთან, გულისხმიერება და ყურადღება ადამიანებისადმი, თავმდაბლობა, მომთხოვნელობა საკუთარი თავისა და სხვებისადმი — ასეთია ჩვენი ბელადისა და მასწავლებლის დიადი სახე.

**არა არის რა იმაზე ამაღლებული და კეთილშობილური, ვიდრე ბაძავდე ლენინს, თავდადებულად იბრძოდე საქმისათვის, რომელსაც მან სიცოცხლე მოახმარა.** მუშები, გლეხები ინტელიგენცია, მთელი მრავალეროვანი საბჭოთა ხალხი ერთგულნი არიან ლენინიზმისა, ცხოვრობენ, შრომობენ და იმარჯვებენ ლენინის სახელით, მასების შეგნებული შრომით, შემოქმედებითი აღმშენებლობით ვლინდება ერთგულება ლენინიზმისადმი, კომუნიზმის საქმისადმი. საბჭოთა ადამიანების ყველა წარმატებებში ხორცს ისხამს ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის დიადი იდეები და აზრები. ჩვენი პარტია მთელი თავისი სახელოვანი ისტორიის მანძილზე მიჰყვებოდა კომუნისტური მშენებლობის ლენინურ გენერალურ ხაზს. პარტიის პროგრამაში, სკკპ XXIII ყრილობის გადაწყვეტილებებში განსაზღვრულია კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის, საზოგადოებრივი ურთიერთობის სრულყოფის, მაღალი პოლიტიკური შეგნების სულისკვეთებით საბჭოთა ადამიანების აღზრდის შემდგომი ამოცანები.

**ვ. ი. ლენინი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა ახალგაზრდობის კომუნისტურ აღზრდას, მის აქტიურ მონაწილეობას რევოლუციურ ბრძოლასა და ახალი საზოგადოების მშენებლობაში.** იგი ხაზს უსვამდა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ჩავუნერგოთ ახალგაზრდობას მთლიანი რევოლუციური მსოფლმხედველობა, ავათვისებინოთ უფროს თაობათა უმდიდრესი გამოცდილება, ვასწავლოთ გადააქციოს კომუნიზმი პრაქტიკული მუშაობის სახელმძღვანელოდ. ილიჩი ამბობდა, რომ ახალგაზრდობას წილად ხვდა უდიდესი, კეთილშობილური, მაგრამ სამაგიეროდ ძნელი ამოცანა — სოციალიზმისათვის ბრძოლის ამოცანა. ვ. ი. ლენინი წერდა, რომ ჩვენ მიერ დაფუძნებულ სოციალისტური საზოგადოების შენობას კიდევ უფრო ბეჯითად ააშენებენ ჩვენი შვილები. ქალიშვილებისა და ჭაბუკებისადმია მიმართული მგზნებარე ლენინური მოწოდება: „გააძლიერეთ, ახალგაზრდა ამხანაგებო, თქვენი მუშაობა ამ მიმართულებით, რათა მჩქეფარე ახალგაზრდული ძალღონით მოჰკიდოთ ხელი ახალი, ნათელი ცხოვრების მოწყობას“.

იწყებს რა შეგნებულ ცხოვრებას, ახალგაზრდობა პარტიის ხელმძღვანელობით მიჰყვება მამების გზას. განაგრძობს რევოლუციურ ტრადიციებს, ამრავლებს ჩვენი საზოგადოების მატერიალურ და სულიერ სიმდიდრეს. კომუნისტური პარტია საბჭოთა ხალხი ამაყობენ ლენინური კომკავშირის გმირულ ნახევარსაუკუნოვანი ისტორიით, ჩვენი ახალგაზრდობის სახელოვანი საქმეებით, რომელმაც რევოლუციური ბრძოლისა და სოციალისტური მშენებლობის ყველა ეტაპზე გამოიჩინა უსაზღვრო ერთგულება კომუნიზმის იდეებისადმი. პარტიის ხელმძღვანელობით ლენინური კომკავშირი ახალგაზრდა თაობებისათვის საზოგადოებრივი ცხოვრების, პოლიტიკური წრთობის, კომუნისტური აღზრდის შესანიშნავი სკოლა გახდა.

კომუნისტური მშენებლობის ყველა მიმართულებით საბჭოთა ადამიანებმა პარტიის ხელმძღვანელობით დიდი წარმატებანი მოიპოვეს. ჩვენი ხალხი უდიდესი აღფრთოვანებით ახორციელებს სკკპ XXIII ყრილობისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების მიერ შემუშავებულ პოლიტიკურ, ეკონომიურ და ორგანიზაციულ ღონისძიებებს, რომელთა მიზანია საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის, მშრომელთა ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის ამაღლება, საბჭოთა საზოგადოების მორალურ-პოლიტიკური ერთიანობის შემდგომი განმტკიცება. ეკონომიკის განვითარებას ახასიათებს სამრეწველო წარმოების ტემპების დაჩქარება. უკეთ მიდის სოფლის მეურნეობის საქმე. უმჯობესდება ხალხის კეთილდღეობა. ყოველივე ეს საბჭოთა ადამიანებს შთააგონებს წარმატებით გადაწყვიტონ ახალი დიდი ამოცანები.

**პარტია კვლავაც მტკიცედ და განუხრელად ივლის ლენინური კურსით.**

მივდიოდეთ ლენინური კურსით, ვიბრძოდეთ ლენინის ანდერძის შესრულებისათვის — ნიშნავს:

— ვაკეთებდეთ ყველაფერს, რაც საჭიროა კომუნიზმის აშენებისათვის, თავდადებული შრომით ვამრავლებდეთ სოციალისტური სამშობლოს მატერიალურ და სულიერ სიმდიდრეს;

— ვქმნიდეთ კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას, ვცდილობდეთ მივაღწიოთ სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების განუხრელ ზრდას, ხალხის კეთილდღეობისა და კულტურის ამაღლებას, სრულვყოფდეთ სახალხო მეურნეობის მართვის მეთოდებს, ვზრდიდეთ შრომის ნაყოფიერებას, ბეჯითად ვიბრძოდეთ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისათვის, ვნერგავდეთ პატივისცემას მშრომელი ადამიანისადმი.

— ვცდილობდეთ მივაღწიოთ მუშათა კლასის, გლეხობის, სახალხო ინტელიგენციის მორალურ-პოლიტიკური ერთიანობის შემდგომ განმტკიცებას, რაც ყველა ჩვენი გამარჯვების საწინდარია;

— განვამტკიცებდეთ საბჭოთა სახელმწიფოს. ვავითარებდეთ სოციალისტურ დემოკრატიას, ვამაღლებდეთ საბჭოებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების როლსა და პასუხისმგებლობას მთელ ჩვენს ცხოვრებაში, სულ უფრო ფართოდ ვიზიდავდეთ მშრომელებს სახელმწიფოს მართვის პრაქტიკულ საქმეებში, ვზრდიდეთ ახალ ადამიანს — კომუნიზმისათვის აქტიურ მებრძოლს;

— მუდამ განვამტკიცებდეთ კომუნისტური პარტიის რიგებს, ვუფრთხილდებოდეთ პარტიისა და ხალხის ერთიანობას, ზუსტად ვიცავდეთ პარტიული და სახელმწიფოებრივი ცხოვრების ლენინურ ნორმებს, ვიყოთ პრინციპულნი, ვიჩენდეთ მუყაითობას მუშაობაში, თავმდაბლობას, გულისხმიერებას, განვამტკიცებდეთ დისციპლინასა და ორგანიზებულობას, შეურიგებელი ვიყოთ ანტისაზოგადოებრივი ქცევისადმი, გადაჭრით ვამხილებდეთ და აღმოვფხვრიდეთ ნაკლოვანებებს;

— ვიცავდეთ მარქსისტულ-ლენინური თეორიის სიწმინდეს, შემოქმედებითად ვამდიდრებდეთ მას საზოგადოებრივი განვითარების კონკრეტულ-ისტორიული პირობების შესაბამისად, ვეწეოდეთ პრინციპულ, შეურიგებელ ბრძოლას ბურჟუაზიული იდეოლოგიის ყოველი გამოვლინების წინააღმდეგ;

— მუდამ ვზრუნავდეთ საბჭოთა სამშობლოს თავდაცვითი ძლიერების ზრდისათვის, ვცდილობდეთ მუდამ მზად გვყავდეს ხალხი და არმია იმპერიალისტთა აგრესიის მოსაგერიებლად, სოციალისტური სამშობლოს დასაცავად;

— წმიდად ვასრულებდეთ ჩვენს ინტერნაციონალურ მოვალეობას, განვამტკიცებდეთ საერთაშორისო პროლეტარულ სოლიდარობას იმპერიალიზმისა და რეაქციის წინააღმდეგ ბრძოლაში; ყველა ღონისძიებით ვუჭერდეთ მხარს პროლეტარიატის რევოლუციურ ბრძოლას კაპიტალისტური მონობისა და ჩაგვრის წინააღმდეგ, ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას; განვამტკიცებდეთ მსოფლიო სოციალისტური სისტემის ძლიერებას, საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის შეკავშირებას.

ჩვენი პარტია, მუშათა კლასი, საბჭოთა ხალხი პირველნი დაადგნენ სოციალიზმისა და კომუნიზმის გზას. საბჭოთა ადამიანებს შეგნებული აქვთ თავიანთი მაღალი ისტორიული პასუხისმგებლობა და ძალღონეს არ იშურებენ მარქსიზმ-ლენინიზმის დიადი იდეების გამარჯვებისათვის.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი ადგენს:

მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურმა კომიტეტებმა, პარტიის სამხარეო, საოლქო, საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა, პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა, საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის მთავარმა პოლიტიკურმა სამმართველომ, შენაერთთა და სამხედრო სასწავლებელთა პოლიტორგანოებმა ფართოდ გაშალონ პოლიტიკური და ორგანიზაციული მუშაობა ვ. ი. ლენინის დაბადების მეასე წლისთავისათვის მოსამზადებლად, ამასთან განიხილონ იგი როგორც საერთო-პარტიული, საერთო სახალხო საქმე.

პარტიულმა ორგანიზაციებმა საბჭოთა ორგანოებთან, საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან და საბჭოთა არმიის და სამხედრო-საზღვაო ფლოტის პოლიტორგანოებთან ერთად შეიმუშაონ კონკრეტული გეგმები თვითეული რესპუბლიკის, მხარის, ოლქის, ოკრუგის, ქალაქის, რაიონის, თვითეული საწარმოს, საბჭოთა მეურნეობისა და კოლმეურნეობის, ჯარის ნაწილებისა და ხომალდების მზადებისა ვ. ი. ლენინის დაბადების მეასე წლისთავისათვის.

სკკპ ცენტრალურ კომიტეტს მიაჩნია, რომ ვ. ი. ლენინის დაბადების მეასე წლისთავის აღნიშვნის საუკეთესო საშუალებაა მთელი ყურადღება მივაქციოთ სამეურნეო და კულტურული მშენებლობის გრანდიოზული გეგმების განხორციელებას, რომლებიც დასახულია საბჭოთა ხალხის წინაშე. ძირითადი მეცადინეობა უნდა მივმართოთ იმ აქტუალური ეკონომიური, სოციალურ-პოლიტიკური და იდეოლოგიური ამოცანების განხორციელებისათვის, რომლებიც დასახულია სკკპ XXIII ყრილობის გადაწყვეტილებებში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ მრეწველობის საწარმოთა, ტრანსპორტის, მშენებლობების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ბევრი კოლექტივის ინიციატივით ფართოდ ჩაღდება სოციალისტური შეჯიბრება დიადი თარიღის — ჩვენი ბელადისა და მასწავლებლის დაბადების მეასე წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის, სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმის წარმატებით შესრულებისათვის, რაც გამოხატავს უსაზღვრო სიყვარულს ლენინისადმი და მასების აქტივობას მისი ანდერძის შესრულებისათვის ბრძოლაში.

გამოვიყენოთ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისათვის მზადების გამოცდილება და გავაჩაღოთ პროპაგანდისტული და მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა მოსახლეობის ყველა ფენაში. მთელი პოლიტიკური მუშაობის მთავარ შინაარსად უნდა მივიჩნიოთ ის, რომ ყოველმხრივ ვუჩვენოთ პარტიის, მთელი საბჭოთა ხალხის ბრძოლა ლენინის დიადი ანდერძის განხორციელებისათვის, ღრმად გამოვავლინოთ მარქსიზმ-ლენინიზმის მნიშვნელობა რევოლუციური გარდაქმნებისათვის, დიდი მოაზროვნის, რეოლუციონერის, კომუნისტური პარტიისა და მსოფლიოში პირველი მუშურ-გლეხური სოციალისტური სახელმწიფოს დამაარსებლის, საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის ბელადის — ვ. ი. ლენინის ისტორიული როლი; განვმარტოთ მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების მნიშვნელობა ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობისათვის, მსოფლიო სოციალისტური სისტემის, მსოფლიო რევოლუციური მოძრაობის განვითარებისა და განმტკიცებისათვის.

პოლიტიკური მუშაობა წარვმართოთ ისე, რომ საბჭოთა ადამიანები აღვზარდოთ ლენინური ანდერძისადმი ერთგულებისა და კომუნისტური რწმენის, კაპიტალიზმის, ბურჟუაზიული იდეოლოგიის მიმართ შეურიგებლობის სულისკვეთებით, შემდგომ განვავითაროთ საბჭოთა ხალხის საზოგადოებრივი და შრომითი აქტივობა, ჩავუნერგოთ მას პატრიოტიზმი და ინტერნაციონალიზმი, ყოველი ღონისძიებით განვამტკიცოთ ჩვენი სამშობლოს ეკონომიური თავდაცვითი ძლიერება.

სკკპ ცენტრალურ კომიტეტს მიაჩნია, რომ ამ ღირსშესანიშნავი თარიღისათვის მზადებასთან დაკავშირებით უმნიშვნელოვანესი ამოცანაა შემოქმედებითი მუშაობა მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიის — კომუნიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლაში ჩვენი პარტიის მძლავრი იდეური იარაღის შემდგომი განვითარებისათვის.

სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებულმა მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტმა და საზოგადოებრივ მეცნიერებათა აკადემიამ, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ჰუმანიტა-

რულმა ინსტიტუტებმა და უმაღლესი სასწავლებლების საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრებმა მთავარი ყურადღება უნდა მიაქციონ მარქსისტულ-ლენინური თეორიის ისეთი აქტუალური საკითხების დამუშავებას, როგორც არის კომუნიზმის მშენებლობის ეკონომიური პრობლემები, სოციალისტური დემოკრატიის განვითარება და განმტკიცება, კომუნისტური აღზრდა, რევოლუციურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პროცესებისა და მთელი მსოფლიო განვითარების თეორიული განზოგადება.

მარქს-ენგელს-ლენინის იდეების საფუძვლიანი შესწავლა და პროპაგანდა საფუძველია პარტიული ორგანიზაციების იდეოლოგიური საქმიანობისა მშრომელთა კომუნისტური აღზრდის საქმეში. ვ. ი. ლენინის დაბადების მესასე წლისთავისათვის მზადების დროს პარტიულმა ორგანიზაციებმა უნდა გააძლიერონ მუშაობა ყველა კომუნისტის მარქსისტულ-ლენინური განათლებისათვის, კომუნისტთა და უპარტიოთა ფართო მასების მიერ რევოლუციური თეორიის ღრმა შესწავლისათვის.

რეკომენდაცია მიეცეს საკავშირო პროფსაბჭოს შეიმუშაოს ვ. ი. ლენინის დაბადების მესასე წლისთავისათვიის მზადებაში პროფკავშირთა მონაწილეობის ღონისძიებანი, რომელთა მიზანია განავითარონ ფართო მასების ინიციატივა სოციალისტურ შეჯიბრებაში, მოძრაობა კომუნისტური შრომისათვის, გაზარდონ შრომის ნაყოფიერება, გააძლიერონ მუშაობა შრომის, მშრომელთა ყოფაცხოვრებისა და დასვენების ორგანიზაციის დარგში.

რეკომენდაცია მიეცეს სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალურ კომიტეტს შეიმუშაოს კომკავშირული ორგანიზაციების საქმიანობის გეგმა ვ. ი. ლენინის დაბადების მესასე წლისთავისათვის მზადებასთან დაკავშირებით, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს კომკავშირელთა, საბჭოთა ახალგაზრდობის აღზრდის ლენინიზმისადმი ერთგულების სულისკვეთებით, კომუნისტური პარტიის დიადი იდეალებისათვის თავდადებული ბრძოლის სულისკვეთებით. კომკავშირის კეთილშობილური ამოცანაა ჩაუნერგოს ახალგაზრდებს ნებისყოფა, მზადყოფნა, უნარი იცხოვრონ და იბრძოლონ ისე, როგორც ლენინი ცხოვრობდა და იბრძოდა. ახალგაზრდობა, კომკავშირი კვლავაც მოწოდებული არიან ასრულებდნენ ილიჩის ანდერძს — ისწავლონ, ისწავლონ და ისწავლონ, საფუძვლიანად და შემოქმედებითად დაეუფლონ მარქსისტულ-ლენინურ თეორიას, მეცნიერების, ტექნიკისა და კულტურის უახლეს მიღწევებს, გამოაწრთონ თავიანთი ნებისყოფა და ხასიათი შეგნებულ, დისციპლინირებულ შრომაში.

გაზეთების „პრავდის“, „იზვესტიის“, „ეკონომიჩესკაია გაზეტას“, „სელსკაია ჟიზნის“, „სოვეტსკაია როსიის“, „ტრუდის“, „კომსომოლსკაია პრავდის“, „კრასნაია ზვეზდის“, ჟურნალების „კომუნისტის“, „პარტიინაია ჟიზნის“, „პოლიტიჩესკოე სამოობრაზოვანიეს“, „აგიტატორის“ რედაქციებმა, საკდესმა, ახალი ამბების სააგენტომ, ცენტრალური და ადგილობრივი გაზეთებისა და ჟურნალების რედაქციებმა შეიმუშაონ ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი მასალების გამოქვეყნების გეგმები. პრესაში ყოველმხრივ ასახონ ლენინის ცხოვრება და მრავალმხრივი რევოლუციური მოღვაწეობა, ლენინური იდეების თეორიული სიმდიდრე, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და მთელი კომუნისტური მოძრაობის ბრძოლა მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების განხორციელებისათვის.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის კომიტეტმა უზრუნველყოს ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის მზადების ყოველმხრივი გაშუქება, მკაფიოდ და ღრმად ასახოს ილიჩის სახე, მისი ცხოვრება და რევოლუციური მოღვაწეობა, მისი თეორიული მემკვიდრეობის სიმდიდრე, გააშუქოს პარტიისა და ხალხის ბრძოლა მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების განხორციელებისათვის.

სსრ კავშირის კულტურის სამინისტრომ ლენინის იუბილესათვის მზადებასთან დაკავშირებით გაითვალისწინოს კონკურს-დათვალიერებანი საუკეთესო დრამატული და მუსიკალური სპექტაკლებისათვის, კონცერტების თემატური პროგრამები, დღესასწაულების მოწყობა ლენინური დევიზით — „ხელოვნება — ხალხს“ მოსკოვში, ლენინგრადსა და მოკავშირე რესპუბლიკების დედაქალაქებში, ხელოვნების ფესტივალები ვ. ი. ლენინის ცხოვრებასა და მოღვაწეობასთან დაკავშირებულ ცალკეულ ქალაქებში, მოაწყოს სახვითი ხელოვნების გამოფენები.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა კინემატოგრაფიის კომიტეტმა უზრუნველყოს ვ. ი. ლენინისადმი მიძღვნილი მხატვრული და დოკუმენტური ფილმებისა და ისეთი ფილმების შექმნა, რომლებიც ასახავენ მარქსიზმ-ლენინიზმის გამარჯვებას, ვ. ი. ლენინის შესახებ საუკეთესო მხატვრული, დოკუმენტური და მეცნიერულ-პოპულარული ფილმების ფართო ჩვენება.

სსრ კავშირის მწერალთა კავშირის, სსრ კავშირის მხატვართა კავშირის, სსრ კავშირის კომპოზიტორთა კავშირის, სსრ კავშირის კინემატოგრაფისტთა კავშირის, სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირის, სსრ კავშირის არქიტექტორთა კავშირის გამგეობებს რეკომენდაცია მიეცათ შეიმუშაონ ვ. ი. ლენინის დაბადების მესასე წლისთავისათვის მზადებაში შემოქმედებითი კავშირების მონაწილეობის გეგმები.

* * *

სკკპ ცენტრალური კომიტეტი მოუწოდებს მუშებს, კოლმეურნეებს, ინტელიგენციას, საბჭოთა მეომრებს ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის დაბადების მესასე წლისთავი აღნიშნონ ახალი გამარჯვებებით კომუნისტური მშენებლობის იმ გეგმების განხორციელებისათვის ბრძოლაში, რომლებიც დაგვისახეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამამ, პარტიის XXIII ყრილობის გადაწყვეტილებებმა და ოქტომბრის 50 წლისთავის ზეიმთან დაკავშირებით მიღებულმა დოკუმენტებმა.

ჩვენს პარტიას, ჩვენს ხალხს, რომლებიც გამოწრთობილი არიან რევოლუციურ ბრძოლებში, ახალი საზოგადოების აშენებისათვის ბრძოლაში, მტკიცედ და ურყევად აქვთ გადაწყვეტილი განუხრელად შეასრულონ თავიანთი ბელადისა და მასწავლებლის ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის დიადი ანდერძი.

**შემდგომშიც ვიმუშაოთ და ვიცხოვროთ ლენინურად. შევქმნათ ვლადიმერ ილიას-ძის შესანიშნავი ძეგლი — კომუნიზმის შენობა, მისი უკვდავი იდეების დიადი და ღირსეული განსახიერება. კიდევ უფრო შევამჭიდროვოთ ჩვენი რიგები! გამოვიჩინოთ მეტი შეუპოვრობა და თავდადება, დისციპლინა და ორგანიზებულობა! გამოვიჩინოთ მეტი შემოქმედებითი ინიციატივა კომუნისტური მშენებლობის ყველა უბანზე! უფრო მაღლა აღვმართოთ კომუნიზმისათვის ბრძოლის რევოლუციური მარქსისტულ-ლენინური დროშა!**

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი



ვ. მჟავანაძე, გ. ძოწენიძე, ლ. ბრეჟნევი, გ. ჯავახიშვილი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 50 წლისთავისათვის

# საუნივერსიტეტო კომპლექსის შექმნის ადრინდელი ცდა

სერგი ჯორბენაძე

უმაღლესი განათლების საუნივერსიტეტო ფორმამ მრავალი საუკუნის მანძილზე აჩვენა თავისი ცხოველმყოფელობა, ამასთან დაწინაურებულ უნივერსიტეტებს მეცნიერების ახალ-ახალი დარგების წარმოჩენისა და განვითარების განსაკუთრებული უნარი აღმოაჩნდათ.

უნივერსიტეტების როლი ოდნავადაც არ შემცირებულა სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის ეპოქაში. მეტიც, ამჟამად ტექნიკის, მედიცინის, სოფლის მეურნეობის და სხვა მეცნიერებათა აღმავლობისა და ეფექტიანობის აუცილებელი პირობაა ფუნდამენტალური, საუნივერსიტეტო მეცნიერების განვითარების მაღალი დონე. ამიტომაც ჰუმანიტარული დარგების საერთო აღმავლობასთან ერთად, უნივერსიტეტთა საბუნებისმეტყველო-სამათემატიკო კლასიკური დარგები სრულიად ახალ, არნახულ შესაძლებლობებს სახავენ სახალხო-სამეურნეო, ტექნიკურ ამოცანათა გადასაწყვეტად. ამ ვითარებაში უნივერსიტეტთა განვითარების ფართო პერსპექტივის დანახვა აუცილებელია. ეს ყველაზე მეტად, ალბათ, საუნივერსიტეტო კომპლექსის შექმნაშიც უნდა გამოიხატოს, რომელიც აგრეთვე განვითარების მომავალ ოპტიმალურ შესაძლებლობებსაც გაითვალისწინებდა. ეჭვი არ არის, ამას თავის დროზე კარგად ხედავდა ნ. ცხვედაძე,

ეროვნული ბიბლიოთეკა



რომელიც ქალაქის მაშინდელ ფარგლებს გარეთ გეგმავდა უნივერსიტეტის აგებას. ამისათვის მას მრავალი საყვედური შეხვედრია: დასცინოდნენ — ქალაქიდან შორს შეიძინა გიმნაზიისათვის მიწის ნაკვეთიო. როგორც ზაქარია ჭიჭინაძე წუხილით წერდა, ნ. ცხვედაძეს კიცხავდნენ, რომ «ვერის მელიებისა და ტურებისათვის უყიდნია სკოლის ადგილი და ქართველი ყმაწვილები ვერელ ელიბუა მენახშირე და მეშეშეებისაკენ უნდა გარეკოსო».

შეურყეველი პრინციპულობით ნიკო ცხვედაძე გზიდან იშორებდა ყველაფერს და ყველას, ვინც ამ დიდებულ საქმეს ხელს უშლიდა, იგი უსაზღვრო ენერგიით აგრძელებდა უკვდავ წამოწყებას.

გ. ბაგრატიონ-დავითაშვილი თავის მოგონებებში ნ. ცხვედაძეზე წერს: «თქვენ ამბობთ, რომ შორსააო — იტყოდა ხოლმე ივი. — გარწმუნებთ, რომ მალე ახლოს იქნება, მხოლოდ იქონიეთ მოთმინება და ხელისშეშლის ნაცვლად, დამეხმარეთ.

— თქვენ ამბობთ, რომ ის ძალიან დიდია ჩვენი ღარიბი საზოგადოებისათვის, რომ ჩვენ არ გვესაჭიროება უზარმაზარი შენობაო.

— მე კი გარწმუნებთ, რომ ის პატარა გახდება თავისდროზე».

მართლაც, აგების დროს ეს შენობა ყველაზე დიდი იყო თბილისში.

ქართულმა უნივერსიტეტმა მშვენიერი მზამზარეული შენობა მიიღო და ამით, ექვთიმე თაყაიშვილის სიტყვებით, უნივერსიტეტის გახსნის საქმე სანახევროდ გადაწყდა. ცხვედაძისეულმა მთავარმა კორპუსმა მეცნიერებას მოწყურებული ბევრი ახალგაზრდა დაიტია. შემდგომ წლებში, მართალია, გამოიყენეს დამატებითი ტიხრები, მაგრამ საბედნიეროდ კლასიკური უბრალოებით აგებული შენობის ძირითადი სახე ხელუხლებელი დარჩა.

უნივერსიტეტის არსებობის პირველ კალენდარულ წელს, მეორე სემესტრშივე შეიქმნა საბუნებისმეტყველო-სამათემატიკო და სამკურნალო გაერთიანებული ფაკულტეტი. გასაგებია, რომ სამედიცინო მეცნიერებანი უკვე თავიდანვე მოითხოვდნენ ძვირად ღირებულ სასწავლო და სამეცნიერო მოწყობილობათა დაწესებულებებს. ამიტომ საჭირო გახდა უნივერსიტეტისათვის ქალაქის სხვადასხვა ნაწილში მდებარე საავადმყოფოებისა და კლინიკების გადაცემა.

1919 წლიდან შექმნილი სამეურნეო განყოფილების, ხოლო 1921 წლიდან ჩამოყალიბებული აგრონომიული ფაკულტეტისათვის აუცილებელი იყო მრავალი სხვადასხვა საწარმოსა და ნაგებობის გადაცემა. მაშინდელი სასულიერო სემინარიის შენობა, სადაც ეს ფაკულტეტი (შემდეგ სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი) მოთავსდა, საქმეს მხოლოდ ნაწილობრივ შველოდა. 1922 წლიდან პოლიტექნიკური ფაკულტეტის გახსნამ კი ახალ ნაგებობათა და სასწავლო-სამეცნიერო ლაბორატორიების შექმნის პრობლემა დააყენა. საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში თბილისის უნივერსიტეტი არა მარტო ახლანდელ საუნივერსიტეტო დარგებს მოიცავდა, არამედ არსებითად ტექნიკის, მედიცინის და სოფლის მეურნეობის დარგებსაც. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ თბილისის უნივერსიტეტი იყო სამეცნიეროკვლევის ფაქტიურად ერთადერთი ცენტრი რესპუბლიკაში. მაშინ ჯერ კიდევ არ არსებობდა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალი. მაშასადამე, უნივერსიტეტი საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში არსებითად რესპუბლიკის თითქმის მთლიან სასწავლო და სამეცნიერო მოღვაწეობის ცენტრს გულისხმობდა. ეს მის წინაშე არნახულ პერსპექტივებს სახავდა. რასაკვირველია, ყველაზე ბუნებრივი იქნებოდა მთავარი კორპუსისა და სასოფლო-სამეურნეო ფაკულტეტის კორპუსს შორის სივრცის გამოყენება უნივერსიტეტის მომავალი საჭიროებისათვის. ახალი, სოციალისტური საზოგადოების მძლავრი მაჯისცემა უკვე მიგვანიშნებდა მეცნიერების ზრდის არნახულ მასშტაბებზე. სწორედ ამ ვითარებაში ივანე ჯავახი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შვილის ინიციატივით შემუშავდა ვაკის მთელს რაიონში ვარაზისხევიდან ბაგებამდე საუნივერსიტეტო კომპლექსის შექმნის შესანიშნავი იდეა, რომელიც ითვალისწინებდა ვაკის რაიონის გადაქცევას სამეცნიერო და აკადემიური კვლევის ცენტრად

პირველად ვაქვეყნებთ უნივერსიტეტის რექტორის ივანე ჯავახიშვილის მიერ 1926 წლის 22 თებერვალს თბილისის ქალაქის აღმასკომისათვის გაგზავნილ წერილს № 1254. (იხ. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო არქივი (თბ) ფონდი 471, ანაწერის საქმე 314, ფურც. 216).

«ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, უნივერსიტეტის ქუჩაზე თავის მთავარ შენობაში მეტად შევიწროებულია და არც ეტევა. ორი ფაკულტეტი — საექიმო და სასოფლო-სამეურნეო გამოყოფილია და მოთავსებულია მთავარი შენობის გარეშე ქალაქში. ამის გარდა უნივერსიტეტის მრავალი სამეცნიერო-სასწავლო დაწესებულებანიც — ინსტიტუტები, ლაბორატორიები და სხვ. დაქსაქსულია მთელ ქალაქში. ამნაირად ბევრი დრო ეკარგება მასწავლებელ პერსონალსაც და სტუდენტობასაც უნივერსიტეტის დაწესებულებებში სიარულზე და ეს აუტანელი გარემოება მეტად აბანდებს სამეცნიერო მუშაობასაც და სწავლასაც და მეტ ხარჯებსაც იწვევს, აუცილებლად საჭიროა, რომ ახლო მომავალში უნივერსიტეტის ყველა დაწესებულებამ — ლაბორატორიებმა, ინსტიტუტებმა და სხვა. თავი მოიყაროს ეხლანდელი მთავარი შენობის გარშემო. ამის გარდა საჭიროა აშენება უნივერსიტეტის ადმინისტრაციისათვის და ტექნიკურ თანამშრომლებთათვის საცხოვრებელი სახლებისა, აგრეთვე საჭიროა უწვადი შენობები წიგნთსაცავისათვის და მუზეუმისათვის, არქივისათვის; თანაც თუ მეცნიერების და სწავლა-განათლების სწრაფად წინმსვლელობასაც მივიღებთ მხედველობაში, უნივერსიტეტს დასჭირდება მომავალში კიდევ სხვა ბევრი რამ, რის გათვალისწინებაც ეხლა ძალიან ძნელია. ამ აუარებელი მოთხოვნილების დაკმაყოფილება საჭიროა, რომ უნივერსიტეტმა პირნათლად შეასრულოს თავისი მოვალეობა — მეცნიერების და ცოდნის გავრცელება ჩვენს ქვეყანაში და ხელი შეუწყოს ჩვენი ხალხის კეთილდღეობას. ყველა ამისათვის უნივერსიტეტისათვის უპირველესად საჭიროა ახალი შენობები, და ახალი შენობებისათვის კი ადგილი. უნივერსიტეტის ეხლანდელ ეზოში ისეთი სივიწროვეა, რომ აღარაფერი არ აშენდება. მაგრამ უნივერსიტეტის გარშემო მიდამოებში, უნივერსიტეტის ქუჩის გასწვრივ ორსავ მხრივ — ვარაზაანთ ხევიდგან ყოფილი კადეტის კორპუსის ადგილამდე ბევრი თავისუფალი, ცარიელი მიწებია. დანარჩენებზე კი სდგას პატარ-პატარა წვრილმანი სახლები, რომლის გამოსყიდვა ადვილი იქნება.

ამიტომ უნივერსიტეტის გამგეობა შუამდგომლობს:

1) ეხლავე გადმოეცეს უნივერსიტეტს ის ტერიტორია, რომელიც მდებარეობს ორსავ მხარეზე უნივერსიტეტის ქუჩის გასწვრივ ვარაზაანთ ხევიდან დაწყებული ყოფილი კადეტის კორპუსის მიწამდინ. ამ ტერიტორიაზე უნივერსიტეტის გარდა სხვას ყველას აეკრძალოს ახალი შენობების დადგმა.

2) ამ ტერიტორიაზე მდებარე ეხლანდელი სახლების მესაკუთრეებს აეკრძალოთ ახალი შენობების დადგმა თავიანთ ეზოებში და არსებული სახლების გადაკეთება და კაპიტალური შეკეთება. (ამნაირი სავალდებულო დადგენილების მაგალითი არსებობს სხვა ქალაქებში). აქ ვარაზაანთ ხევიდან დაიწყება უნივერსიტეტის სამეცნიერო-სასწავლო დაწესებულებების შენობები.

3. მერმე — ვინაიდგან უნივერსიტეტის მასწავლებელ და დამხმარე მოღვაწეთა რიცხვი ამჟამად უკვე აღემატება 600 კაცს და უმეტესი ნაწილი უბინაოთ არის, დანარჩენი კი ძალიან შევიწროებულია, ეს გარემოება ხელს უშლის სამეცნიერო მუშაობას. აუცილებლად საჭიროა მასწავლებელთა კოლექტივისათვის საცხოვრებელი სახლების აშენება ჰიგიენურ პირობებში — სასწავლო-სამეცნიერო შენობების იქეთ.



ივანე ჯავახიშვილი

4. ამავე დროს უნივერსიტეტის პროლეტარული სტუდენტობა — მუშებისა და გლეხების შვილები, უმრავლესად პროვინციელები არიან და ტფილისში თითქმის ცისქვეშ ცხოვრობენ. საჭიროა ამ სტუდენტებისათვისაც საცხოვრებელი სახლები იყოს აშენებული და დაარსდეს ინტერნატი — ეს სჯობიან მოთავსებული იყოს ქალაქის განაპირას — ყოფილი სემინარიის პირდაპირ, ახალგაზრდობის ჯანმრთელობისათვის.

5. უნივერსიტეტის სასოფლო-სამეურნეო ფაკულტეტისათვის საჭიროა ხელქვეშ ჰქონდეს სასწავლო-საჩვენებელი ბაღები და ბოსტნები, ფერმა, — ეს სასარგებლო იქნება არა მარტო მეცნიერულად, არამედ პრაქტიკულადაც უნივერსიტეტისათვისაც და თვით ქალაქისთვისაც. ამიტომ საჭიროა სასწავლო-საჩვენებელი ბაღებისათვის და ბოსტნებისათვის გადმოეცეს უნივერსიტეტს მიწები ყოფილი სემინარიის იქით გვერდზე (წყნეთისაკენ, წყნეთის გზის და მდინარე ვერის შუა), ვინაიდგან იქითკენ ადვილი იქნება ბოსტნების მორწყვა.

უნივერსიტეტის გამგეობა მოგმართავთ-რა ამ შუამდგომლობით, იმედი აქვს ქალაქის აღმასკომი არ მოაკლებს თავის ზრუნველობას უნივერსიტეტსაც, საქართველოს ამ ერთადერთ სამეცნიერო-სასწავლო დაწესებულებას».

ივანე ჯავახიშვილის ხელმოწერით გაგზავნილმა უნივერსიტეტის გამგეობის წერილმა, როგორც სჩანს, ჩააფიქრა ქალაქის მაშინდელი ხელმძღვანელები, მაგრამ სულ რამდენიმე თვის შემდეგ ცნობილი გახდა, რომ მათ მიზანშეუწონლად ჩათვალეს ვაკის ფართო სივრცის დაჯავშნა უნივერსიტეტის — რესპუბ-



ივანე ჯავახიშვილი და ნიკო მარი სინას მთაზე

ლიკის ერთადერთი სამეცნიერო და სასწავლო ცენტრის პერსპექტიული განვითარებისათვის. მეტიც, 1926 წლის 22 სექტემბერს, თბილისის აღმასკომმა «ზარია ვოსტოკაში» გამოაცხადა კონკურსი ვარაზაანთ ხევიდან წყნეთის ხევამდე ვაკეს კეთილმოწყობასა და დასახლების გეგმის შემუშავებაზე. ამ ფაქტს ყველა როდი შეხვდა მოწონებით. შესანიშნავი ქართველი ინჟინრის, დოც. ი. თულაშვილის ინიციატივით საქ. სსრ ეკონომიური საბჭოს საალმშენებლო-სატექნიკო კომიტეტმა სასწრაფო წერილი გაუგზავნა 24 სექტემბერს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამგეობას. ამ დროს პროფ. ივ. ჯავახიშვილი უკვე განთავისუფლებული იყო რექტორობიდან. ამ წერილში (მას პირველად ვაქვეყნებთ) აღნიშნულია, რომ «საქართველოს სსრ ეკონომიურ საბჭოს საალმშენებლო-სატეხნიკო კომიტეტთან არსებული სამხატვრო-საარქიტექტორო საბჭოს კი მიაჩნია, რომ შესაძლოა ეს ადგილი დასჭირდეს ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს თავისი შენობების გაფართოებისათვის და თავისი დაწესებულებების მოთავსებისათვის. ამიტომ საალმშენებლო-სატექნიკო კომიტეტი გთხოვთ აცნობოთ მას თქვენი მოსაზრებანი ამ საკითხის შესახებო» (საქ. ცენტრალური სახელმწიფო არქივი (თბილისი) ფონდი 471, ან. 1, საქმე 314, ფურც. 215).

დოც. ივანე თულაშვილმა 1926 წლის 9 ნოემბერს ახალი განცხადებით მიმართა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეურნეო კომისიას. ეს განცხადება შესანიშნავი დოკუმენტია მაღალი საინჟინერო ეთიკისა და უსაზღვრო პატრიოტიზმის. ამ წერილსაც პირველად ვაქვეყნებთ (საქ. ც. ს. არქივი, თბილისი, ფონდი 471, ან. 1, საქმე 314, ფურც. 217-218).

«ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამგეობამ ა/წ 22/II № 1254-ით მიმართა ტფილისის აღმასკომს და მოსთხოვა უნივერსიტეტისათვის დაეთმო ადგილ ვაკეს მიწები უნივერსიტეტის ქუჩის გასწვრივ ორსავ მხრივ აღნიშნულ ფარგლებში. № 1254-ით მიმართვაში დაწვრილებით ჩამოთვლილია ყველა ის საჭიროებანი, რომელთა დაკმაყოფილებისათვის გამგეობა ითხოვდა ვაკეს მიწებს.

ჯერ საქმე ნორმალურად მიმდინარეობდა, მაგრამ მერმე შეჩერდა. ამასობაში ტფილაღმასკომმა გამოაცხადა შეჯიბრება (კონკურსი), ადგილ ვაკეს კეთილმოწყობის პროექტის შედგენაზე. გაიგო რა ეს გარემოება საქ. სსრ-ის ეკონომიური საბჭოს საამშენებლო-სატექნიკო კომიტეტთან არსებულმა სამხატვრო-საარქიტექტორო საბჭომ, მაშინვე მიმართა უნივერსიტეტის გამგეობას ა/წ 24/X და შეეკითხა სჭირია უნივერსიტეტს თუ არა ადგილ ვაკეს მიწები. ეხლა ა/თვის 10-ს შეჯიბრების ვადა გადის და პროექტები წარმოდგენილი იქნება ტფილაღმასკომში და პროექტის განხილვის შემდეგ ვაკე დანაწილებული იქნება და ნაჭერ-ნაჭერ დაურიგდებათ მოსახლეებს. ამის შემდეგ უნივერსიტეტს არავითარი გასაქანი აღარ დარჩება თავისი ტერიტორიის გაფართოებისათვის და დარჩება გამომწყვდეული თავის ეხლანდელ მთავარ შენობაში.

ამისთანა საშინელი გარემოების აცილებისათვის საჭიროა სასწრაფო ზომები. საჭიროა მოლაპარაკება ტფილაღმასკომის თავმჯდომარესთან და ტფილისის სახალხო ქონების გამგესთან, თუ საჭირო იქნება საქართველოს მთავრობის წინაშეც შუამდგომლობა, რომ უნივერსიტეტი არ ჩავარდეს მომავალში უგამოსავლო მდგომარეობაში, ადგილ ვაკეს მიწები ამასთან დართულ რუკაზე აღნიშნულ ფარგლებში აუცილებლად უნდა დაეთმოს უნივერსიტეტს და ამისათვის აღსრულებაში მოყვანილ უნდა იყოს № 1254-ში ჩამოთვლილი პირობები.

ეს არის სახელმწიფოებრივი და ეროვნული მოთხოვნილება, და სავალდებულოა ყველა ქართული დაწესებულებისათვის, ჩვენი მთავრობაც ამას დაადასტურებს, საჭიროა სასწრაფო შუამდგომლობა სადაც ჯერ არს.

დანართი: 1) მიმართვა 1926 წ. 22/XI № 1254, 2) ადგილ ვაკეს რუკა უნივერსიტეტისათვის საჭირო მიწების ფარგლებით, 3) ახალი რუკა ადგილ ვაკესი, რომელზედაც დამაგრებული უნდა იყოს უნივერსიტეტზე მისთვის საჭირო მიწები მომავალში».

ეს რუკა, რომელიც აგრეთვე პირველად იბეჭდება, იძლევა იმ მიჯნებს, რომელიც მიჩნეული უნდა ყოფილიყო მომავალში უნივერსიტეტისათვის. ნიშანდობლივია, რომ იგი გულისხმობს ტერიტორიას ვარაზის ხევის გაღმა და სრულიად უარყოფს ფიქრის გორის გამოყენებას მისი მომავალი საჭიროებისათვის. ივ. თულაშვილი სავსებით სწორად გამოდიოდა ძირითადად უკვე დასახლებული სივრცის გამოყენების მიზანშეუწონლობიდან, მაშინ როცა ივ. თულაშვილი სავსებით დასაბუთებულად გამორიცხავს ვარაზის ხევის გაღმა იმ მხარესაც, სადაც იგი სხვადასხვა საბინაო ამხანაგობების სახლებით მჭიდროდ იყო დაკავებული. უნივერსიტეტის შესაძლებელი ტერიტორიის საზღვრებში გათვალისწინებულია სტადიონის, ქალაქ-ბაღის და სხვ. მშენებლობა.

იმ ვითარებაში, როცა უნივერსიტეტი არსებითად რესპუბლიკის (და არა მხოლოდ თბილისის) სასწავლო და სამეცნიერო მუშაობის ერთადერთი ცენტრი იყო, თითქმის მთელი ვაკის

ნიკოლოზ კახიანი, ალექსანდრე ალადაშვილი, მიხეილ ასათიანი



ეროვნული ბიბლიოთეკა

სივრცის მისთვის მიჩენა სრულიადაც არ სჩანს ფანტასტიკური.

გონების თვალით თუ წარმოვიდგენთ დედაქალაქის ახლანდელ უმაღლეს სასწავლებელთა და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ინსტიტუტებსა და დაწესებულებებს, თავმოყრილს ქალაქის ერთ რაიონში — ვაკეში, გასაგები იქნება, რომ დღეს, 42 წლის წინათ შემუშავებული საზღვრები, ძნელად თუ იქნებოდა საკმარისი ყველა მათგანისათვის.

საუნივერსიტეტო კომპლექსის შექმნის მაშინდელი ცდა ვერ ვანხორციელდა, თუმცა კი დაისახა კონკრეტული ღონისძიებები მცირე მასშტაბის კომპლექსის შესაქმნელად.

უნივერსიტეტიდან რიგი ფაკულტეტების წასვლამ და ცალკე ინსტიტუტების შექმნამ, შემდგომ კი თვით უნივერსიტეტის რეორგანიზაციამ არსებითად განაპირობა ამ ცდის საბოლოო მარცხი. ყველაზე სამწუხარო მაინც ის იყო, რომ იმ დროს შეიქმნა შეხედულებები სწავლების საუნივერსიტეტო ფორმის მოძველების შესახებ, ამან კი მხოლოდ ზიანი მოუტანა უნივერსიტეტს შემდგომი გაფართოების მეტად გონიერ იდეას. 1933 წლის დასაწყისიდან უნივერსიტეტის ხელახალი მოწყობის შემდეგ კვლავ დაისვა საკითხი მცირე მასშტაბით მაინც შექმნილიყო საუნივერსიტეტო კომპლექსი, მაგრამ ახლა სულ სხვა სახის სიძნელეები წამოიჭრა. ცხვედაძისეული კორპუსის მიმდებარე ტერიტორია სწრაფად ხდება ინტენსიური კოოპერაციული და ინდივიდუალური საბინაო ზონა. მალე მას დაემატა სახელმწიფო დაწესებულებათა მშენებლობაც. 1932 წლიდან დაიწყო სამკურნალო კომისიის კორპუსების მშენებლობა, რაც 1935 წელს დამთავრდა. ამან მკვეთრად შეზღუდა უნივერსიტეტის გეგმაზომიერად გაფართოების საქმე. მეტიც, საბოლოოდ ჩამოშორდა მთავარ კორპუსს მერმინდელი ბიოლოგიური ფაკულტეტის შენობა. როგორც ივანე თულაშვილი აღნიშნავდა, შეიქმნა რეალური საფრთხე უნივერსიტეტი გამომწყვდეულიყო თავის ახლანდელ მთავარ შენობაში. იმ დროს წარმოიშვა უაღრესად მცდარი შეხედულება ცხვედაძისეული კორპუსის გაფართოებისა — მინაშენისა და დანაშენის შექმნის გზით.

1933 წლის 27 სექტემბერს თბილისის საქალაქო საბჭოს ტექნიკური სექტორის მთავარი ინჟინერი ჭავჭავაძე უნივერსიტეტის რექტორის მიმართვის პასუხში წერდა: «თანახმად თქვენი მომართვისა ა/წ 21/X № 1677 თარიღით უნივერსიტეტის შენობაზე მიშენების შესახებ, ტფილისის ტექნიკური სექტორი გაცნობებთ, რომ აღნიშნული მიშენება ვერ მოგვცემს სათანადო ეფექტს, როგორც საგრძნობი ფართობის მიღებით, აგრეთვე მისი გარეგნობის მხრივ.

თუ მივიღებთ მხედველობაში მეცნიერების ტაძრის მნიშვნელობას, მის მომავალი გაფართოების პერსპექტივას, მიზანშეწონილად დავინახავთ ნაცვლად მიშენებისა გაკეთდეს მთლიანი დაშენება ახალი სართულის. დაშენებისას საჭიროა უცვლელად დაცულ იქნეს არსებული სტილი.

თუ თქვენ გამოთქვამთ სურვილს დაშენების შესახებ და მოგეპოვებათ სათანადო თანხები და საალმშენებლო მასალები, საჭიროა აცნობოთ ტფილისის საბჭოს ტექნიკურ სექტორს — მოახდინოს საძირკვლის და ნიადაგის გამოკვლევა» (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არქივი, ფონდი 1 ანაწერი № 1 საქმე 8. გვ. 113).

საბედნიეროდ, ცხვედაძისეული კორპუსის კლასიკური უბრალოებით აგებული შენობის არც დაშენება და არც მიშენება არ განხორციელებულა.

1933-34 წლებში მიღებულ იქნა დადგენილებანი უნივერსიტეტის ტერიტორიული მიჯნების ზუსტად განსაზღვრის მიზნით. 1933 წლის 21 ოქტომბერს თბილისის საბჭოს აღმასკომმა გამოუყო უნივერსიტეტს მიწის ნაკვეთი, მდებარე ცხვედაძისეული კორპუსის პირდაპირ, უნივერსიტეტის ქუჩა № 4,6; 1625 კვადრატული მეტრის ოდენობით. მიწის ნაკვეთი მდებარე უნივერსიტეტის I და II ჩიხის შუა — 9963 კვ. მეტრი. უნივერსიტეტის ნაკვეთზე მდებარე უნივერსიტეტის პირველი ჩიხი გაუქმდა. (იხ. თსუ არქივი, ფონდი № 1, ან, № 1, საქმე 8, ფურც. 57). 1933 წლის 27 ოქტომბერს უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ მოითხოვა ამ ნაკვეთის გაფართოება, რასაც იგი ასაბუთებდა ფიზიკისა და ქიმიის კორპუსების ცალცალკე აშენებით, ასპირანტთა საერთო საცხოვრებლისა და სტუდენტთა სასადილოს ცალკე შენობის აშენების საჭიროებით. იგეგმებოდა აგრეთვე ცალკე შენობები ბიბლიოთეკისათვის, არქივისათვის, გამომცემლობისა და ფიზიოლოგიური ინსტიტუტის ცალკე ნაგებობებისათვის. ეს ვერ განხორციელდა. საქმე ამოიწურა ფიზიკა-ქიმიური კორპუსის ერთი შენობის აგებით. მისი მშენებლობა 1934 წელს დაიწყო. ერთ-ერთ თავის განმარტებით ბარათში 1933 წელს ფიზიკა-ქიმიური კორპუსის წინასწარი ესკიზის თაობაზე პროექტის ავტორი არქიტექტორი მ. შავიშვილი წუხილით წერდა, რომ «ნიადაგისა და რელიეფის სივიწროვის გამო ერთ მთლიან კომპლექსად გადაწყვეტაა» ყველაზე სწორი გზა ფიზიკისა და ქიმიის ფაკულტეტებისათვის შენობის ასაგებადო. მეორე ფიზიკა-ქიმიური კორპუსი აიგო პირველისაგან 15 მეტრით დაშორებით.

შემდგომ წლებში უნივერსიტეტზე მიმაგრებული ტერიტორიის ნაწილი არ ყოფილა გამოყენებული მისი საჭიროებისათვის და მხოლოდ ილია ჭავჭავაძის პროსპექტზე სხვადასხვა ადგილას მიიღო უნივერსიტეტმა შენობა ან მისი ნაწილი.

ახლა, რასაკვირველია, გარდა დიდი ხარჯებისა უნივერსიტეტის ორი კორპუსის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ ნაგებობათა აღება და ზოგიერთ დაწესებულებათა ნაგებობის რეკონსტრუქციის გზით უნივერსიტეტის საერთო კომპლექსში ჩართვა, საქმეს საბოლოოდ ვერ უშველიდა. გასაგებია, რომ ამ ვითარებაში დაისვა საკითხი პერსპექტივის გათვალისწინებით, უნივერსიტეტის განვითარების საქმის კარდინალურად გადაწყვეტისა, ამიტომაც სავსებით ბუნებრივია უნივერსიტეტის კომპლექსის ახალ, თავისუფალ ტერიტორიაზე განვითარება, სადაც მას მნიშვნელოვანი სარეზერვო სივრცეც ექნება. ბაგები — საბურთალოს რაიონი ამ მხრივ მთელი რიგი უპირატესობით ხასიათდება. სწორედ აქ მხრებს გაშლის ახალი უნივერსიტეტი, სადაც იგი ნახევარსაუკუნოვანი იუბილის თავზე საჩუქრად იღებს 14 სართულიან კორპუსს. რათქმა უნდა, ცხვედაძისეული კორპუსი ყოველთვის დარჩება უნივერსიტეტს, როგორც სიმბოლო ჩვენი ხალხის თავდადებისა და თავგანწირვის განათლების საქმისადმი.

მართალია, საუნივერსიტეტო კომპლექსის შექმნის 1926 წლის ცდა ვერ განხორციელდა, მაგრამ მას უკვალოდ არ ჩაუვლია, ორი დიდი შედეგი მოჰყვა; პირველი — ვაკეში აშენდა რამდენიმე უმაღლესი სასწავლებელი (ზოოვეტერინალური, პედაგოგიური, უცხო ენების, ფიზკულტურის ინსტიტუტი) და მრავალი სხვადასხვა სამეცნიერო-საკვლეო დაწესებულება. მეორე — სასწავლო-სამეცნიერო კომპლექსის შექმნის ამ განუხორციელებელმა ცდამ დაადასტურა, რომ უმაღლეს განათლებასა და მეცნიერებაზე ზრუნვისას ყოველთვის უნდა ვითვალისწინებდეთ განვითარების ფართო პერსპექტივასაც, რომელიც შეუძლებელს ხდის წინასწარ ყველა საჭიროების ცოდნას და ამიტომ უნდა ვვარაუდობდეთ თავისუფალი სივრცის რეზერვირებასაც.

შესანიშნავად ისმის დღეს ივანე ჯავახიშვილის 1936 წელს ნათქვამი სიტყვები:

«თუ მეცნიერების და სწავლა-განათლების სწრაფად წინმსვლელობასაც მივიღებთ მხედველობაში, უნივერსიტეტს დასჭირდება მომავალში კიდევ სხვა ბევრი რამ, რის გათვალისწინებაც ეხლა ძალიან ძნელია».

ეროვნული ბიბლიოთეკა



გიორგი ერისთავი



ილია ჭავჭავაძე



ნიკო ცხვედაძე

# ქართული უნივერსიტეტის წინამორბედი

ალექსი ბარნოვი

ოთხმოცდაათი წელი სრულდება მას შემდეგ, რაც ჩვენი ამაგდარი წინაპრების წყალობით საქართველოში სწავლა-განათლების საქმე განახლდა და საძირკველი ჩაეყარა პირველი ქართული ოთხკლასიანი სასწავლებლის დაარსებას.

როგორც ცნობილია, საქართველოში ბევრი საერო და სასულიერო სასწავლებელი იყო — დაბალი, საშუალო და უმაღლესი აკადემიები. საქართველოს ამ უძველესი კულტურისა და მეცნიერების კერებიდან ღირსშესანიშნავია:

ფასიდის (აწინდელი ფოთის) მახლობლად მესამე-მეოთხე საუკუნეში დაარსებული ფილოსოფიური განათლების დიდი ცენტრი — რიტორიკული სკოლა, რომელშიც განათლება მიუღია შემდეგში საბერძნეთის ცნობილ ორატორს და რიტორიკის მასწავლებელს თემისტიოსს, ხოლო კიდევ უფრო ადრე, მის მამას — ფილოსოფოს ევგენიოსს.

გელათის აკადემია — დაარსებული დავით აღმაშენებლის დროს, დაახლოებით 1103-1110 წ. წ.

იყალთოს აკადემია — დაარსებული არსენ იყალთოელის მიერ დაახლოებით 1120-ან წლებში.

გრემის აკადემია.

თელავის სემინარია, რომლის რექტორად 1787 წლის შემდეგ გაიოსის ნაცვლად დავით რექტორი იყო დანიშნული, რომელიც, ზაქარია ჭიჭინაძის თქმით, „მღვიძარე იყო და მწუხარებით მზერდა ქართველი ერის საქმეთა გარდაცვალების და მათ მაგიერ უცხო ტომის საქმეთა გაუცნობელი წესების შემოღებას“.

ქართველი მეცნიერები სხვა ქვეყნებშიც აარსებდნენ სემინარიებს და დიდ სამონასტრო ცენტრებს. ფილოსოფოს გრიგოლ ბაკურიანიძის მიერ 1083 წელს ბულგარეთში დაარსებულ „პეტრიწონის“ ქართველთა მონასტრის სემინარიაში სწავლაც კი ქართულ

ეროვნული ბიბლიოთეკა



სიმონ კლდიაშვილი



გრიგოლ ორბელიანი



იაკობ გოგებაშვილი

ენაზე წარმოებულა.

IX-X საუკუნეებში ქართველ სწავლულთ სხვა უცხო ქვეყნებშიც დაუარსებიათ სამონასტრო ცენტრები: საბერძნეთში, სირიასა და პალესტინაში. სირიაში არსებულ ქართულ სკოლას ერთ დროს სათავეში პეტრე იბერიელი ედგა.

ამ ქვეყნების ხალხები დღესაც დიდი სიყვარულით და პატივისცემით იხსენიებენ იმ დიდ ქართველებს, რომლებმაც საძირკველი ჩაუყარეს მათ ქვეყნებში სწავლა განათლების საქმეს.

1625 წელს არქიმანდრიტ ნიკოლოზ ჩოლოყაშვილს თეიმურაზ პირველის წერილიდან შეუდგენია ქართული ანბანი და 1627 წელს გაუხსნია პირველი ქართული სტამბა ქ. რომში.

1670-ან წლებში იტალიელ მისიონერთა მოთხოვნით რომის უმაღლეს სასულიერო სასწავლებელში შემოუღიათ ქართული ენის შემსწავლელი კათედრა და დაუმტკიცებიათ ქართული ენის სწავლების პროფესორის თანამდებობა. XVIII საუკუნის ბოლოს ამ კათედრის ხელმძღვანელი ახალციხელი მღვდელი გრიგოლ ბაგინაშვილი ყოფილა. რომში გაგზავნილი ქართველი ახალგაზრდობა უმაღლეს განათლებას ამ სასწავლებელში ღებულობდა. მისი ერთ-ერთი ღირსეული მოწაფე გორელი დავით თულუყაშვილი ყოფილა, რომელსაც ეს სასწავლებელი 1732 წელს დაუმთავრებია და პატრის წოდების მიღების შემდეგ დაუცავს დისერტაცია ფილოსოფიის დარგში. დავით თულუყაშვილს დიდი ამაგი მიუძღვის რომის ქართული სტამბის შეკეთება-განახლებაში 1733 წელს.

1850 წელს ქართული სტამბა გაუხსნიათ ვენეციაშიც — წმ. ლაზარეს მონასტრის ტერიტორიაზე, ქართველი კათოლიკე მღვდლების თაოსნობით და პეტრე ხარისჭირაშვილის ხელმძღვანელობით.

1860 წელს პ. ხარისჭირაშვილი გადასახლდა კონსტანტინოპოლში და 1874 წელს იქაც გაუხსნია ქართული სტამბა. 1876 წელს აუშენებია ქართული მონასტერი და მოუწყვია ქართული სტამბა ქ. მონტობანშიც (საფრანგეთში), ქართული სტამბა ყოფილა ქ. ტრიესტშიც (ავსტრია), ხოლო XIX საუკუნის ბოლოს — პარიზშიც.

პირველი ქართული სასწავლებელი თბილისში 1626 წელს დაარსებულა. ამ სასწავლებელში ამზადებდნენ მოწაფეებს ევროპის რომელიმე უმაღლეს სასწავლებელში გასაგზავნად.

სასწავლებლების რიცხვი თბილისში თანდათანობით გაზრდილა და 1782 წლისათვის თექვსმეტამდე ასულა. მათ რიცხვში სემინარია, ქართველ კათოლიკთა სასწავლებელი, საექიმო და სადასტაქრო სასწავლებელი, სომეხთა სასწავლებელი, კათოლიკოზის კარის მეტეხის სასტამბო, ჯვარის მამის სამრეკლო, სიონის, ანჩისხატის, კალოუბნის, ქაშუეთის, სამხატვრო, სამხაზველო სკოლები და სხვ. ბევრი სკოლა ყოფილა იმ დროს საქართველოს სხვა ქალაქებშიც, მაგრამ დაუსრულებელმა რბევამ, მტრების შემოსევამ თანდათანობით შეამცირა. 1800 წლის შემდეგ ჩვენში აღარცერთი სკოლა აღარ ყოფილა.

გაჭირვების ჟამს სწავლა-განათლების საქმეს საქართველოში სათავეში ჩაუდგა სამშობლოს ერთგული შვილი, დიდი მოღვაწე და მრავალ ბრძოლაში გამარჯვებების მომპოვებელი ცნობილი გენერალი გიორგი რომანის ძე ერისთავი, რომელსაც 1876 წლის 27 მაისს მოუწერია წერილი იმ დროს თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა საზოგადოების წარმომადგენლისათვის რევაზ ანდრონიკაშვილისათვის: ,,პატივცემულო რევაზ ივანეს ძევ! იმ დროს, როცა ჩატარდა არჩევნები, მე არ ვიმყოფებოდი თბილისში და ვერ დავესწარი კრებას, სადაც მსურდა ჩემი წინადადების შემოტანა ერთ-ერთ საჭირბოროტო საკითხზე, მაგრამ არც ეხლაა გვიან, ჯერ კიდევ გვაქვს დრო ვიმსჯელოთ მის შესახებ, საქმე შემდეგშია: საქართველოში არსებულ სასწავლებლებში ჩვენი — ქართველი მოსწავლე ბავშვები, სხვა ერების მოსწავლე ბავშვებთან შედარებით, გაცილებით მცირე რაოდენობას შეადგენენ. ეს გარემოება კი ადასტურებს ქართველი ერის სიღარიბეს და ეხება უფრო სოფლად მაცხოვრებლებს, რადგან მათ ჯერ ეროი არა აქვთ საშუალება ბავშვების ქალაქში ჩამოყვანისა და მეორე კი ის, რომ არ გააჩნიათ სახსრები მათი გიმნაზიაში სწავლების. ვიმეორებ რა ამ ჩემ აზრს და ვადგენ თქვენ მეხსიერებაში, გთხოვთ გააცნოთ ეს გარემოება სამაზრო თავად-აზნაურთა წარმომადგენლებს და აუხსნათ, რომ დადგა დრო ვიფიქროთ ჩვენ ღარიბ ბავშვების აღზრდის საკითხის მოწესრიგების აუცილებლობაზე.

ვფიქრობ, რომ ეს იდეა მარტო მე არ მეკუთვნის, რადგან იგი ყველა ჩვენთაგანს ეხება და მის განსახორციელებლად საჭიროა მხოლოდ ბიძგი, რომ აგვისრულდეს სურვილი და მივცეთ ჩვენ ღარიბ ბავშვებს სწავლა-განათლების მიღების საშუალება. იცოდეთ, რომ უამისოდ ბევრი ნიჭი გვეკარგება, ყოველ ჩვენთაგანს ცალ-ცალკე და მერე კი სამშობლოს და სახელმწიფოს.

ეს მდგომარეობა გვიკარნახებს ვიფიქროთ ჩვენ მომავალ თაო-



დავით აღმაშენებელი

ბაზე და ამიტომ გთხოვთ მიმართოთ უმაღლეს პირებს, რომ სამხედრო გიმნაზიებში მოაწყონ ჩვენ ხარჯზე მოსამზადებელი კლასები ღარიბ ბავშვებისათვის. ამისათვის საჭირო ხარჯები უნდა იკისროს როგორც თავად-აზნაურთა საზოგადოებამ, ისე მისმა ბანკმაც".

ამ წერილზე გ. რ. ერისთავს პასუხი შვიდი თვის შემდეგ, 1878 წლის 28 იანვარს მიუღია: „იმ ოჯახების შვილები, რომლებსაც სათავეში არ უდგანან განათლებული და მომზადებული ოჯახის ხელმძღვანელები, განწირულნი არიან როგორც მატერიალურად, ისევე გონებრივად და მორალურად.

ერს თუ არ ეყოლა განვითარებული და განათლებული შვილები, ის უპერსპექტივოა, რადგან გაუნათლებელი შვილები ვერ უხელმძღვანელებენ ერს.

ყველამ ვიცით, რომ ჩვენი აზნაურობა განიცდის უკიდურეს სიღარიბეს, სულიერს და გონებრივს და მასთანავე დიდ ეკონომიურ კრიზისს.

ამ უბედურების დამამტკიცებელი ის არის, რომ მათი მიწის ნაკვეთები დაგირავებულია ან საკრედიტო დაწესებულებებში, ან კერძო პირებთან, რის შედეგადაც ჩვენი აზნაურობა ვერ იყენებს ბუნებით მდიდარ ადგილებს და ვერ ეხმარება ოჯახს შვილების სწავლა-განათლების მიცემის მხრივ.

ახლა, როცა განვლილ საუკუნეებში დაძაბული ბრძოლების შედეგად ჩვენმა წინაპრებმა შეინარჩუნეს ენა და სარწმუნოება, საჭიროა განვახორციელოთ მათი მისწრაფებაც და ვასწავლოთ ჩვენ ბავშვებს, რომ ვიხსნათ ერი გადაგვარების და განადგურებისაგან. ვინ არ იცის, რომ ჩვენი გულგრილობა იგივე თვითმკვლელობაა, ეს უნდა შეიგნოს ერმა. თუ არ მივიღეთ ზომები, დაწყევლილი ვიქნებით ჩვენი შთამომავლობისაგან. ჩვენთვის გასაგებია, რომ ერის ხსნის ერთადერთი საშუალება ჩვენი ბავშვების წესიერი აღზრდაა. დარწმუნებულნი ვართ, რომ ყველა დაგვეხმარება ამ საკითხში და შეძლების მიხედვით შემოიტანს თავის წვლილს ჩვენი ღარიბი ბავშვების სკოლაში აღსაზრდელად. თუ ეს აზრი გაიზიარა ჩვენმა აზნაურობამ, მაშინ საჭიროა შევქმნათ საზოგადოება და დავამუშაოთ სათანადო წესდება. (ორივე წერილი ნათარგმნია რუსულიდან ყოფილი ქართული გიმნაზიის მოწაფის ტარას კუბლაშვილის მიერ).

ამ წერილს ხელს აწერენ: გრ. ორბელიანი, ნ. თუმანიშვილი, კ. მამაცაშვილი, ბაგრატიონ-მუხრანსკი, ლ. ყიფიანი, ი. გოგებაშვილი, ნ. ცხვედაძე და სხვა გამოჩენილი ქართველი მოღვაწენი, 44 კაცი.

ამ აზრის ინიციატორებს საკითხის წინასწარ კოლექტიურად დამუშავების შემდეგ მოუწვევიათ „ქართველ ღარიბ მოწაფეთა დამხმარე საზოგადოების" კრება, რომელსაც ამოურჩევია ე. წ. „გამგე კომიტეტი" გ. ერისთავის თავმჯდომარეობით; თავმჯდომარის ამხანაგად აურჩევიათ დიდი ქველმოქმედი, ცნობილი საზოგადო მოღვაწე და მრავალი ორდენის კავალერი, გენერალი კონსტანტინე მამაცაშვილი, წევრებად კი ცნობილი საზოგადო მოღვაწეები ვ. თულაშვილი, ნ. ცხვედაძე, ი. გოგებაშვილი, ლ. მაღალაშვილი, დ. ერისთავი და ნ. ქანანაშვილი. „გამგე კომიტეტს" სასწრაფოდ შეუდგენია „ღარიბ მოწაფეთა დამხმარე საზოგადოების" წესდება და წარუდგენია დასამტკიცებლად კავკასიის მეფის ნაცვლისათვის. უკანასკნელს განუხილავს იგი, დაუმტკიცებია და თბილისის გუბერნიის გუბერნატორის კანცელარიის საშუალებით გადაუგზავნია 1878 წლის 17 მარტის № 1859 მიმართვით თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა გამგეობის თავმჯდომარისათვის, გასაცნობად, ასლის გადასაღებად და ორიგინალის უკან დასაბრუნებლად. „ესევე უჩუმრად, ხმაამოუღებლივ უშფოთველად შესდგა ამ ახლო ხანს ერთი ფრიად სასარგებლო საზოგადოება, იგია თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოება, შეუძლებელთა მოსწავლეთა შემწეობისათვის, შედგენილი გიორგი რომანის ძე

გელათის აკადემია



ერისთავის მეცადინეობით. ამ საზოგადოებას საგნად აქვს მოამზადოს ღარიბი ყრმანი რომელსამე სასწავლებელში შესასვლელად, ხელი გაუმართოს შეუძლებელ და ნიჭიერ მოსწავლეთა, ღონისძიება აღმოუჩინოს სწავლის განგრძობისათვის. თქმა არ უნდა, რომ საგანი ამ საზოგადოებისა მეტის-მეტად სასარგებლო და საკეთილოა ჩვენი ქვეყნისათვის". — წერდა ილია ჭავჭავაძე. ქართველ ღარიბ მოწაფეთა დამხმარე საზოგადოების „გამგე კომიტეტმა", დამტკიცებული წესდების საფუძველზე 1879 წლის 6 თებერვალს გახსნა 4 კლასიანი სკოლა პანსიონატი. სკოლაში მოსწავლე ბავშვების რაოდენობა პირველ წელს შეადგენდა 67, აქედან 40 მოსიარულე და 27 კი პანსიონერი, რომლებიც ცხოვრობდნენ სასწავლებლის შენობაში.

ამრიგად, 1801 წლიდან თითქმის 80 წლის შემდეგ ქართველ ერს კვლავ ეღირსა შუქის ხილვა — ერთ დროს აკადემიების ქვეყანაში პირველი ქართული 4 კლასიანი სასწავლებელი დაარსდა. იგი მოთავსდა ნიკოლაევის ქუჩაზე № 54 ჩითახოვის სახლში.



იყალთოს აკადემია

ახალგახსნილი სკოლისათვის დაუწესებიათ სავალდებულო საგნები: საღვთო სჯული, ქართული ენა, რუსული ენა, არითმეტიკა, დაკვირვება, გალობა და გიმნასტიკა. სკოლის მიზანი იყო ქართველი ღარიბი მოწაფეები მოემზადებინა გამოცდების ჩასაბარებლად საშუალო სახელმწიფო სასწავლებლებში როგორც გიმნაზიებში და რეალურ სასწავლებლებში, ისე სამხედრო სასწავლებელში (კადეტთა კორპუსში), სადაც სწავლება მხოლოდ რუსულად მიმდინარეობდა.

საკუთარი ქართული მოსამზადებელი სკოლის გახსნამ დიდი სიხარული გამოიწვია ქართველ ინტელიგენციაში. გაზეთი „დროება" 1879 წლის 7 თებერვლის ნომერში ასე შეგვებბია ქართული სკოლის გახსნას: „გუშინ 6 თებერვალს, აკურთხეს ჩვენს ქალაქში „თბილისის თავად-აზნაურობის შეუძლებელ მოსწავლეთა შემწეობის საზოგადოების" შკოლა.

დიდი-ძალი საზოგადოება დაესწრო ამ კურთხევაზე; მომეტებული ნაწილი დამსწრე საზოგადოებისა იყვნენ წარჩინებული ქართველები, რომელთაც დიდი კმაყოფილება და სიამოვნება ეტყობოდათ ამ ქართული შკოლის გახსნის გამო...

სულითა და გულით ვინატრით ამ ახლად დაბადებულ პირველ ქართული სკოლის წარმატებასა და დღე-გრძელობას. ვინატრით, რომ ის გარდაქცეულიყოს გიმნაზიათ და იმაში კურს-შესრულებულ ყმაწვილ-კაცობას ნამდვილი ქართველის გული შერჩენოდეს და მამული-შვილობა არ დავიწყებოდეს..."

პირველი ქართული 4 კლასიანი სკოლა დროთა განმავლობაში ისე გაზრდილა, რომ 1885 წელს პროგიმნაზიად გარდაქმნილა, 1906 წელს კი — გიმნაზიად, ხოლო 1918 წელს ამ გიმნაზიის შენობაში ქართველ ერს უნივერსიტეტის დაარსების საშუალება მიეცა.

როცა წამოიჭრა საკითხი ქართული გიმნაზიისათვის საკუთარი შენობის აგების შესახებ, ჩამოყალიბდა სათანადო საზოგადოებაც — „ქართული გიმნაზიის დაარსებისა და მშენებლობის დამხმარე საზოგადოების" სახელწოდებით. ეს საზოგადოება განაგებდა ყველა საქმეს, რაც დაკავშირებული იყო თბილისის ქართული გიმნაზიის აშენებასთან. მას დიდი ღვაწლი მიუძღვის ქუთაისის ქართული გიმნაზიის დაარსებაშიც.

ქართველმა მოწინავე საზოგადოებამ დიდი ამაგი დასდო ამ კეთილშობილურ წამოწყებას. ნატო ხერხეულიძემ ნახევარ ფასად დაუთმო საზოგადოებას ქართული გიმნაზიის ასაშენებლად თავისი საკუთარი ნაკვეთი, ექვსი დესეტინის ფართობის, იმ პირობით, რომ ამ გიმნაზიაში დაეწესებინათ გოგონების სწავლებაც; ერეკლე მეორის შვილის შვილიშვილმა — საზოგადო მოღვაწემ მარიამ ვახტანგის ასულმა ჯამბაკურ ორბელიანმა 10.000 მანეთი შეაგროვა. ცნობილმა მრეწველმა და საზოგადო მოღვაწემ, დავით სარაჯიშვილმა 60.000 მანეთი შესწირა ამ საქმეს. ცნობილმა საზოგადო მოღვაწემ ივანე ბაგრატიონ-მუხრანსკიმ პირველად 20.000 მანეთი



ათონის ივერიის მონასტრის გეგმა (საბერძნეთი) XI საუკ.



პირველ რიგში მარჯვნიდან: ა. ბალარჯიშვილი, ა. შირსკი, ს. იაშვილი. კ. ცინცაძე, ალ. მდივანი, ანტ. თოთიბაძე, ალ. მიქაბერიძე, ი. მონადირაშვილი, დ. კარიჭაშვილი, ნ. ახმეტელაშვილი; მეორე რიგში: დ. კილოსანიძე, ს. გულისაშვილი, თ. ლომაური, ნ. პაიჭაძე, გ. ერისთავი, ს. ბაქრაძე, ა. ამირაჯიბი, ლ. ქუთათელაძე, თ. კარბელაშვილი, თ. წულუკიძე, გ. ჯანდიერი, გ. კობახიძე, პ. მირიანაშვილი; მესამე რიგში: ქ. ღვინიაშვილი, ლ. ბოცვაძე, ვ. ჩახუნაშვილი, დ. პარკაძე, გ. ეგნატაშვილი, გ. სამადაშვილი.

და მეორედ 18.000 გაიღო ქართული გიმნაზიის ასაშენებლად, ცნობილმა მრეწველმა და საზოგადო მოღვაწე ძმებმა — სტეფანე, ლევან, პეტრე და იაკობ ზუბალაშვილებმა 86.000 მანეთი შესწირეს ამ კეთილ საქმეს. ცნობილმა სოვდაგარმა გიორგი სხირტლაძემ

დავით სარაჯიშვილი



10.000 მანეთი გაიღო ქართული გიმნაზიის ასაშენებლად... ისინი ,,ქართული გიმნაზიის დაარსებისა და მშენებლობის დამხმარე საზოგადოების'' კრებას ერთხმად მიუღია საზოგადოების საპატიო წევრებად.

ქართული გიმნაზიის ახალი შენობის აგების მოსამზადებელი საორგანიზაციო პერიოდი — ნაკვეთის შეძენა, პროექტის შედგენა, ფულის შეგროვება და სხვა — 1898 წელს დაიწყო, მშენებლობა კი 1900 წელს, კრების მიერ არჩეული სპეციალური კომისიის ხელმძღვანელობით, რომელიც ოთხი წევრისაგან შესდგებოდა: ნიკოლოზ ცხვედაძე (თავმჯდომარე), ექვთიმე თაყაიშვილი, კოტე ყავრიშვილი და ხუროთმოძღვარი სიმონ კლდიაშვილი.

ამაგდარი მასწავლებლები — არისტო ქუთათელაძე, გიორგი რატიშვილი, ნიკო ცხვედაძე და სხვები გაცხოველებულ იდეურ მუშაობას ეწეოდნენ სკოლის მოწაფეებში, უღვივებდნენ პატრიოტულ სულისკვეთებას, არწმუნებდნენ მშენებლობის დიდ ეროვნულ მნიშვნელობაში. აქ ხშირად ნახავდით ჩვენი სკოლის მოწაფეებს — დავით როინიშვილს, დიმიტრი ანანიაშვილს, ვახტანგ მაღალაშვილს, ალექსანდრე კეკელიას, სოსო გრიშაშვილს, ტარასი კუბლაშვილსა და სხვებს, რომლებიც ჩვენი ქვეყნის კულტურისა და მეცნიერების ამ ტაძრის მშენებლობაზე მკლავებდაკარწახებულნი აწვდიდნენ მშენებლებს აგურს. ზოგიერთ აგურზე აღბეჭდილი იყო ორი სიტყვა — ,,ქართული გიმნაზია'', ზოგზე კი ,,ქართული უნივერსიტეტი''.

საძირკვლის კურთხევაზე ბევრი სტუმარი მოვიდა. ნ. ცხვედაძეს აქ მოუტანია ქართული კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოების ორგანიზაციების დაბეჭდილი წესდებები, შუშის ცარიელი ბოთლები კარგი საცობებით. ყოველ ბოთლში რამდენიმე სხვადასხვა წესდება და სამახსოვრო ბარათი ჩაუდვია. ასე მაგალითად: ერთ-ერთ ბოთლში ჩაუდვია ბარათი, წარწერით ,,ამ შენობის საძირკვლის ჩაყრის დროს თბილისში გამოდიოდა ერთი ქართული





კონსტანტინე მამაცაშვილი

შიო ჩიტაძე

მარიამ ჯამბაკურ ორბელიანი

გაზეთი „ივერია“, რომლის რედაქტორი იყო ილია ჭავჭავაძე“. მეორეში: „ამ შენობის საძირკველის ჩაყრის დროს საქართველოში დაარსებული იყო ქართველებს შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“. მესამეში ეწერა: ამ შენობის საძირკვლის ჩაყრის დროს თბილისში ჩამოყალიბებული იყო ეთნოგრაფიული საზოგადოება, რომლის დამაარსებელიც ექვთიმე თაყაიშვილი იყო“. ამდაგვარი ბარათები იყო დანარჩენ ბოთლებშიც.

„ბოთლებში ქაღალდი დიდხანს ინახება, — ამბობდა ნ. ცხვედაძე — თუ თბილისს კიდევ უწერია რომელიმე აღა-მაჰმად-ხანის შემოსევა და განადგურება და თუ ამ შენობას მოელის დანგრევა, დაე მტერმა ნახოს მის საძირკველში ჩაყრილ ბოთლებში შენახული წესდებები და ისტორიას გადასცეს, თუ რა კულტურა ჰქონდა საქართველოს XX საუკუნის დასაწყისში, რით სუნთქავდა ქართველი ერი და რას წარმოადგენდა იგი“.

1906 წლის ნოემბერში ქართული სასწავლებელი ყოფილი ერმოლოვის (აწინდელი ჩიტაძის) ქუჩიდან გიმნაზიის ახალ, საკუთარ შენობაში გადავიდა, მაგრამ ამ დროისათვის იგი ჯერ ისევ კერძო სასწავლებლად ითვლებოდა და ფაქტიურად არ სარგებლობდა გიმნაზიის უფლებებით. მართალია ამ სასწავლებელს ქართველმა საზოგადოებამ სათავად-აზნაურო სასწავლებელი შეარქვა, ფაქტიურად კი აქ ყველას ღებულობდნენ, თუმცა კავკასიის გამგებელს ეს მხედველობიდან არ გამოპარვია და სკოლის მმართველობისთვის შეუთვლია: „გლეხის შვილებს ნუ იღებთ სკოლაში მოწაფეთაო. ეგ პროგრამის წინააღმდეგიაო, სკოლას დავკეტავთო, ამიტომ გლეხის შვი-

ნიკოლოზ ქანანაშვილი

ლევან ზუბალაშვილი

სტეფანე ზუბალაშვილი





ეროვნული ბიბლიოთეკა



კორნელი კეკელიძე



ივანე ბერიტაშვილი



გიორგი ჩუბინაშვილი

ლებს მხოლოდ გარედან მოსიარულედ (პანსიონატის გარე) ღებულობდნენ და ისიც ჩუმად...“ ქართველ მუშათა და ხელოსანთა შვილებს სასწავლებელში ადვილად ღებულობდნენ, „მიღებაზე საქმეს არ უჭირებდნენ“ და გადასახადსაც ცოტას ახდევინებდნენ (სხვაგან თუ 12 თუმანი იყო დადგენილი, აქ 4 თუმანი იყო წელიწადში) და „ზოგს სულაც არაფერს არართმევდნენ“ (ზაქარია ჭიჭინაძე).

ქართული გიმნაზიის ამ დიდ, ლამაზ, ყველაფრით შემკულ და უზრუნველყოფილ შენობაში 1906 წელს ქართული გიმნაზიის გარდა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, საქართველოს საეთნოგრაფიო და საისტორიო საზოგადოება და მუზეუმიც მოთავსდა.

1908-1909 სასწავლო წელს გიმნაზიის შენობაში საექიმო კაბინეტიც გაიხსნა და 1910 წელს მოეწყო ფიზკულტურის სპეციალური დარბაზი, უზრუნველყოფილი საჭირო იარაღებით და აღჭურვილობით. ამავე დროს, მარიამ ვახტანგის ასულ ორბელიანის ინიციატივით, აქვე გაიხსნა ქალთა ქართული გიმნაზიაც.

ქართული გიმნაზიის მოწაფეები ადრევე იყვნენ ჩაბმულნი ჟურნალ-გაზეთების გამოშვების საქმეში. ასე მაგალითად 1909-1910

ალექსანდრე ჯავახიშვილი



სასწავლო წელს გიმნაზიის უფროსი კლასის მოწაფეებმა დაიწყეს ნაბეჭდი ჟურნალების — „პირველი ნაბიჯის“, „მოწაფის ნაბიჯის“ და „ჩანგის“ გამოცემა. ჟურნალებში თანამშრომლობდნენ ვასო ეგნატაშვილი, ვლადიმერ ცაგურია, ქრისტეფორე რაჭველიშვილი, ქუთაისის გიმნაზიის მოწაფე კონსტანტინე გამსახურდია „აბაშის — პირველის“ ფსევდონიმით და სხვები.

1914 წელს ქართული გიმნაზიის მეხუთე კლასელებმა ამავე კლასის მოწაფის, ამჟამად აკადემიკოს ნიკო კეცხოველის თაოსნობით დაიწყეს ხელნაწერი ჟურნალის „პირველი სხივის“ გამოცემა. გამოვიდა ჟურნალის 15 ნომერი. თითო ნომერი ოთხ ცალად იწერებოდა გადამწერი თვით ნიკო კეცხოველი იყო. ჟურნალის გამოშვებაში მონაწილეობას იღებდნენ უფროსკლასელებიც, მათ შორის: მიხეილ ხერხეულიძე, გრიგოლ მეგრელიშვილი (მთის ნიავი), არჩილ მძინარიშვილი, ვიქტორ მირზაშვილი, კოტე ბაქრაძე, კოტე ლომიძე, გიორგი მერკვილაძე და სხვები. მე-6 კლასში კი დავით დუმბაძემ გამოსცა ჟურნალ „ჩვენი ხმის“ — ორი ნომერი.

1915 წელს, ისევ ნიკო კეცხოველის თაოსნობით მე-6 კლასმა გამოსცა მეორე ჟურნალი „მზე“-ს სახელწოდებით.

1916 წელს მოწაფეების საერთო ინიციატივით გამოიცა ნაბეჭდი ჟურნალი „ცრემლის ღუზა“, რომელშიც დაიბეჭდა ნიკო კეცხოველის, დავით აგლაძის, გიორგი მერკვილაძის, კოტე რატიშვილის, დემნა შენგელაიას, გრიგოლ მეგრელიშვილისა და სხვათა მოთხრობები და წერილები. მოწაფეთა მიერ გამოცემულ პირველ ორ ჟურნალს იუმორისტული განყოფილებაც ჰქონდა.

ქართული გიმნაზიის კარი ყველა ეროვნების წარმომადგენლისათვის ღია იყო. თავადაზნაურობის გარდა სწავლობდნენ გლეხების, მოხელეების, მუშების, ვაჭრების, ხელოსნებისა და სხვათა შვილებიც. გიმნაზიაში რევოლუციონერების შვილებსაც ღებულობდნენ. აქ სწავლობდა სტალინის შვილი იაკობ (იაშა) ჯუღაშვილიც (ის ჩემ კლასში იყო). ამ სასწავლებელში ყველა ერთი სულისკვეთებით იყო გამსჭვალული და ყველას ერთი მისწრაფება ასულდგმულებდა — თვითმპყრობელური წყობილების მოსპობაზე და ხალხის განთავისუფლებაზე ფიქრი. 1905 წელს ექიმ ნიკოლოზ ხუდადოვის თაოსნობით მოწვეულ თბილისის სკოლების მოწაფეთა მიტინგზე, თბილისის ყველა სასწავლებლის პედაგოგთაგან მხოლოდ ქართული გიმნაზიის პედაგოგებს მიეცათ დასწრების უფლება.

საგულისხმოა ის გარემოება, რომ 1905 წლის გაფიცვის დროს მოწვეულ კრებაზე ქართული გიმნაზიის მასწავლებლები მოწაფეებთან ერთად იხილავდნენ საჭირბოროტო საკითხებს. ამ საოცრად

ეროვნული ბიბლიოთეკა



არჩილ ჯორჯაძე



მარი ბროსე



გიორგი ნიკოლაძე

შეხმატკბილებული რევოლუციური მუშაობის შესახებ ცნობილი უკრაინელი მწერალი ლესია უკრაინკა თბილისიდან კიევში დედას სწერდა: ,,აქ მოხდა ამბოხება ყველა საშუალო სკოლაში. ქართულ სათავადაზნაურო სასწავლებელში, სადაც გიმნაზიის დირექტორი ჩიტაძეა, შეიმუშავეს წესდება, რომელიც უფლებას ანიჭებს მოწაფეებს მასწავლებელთა თანდასწრებით მოიწვიონ თათბირები და შექმნან მოწაფეთა საბჭო, ეს მიღწეული იქნა ფანჯრების მინების ჩაულეწავად და წერილების დაუწველად, შიო ჩიტაძის ტაქტიკის წყალობით''.

1905 წლის მოძრაობაში ქართული გიმნაზიის ბევრი მოწაფე ღებულობდა აქტიურ მონაწილეობას, მათ რიცხვში, შალვა მესხიშვილი, გიორგი ახვლედიანი (ამჟამად აკადემიკოსი), ნიკო მიროტაძე, ივანე სხირტლაძე, ლაზარე კანდელაკი, სერგეი მესხი, მიხეილ წინამძღვრიშვილი, ივანე ხომასურიძე, ვასილ რცხილაძე, ვასილ ყიფიანი, კიაზო ბარნაბიშვილი და სხვები.

ქართული სასწავლებლის ინსპექტორები მისი დაარსების დღიდან 1918 წლამდე იყვნენ: ცნობილი პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე შიო შიუკაშვილი (1879-1879); ცნობილი საზოგადო მოღვაწე, შექსპირის პიესების მთარგმნელი ივანე მაჩაბელი (1879-1880); ცნობილი პედაგოგი, მწერალი და საზოგადო მოღვაწე ნიკო ლომოური (1880-1882); ცნობილი პედაგოგი, ალგებრის სახელმძღვანელოების ავტორი, დრამატურგი და საზოგადო მოღვაწე ვასილ ყიფიანი (1882-1885); ცნობილი პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე ალექსი ჭიჭინაძე (1885-1894); სიძველეთა მკვლევარი, ცნობილი საზოგადო მოღვაწე და გამოჩენილი პედაგოგი ექვთიმე თაყაიშვილი (1894-1904); შავრაზმელების ხელით ვერაგულად მოკლული, ცნობილი საზოგადო მოღვაწე, პუბლიცისტი შიო ჩიტაძე (1904-1906).

სასწავლებლის გიმნაზიად გარდაქმნის დღიდან მისი დირექტორები იყვნენ: ცნობილი პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე ალექსანდრე მდივანი (1906-1914); ალექსი ჭიჭინაძე (1914-1917) და ბოლოს ცნობილი პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე დავით კარიჭაშვილი (1917-1918).

სასწავლებლის პედაგოგები იყვნენ: ოლღა გურამიშვილი (შემდგომ ნიკო ნიკოლაძის მეუღლე); სეით იაშვილი — მრავალი სახელმძღვანელოს ავტორი გეოგრაფიისა და ბოტანიკის დარგში, გეოგრაფიისა და ბუნებისმეტყველების მასწავლებელი; ლადო აღნიაშვილი — ცნობილი საზოგადო მოღვაწე, პირველი ქართული გუნდის შემდგენელი, გალობის მასწავლებელი; არისტო ქუთათელაძე — ცნობილი პედაგოგი, საზოგადო მოღვაწე, ქართული ენის სახელმძღვანელოების და ისტორიის შემდგენელი (ისტორიის მასწავლებელი); მელიტონ ბალანჩივაძე — გალობის მასწავლებელი, შემდეგ ცნობილი კომპოზიტორი. სოლომონ გულისაშვილი — ცნობილი პედაგოგი, ბუნებისმეტყველების მასწავლებელი. ზაქარია ჩხიკვაძე — გალობის მასწავლებელი, ცნობილი მუსიკისმცოდნე და საზოგადო მოღვაწე; იუსტინე აბულაძე — მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, ქართულის მასწავლებელი; ლუარსაბ ბოცვაძე — ცნობილი პედაგოგი, საზოგადო მოღვაწე, ჟურნალ ,,განათლების'' რედაქტორი (ქართულის მასწავლებელი); ნიკო ლორთქიფანიძე — ცნობილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე; პეტრე მირიანაშვილი — მრავალი წიგნისა და ლიბრეტოს, მათ რიცხვში ,,აბესალომ და

ექვთიმე თაყაიშვილი




შალვა ნუცუბიძე


პეტრე მელიქიშვილი


აკაკი შანიძე

ეთერის“ ავტორი, მთარგმნელი და საზოგადო მოღვაწე (ქართული ენის მასწავლებელი); გიორგი ეგნატაშვილი — ფიზკულტურის მასწავლებელი, სპორტის დამსახურებული ოსტატი და თბილისში ფიზკულტურის განვითარებაში თვალსაჩინო დამსახურების მქონე; მიხეილ ზანდუკელი — ცნობილი პედაგოგი, რუსული ენის მასწავლებელი (ყოფილი 1 გიმნაზიის დირექტორი); იაკობ ნიკოლაძე — ხატვის მასწავლებელი, ცნობილი მოქანდაკე; ზაქარია ფალიაშვილი — გალობის მასწავლებელი, გამოჩენილი კომპოზიტორი; თედო სახოკია — ქართული და ფრანგული ენის მასწავლებელი, მწერალი და ცნობილი საზოგადო მოღვაწე; კალისტრატე ცინცაძე — საღმრთო რჯულის მასწავლებელი, შემდეგ საქართველოს კათალიკოსი; ალექსანდრე მრევლიშვილი — ცნობილი მხატვარი, ხატვის მასწავლებელი; ვახტანგ კოტეტიშვილი — ცნობილი მწერალი-კრიტიკოსი, ქართული ლიტერატურის მასწავლებელი; ცნობილი ისტორიკოსი, პროფესორი ალექსი (ალიოშა) წერეთელი, ალექსანდრე მიქაბერიძე — ცნობილი ქართველი მითოლოგი, ლათინური ენის მასწავლებელი, დავით პარკაძე — ცნობილი მათემატიკოსი, მათემატიკის მასწავლებელი და სხვ.

თბილისის სასწავლებელმა თავისი არსებობის ათეული წლების მანძილზე დიდი წვლილი შეიტანა ქართული მეცნიერებისა და კულტურის წარმატებაში. ამ გიმნაზიაში მრავალი ნიჭიერი გამოჩენილი მოღვაწე, დიდი სპეციალისტი, სწავლული და სამშობლოს ღირსეული შვილი აღიზარდა, მათ რიცხვში: აკადემიკოსი ალექსანდრე ჯავახიშვილი (გეოგრაფი), აკადემიკოსი გიორგი ახვლედიანი (ენათმეცნიერი), აკადემიკოსი იოსებ გრიშაშვილი (მწერალი), აკადემიკოსი ლევან ყანჩაველი (ფიტოპათოლოგი), აკადემიკოსი ნიკო

ალექსანდრე ცაგარელი



ლუარსაბ ანდრონიკაშვილი



ანდრია ბენაშვილი





სიმონ ჯანაშია



ფილიპე გოგიჩაიშვილი



გრიგოლ წერეთელი

კეცხოველი, საკავშირო და საქართველოს სსრ აკადემიების წევრ-კორესპონდენტი, პროფ. გიორგი ნათაძე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტები: პროფ. სერგო ნარიკაშვილი (ფიზიოლოგი), პროფ. სერგო ბაკურაძე (ფიზიოლოგი) და პროფ. ნიკოლოზ ძიძიშვილი; რესპუბლიკის დამსახურებული მოღვაწეები: პროფ. გიორგი ხუნდაძე (ექიმი) და პროფ. ლუარსაბ იაშვილი (მუსიკოსი), პროფ. კოტე ბაქრაძე (ფილოსოფოსი), პროფ. ალექსანდრე ნამორაძე (ისტორიკოსი), მედიცინის ცნობილი პროფესორები: დიმიტრი ჯავახიშვილი, ალექსანდრე გზირიშვილი, ლევან ცისკარიშვილი, ირაკლი მენთეშაშვილი, სიმონ მაჭავარიანი, გრიგოლ რატიშვილი, ვასო კაციტაძე და სხვ. მუსიკის დარგის ცნობილი მუშაკები, პროფესორები, კომპოზიტორები, მუსიკის მცოდნენი და რეჟისორები: გრიგოლ კილაძე, იონა ტუსკია, ვლადიმერ დონაძე, გრიგოლ ჩხიკვაძე, შალვა აღსაბაძე, არჩილ ჩხარტიშვილი,

იოსებ ყიფშიძე



ანდრია რაზმაძე



გიორგი ახვლედიანი და დიმიტრი უზნაძე





ნიკო მუსხელიშვილი



გიორგი წერეთელი



სიმონ ყაუხჩიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიმონ წერეთელი, გრიგოლ ყიფშიძე, აკაკი ფაღავა, სანდრო ახმეტელი. მწერლები: გიორგი ჩხეიძე — ქუჩიშვილი, სანდრო შანშიაშვილი, სიკო ფაშალიშვილი, დავით ჩხეიძე (თურდოსპირელი), დავით დუმბაძე, დემნა შენგელაია, სიმონ მთვარაძე, ალექსანდრე ბურთიკაშვილი, ელიზბარ ზედგინიძე, მიხეილ მრევლიშვილი და სხვ. სპორტის დამსახურებული ოსტატები: არჩილ ბაქრაძე, ირაკლი ჩხიკვაძე, გიორგი მერკვილაძე, დავით გელაძე და სხვ. სახალხო არტისტები: ვანო სარაჯიშვილი, ვასო გოძიაშვილი, პიერ კობახიძე, ირაკლი კობახიძე და სხვ. საქ. სსრ დამსახურებული მეტყევე ანტონ ილურიძე, საქ. დამსახურებული ექიმები: ოქროპირ კლიმიაშვილი, ვლადიმერ ანიკაშვილი, სერგო ხაფავა, ივანე ქებაძე, ალექსი ბარნოვი და სხვა.

ასრულდა ჩვენი ამაგდარი წინაპრების ნატვრა: 1918 წლის 26 იანვარს პატრიოტ მეცნიერთა ჯგუფის თაოსნობით, რომელსაც ივანე ჯავახიშვილი მეთაურობდა, თბილისში დაარსდა ქართული უნივერსიტეტი.

ამ უკვდავ საქმეში ი. ჯავახიშვილს მხარში უდგნენ: პეტრე მელიქიშვილი, ექვთიმე თაყაიშვილი, ანდრია ბენაშვილი, ალექსან-



ილია ვეკუა

არნოლდ ჩიქობავა



მიხეილ წინამძღვრიშვილი



შალვა ამირანაშვილი



ეროვნული
ბიბლიოთეკა



ალექსანდრე თვალჭრელიძე



ვიქტორ კუპრაძე



ევგენი ხარაძე

დრე ჯავახიშვილი, ანდრია რაზმაძე, იოსებ ყიფშიძე, დიმიტრი უზნაძე, კორნელი კეკელიძე, ფილიპე გოგიჩაიშვილი, შალვა ნუცუბიძე, გიორგი ახვლედიანი, აკაკი შანიძე და სხვ.

ქართულ უნივერსიტეტში დაარსების პირველი წლებიდანვე მოღვაწეობდნენ გრიგოლ წერეთელი, ივანე ბერიტაშვილი, ნიკო მუსხელიშვილი სიმონ ყაუხჩიშვილი, გიორგი ჩუბინაშვილი, ალექსანდრე ალადაშვილი, ალექსანდრე ნათიშვილი, გრიგოლ მუხაძე, ნიკოლოზ კახიანი, მიხეილ ასათიანი, ვლადიმერ ჟღენტი, გიორგი ნიკოლაძე, ალექსანდრე დიდებულიძე და სხვ.

ამ უნივერსიტეტში აღიზარდნენ სახელოვანი მეცნიერები: ნიკო კეცხოველი, არნოლდ ჩიქობავა, ვიქტორ კუპრაძე, გიორგი წერეთელი, ილია ვეკუა, ევგენი ხარაძე და სხვ.

ქართული გიმნაზიის ყოფილ მოწაფეებს, რომლებმაც 1918 წელს დიდი სიხარულით გადაულოცეს უნივერსიტეტს თავიანთი სასწავლებლის შენობა, მუდამ ერთი სურვილი ჰქონდათ: კვლავაც ბევრი გამოჩენილი სწავლული და სამშობლოს ღირსეული შვილი აღზრდილიყო მეცნიერების ამ შესანიშნავ ტაძარში ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ.



გრიგოლ მუხაძე

ალექსანდრე ჯანელიძე



ალექსანდრე ნათიშვილი



ალექსანდრე დიდებულიძე



ეროვნული ბიბლიოთეკა



კოტე ბაქრაძე



ნიკო კეცხოველი



ვლადიმერ ქღენტი

# მხატვრის სამყარო

რუსუდან ხანთაძე

სპექტაკლი თეატრალური აფიშით იწყება. უკანასკნელი ხუთი წელია თბილისის თეატრების აფიშებზე სულ უფრო ხშირად გვხვდება წარწერა: სპექტაკლის მხატვარი — მამია მალაზონია.

ახალგაზრდა მხატვრის შემოქმედებითი გზა დიდი როდია. 1962 წელს დაამთავრა თბილისის სამხატვრო აკადემია. წარმატებით მუშაობს შემდეგ ჟანრებში: თეატრალური დეკორაციები, ფერწერა, წიგნის გრაფიკა, კინოფილმების დეკორაციები. ამიტომ, როდესაც ვლაპარაკობთ მამია მალაზონიას შემოქმედებაზე, ძნელია გამოვყოთ რომელიმე მათგანი.

მისი პირველი დამოუკიდებელი ნაშრომი იყო სპექტაკლი „ძუ მგელი" (პიესის ავტორი ი. აბულაძე) მოზარდ მაყურებელთა ქართულ თეატრში. პირველივე ნამუშევარმა წარმატება მოუტანა. იგრძნობოდა არქიტექტურული საწყისი და საერთოდ არქიტექტურით გატაცება. მკაცრი ხაზები ძველი თბილისის ნამდვილ სახეს გადმოსცემდნენ. პირველ ცდას მოყვა ახალი სპექტაკლი „კონკია" (პიესის ავტორი ქ. ქუჩუკაშვილი) იმავე თეატრში. მ. მალაზონიამ ამ მეორე ნამუშევარში გამოავლინა მთელი თავისი ნიჭი და გამომგონებლობა. სპექტაკლის დეკორაციები აგებული იყო საბავშვო მექანიკური სათამაშოს პრინციპზე. სცენაზე აღმართული იყო კარუსელისა და გიგანტური ნაბიჯის ასაწყობი დანადგარი. მაყურებელს ხიბლავდა სპექტაკლის ლაკონური, გამომსახველი კონსტრუქციული გადაწყვეტა. სცენაზე არ ხდებოდა დეკორაციების გადადგმა. მხოლოდ ამა თუ იმ მიზანსცენაში ემატებოდა ესა თუ ის დეტალი. ერთი შემობრუნებით მთელი სცენური გაფორმება ახლებურ იერს იღებდა, რაც რეჟისორს საშუალებას აძლევდა კარგად და საინტერესოდ აეგო მიზანსცენები. სცენის შემობრუნება და სურათის შეცვლა ღია სცენაზე, სრული სინათლის შუქზე ხდებოდა. ეს ერთგვარი ხერხი იყო მოქმედების რიტმის ემოციურობისა და გამომსახველობის ხაზგასასმელად. ისინი ორგანულად ერწყმიან მსახიობთა თამაშს და სპექტაკლის განვითარებას. მსუბუქ და უბრალო დეკორაციებში მხატვარმა დიდი ჩანაფიქრი და საზრიანობა, ბავშვთა უდარდელი მხიარულება და სიმსუბუქე ჩააქსოვა.

ამ ნამუშევარმა გამოავლინა მამია მალაზონიას ნიჭი, იგი მოწმობდა, რომ დაიბადა საინტერესო თეატრალური მხატვარი. ამას მოყვა სპექტაკლები მარჯანიშვილის სახელობის თეატრში — „კახაბერის ხმალი", „ცხოვრების ჯარა", „ოქროს საწმისი", „ღალატი" და სხვ. ხუთ წელიწადში მ. მალაზონიამ გააფორმა თხუთმეტზე მეტი სპექტაკლი. ეს ნამუშევრები დამაჯერებლად და გამომსახველად გადმოგვცემენ მუსიკისა და დრამატურგიის იდეურ შინაარსს, მათში გამოყენებულია სხვადასხვანაირი პრინციპები და ხერხები. უყურებ მხატვრის ნაშრომს და თვალწინ იშლება წერის ინდივიდუალური მხატვრული მანერა. იგი კარგად გრძნობს ნაწარმოების სტილის თავისებურებას. სცენის სივრცის მალაზონიასეული ორგანიზაცია, თეატრა-



ვარლამ თოფურია



ნიკო ბერძენიშვილი



გივი ჟორდანია, შოთა მესხია, კარლო მეშველიანი

# ახალგაზრდა მხატვრის შემოქმედებითი პორტრეტი

ლური ფერწერის გამორჩეული კოლორიტი ყოველთვის ქმნის იმ ძირითად კომპონენტებს, რომელთა საშუალებით გამოიკვეთება ამა თუ იმ ეპოქის სახე და ყალიბდება გმირთა მოქმედების უშუალო გარემო. ფერთა გამის გამომსახველ დეკორაციებში მხატვარი ისწრაფვის დრამატურგის, კომპოზიტორისა და რეჟისორის ჩანაფიქრის გადმოცემას. მალაზონიას თეატრალური ფერწერა ემოციურია და მართალი.

მ. მალაზონია მრავალმხრივი შემოქმედია. ,,კახაბერის ხმალში" — უფრო ჩანს მისწრაფება დაზგური ფერწერისაკენ, კონსტრუქციებისა და მოცულობის ,,პრიმიტივიზმისაკენ". სპექტაკლის ფარდის გაფორმებისას მხატვარმა მიაგნო გამომსახველ პლასტიკურ ფორმებს, რომლებიც შედარებით სრულად ხსნიან სპექტაკლის იდეას. მთლიანად სპექტაკლი მეტად საინტერესოა, ხოლო ფარდა მისი — კიდევ უფრო საინტერესო შესავალი. ფარდის ესკიზი მოგვაგონებს ადრეული შუასაუკუნეების ქართული ტაძრების ბარელიეფებს. მასში განზოგადებულია სპექტაკლის აზრი და ხასიათი, გადმოცემულია მისი სიმბოლოები: მშვენიერება, ბედნიერება, ტრიუმფი, გლეხის და მოქალაქის შრომა და სხვ. სპექტაკლში ჩინებულადაა შერწყმული თემატიური ფარდა და კონსტრუქცია. ურმის ასაწყობი კონსტრუქცია სხვადასხვანაირი მისადგმელებით ხან ქოხად გადაიქცეოდა, ხან ციხე-სიმაგრედ, ხან სამეფო ტახტად, ხან კვლავ ურმად წარმოგვიდგებოდა.

მამია მალაზონიას მიერ გაფორმებულ თითქმის ყველა სპექტაკლში ნათლად იხსნება დრამატული მასალის იდეა. არსად არც ერთი დეკორაცია არ ატარებს ილუსტრაციულ ხასიათს. მხატვარი ყველგან და ყოველთვის უქმნის მსახიობს საინტერესო ორიგინალურ სამოქმედო ასპარეზს. სპექტაკლებს ხსნის საინტერესოდ და ახალ-ახალი საშუალებებით. შინაგანი შინაარსის სიმდიდრესთან ერთად მისი გაფორმება გამოირჩევა მარტივი და ძუნწი გამომსახველი საშუალებებით, მხატვრის ნამუშევარში მთელი სცენური სივრცე მონაწილეობს იერსახის შექმნაში. ეს უნარი განსაკუთრებით ნათლად გამოვლინდა მის ერთ-ერთ უკანასკნელ ნამუშევარში — ეს არის რუსთავის დრამატულ თეატრში დადგმული კოროსტილევის ,,ასი წლის შემდეგ".

სპექტაკლის საინტერესო მხატვრული გადაწყვეტა — სადა და ნათელი სცენა, ბნელი საქუსარი, ორი ძველებური შანდალი, ოდნავ წინწამოწეული უზარმაზარი საწერი მაგიდა და სავარძელი სცენის სიღრმეში — ყოველივე ეს დამატებითი დეტალების გარეშე ნათლად გადმოსცემდა იმ ეპოქის სულისშემხუთველ ატმოსფეროს, ცარიზმის ძალასა და ძლიერებას, ერთის მხრივ, და მის გამოუვალ მდგომარეობას, მეორეს მხრივ. კარგად არის გადაწყვეტილი განათება განსაკუთრებით სპექტაკლის მეორე მოქმედებაში. მონოლოგი — მეფის განაჩენია დეკაბრისტებზე. დეკაბრისტები არ ჩანან სცენაზე, მაგრამ ისინი ცოცხალი არიან და ,,განსწავლული" მონარქის გონებას არ ასვენებენ. მონოლოგშიც კი დეკაბრისტებთან საბოლოოდ მჟღავნდება მონარქის სულისკვეთება. უსაზღვროა მისი სიძულვილი. უცნაური ძვრა ხდება სცენაზე. საგნები ცოცხლდებიან, უტყვ სავარძლებს მეფე აღიქვამს მისთვის საძულველ მამაცებად, რომელთაც პირველებმა აღიმაღლეს ხმა ტირანიის, ძალმომრეობის წინააღმდეგ და ასე ძლიერ შეარყიეს მეფის ტახტი. გაბოროტებული მეფე რიგრიგობით ყრის სავარძლებს უკუნ სიბნელეში, არარაობაში. საგნების რიცხვი სცენაზე მცირდება — შესაბამისად ამისა კვდებიან რილეევი, პესტელი, ბესტუჟევი... განაჩენი ხელმოწერილია, სცენაზე სიცარიელეა.

საინტერესო ნამუშევრები აქვს მამია მალაზონიას წიგნის გრაფიკაშიც. ,,აფრიკული ზღაპრების" ილუსტრაციები მეტყველებენ ახალგაზრდა მხატვრის ფანტაზიაზე, გამომგონებლობასა და ოსტატობაზე. მან თავისი ილუსტრაციები აღავსო ნათელი, პოეტური გრძნობით და გადმოგვცა აფრიკული ხალხური ზღაპრების ეროვნული სილამაზე. ეს მხიარული სურათები ძლიერ ახარებს პატარა მკითხველებს.

ქართული ხალხური ეპოსის ,,რუსუდანიანის" ილუსტრაციები ერთი შეხედვითაც დააინტერესებს მნახველს, ხაზს უსვამს თხრობის დაძაბულობას. გმირთა ხასიათი, მოქმედების დრო და ადგილი ილუსტრაციებში მოცემულია ლაკონურად და გამოკვეთილად.

რბილი ფერებითა და გამომსახველი პლასტიკით შესრულებული ნახატები ლირიკულად განასახიერებენ ქართული ხალხური ზღაპრების მოტივებს. ქართულ ხალხურ ზღაპარ ,,კოკროჭინაზე" მხატვარმა შექმნა მხიარული და გასართობი ილუსტრაციების სერია. განსაკუთრებით კოლორიტული გამოვიდა ზღაპრის მთავარი გმირის მამაცი და მოხერხებული ბიჭის სახე, რომელიც ხალხური გონებამახვილობისა და სიბრძნის ნიშნებს ატარებს.

ძნელია თქმა, რომელ ჟანრს — თეატრალურ დეკორაციებს, წიგნის გრაფიკას თუ კინოდეკორაციებს — ანიჭებს მხატვარი უპირატესობას. ყოველ მათგანს დიდი სერიოზულობით და პასუხისმგებლობით ეკიდება.

კინოში განსაკუთრებით მულტიპლიკაცია იზიდავს. მისი გაფორმებული მულტფილმები ,,გმირი ერთი საათით", ,,ხაფანგი", ,,კიბერნეტიკა და სიყვარული"

ერთნაირად შეიყვარა პატარა და მოზრდილმა მაყურებელმა. მალე გამოვა მ. მალაზონიას კიდევ ორი ახალი ფილმი — ,,ეშმაკის ჯვარცმა“ და ,,ნაღვლიანი სიყვარული“. პირველ მათგანში ჩანს მხატვრის სურვილი — თავი აარიდოს კომპოზიციურ შაბლონებს. მან შექმნა სასაცილო, მხიარული ფიგურები, საინტერესო სატირული სახეები. ამჟამად მხატვარი მუშაობს ფილმ ,,დიდოსტატის მარჯვენის“ გაფორმებაზე.

მამია მალაზონიას, როგორც ფერმწერს, ახასიათებს ორიგინალობა, შემოქმედებითი ინდივიდუალობა. მისი წერის მანერა დახვეწილია. ეს ერთნაირად ეხება პატარა კომპოზიციებსაც და დიდ ტილოებსაც. მხატვარმა შექმნა სამი ფერწერული ტილო ქალაქებზე, რომლებშიც ბევრი კარგი, ნათელი აზრია ჩაქსოვილი. მნახველის თვალწინ იშლება ქალაქის ზღაპრულად ლამაზი ხედი. მ. მალაზონია ამავე დროს გამოირჩევა მხატვარ პეიზაჟისტის ნიჭითაც: რეალურ-ზღაპრული ქალაქის გაზაფხულის პეიზაჟში პოეტური ენით გვანახებს ხეების პირველ ამწვანებას, გაზაფხულის მზის სხივებით აელვარებულ ქუჩებს, სახლებს. ამ ნამუშევარში იგრძნობა თავისებური, ინდივიდუალური მხატვარი. ჩვენს თვალწინ ცოცხლდება ქალაქი პარკებითა და სკვერებით, ამწვანებული ქუჩებითა და მოსიარულე მანქანებით, ტრამვაით, მიწისქვეშა გადასასვლელებით, საბაგირო გზით, თავისი ძველი ქუჩებითა და სახლებით, ქუჩებზე გადმოკიდებული აივნებითა და ახალი კვარტალებით.

მამია მალაზონიას ქალაქებში ცხოვრობს ხალხი, მზე იღვრება ქუჩებსა და სახლებზე. ეს ქალაქები გვიზიდავს სითბოთი და სიმყუდროვით. თვალსა და გულს ეამება მათი ხილვა, გხიბლავს ამეტყველებული ფერები, ეძლევი ოცნებას, გამოერკვევი და განცვიფრებს მხატვრის უტყუარი თვალი მხოლოდ მოსიყვარულე თვალი თუ შენიშნავდა უბრალოშიც კი ესოდენ ნაზ ჰარმონიას.

ეს ნამუშევრები ქალაქებისა და სახლების პორტრეტებია. ისინი არ გვანან ერთმანეთს. ისინი ცხოვრობენ მჩქეფარე ყოველდღიური ცხოვრებით. უყურებ და გსურს შენი თვალით იხილო სინამდვილეში, რომ უკეთ შეიგრძნო ის სითბო და სიმყუდროვე, რასაც გაგრძნობინებს მამია მალაზონიას მრავალჟანრული შემოქმედება საერთოდ.

*თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 50 წლისთავისათვის*

# უნივერსიტეტის დრამატული კოლექტივი

თამარ გომართელი

1928 წელი... თბილისის უნივერსიტეტი. მოუწყობელი საკლუბო შენობა. ყველაფერი ეს დრამატული წრის პირველ ნაბიჯებს აგონებს ძველ სცენისმოყვარეებს. თანამედროვეთა მეხსიერებაში კვლავ ცოცხლდებიან სტუდენტთა თეატრის საუკეთესო სპექტაკლები და კიდევ უფრო დასაფასებელია თავდადება იმ ადამიანებისა, რომლებმაც უნივერსიტეტის თეატრალური წარსულის საინტერესო მატიანე შექმნეს.

პირველად თვითმოქმედებით დაუცხრომელმა ენთუზიასტმა გიორგი ლომაიამ სცადა სტუდენტთა დრამატული წრის ჩამოყალიბება.

დასაწყისში უნივერსიტეტის დრამატული წრის ცხოვრება ძალზე რთული და მძიმე იყო. თეატრს მხოლოდ პრიმიტიულად მოწყობილი სცენა ჰქონდა, კოლექტივი კი მატერიალურ გაჭირვებას განიცდიდა.

ლ. აღნიაშვილი (მაშინდელი უნივერსიტეტის რექტორი) მუდამ ცხოველ ინტერესს იჩენდა დრამატული კოლექტივისადმი, ახარებდა მისი წარმატებები და კეთილი რჩევით ხელს უწყობდა თვითმოქმედი თეატრალური ხელოვნების შემდგომ განვითარებას...

ახალგაზრდული ენთუზიაზმით წარმართეს სტუდენტთა დრამწრის საქმიანობა გ. პაპავამ, შ. თავაძემ, ნ. კაპანაძემ, ნ. დუშუაშვილმა, გ. ხომერიკმა, ო. თავხელაშვილმა, ი. ბაბუნაშვილმა, ნ. ჭუმბურიძემ, ღ. მურუშიძემ და სხვებმა.

ჯერ დასადგმელად შეარჩიეს ერთმოქმედებიანი პიესა ,,მათიკო“. მეორე და მესამე განყოფილებისათვის მოიწვიეს ქართველი მომღერლები, რომლებმაც მოამზადეს ქართული სიმღერები.

დიდი მონდომებით ჩატარებული რეპეტიციები მალე დამთავრდა. დადგა პრემიერის დღეც. კლუბის დარბაზი მაყურებლებით აივსო. ღელავდა ყველა — ფარდის იქით მსახიობები, აქეთ — მაყურებლები. წარმოდგენა იმ საღამოს მქუხარე ტაშით დაიწყო — ასე გამოხატა ხალხმა თავისი სიხარული. სპექტაკლმა იმედი გაამართლა. რეჟისორმა პატარა და მარტივი სიუჟეტი მხატვრული დეტალებით და პიესის დედააზრის გამხსნელი დამახასიათებელი ეპიზოდებით გაამდიდრა.

პირველმა წარმატებამ ფრთები შეასხა ახალგაზრდა სცენისმოყვარეებს. ასე ჩაეყარა საფუძველი კეთილშობილურ საქმეს — ამიერიდან სტუდენტებს საშუალება ეძლეოდათ უნივერსიტეტის კლუბში ენახათ სპექტაკლები, დასწრებოდნენ საღამო კონცერტებს.

რამდენიმე პიესის დადგმით მიღებულმა გამოცდილებამ მთელ კოლექტივს შემოქმედებითი ბიძგი მისცა. განსაკუთრებით წარმატებით იდგმებოდა ერთმოქმედებიანი პიესები: ,,პირველი და უკანასკნელი კოცნა“, ,,ჭკუისა მჭირს“ და ,,უჭკუო ბოქაული“.

უნივერსიტეტის თეატრის სცენაზე განხორციელდა აგრეთვე რაფიელ ერისთავის ,,ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს“. ეს ვოდევილი წლების მანძილზე იდგმებოდა დიდ თუ პატარა სცენებზე. მაყურებელი ინტერესით ხვდებოდა ყოველ სპექტაკლს, რადგან მას სცენიდან ესაუბრებოდნენ მისივე თანამედროვე ადამიანები.

გაიზარდა მაყურებლის მოთხოვნილებაც. საჭირო შეიქნა სცენის გაფართოება-რეკონსტრუქცია. თეატრის შენობად გამოიყენეს უნივერსიტეტის ყოფილი კლუბი. გააფართოვეს დარბაზიც, გაკეთდა ამფითეატრი, მოეწყო ელექტროგანათება, მთლიანად შეიღება დარბაზი...

პატარ-პატარა პიესებიდან სტუდენტი სცენისმოყვარეები მალე დიდი მოცულობის ნაწარმოებებზე გადავიდნენ. დაიდგა დ. კლდიაშვილის ,,სამანიშვილის დედინაცვალი“ და ,,დარისპანის გასაჭირი“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წარმოდგენების შემდეგ ყოველთვის იმართებოდა კონცერტი და დივერტისმენტი, კითხულობდნენ იუმორისტულ ლექსებს და ნაწყვეტებს სხვადასხვა პიესებიდან.

ამას მოჰყვა პიესა „პროვოკატორის“ დადგმა, რომელიც მხატვრულად გააფორმა მიხეილ სარაულმა (მარჯანიშვილის თეატრის ცნობილმა მსახიობმა და მოქანდაკემ).

გ. ლომაიას რეჟისორობით განხორციელდა ნინო ნაკაშიძის ცნობილი დრამა „ვინ არის დამნაშავე?“

სტუდენტთა დრამატულმა წრემ დიდი ინტერესით იმუშავა ნინო ნაკაშიძის ამ პიესის განხორციელებაზე.

ფატის როლს თამარ ცხვედიანი ასრულებდა, სიკოს — შ. თავაძე, ბაბუას — გ. პაპავა, ჩარმანს — ო. თავხელიშვილი, სალიხეს — თ. გაჩეჩილაძე, ჯუფანს — ი. ბაბუნაშვილი.

იმავე წლის ბოლოს დაიდგა შალვა დადიანის პიესა „საშინელი შურისძიება“ (დადგმა გ. ლომაიასი).

დღითიდღე იზრდებოდა დრამატული წრის ავტორიტეტი. ამას კარგად გრძნობდა მთელი კოლექტივი და თავის მხრივაც არ ზოგავდა არაფერს, რომ მაყურებელი ნასიამოვნები დარჩენილიყო. და მართლაც კვლავ გაიხარა მაყურებელმა, როცა სცენაზე ნახა პოლიო ირეთელის პიესა „დამარცხებულნი“ (დადგა გ. ლომაიამ). პიესაში ასახულია ერთ-ერთი ქარხნის მუშათა გაფიცვა: ქარხნის ხელმძღვანელთა ფუქსავატობა და უზრუნველობა, რევოლუციური მოვლენები, გამცემლობა და დამარცხებულთა გულისტკივილი.

რევოლუციის პათოსით გაჟღენთილი ეს სპექტაკლი სტუდენტებისათვის ნამდვილ ზეიმად იქცა. წარმოდგენა ძალიან მოსწონდა ახალგაზრდობას. იგი უჩვენეს რამდენჯერმე, როგორც უნივერსიტეტის, ასევე სტუდქალაქის სცენაზე...

1936 წლის 22 დეკემბერს გ. ლომაიას ხელმძღვანელობით წარმოადგინეს ესპანელი მწერლის ლოპე დე ვეგას პიესა „ცხვრის წყარო“, რომელიც ესპანელ მეომრებს მიეძღვნა.

სტუდენტმა ახალგაზრდობამ შესანიშნავად შეძლო სცენაზე განესახიერებინა ესპანელი ხალხის რევოლუციური ბრძოლის ისტორიის ერთ-ერთი საინტერესო მომენტი.

სპექტაკლის მთლიანი შემოსავალი გადაეცა ესპანეთის გმირ მებრძოლ რესპუბლიკელთა დახმარების ფონდს.

სახელმწიფო უნივერსიტეტის დრამატული წრე 1936-37 წლებს მომზადებული შეხვდა. განვლილი მუშაობის მანძილზე თეატრალურმა კოლექტივმა მრავალი გამარჯვება მოიპოვა, რასაც ადასტურებს ისეთი რთული პიესების დადგმა, როგორიც არის შ. დადიანის „ჩატეხილი ხიდი“, ლოპე დე ვეგას „ცხვრის წყარო“ და ჰერმენის „იმედის დაღუპვა“.

ამ ხნის განმავლობაში ახალგაზრდა მსახიობები იმდენად დახელოვნდნენ, რომ შესაძლებელი გახდა მათთან ერთად სცენის დიდ ოსტატებსაც მიეღოთ მონაწილეობა სპექტაკლში.

თეატრის ცალკეულ დადგმებზე კიდევაც იწვევდნენ სცენის კორიფეებს: ელისაბედ ჩერქეზიშვილს, ნიკო გოცირიძეს, თამარ ჭავჭავაძესა და შალვა ღამბაშიძეს.

1937 წელს სტუდენტთა კოლექტივი საგასტროლოდ მიიწვიეს ჩრდილო კავკასიაში, ქ. ორჯონიკიძეში. საგასტროლო ჯგუფმა, რომელიც 45 კაცისაგან შედგებოდა თან წაიღო საკუთარი დეკორაციები და კოსტუმები. რეპერტუარში შედიოდა პიესები: ილია ჭავჭავაძის „ჩატეხილი ხიდი“, ლოპე დე ვეგას „ცხვრის წყარო“, ჰერმენის „იმედის დაღუპვა“.

ეს უნივერსიტეტის თეატრალური წრის პირველი გასტროლი იყო ორჯონიკიძეში, წარმატებამ მოლოდინს გადააჭარბა. სპექტაკლები ტარდებოდა ქალაქის ბაღის საზაფხულო თეატრში. ორჯონიკიძის ქალაქის საბჭომ და ხელოვნების მუშაკებმა შეხვედრა მოუწყვეს სტუდენტთა თეატრის კოლექტივს და დიდი მადლობა გადაუხადეს ქართული წარმოდგენების გამართვისათვის.

წრეში მიღებულ იქნენ ახალი წევრები: იაკობ ტრიპოლსკი, ირაკლი უგულავა, გიორგი ტატიშვილი, შოთა ნარსია, ზაქრო ჩლაიძე, გიორგი ქველიძე, ბიძინა კაციტაძე, საშა წერეთელი, დავით ცხაკაია, შოთა თოთლაძე, თამარ გაჩეჩილაძე, ჰენრიეტა ლეჟავა, თამარ თეთრაძე, ვიოლეტა ცისკარიძე და სხვები.

დრამატულმა კოლექტივმა იმავე წლის სეზონის ბოლოს წარმატებით განახორციელა წრის წევრის, უნივერსიტეტის სტუდენტის ირაკლი უგულავას პიესა „მადანი“, რომელიც კომკავშირის XX წლისთავს მიეძღვნა. რეჟისორი იყო გ. ლომაია, მხატვრობა ეკუთვნოდა ა. ღამბაშიძეს, მუსიკა კურტიდის, დირიჟორობდა გ. სეხნიაშვილი. პრესამ დადებითად შეაფასა პიესაც და სპექტაკლიც.

რეჟისორმა მთელი სითბო და სიყვარული ჩააქსოვა, რომ პიესისათვის გამოენახა შესაფერისი ფორმა და ამით სანახაობა ცოცხალი და მიმზიდველი ყოფილიყო მაყურებლისათვის. კომპოზიტორ ვ. კურტიდის მუსიკაში უხვად იყო გამოყენებული ხალხური სიმღერები, რაც მეტყველ ფონს უქმნიდა წარმოდგენას.

ცხრა წლის მანძილზე დრამატულმა წრემ სამართლიანად დაიმსახურა სტუდენტთა აღიარება, მან მრავალი კარგი სპექტაკლი უჩვენა ახალგაზრდა მაყურებლებს, და არა მარტო უნივერსიტეტის სტუდენტობას, არამედ სხვა უმაღლეს სასწავლებლების ახალგაზრდებსაც.

უნივერსიტეტის დრამატული წრე თავის დადგმებს უჩვენებდა აგრეთვე პლეხანოვის კლუბისა და სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლების კლუბების სცენებზე.

მარჯანიშვილის თეატრმა შეფობა გაუწია უნივერსიტეტის დრამატულ კოლექტივს. ტარდებოდა სტუდიური მუშაობა. ლექციებს კითხულობდნენ რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ელენე დონაური, მიხეილ ლორთქიფანიძე, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი დიმიტრი ჯანელიძე და რესპუბლიკის სახალხო არტისტი, თეატრალური საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარე დოდო ანთაძე. სტუდენტთა დასის წევრებს უფლება ეძლეოდათ მარჯანიშვილის თეატრთან არსებულ სტუდიაში დასწრებოდნენ ლექციებს. ბევრს უფასო საშვიც ჰქონდა წარმოდგენებსა და გენერალურ რეპეტიციებზე დასასწრებლად.

კლუბთან დაარსდა აგრეთვე მომღერალთა გუნდი რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის კოტე ფოცხვერაშვილის ხელმძღვანელობით. მუსიკალურ გაფორმებაზე მუშაობდა კომპოზიტორი ვ. შავერზაშვილი. შეიქმნა სხვადასხვა წრე: ცეკვის, ესპერანტოს შემსწავლელი, ჭადრაკის, ფოტომოყვარულთა და სხვ.

1938-1939 წლები უფრო საინტერესო აღმოჩნდა დრამატული წრის რეპერტუარის მრავალფეროვნებით. მაყურებელთა დიდი მოწონებით სარგებლობდა მოლიერის „სიყვარული მკურნალობს“, ი. უგულავას „ნაპრალში“, გ. ნახუცრიშვილის „ლადო კეცხოველი“ და სხვ. „ლადო კეცხოველში“ მსახიობმა დავით ცხაკაიამ საუკეთესოდ წარმოსახა ლადოს რთული სახე.

1939-40 წლებში დრამწრის მუშაობა მდიდარი რეპერტუარით გამოირჩეოდა. იდგმებოდა როგორც თანამედროვეობის ამსახველი პიესები, ისე კლასიკური ნაწარმოებები...

კიდევ უფრო გაძლიერდა კოლექტივი, მაღალ პროფესიულ დონეზე ავიდა, საჭირო დოტაციასაც ღებულობდა. მუსიკალურ გაფორმებაზე მუშაობდა ვ. კურტიდი. რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტიდან მოჰყავდათ სიმფონიური ორკესტრი. უნივერსიტეტის სასულე ორკესტრს კი ხელმძღვანელობდა გოგი სეხნიაშვილი და დიდიმ მირცხულავა.

ამ წლებში სტუდენტთა წრემ წარმოადგინა ბორის მენეჯენისა და პიერ ვებერის კომედია „ჩემი მეგობარი“. პიესის დადგმა ეკუთვნოდა მარჯანიშვილის თეატრის მსახიობს გ. ლომაიას, მხატვრულად გააფორმა ახალგაზრდა მხატვარმა გოგი გელიაშვილმა, ქორეოგრაფი იყო დ. მაჭავარიანი, მუსიკა დაწერა თამარ ვახვახიშვილმა.

სპექტაკლის დადგმამ, მხატვრულმა გაფორმებამ და მსახიობთა მოხდენილმა თამაშმა მაყურებელზე საუკეთესო შთაბეჭდილება დატოვა.

1940 წელს სტუდენტთა კოლექტივს სათავეში ჩაუდგა რესპუბლიკის სახალხო არტისტი პიერ კობახიძე, მისი და ირაკლი უგუ-

ლავას რეჟისორობით დაიდგა ვ. ყიფიანის ისტორიული დრამა „სამეგრელოს მთავარი ლევანი“.

ამას მოჰყვა პ. კობახიძის მიერ დადგმული „გენერალური კონსული“. სპექტაკლში მონაწილეობდნენ გ. ქველაძე, დ. კერესელიძე, კ. ბრეგვაძე, ი. უგულავა, ი. ტრიპოლსკი, მ. ლებანიძე, ე. კულულაშვილი, ზ. ჩლაიძე და სხვები.

იმავე წლის სეზონში პ. კობახიძის რეჟისორობით დაიდგა კ. ბუაჩიძის „მკაცრი ქალიშვილები“. ადგილობრივ ძალებთან ერთად მონაწილეობდნენ მოწვეული მსახიობებიც. ასე მაგალითად, გულიკო არაბიძის როლს ასრულებდა საქართველოს სსრ სახალხო არტისტი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი მედეა ჯაფარიძე, პროფესორ არაბიძეს — საქართველოს სსრ სახალხო არტისტი ი. ტრიპოლსკი, თენგიზს — ვანო მახარაძე (ბათუმის სახელმწიფო თეატრის მსახიობი), მუზას — ლილი წვერავა, პანტელეიმონ ჭინჭილეიშვილს — ლადო მახარაძე (პედაგოგიკის მეცნიერებათა კანდიდატი).

თეატრალური კოლექტივისათვის დიდ შემოქმედებით გამოცდილებას წარმოადგენდა ლავრენევის ცნობილ პიესა „რღვევაზე“ მუშაობა. სპექტაკლის დამდგმელმა ირაკლი უგულავამ მიზნად დაისახა ახლებურად წაეკითხა პიესა, მოენახა მისთვის შესაფერისი ფორმა. როგორც დადგმა ასევე მსახიობთა ხელოვნება მაღალ პროფესიულ დონეზე იდგა.

„რღვევას“ მოჰყვა პ. კობახიძის ხელმძღვანელობით დადგმული ი. უგულავას „ნაპრალში“ და ა. წერეთლის „პატარა კახი“. სპექტაკლებში მონაწილეობდნენ გ. კავსაძე, შ. ნარსია, ზ. ჩანტლაძე, ვ. ნიხიძე და სხვები.

იმავე წლის დასასრულს მ. ბახტაძის ხელმძღვანელობით დაიდგა კ. კალაძის „როგორ“. რეჟისორმა მ. ბახტაძემ, სწრაფად აუღო ალღო დრამატურგის ჩანაფიქრს. მეტყველ ფერებში წარმოადგინა რევოლუციონერთა საქმიანობა. პიესამ დიდი მოწონება დაიმსახურა. მონაწილეობდნენ დ. კერესელიძე, ზ. ჩლაიძე, ბ. კაციტაძე, ა. ბრეგვაძე, ვ. ნინიძე, გ. ტატიშვილი.

1941 წელს ი. უგულავას ხელმძღვანელობით დაიდგა აგრეთვე პუშკინის „ქვის სტუმარი“. როლებს ასრულებდნენ ლ. მახარაძე, გ. ტატიშვილი, გ. გოძიაშვილი, ა. გოგუაძე.

1941 წლის სეზონში ვ. ყუშიტაშვილის ხელმძღვანელობით განხორციელდა ერთი მოქმედება მოლიერის „სკაპენის ოინებიდან“ (სკაპენის როლს ასრულებდა ი. უგულავა და სგანარელისას — ვ. ჩინჩალაძე), და ინგლისურ ენაზე „ლოტლმენ“ (პატარა ბიჭი), ამერიკელის როლს ასრულებდა ი. ტრიპოლსკი.

1941-42 წლებში სტუდენტთა თეატრს ხელმძღვანელობდა პეტრე გრუზინსკი, რომელმაც განახორციელა სკეტჩები და ვოდევილები. დადგა ორმოქმედებიანი პიესა „ჩემი მეგობარი“.

როცა ლაპარაკია უნივერსიტეტის სტუდენტთა დასის საქმიანობაზე, გვერდს ვერ აუვლით სპექტაკლების მომზადების ორგანიზატორის რეჟისორის თანაშემწის გ. კობახიძის მოღვაწეობას.

... 1945 წლის შემოდგომა იდგა, დედაქალაქის სტენდზე აფიშა იუწყებოდა — უნივერსიტეტის დრამატული კოლექტივი პიესა „ჰაშიმბაის სიმღერას“ ამზადებსო. ამ ცნობამ უნივერსიტეტის ახალგაზრდობა და კეთილი მოსურნეები ძალზე გაახარა, რადგან ამ დროისთვის თეატრალური წრის მუშაობა ჩაშლილი იყო.

მაშინ დრამატულ წრეს ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტი ვახტანგ მჭედლიშვილი ხელმძღვანელობდა. იგი აქ მოსვლამდე ლაგოდეხისა და სიღნაღის სახელმწიფო თეატრში მუშაობდა.

„ჰაშიმბაის სიმღერა“ სტუდენტმა ვახტანგ გოზალიშვილმა ჩაჩიბაიას მოთხრობის მიხედვით დაწერა, სპექტაკლი დადგა და მხატვრულად გააფორმა ვ. მჭედლიშვილმა.

პიესა სამამულო ომის თემას ეხება. დადგმამ მაყურებლის დიდი მოწონება დაიმსახურა, იგი ნაჩვენები იქნა აგრეთვე საგასტროლო მოგზაურობის დროს კახეთის რაიონების კლუბებსა და თეატრების სცენებზე. ამ წარმოდგენის შემდეგ დასი კიდევ უფრო გაიზარდაგანმტკიცდა.

იმავე წელს ვ. მჭედლიშვილის ხელმძღვანელობით უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტთა მხატვრული თვითმოქმედების საღამოზე ნაჩვენები იქნა ილია ჭავჭავაძის „გლახის ნაამბობის“ ინსცენირება. მუსიკა დაწერა მიხეილ ჩირინაშვილმა, მხატვრულად გააფორმა ვ. მჭედლიშვილმა.

შესანიშნავი იყო. ვ. მჭედლიშვილის დადგმითვე სტუდენტთა მიერ წარმოდგენილი შკოლნიკის პიესა „ბედნიერებას უნდა გაუფრთხილდეთ“.

უნივერსიტეტში თანდათან გაძლიერდა პროფესიული თეატრალური კოლექტივი, რომელსაც სათავეში ჩაუდგა დაუცხრომელი ენთუზიასტი, გამოცდილი რეჟისორი თედო წეროძე.

მისი ხელმძღვანელობით დაიდგა ბ. ლავრენევის „ჩვენი ახალგაზრდობა“ და ვაჟა-ფშაველას „მოკვეთილი“. მაღალი შეფასება დაიმსახურა პიესა „მოკვეთილის“ დადგმამ. ჯავარას მთავარ როლს ასრულებდა სტუდენტი მსახიობი სოფიკო გამრეკელი. გამრეკელმა ჯავარას სახით წარმოგვიდგინა დასრულებული ხასიათი ძლიერი ნებისყოფის, მოუტეხელი, ამაყი და თავის მიწაწყალზე უსაზღვროდ შეყვარებული ადამიანისა.

მსახიობი ღრმად ჩასწვდა გმირის სულიერ სამყაროს და დიდი დამაჯერებლობით დახატა ჯავარას ტრაგიზმით აღსავსე ცხოვრება. სპექტაკლის დამთავრების შემდეგ სცენაზე ავიდა ვერიკო ანჯაფარიძე და ასე მიმართა სტუდენტ-შემსრულებლებს: ეს დასი, მართლაც ძლიერი დასია და დადგმაც ძლიერი გამოვიდა. ისე, რომ თქვენი წარმოდგენა, ჩვენს მარჯანიშვილელთა დადგმას არ ჩამოუვარდება.

ვაჟა-ფშაველას ამ შესანიშნავ ნაწარმოებს მოჰყვა ალ. ყაზბეგის „ხევისბერი გოჩა“. ხშირია შემთხვევა, როცა თეატრის ცხოვრებაში დრამატურგის ნამუშევარი წინასწარ ქმნის საზეიმო განწყობილებას. მართლაც „ხევისბერი გოჩა“ უნივერსიტეტის თეატრალური კოლექტივის მორიგ წარმატებად იქცა.

სპექტაკლის მთელ განწყობილებას ქმნიდა თვით ხევისბერი გოჩა — გოგი ყელეურიძე, რომელიც როლს დიდი ტაქტითა და შემოქმედებითი თავდაჭერით ასრულებდა.

მსახიობი ოთარ კოტაშვილი ონისეს როლში დამაჯერებლად გადმოსცემდა უსაზღვრო სიყვარულის განცდას. მისი შესრულება გამოირჩეოდა პროფესიონალიზმით.

მსახიობმა შოთა მჟავიამ მშვენივრად დასძლია გუგუას ფსიქოლოგიურად რთული როლი.

ემოციურად ასრულებდა ძიძიას როლს სტუდენტი — მსახიობი სოფიკო გამრეკელი. მან ბუნებრივად და ძალდაუტანებლად, ყალბი პათოსის გარეშე გვიჩვენა ტრაგედია ახალგაზრდა ქალისა. '

თ. წეროძის ხელმძღვანელობით განხორციელდა აგრეთვე შექსპირის „აურზაური არაფრის გამო“, ილია ჭავჭავაძის „გლახის ნაამბობი“, ინგლისურ ენაზე — შექსპირის „ვენეციელი ვაჭარი“, გერმანულ ენაზე — „გოეც ფონ ბერლიხინგენ“.

უნივერსიტეტის თეატრალურმა კოლექტივმა ომის შემდგომ წლებში მალე დაიბრუნა ომამდელი ავტორიტეტი და აღმავლობის გზას დაადგა.

ამ პერიოდში თედო წეროძე უნივერსიტეტის კურსდამთავრებულმა გიორგი კობიაშვილმა შესცვალა. იგი ჯერ კიდევ სტუდენტობის პერიოდში მუშაობდა თვითმოქმედ სასცენო ხელოვნებაში და 1946-47 წლებში მისი მხატვრული ხელმძღვანელობითა და ინსცენირებით განხორციელდა გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტთა ძალებით აკ. წერეთლის „გამზრდელი“, ი. ჭავჭავაძის „განდეგილი“ და ვაჟა-ფშაველას „ბახტრიონი“. 1950 წელს კი მისი ხელმძღვანელობით დაიდგა შილერის „ვერაგობა და სიყვარული“. წარმოდგენამ კარგი გამოხმაურება ჰპოვა და რექტორის ბრძანებით მადლობა დაიმსახურა. სპექტაკლი მხატვრულად გააფორმა ბიძინა ქვლივიძემ, მუსიკა ეკუთვნის კომპოზიტორ მიხეილ ჩირინაშვილს და სტუდენტ მსახიობებს.

ამის შემდეგ დაიდგა პიესა „ამერიკის ხმა“, გ. ქელბაქიანის „თქმულება მეგობრობაზე“ და გოგოლის „რევიზორი“.

გოგი კობიაშვილმა ფაქიზი მხატვრული გემოვნებით დადგა გო-

გოლის ცნობილი კომედია „რევიზორი". მხატვრულად გააფორმა საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ, სახელმწიფო პრემიის ლაურეატმა ი. ასკურავამ.

როლებს ასრულებდნენ: გოროდნიჩი — ოთარ სადრაძე, ლიაპკინ-ტიაპკინი — ალეკო სანადირაძე, ზემლიანიკა — რიჩარდ სხირტლაძე, ბობჩინსკი — ვახტანგ მჭედლიშვილი, დობჩინსკი — რევაზ ესაძე, ხლესტაკოვი — ანზორ ჩაფიძე, ოსიპი — ტარიელ იოსებიძე, ტრაქტირის მსახური — თ. ჩანტლაძე.

იმავე წელს გ. კობიაშვილის ხელმძღვანელობით განხორციელდა კორნეიჩუკის პიესის „პლატონ კრეჩეტის" დადგმა. სპექტაკლმა დიდი მოწონება დაიმსახურა და პირველი ხარისხის დიპლომი მიიღო თეატრალური კოლექტივების რესპუბლიკურ დათვალიერებაზე, წარმოდგენილი იყო მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრის სცენაზე.

მსახიობმა თენგიზ პაპიაშვილმა გულწრფელი თამაშით მაყურებელი მოხიბლა.

ასევე დიდი წარმატება ხვდა უნივერსიტეტის თეატრის სცენაზე გოგოლის „ქორწინებას" გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტების მონაწილეობით, გ. კობიაშვილის ხელმძღვანელობით დადგმულ სპექტაკლებს „კრაზანას" და „დები ჟერარებს".

გ. კობიაშვილის ხელმძღვანელობით დაიდგა აგრეთვე ილო მოსაშვილის პიესა „ჩაძირული ქვები", რომელშიც მონაწილეობდნენ პროფესორ-მასწავლებლებიც.

დადგმა გამოირჩეოდა შინაგანი მთლიანობითა და ღრმა ემოციურობით. ყველაფერში, იერსახეებიდან დაწყებული მუსიკალური და მხატვრული გაფორმებით დამთავრებული ქართული კოლორიტი იგრძნობოდა.

პროფესორ-მასწავლებელთა წრემ დიდი გულმოდგინებით განახორციელა პიესა. ბევრს სურდა აბდულ-სადაყის საკმაოდ რთული, მაგრამ საინტერესო როლის განსახიერება. ეს როლი წილად ხვდა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს — გივი კიღურაძეს. მისი აბდულ-სადაყი სიკვდილის ბრჭყალებში მოქცეულ მსხვერპლს ჰგავდა. განსაკუთრებით დიდებული იყო იგი ბოლო მოქმედებაში, როცა პირფერობის ნიღაბს იხდის და ავლენს თუ როგორ ეჯავრება ის რაც ქართულია, როგორ უნდა, რომ მოსპოს ყოველივე ქართული. მაგრამ მაინც ფრთხილად მოქმედებს და ცდილობს დააჯეროს ლაზები თავის ერთგულებაში. იგი ქედს იხრის ჯონ რაიტის წინაშე, სამაგიეროდ ქედმაღლობს ხელქვეითების მიმართ.

გ. კიღურაძე კარგად გვიჩვენებდა თუ ხანდახან როგორ მჟღავნდებოდა მასში ცხოველური ინსტიქტები.

ჯემალის როლის შემსრულებელმა დოცენტმა დავით კერესელიძემ ხაზი გაუსვა პატრიოტულ გრძნობებს და თავისი გმირი ვაჟკაც ადამიანად წარმოსახა. თავისი პირდაპირობითა და სიმართლით იგი ხალხის სიმპათიას იმსახურებს, მაგრამ სწორედ ეს ხდება მიზეზი მისი დიდი უბედურებისა, რითაც მტრები სარგებლობენ. ამაღელვებლად ასახა სცენაზე კერესელიძემ ჯემალის განსაცდელი — საბედისწერო შეცდომის გრძნობა და მისი სულიერი გარდატეხა. მაყურებლის წინაშე იშლება ტრაგედია მტრების მიერ მოტყუებულის, ხოლო შემდეგ თვალებახელილი ადამიანისა, რომელმაც თავისი გმირული სიკვდილით ხალხს განთავისუფლებისათვის მოუწოდა.

აღსანიშნავია რუსუდან უთურაშვილის მიერ შექმნილი გაიანეს იერსახე. გაიანეს ლამაზი გარეგნობა შერწყმული იყო მდიდარ სულიერ სამყაროსთან. იგი ხალხის ერთგულია, შეუძლია როგორც მხურვალე სიყვარული, ისე სასტიკი სიძულვილიც. რუსუდან უთურაშვილმა ხაზი გაუსვა გაიანეს კეთილშობილებას, იგი ერთსადაიმავე დროს ქალურად ნაზიც იყო და ვაჟკაცურად გაბედულიც.

დიდი გრძნობა ჩააქსოვა იმ დროს მეცნიერ თანამშრომელმა თეიმურაზ ბადურაშვილმა შუქრის როლში. იგი ხიბლავდა მაყურებელს პატრიოტული სულისკვეთებით, ვაჟკაცობით, უდრეკი ნებისყოფითა და ამასთან დიდი სერიოზულობით.

ბეჟან-აღა მეცნიერებათა დოქტორის პანტელეიმონ ბერაძის შესრულებით წარმოდგენილი იყო, როგორც ხანდაზმული, დაბრძენებული ადამიანი, რომელსაც შესწევს უნარი თავისი მახვილი გონიერებით დაიცვას ქართველების ღირსება.

ფსიქოლოგიურად გამართლებული და მხატვრულად დამაჯერებელი იყვნენ სხვა მოქმედი პირნიც, ჯემალისა და გაიანეს დედა ფატიმა (სიდონია ჩხაიძე), მისი უმცროსი ვაჟი გოგიჩა (ვახტანგ მჭედლიშვილი), ცინიკური და თავხედი ჯონ რაიტი (ნ. ყიასაშვილი), უვიცი ალქაჯი ხოჯასულეიმანი (პროფესორი გრიგოლ ზარდალიშვილი), გაიძვერა პროვოკატორი მირზა (პროფესორი შოთა ბერაძე), პოლიციის უფროსი (ნიკოლოზ გამრეკელი). ასევე საინტერესონი იყვნენ: ყავახანის უფროსი (ფიზკულტურის კათედრის გამგე — კოტე ზაუტაშვილი), მეზღვაურები: სპორტ-კათედრის წევრები: არჩილ კონსტანტინოვი, შალვა შალამბერიძე, თენგიზ ფურცელაძე, შალვა დვალი, ლელი ახობაძე, მზია ჭელიძე, ლამარა ცხოვრებაშვილი.

ღვაწლმოსილ პროფესორ-მასწავლებლების თამაში იმდენად მოიწონეს, რომ რექტორის ბრძანებით მადლობა გამოეცხადა ყველა მონაწილეს. რესპუბლიკურ დათვალიერებაზე კი დადგმამ პირველი ადგილი მიიღო და კოლექტივი მოსკოვში იქნა მივლინებული სპექტაკლის საჩვენებლად.

დადგმებს უნივერსიტეტის პროფესორ მასწავლებელთა მონაწილეობით ცხოველი გამოხმაურება ჰქონდა დედაქალაქის თეატრალურ წრეებში.

თეატრალური კოლექტივის რეპერტუარი ჟანრულად მრავალფეროვანი და საინტერესო იყო. შემსრულებლები თავიანთ შესაძლებლობებს ავლენდნენ ანტიკურ ტრაგედიასა თუ რუსულ დრამაში, კომედიებში...

არა ნაკლები მოწონება დაიმსახურა ოსტროვსკის ფართოდ პოპულარული პიესის „უდანაშაულოდ დამნაშავენის" დადგმამ, რომელშიც კვლავ პროფესორ-მასწავლებლები მონაწილეობდნენ.

თითქმის არ დარჩენილა საქართველოში არც ერთი თეატრი თუ თვითმოქმედი კოლექტივი, რომლის სცენაზედაც არ წარმოდგინათ ეს პიესა. გამონაკლისს არც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დრამატული კოლექტივი წარმოადგენდა.

უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებმა ა. ოსტროვსკის ეს პიესა რამდენჯერმე წარმოადგინეს. თითქმის უცვლელად ასრულებდა კრუჩინინას როლს თვითმოქმედი კოლექტივის ახალგაზრდა წევრი რუსუდან უთურაშვილი. მის მიერ განსახიერებული კრუჩინინა ღრმა განცდის ადამიანი იყო. რ. უთურაშვილი შინაგანი სულიერი ტკივილით, მოქმედებიდან მოქმედებამდე დიდი ტაქტითა და უშუალობით ხატავდა კეთილშობილი ადამიანის სახეს.

ოთარ სადრაძემ მკაფიოდ დახატა უზნეო ადამიანის — მუროვის პორტრეტი. მან შესძლო უმნიშვნელო დეტალებიც კი დიდი ოსტატობით დაემუშავებინა. მაყურებელი გრძნობდა, რომ მუროვი უიმედოდ დაღუპული ახალგაზრდა როდია, მას დადებითი თვისებებიც გააჩნია. ო. სადრაძემ მაყურებლამდე სწორად მიიტანა თავის გმირში მომხდარი გარდატეხა.

დრამატიზმით აღსავსე სცენური სიტუაციები, გმირთა შინაგანი სამყარო, კონფლიქტი, მეტად საინტერესო მასალას აძლევდა რეჟისორსაც და მსახიობსაც მართალი და ამაღელვებელი სცენური ნაწარმოების შესაქმნელად...

სპექტაკლში ნეზნამოვის როლს ანზორ ჩაფიძე ასრულებდა. ცხოვრებისაგან გაბოროტებული, ცინიკოსად ქცეული ნეზნამოვის იერსახე მსახიობმა სიმართლით წარმოსახა. მაყურებელს სჯეროდა მისი ყოველი მოქმედების. ეს როლი ჩაფიძის შემოქმედებითი გამარჯვება იყო.

პროვინციელი მსახიობის — შმაგას როლის განსახიერება წილად ხვდა კომიკური როლების შესანიშნავ შემსრულებელს ნიკო ყიასაშვილს, რომელსაც ჭეშმარიტი შემოქმედებითი გზნებით მიჰყავდა როლი.

მილოვზოროვს ასრულებდა დოცენტი გიზი ფაშალიშვილი, დუდუკინს — პროფესორი შოთა ბერაძე, გალჩიხას — სიდონია ჩხაიძე, მსახურ ქალს — ჟუჟუნა ნიკოლაიშვილი, სტეფანეს — ამჟამად ცნობილი დრამატურგი, „ნიანგის" რედაქტორი ნოდარ დუმბაძე,

(მაშინ იგი სპექტაკლში მონაწილეობის პარალელურად, წერდა მთელ რიგ სკეტჩებსაც).

„უდანაშაულოდ დამნაშავენი“ პროფესორ-მასწავლებლების კარგი სპექტაკლი იყო, რომლის აღმზრდელობითი და შემოქმედებითი ძალა ოდნავადაც არ მცირდებოდა იმით, რომ მას არაპროფესიული მსახიობები ანხორციელებდნენ.

სხვადასხვა დროს უნივერსიტეტის დრამწრის ხელმძღვანელად იწვევდნენ ვასო ყუშიტაშვილსა და ბუხუტი ზაქარიაძეს. ხოლო მსახიობ ნოდარ ჩხეიძის მიერ 1956 წელს უნივერსიტეტის თეატრის სცენაზე დადგმულმა „შემოდგომის აზნაურებმა“ რესპუბლიკურ დათვალიერებაზე პირველი ადგილი დაისაკუთრა და სპექტაკლი საჩვენებლად გაიგზავნა მოსკოვში...

დრამატულ კოლექტივს მუდამ მხარში ედგა ენივერსიტეტის ხელმძღვანელობა. აქ გამოვლინდა ბევრი ნიჭიერი მომღერალი და სცენისმოყვარე, რომლებმაც შემდგომში თეატრებში განაგრძეს შემოქმედება. უნივერსიტეტის სტუდენტთა თეატრიდან გამოსული მრავალი მსახიობი დღეს ჩვენი რესპუბლიკის სხვადასხვა თეატრის სცენაზე მოღვაწეობს. მათ შორის აღსანიშნავია საქართველოს სსრ სახალხო არტისტი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი მედეა ჯაფარიძე, საქართველოს სსრ სახალხო არტისტი ი. ტრიპოლსკი, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტები: ჰენრიეტა ლეჟავა, თამარ თეთრაძე, ნელი მგალობლიშვილი, გიორგი ტატიშვილი, შოთა ნარსია, ოპერისა და ბალეტის სახ. თეატრის სოლისტები — ნუცა მიქელაძე და პეტრე თომაძე, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, გორის სახელმწიფო თეატრის მთავარი რეჟისორი ლილი იოსელიანი.

დრამატული წრის ყოფილი გამორჩეული წევრები არიან აგრეთვე ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი — ვიოლეტა ცისკარაძე და 26 კომისრის პარტიის რაიკომის მდივანი სოფიო გამრეკელი.

სახელმწიფო უნივერსიტეტის დრამატული წრის ისტორია ქართული თეატრის ისტორიის განუყოფელი ნაწილია.

# უნივერსიტეტის ხელოვნების ფაკულტეტის



ლია ჯიბლაძე

დოცენტი ოთარ ფირალიშვილი ფერწერის განყოფილების სტუდენტებთან



**ნაყოფიერი** შედეგებით ხასიათდება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელოვნების ფაკულტეტის მუშაობა. ეს შედეგები სულ უფრო თვალნათლივ ადასტურებენ, თუ როგორ გამართლა თავი ამ სიახლის დანერგვამ. სტუდენტთა ნამუშევრების გამოფენები ნათელყოფენ, თუ რამდენი ჭეშმარიტად მხატვრული ნიჭით დაჯილდოებული ახალგაზრდა წვდება ხელოვნების საიდუმლოებებს, ავითარებს ამ საიდუმლოებათა ამოხსნის უნარს და საკუთარი მსოფლშეგრძნებით, სახვითი ენით გადმოსცემს განცდილსა და ნააზრევს.

ეროვნული ბიბლიოთეკა



მარინე ჯიქია



მაია ქსავერიევა



თინათინ ჯოგლიძე

# სტუდენტთა შემოქმედება

მხატვარი ეკატერინე ბალდავაძე ფერწერის განყოფილების სტუდენტებთან



სტუდენტებს ყოველგვარი პირობები აქვთ შექმნილი პროფესიული წვრთნისა და შემოქმედებითი დასტატებისათვის. მათ ასწავლიან გამოცდილი მხატვრები, ხელოვნებისმცოდნეები. ფერწერაში პედაგოგია რესპუბლიკის დამსახურებული მხატვარი ეკატერინე ბალდავაძე, ვალენტინ შერპილოვი, ხატვაში — მხატვარი ხელოვნებისმცოდნე ოთარ ფირალიშვილი, ვიქტორ კონსტანტინოვი, ქანდაკებაში — მოქანდაკე ნინო ურუშაძე. კომპოზიციასა და გრაფიკულ მასალაში მუშაობას ასწავლის უნივერსიტეტის მთავარი მხატვარი იოსებ ჯინ-

ჯიხაშვილი, აკვარელს — იური სართანია.

სხვადასხვა განყოფილების სტუდენტებს ცალ-ცალკე სახელოსნოები აქვთ დათმობილი. ცოცხალი მოდელები, ნატურმორტები მათ მიერ შესრულებულია სინამდვილის ღრმად შესწავლის დიდი სურვილით. აქ ეუფლებიან აკადემიურ ნახატს, ფერებით წერას, გრაფიკისა და ძერწვის საშუალებებს, ხშირად გადიან პლენერზეც. ეს ეგრეთ წოდებული საველე პრაქტიკა სტუდენტებს ეხმარება საჰაერო პერსპექტივის, განათების, ფერის, კოლორიტის შეცნობასა და მისი გადმოცემის ხერხების დაუფლებაში.

აქ არ შეიძლება არ მოვიხსენიოთ სტუდენტები, რომლებიც განსაკუთრებულ წარმატებას აღწევენ მხატვრობასა თუ ქანდაკებაში. ესენი არიან: III კურსიდან: ნანა მეტრეველი, სვეტლანა ლაზარევა, იზა გაბრიელაშვილი, მანანა ლოლობერიძე; ფერწერის II კურსიდან — ანზორ ბაშინურიძე, აგული ბიწაძე, მაყვალა ჯინჯიხაშვილი, ლეილა გიორგობიანი, ნინო ჭიტაშვილი; გრაფიკის III კურსიდან — ზაირა ძიძავა, ვოვა რამიშვილი, ნათელა ბიჭაშვილი, რობერტ ბერიძე; II კურსიდან — დარიკო თიგიშვილი, ნელი ამბროსოვა; ქანდაკების III კურსიდან — გიორგი სირაკანიანი, ამირან იოსავა, ზაურ ბიძინაშვილი, II კურსიდან — ელგუჯა ბედოშვილი.

ძირითადი პროფესიის დაუფლების პარალელურად ახალგაზრდები ხელოვნების დიდსა და მშვენიერ გზაზეც გამოდიან, თავიანთი შემოქმედებით ისინი არა მარტო იღრმავებენ სულიერ კულტურას, არამედ მშვენიერების სამყაროს აზიარებენ მათ ირგვლივ მყოფთაც, ფართო საზოგადოებას. შესაძლოა მათი ძირითადი მოწოდება საბოლოოდ არ იყოს ხელოვნება, მაგრამ იგი მუდამ გააკეთილშობილებს და გაალამაზებს მომავალი ინჟინრების, ფილოლოგების, ისტორიკოსებისა თუ სხვათა შემოქმედებით ცხოვრებასა და მოღვაწეობას.

დაიბადა მუსიკალური განათლების კიდევ ერთი კერა... თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა ხელოვნების ყველა დარგის შემოქმედ ადამიანთა აღზრდის დიდი მისია ითავა და ამით ერის განმანათლებლის მოღვაწეობა კიდევ უფრო უნივერსალური გახადა.

სასიამოვნო სიურპრიზის მოწმენი აღმოვჩნდით: თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში უნივერსიტეტის ხელოვნებათმცოდნეობის ფაკულტეტის მუსიკალური განყოფილების სტუდენტებმა და პედაგოგებმა კონცერტი გამართეს. პროგრამა რთული და მრავალსახოვანი აღმოჩნდა — მასში ერთმანეთს ენაცვლებოდნენ კლასიკოსთა და თანამედროვე კომპოზიტორების ნაწარმოებები: ჟღერდა ბახისა და ჰენდელის, ბეთჰოვენისა და ბრამსის, შუმანისა და შუბერტის, შოპენისა და ლისტის, რიმსკი-კორსაკოვისა და რახმანინოვის, დებიუსისა და ბარტოკის, ფალიაშვილის, არაყიშვილისა და მაჭავარიანის ქმნილებანი. ჩამოთვლითაც თვალსაჩინოა — უნივერსიტეტის კედლებში დიდი მუსიკის სამყარო ისადგურებს.

უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა მზრუნველობით მოეკიდა ახალგაზრდა შემოქმედთ, ხელი შეუწყო მათი ნიჭის გამოვლენას, შინაგანი სწრაფვის დაკმაყოფილებას, ცოდნისა და განათლების გაღრმავებას.

ეჭვმიუტანელია — განვითარდება ახალგაზრდობაში ესთეტიკური აღქმის უნარი, მუსიკის სამყაროს შემეცნება გააკეთილშობილებს მათ ბუნებას, შეაზიარებს მაღალ მხატვრულ იდეალებთან.

კონცერტმა ცხადჰყო — ხელოვნებათმცოდნეობის ფაკულტეტი პროფესიონალიზაციის გზას მიჰყვება. ამ დიდი ამოცანის განხორციელებისათვის თავდადებით შრომობენ ფაკულტეტის ორგანიზატორები, ქართული მუსიკალური კულტურის თვალსაჩინო მოღვაწენი, გამოცდილი პედაგოგები — ოთარ ჩიჯავაძე, ბ. გულისაშვილი, თ. გოგოლაშვილი, ლუკავა და სხვ.

თანდათან ინერგება მუსიკის ისტორიისა და თეორიის სხვადასხვა დისციპლინები, საშემსრულებლო დარგები.

დიდი პერსპექტივები იშლება ამ ფაკულტეტის წინაშე — ამაში დაგვარწმუნა კონსერვატორიის კედლებში გამართულმა საღამომ.




# პირველი საიუბილეო

გრიგოლ ზაქარაია

საქართველოს ყველა კუთხეში განსაკუთრებით ემზადებიან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ორმოცდაათი წლისთავის ღირსეულად აღნიშვნისათვის.

ჯერ კიდევ ორმოცდარვა წლის წინათ, პერიოდულმა პრესამ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსების ორი წლისთავი აღნიშნა.

,,ქართველი სტუდენტი'', თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა ორგანო, რომლის პირველი ნომერი 1920 წლის 26 იანვარს გამოვიდა (ერთდროული გამოცემა), ამ მნიშვნელოვან თარიღს მიეძღვნა.

ნომერში დაბეჭდილია მოწინავე წერილი — ,,სტუდენტთა დღე'', რომელშიც ვკითხულობთ:

,,დღევანდელი დღე ზეიმისა და ნეტარი სიხარულის განცდის დღეა!..

იგი ღირსაცნობი და შესანიშნავი დღეა მთელი ქართველი სტუდენტთა ცხოვრებაში, რადგანაც სწორედ ამ ორი წლის წინეთ (იანვრის 26-ს 1918 წ.) აღსრულდა სანუკვარი ზრახვა, სინამდვილედ იქცა ოცნების აზრთა და ფიქრთა ხვეულში სახული ნეტარი იდეა: საძირკველი ჩაეყარა ჩვენი ეროვნულ-კულტურული ცხოვრების აყვავებისა და აღორძინების კერას, მეცნიერების უმაღლეს ტაძარს, — ქართულ უნივერსიტეტს.

ეს დღე მნიშვნელოვანი და დიდია განსაკუთრებით ქართველი სტუდენტებისათვის, რადგან ამ დღიდან მას მიეცა საშუალება სამშობლო მხარეში, მშობლიურ ენაზე დაეუფლოს მეცნიერების წყაროს და მშობლიურ ნიადაგზე შეითვისოს მეცნიერების ცხოველმყოფელი შუქით გაბრწყინვებული

და გაცისკროვნებული ღრმა და საფუძვლიანი ცოდნა“.

ამ ღირსშესანიშნავი დღის სადღესასწაულოდ, — აღნიშნულია მოწინავე წერილში, — ქართველი სტუდენტობა მართავს „სტუდენტთა დღეს“ და თავის უსაზღვრო სიხარულის და აღტაცების განცდას ზეიმით აცნობებს მთელ ქართველ ერს. ქართველი სტუდენტობა ყოველთვის იყო გამსჭვალული მშობელი ერისადმი სიყვარულის უწმინდესი გრძნობით. დროის ხანგრძლივობამ და უკიდურესმა დევნამ უცხო მხარეში ვერ ჩაკლა სამშობლოსადმი ის დიდი სიყვარულის გრძნობა, რომელიც ცეცხლებრივის გზებით ღვივოდა მის გულში...“

შემდეგ აღნიშნულია: „დღეს ქართველი სტუდენტობა მეცნიერების ტაძარს დაუბრუნდა. გულისტკენით უნდა აღინიშნოს, რომ მეტად მძიმე და აუტანელ პირობებში უხდება სტუდენტობას ცხოვრება, მეცნიერული მუშაობის წარმოება, მაგრამ ჩვენ გვჯერა, რომ სულ მალე გაივლის ეს გარდამავალი ხანა და დადგება დრო ერის მშვიდობიანი ცხოვრებისა. მაშინ ქართველ სტუდენტობას მიეცემა სრული საშუალება მთელი თავისი ინტელექტუალური ენერგია ღრმა ცოდნის შეძენას მოანდომოს და სრულის სახით გადაშალოს, ამჟღავნოს თავისი ნიჭი და უნარი.

...ჩვენ ღრმად გვწამს, რომ ქართული უნივერსიტეტი მტკიცე საძირკვლად დაედება ერის სულიერ-კულტურულ აყვავებას, აღორძინებას და გარდაიქცევა იმ ბრწყინვალე მანათობელ ვარსკვლავად რომელიც თავის ცხოველმყოფელი სხივებით უნდა დაკაშაშებდეს საქართველოს ეროვნული კულტურის კერას და დიადის სხივებით აცისკროვნებდეს მას.

ქართველი ერის სანუკვარი ოცნება ახდა. დღეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ჩვენი ეროვნული კულტურის სიამაყეა და მშვენება.

საინტერესოა იმავე ნომერში მოთავსებული ქრისტ. რაჭველიშვილის წერილი — „სტუდენტობა“:

„მშვენიერია, წარმტაცია სტუდენტობა, იმიტომ, რომ ის ყრმობის, ახალგაზრდობის დროსთან არის დაკავშირებული! ახალგაზრდობის დროს, როდესაც ცხოვრების მსახვრალი ხელი ჯერ არ მოგხვედრია, აღტაცებით უყურებ მის აღელვებულ ზღვას. გწამს, უეჭველია გწამს, რომ გაიმარჯვებ. ის ყრმობის ჟამია, როდესაც ადამიანი ყოველ შესაძლებლობას გრძნობს, თვალწინ ფართო ასპარეზი აქვს და აწმყო ვიწროდ არაა შემოფარგლული: იგი განუსაზღვრელად ეჩვენება გრძნობა-გონებას.

სტუდენტობის დროს არის ადამიანის პიროვნების ზრდადამწიფების, გაფართოების, გაღრმავების, ყველაფერი გვაინტერესებს, ყველაფერს ყურადღებით ეპყრობი და სიამით ისრუტავ გარე ქვეყანას. არც ერთი ნაცნობი არ გავიწყდება მაშინ. ყოველი პიროვნება შენად მიგაჩნია... სიცოცხლის გაზაფხულია სტუდენტობა და მიტომ არის იგი ლამაზი!

ვის შეუძლიან სავსებით ასწეროს ეს ხანა თავის ცხოვრებისა? ძნელია ამ საგანზე წერა, აქ უძლურია კალამი პუბლიცისტის, ჟურნალისტისა. აქ საჭიროა მხატვარი, ძლიერი, დიდი მხატვარი. მაგრამ ყველაზე ძნელია ქართველ სტუდენტობაზე წერა. იმიტომ, რომ მისი პიროვნება არ წარმოადგენდა ჩამოქნილ, გარკვეულ სახეს, ისევე, როგორც ქართველი ინტელიგენციისა. ტყუილად კი არ გაურბოდა ქართველი მწერალი მის განსახიერებას: ქართველი ინტელიგენტის ტიპი აქამდე არ ყოფილა, იგი ეხლა უნდა დაიბადოს მხოლოდ.

ქართველობაში სტუდენტობა არ წარმოადგენდა განსაზღვრულ, ჩამოყალიბებულ ჯგუფს. ამიტომ მას არ ჰქონდა განსაკუთრებული ტრადიციები, ან ცხოვრება ქართველი ხალხის დასანახად. შეიძლება იმიტომ, რომ ქართველი ახალგაზრდობა თავის სტუდენტობას სამშობლოს გარეშე ატარებდა. ახლა მდგომარეობა შეიცვალა. ქართველ ახალგაზრდობას საკუთარი მეცნიერების ტაძარი აქვს და მანაც იგი უნდა დააფასოს... საქართველოში ქართველმა სტუდენტებმა მაღლა უნდა ასწიონ განათლების ჩირაღდანი და ცოდნის სხივებით გაანათონ სამშობლო ისევე, როგორც აქამდე...“

„ქართველი სტუდენტების“ ამ ერთდროული გამოცემის იმავე ნომერში მოთავსებულია ვ. ხარაძის წერილი სათაურით — „26 იანვარი“. 26 იანვარი გამახარებელია ქართველი ახალგაზრდობისა დღესაც და მომავალშიაც. — წერს ავტორი, — ამ დღემ გაუადვილა მას სწავლის შეძენა...

ირაკლი ფერაძის წერილში სათაურით — „მეტი ყურადღება!“, ვკითხულობთ:

ქართველ სტუდენტს, რომელიც ცივი რუსეთის მწირ ქალაქებში იძულებული იყო ჭაპან-წყვეტით და გაჭირვებით ესვა, დასწაფებოდა მეცნიერების წყაროს, დღეს თავის დედა-ქალაქში გაეღო კარები მეცნიერების ტაძრისა, ჩირაღდანი ჩვენი კულტურული წინსვლისა აქ, ჩვენი რესპუბლიკის გულში, აღინთო. აქ მეცნიერების გრძემლზე იჭედება ჩვენი ერის მოწინავე ელემენტი, მისი მომავლის, მისი ბედ-ბედის გამომჩარხველი: და მაგარი, მტკიცე ქართული დღეს მედგრად და თავისუფლად გაისმის ჩვენი უნივერსიტეტის ზღუდეთა შორის“.

„ქართველი სტუდენტის“ აღნიშნულ ნომერში მოყვანილია ზოგიერთი საინტერესო თარიღი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიიდან (1917-1919) გამოქვეყნებულია სტატისტიკური ცნობები სტუდენტთა შესახებ:

„საერთოდ მთელ უნივერსიტეტში ირიცხება: სტუდენტები — ვაჟი: 1203, ქალი: 614. სულ 1817. თავისუფალნი მსმენელნი — ვაჟი: 66, ქალი: 37, სულ — 103. საერთოდ — 1920“.

დაბეჭდილია აგრეთვე მეტად გულთბილი წერილი: „პროფ. იოსებ ყიფშიძე (1882-1919)“. რომელშიც აღნიშნულია ის დიდი ღვაწლი, რაც ყიფშიძეს მიუძღვის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსების საქმეში.

„გულწრფელი სინანულით უნდა აღინიშნოს, რომ დღეს, ტრადიციულ დღეს ქართველ სტუდენტობისა, ჩვენთან, სტუდენტებთან აღარ არის ის ადამიანი, რომელსაც ქართული მეცნიერების ტაძრის დაარსების ისტორიაში უპირველესი ადგილი უკავია“.

ინტერესს იწვევს ამავე ნომერში მოთავსებული პროფ. შ. ნუცუბიძის წერილი — „ერთი გვერდი ჩვენი უნივერსიტეტის ისტორიიდგან“.

* * *

მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების წლებში გახდა შესაძლებელი ჩვენი ეროვნული კულტურის სიამაყის და მშვენების — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის განვითარება და აყვავება.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 50 წლისთავის აღსანიშნავი მთავრობის საიუბილეო კომიტეტის მორიგ სხდომაზე, საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ვასილ პავლეს ძე მჟავანაძემ თქვა: „მეცნიერება ჩვენს ქვეყანაში, კომუნისტური პარტიის, საბჭოთა მთავრობის, მთელი ხალხის განსაკუთრებული ყურადღებით სარგებლობს. კაცობრიობის ისტორიაში პირველად მეცნიერების განვითარება ჩვენში აყვანილია უმნიშვნელოვანესი საერთო სახელმწიფოებრივი ამოცანის დონეზე. სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება თბილისის უნივერსიტეტის შენობათა კომპლექსის მშენებლობის შესახებ იმ დაუცხრომელი ზრუნვის საუკეთესო და თვალსაჩინო დადასტურებაა, რომელსაც კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა იჩენენ ჩვენი დიადი სამშობლოს ყველა ხალხის სულიერი ძალებისა და შემოქმედებითი პოტენციალის განვითარებისათვის“. (გაზ. „კომუნისტი“, 1968, 13 ივნისი).

მადლიერი თაობები არასოდეს არ დაივიწყებენ მათ ფასდაუდებელ ღვაწლს, ვინც ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ საქართველოში შექმნილიყო სახელმწიფო უნივერსიტეტი.

# მონოგრაფია ღვაწლმოსილ მოქანდაკეზე

თამარ ფარცხალაძე




ახალი გამოცემებით ქართულ სახვით ხელოვნებაზე არც თუ მდიდარია ჩვენი წიგნის თარო. ხელოვნებისმცოდნე იგორ ურუშაძემ ბოლო ხანს ორი ნაშრომი შემატა სახელოვნო ლიტერატურას — ეს არის რუსულ ენაზე გამოცემული წიგნები: მონოგრაფია „სილოვან კაკაბაძე“ (გამომცემლობა „ლიტერატურა და ხელოვნება“. რედაქტორი ა. ბესტიაშვილი, მხატვარი ზ. ფორიხიძე) და „საქართველოს სსრ ხელოვნება“ (მოსკოვის გამომცემლობა „სოვეტსკი ხუდოჟნიკ“, რედაქტორი ნ. ვორონინა) სასკოლო ბიბლიოთეკის სერიიდან „საბჭოთა ხელოვნება“.

სილვან კაკაბაძე მოქანდაკეთა იმ თაობის წარმომადგენელია, რომელთა სახელებთან მჭიდროდაა დაკავშირებული ქართული საბჭოთა ქანდაკების პრინციპების დამკვიდრება, მისი აღმავალი განვითარება. ოთხ ათეულ წელზე მეტია იგი თავისი მრავალფეროვანი შემოქმედებით ამდიდრებს ქართულ პლასტიკას და ფრიად ნაყოფიერი პედაგოგიური და სამეცნიერო-მეთოდური მოღვაწეობით ახალ კადრებს უზრდის ეროვნულ ხელოვნებას. საქართველოს სახალხო მხატვრის საპატიო წოდება სახელოვანი მოქანდაკის ღვაწლის ღირსეული აღიარებაა.

იგორ ურუშაძე გვაცნობს მოქანდაკის შემოქმედებითი გზის დასაწყისს, აღნიშნავს, რომ მხოლოდ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მიეცა შესაძლებლობა სილოვან კაკაბაძეს მიეღო პროფესიული განათლება. იგი იყო ერთ-ერთი პირველი მოსწავლე ახლადდაარსებული სახალხო სამხატვრო სტუდიისა, რომელსაც გამოჩენილი ქართველი მხატვარი მოსე თოიძე ხელმძღვანელობდა.

რამდენიმე წელი დაჰყო ს. კაკაბაძემ მოსე თოიძის სტუდიაში, 1924 წელს კი თბილისის სამხატვრო აკადემიაში შევიდა ფერწერის ფაკულტეტზე. ახალგაზრდა მხატვარმა ხის ქანდაკებაშიც სცადა თავი და ფერწერულ ტილოებთან ერთად სტუდენტთა ნამუშევრების გამოფენაზე წარმოადგინა. ამ ნაწარმოებებმა ცნობილი ქართველი მოქანდაკის იაკობ ნიკოლაძის ყურადღება მიიქცია და მხატვარს ურჩია ამ დარგში დაოსტატებულიყო. როცა აკადემიაში ქანდაკების ფაკულტეტი შეიქმნა, ს. კაკაბაძემ იქ განაგრძო სწავლა.

ამიერიდან ყველა სამხატვრო გამოფენაზე სილოვან კაკაბაძე უკვე მონაწილეობს როგორც მოქანდაკე. „იდეურთემატური აქტუალობა, ჟანრული სიახლე — ყოველივე ეს სილოვან კაკაბაძის ნაწარმოებებს ქართული ქანდაკების საყურადღებო მოვლენად აქცევდა“ — აღნიშნავს ნარკვევის ავტორი.

სამხატვრო აკადემიის დამთავრებისთანავე 1930 წლიდან ს. კაკაბაძეს პედაგოგიურ სამუშაოზე იწვევენ აკადემიაში. ქანდაკების კათედრის ასისტენტი, იგი დიდის გულმოდგინებით შეუდგა ახალგაზრდა კადრების აღზრდის საქმეს. ოცდაათიანი წლებიდანვე მოქანდაკე ინტენსიურ მუშაობას იწყებს პორტრეტულ ჟანრში და რიგ საინტერესო სახეებს ქმნის, სისტემატურად მონაწილეობს სამხატვრო გამოფენებზე როგორც პორტრეტებით, ისე ჟანრული კომპოზიციებით ჩვენი თანამედროვეობის თემაზე.

დიდი სამამულო ომის პერიოდში ს. კაკაბაძემ გამოძერწა სკულპტურული ჯგუფი „სახალხო შურისმაძიებლები“, „საბრძოლო ამხანაგი“, რომლებშიც აღბეჭდა საბჭოთა ხალხის შეუდრეკელობა მტრის წინაშე, მისი ისტორიული გმირობა. თვალსაჩინო წარმატებები აღინიშნება მოქანდაკის შემოქმედებაში პორტრეტის სფეროშიც. „გენერალ-პოლკოვნიკ ლესელიძისა“ და „სოციალისტური შრომის გმირის ნ. მგელაძის პორტრეტები“ მკაფიო სახეობრივი და ფსიქოლოგიური დახასიათების ნიმუშებს წარმოადგენენ.

ი. ურუშაძე ფართოდ განიხილავს იმ ქმნილებებს, რომლებშიც განსაკუთრებით სრულად გამოვლინდა მოქანდაკის შემოქმედების ძლიერი მხარეები. ეს არის „გალაკტიონ ტაბიძე“, „სულხან საბა ორბელიანი“, „ალექსანდრე მრევლიშვილი“, „დავით კლდიაშვილი“ და სხვ.

ორმოცდაათიანი წლების ქართული ქანდაკების მნიშვნელოვან გამარჯვებად თვლის ხელოვნებისმცოდნე ცნობილი ქართველი ფიზიოლოგის ივანე ბერიტაშვილის პორტრეტს. „მასში დიდი რეალისტური განზოგადების ძალა შერწყმულია სახის მახვილ და კონკრეტულ დახასიათებასთან“ — აღნიშნავს იგი.

მოქანდაკის ძიებების ახალ მიმართულებად მიიჩნევს ი. ურუშაძე ღრმა ლირიზმითა და რომანტიკით აღბეჭდილ ქანდაკებებს „ქართველი ქალი“ და „ქალიშვილი“, რომლებშიც გვხიბლავს პლასტიკური ნახატისა და ფორმის სრულყოფილება.

სილოვან კაკაბაძის ქმნილებები მონუმენტური ქანდაკების დარგში აღმართულია ჩვენი რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში. მათ შორის ლენინის ფიგურა ქართული „ლენინიანის“ ერთ-ერთი თვალსაჩინო ნაწარმოებია.

თბილისის სამხატვრო აკადემიის პროფესორი სილოვან კაკაბაძე დაუცხრომელი ენერგიით იღწვის შემოქმედებით და პედაგოგიურ სარბიელზე. ი. ურუშაძის ეს ნარკვევი ღვაწლმოსილ ხელოვანზე მკითხველებს საინტერესოდ აცნობს ქართული ქანდაკების ერთ-ერთი გამოჩენილი ოსტატის შემოქმედებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა



თბილისის უნივერსიტეტის მშენებლობა. მშენებელ მუშებს შორის ჯგუფში მარცხნიდან მესამე დგას ნიკო ცხვედაძე ინჟინერ ვასილ ჯორჯაძესთან ერთად

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 50 წლისთავისათვის

# სამშენებლო ხელოვნების ბრწყინვალე ქმნილება

ბენიამინ ტოგონიძე

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს — საქართველოში უმაღლესი განათლების ცენტრს, თავისი არსებობის ნახევარსაუკუნოვანი ისტორია აქვს, ხოლო თვით უნივერსიტეტის შენობას კი — შვიდ ათეულ წელზე მეტი. ბუნებრივია, რომ ყოველი ჩვენთაგანი უღრმესი მადლიერების გრძნობით იხსენიებს უნივერსიტეტის მშენებელთა სახელებს.

სახელმწიფო უნივერსიტეტის შენობის აგება, რომელიც თავიდან სათავადაზნაურო სკოლისათვის იყო განკუთვნილი, გადაწყდა 1897 წლის 22 მაისს, „შეუძლებელ მოსწავლეთა შემწე საზოგადოების“ კრებაზე. ეს საზოგადოება თავიდანვე მფარველობდა სათავადაზნაურო სკოლას.

სათავადაზნაურო სკოლა თბილისში 1879 წლის თებერვალში დაარსდა და თითქმის ორმოც წელს იარსება. მიუხედავად სახელწოდებისა, ამ სკოლაში, რომელიც შემდეგ უკვე ქართულ გიმნაზიად იქცა, ყველა წოდების ბავშვები სწავლობდნენ. იგი, — როგორც საზოგადო მოღვაწე ერგნელი აღნიშნავდა, — „გიმნაზიის კურსის მქონე ერთადერთი საშუალო სასწავლებელი იყო, რომელიც ნაკლებად შემძლე ქართველებს თავისი ბავშვების, ასე თუ ისე, აღზ-



თბილისის უნივერსიტეტის ერთ-ერთი მშენებელი ინჟინერი ვასილ ნიკოლოზის ძე ჯორჯაძე (1886-1927)

რდის საშუალებას აძლევდა“. ამიტომ მოწინავე საზოგადოებას, ქართველ ინტელიგენციას იგი ეროვნული აღორძინების საფუძვლად მიაჩნდა.

„ეს საშუალო სასწავლებელი, — წერდა მისი დაარსების გამო ილია ჭავჭავაძის „ივერია“, — ჩვენი საკუთარი ქართული სასწავლებელი, შეიქმნება ჩვენი ხალხისათვის სახსარი უფრო მომეტებულის სწავლისა და განათლებისა შესაძენად, ეს სასწავლებელი გამოგვიზრდის ჩვენ ჩვენს საკუთარს, ქართველს ინტელიგენციას, ე. ი. იმგვართ პირთ, რომელნიც არიან დედა-ბოძნი ყოველის ხალხის განვითარებისა და წარმატებისა.“

სათავადაზნაურო სკოლაში, ანუ როგორც მას ჩვეულებრივ უწოდებენ, ქართულ გიმნაზიაში ბევრი ცნობილი პედაგოგი და საზოგადო პიროვნება მოღვაწეობდა. ეს გიმნაზია გახლდათ ერთი მთავარი ცენტრთაგანი კულტურული ძალების თავმოყრისა.

ქართული გიმნაზიის მესვეურთა ერთ-ერთი მთავარი საზრუნავი იყო სასწავლებლისათვის შესაფერისი შენობის გამოძებნა. ოცდახუთი წლის განმავლობაში სკოლამ ოთხი ბინა გამოიცვალა, მაგრამ ვერცერთი ვერ აკმაყოფილებდა მოთხოვნილებას; სასწავლებელი კი წლითიწლობით ფართოვდებოდა — ჯგუფები ემატებოდა. აუცილებელი გახდა ახალი შენობის აგება.

ნიკო ცხვედაძემ ქართული გიმნაზიის, მომავალი უნივერსიტეტის, მშენებლობის ხელმძღვანელად არქიტექტორი სიმონ კლდიაშვილი მიიწვია.

შენობის პროექტის შედგენა დაევალა ჯერ კიდევ ახალგაზრდა, პირველ ქართველ ხუროთმოძღვარს, რომელსაც ევროპული აკადემიური განათლება ჰქონდა მიღებული.

ს. კლდიაშვილმა 1900 წლის შემოდგომისთვის უკვე წარადგინა თანამედროვე სასკოლო — აღმზრდელობით და საინჟინრო ხუროთმოძღვრულ მოთხოვნათა შესაბამისი — ქართული გიმნაზიის დასრულებული პროექტი. მანამდე კი ნ. ცხვედაძე დეტალურად გასცნობია ქართველი ერის სასიქადულო მოღვაწის ნ. ნიკოლაძის მიერ უცხოეთიდან გამოწერილ სხვადასხვა ტიპის სასკოლო შენობათა გეგმა-პროექტებს.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მშენებლობის ხელმძღვანელობა უდაოდ რთული და საპატიო ამოცანა იყო, ამავე დროს უდიდესი ნდობის გამოცხადება. ხელოვანს უნდა შეექმნა პროექტი სასწავლო — აღმზრდელობითი დანიშნულების უზარმაზარი შენობისა, რომელიც თავისი მოცულობით და არქიტექტურული იერით თბილისის ყველა ნაგებობისაგან გამორჩეულიყო. ს. კლდიაშვილი ნიკო ცხვედაძესთან ერთად იღწვოდა დიდი ეროვნული საქმისათვის. ეს იყო „დიდებული საქმე ქართველი ერისა“. ნიკოლოზ ცხვედაძეს, რომელსაც ღრმად სწამდა საქართველოს უკეთესი მომავალი, არაერთხელ უთქვამს: აქ ოდესმე ჩვენი უნივერსიტეტი მოთავსდებაო. და თუ დღეს თბილისის უნივერსიტეტის ეს საუცხოო შენობა არსებობს, ეს ნიკო ცხვედაძის თავდადებული მუშაობის და დაუშრეტელი ენერგიის შედეგია. სწორედ ამას აღნიშნავდა თავის მოგონებაში იაკობ მანსვეტაშვილი: „თუ დღეს ჩვენ გვაქვს ის საუცხოო დიდი შენობა, რომელიც ვაკიდან ამაყად ქალაქს გადაჰყურებს და ამშვენებს, ეს ის შენობაა, სადაც დღეს ქართული უნივერსიტეტი იმყოფება. — ეს უნდა დაუმადლოთ ნ. ცხვედაძეს, იმის მხნეობას, იმის ერთგულებას, იმის თავგანწირვასაც“

1898 წელს ქალაქის განაპირა უბანში, ვარაზის ხევის გაღმა არქიტექტორ ს. კლდიაშვილის ხელმძღვანელობით დაიწყო ქართული გიმნაზიის მშენებლობა. საფუძვლისათვის წინასწარი სამუშაოების დამთავრების შემდეგ, 1900 წლის 14 ოქტომბერს პირველი აგურები ჩააწყეს უნივერსიტეტის შენობის საძირკველში.

ეს იყო დიდი სახალხო ზეიმი. ამ დღეს აქ თავი მოიყარეს ცნობილმა საზოგადო მოღვაწეებმა და ქართველმა მწერლებმა, იმდროინდელი პრესის წარმომადგენლებმა, ფართო საზოგადოებრიობამ. ვინ მოსთვლის რამდენი დაბრკოლების გადალახვა მოუხდათ ამ საქმის სახელოვან წამომწყებთ.

ილია, აკაკი და სხვა გამოჩენილი მოღვაწენი ყოველმხრივ დახმარებას უწევდნენ მშენებლებს. ეს აღნიშნა კიდეც ნ. ცხვედაძემ ილიას დასაფლავების დღეს წარმოთქმულ სიტყვაში: „საქართველოში არცერთი საზოგადოება არ არის, რომ ილიას თაოსნობით, ან მისი რჩევით, ან კიდევ დახმარებით არ იყოს დაარსებული და, მათ შორის, ჩვენი ქართული გიმნაზიაც.“

1906 — 1907 წლებში ქართული გიმნაზია ახალ შენობაში გადავიდა. თუმცა იგი ჯერ დაუმთავრებელი იყო მაგრამ ყველა ზრუნავდა მისთვის განურჩევლად წოდებისა, სარწმუნოებისა, ქონებრივი მდგომარეობისა და სადაურობისა. მაგრამ ეს საქმეს არ შველოდა. ხშირი იყო შემთხვევა, როცა მისი ბედი ბეწვზე ეკიდა. დამახასიათებელია გაზეთ „კავკაზსკი კრაის“ 1905 წლის მე-5 ნომერში დაბეჭდილი ოსკარ შმერლინგის კარიკატურა: კალტოზები ქართული გიმნაზიის კედლებს აშენებენ, კედელზე ამაყად დგას ნიკოლოზ ცხვედაძე, ხოლო თავადები, მღვდელი, მოხელე მას ქვებს უშენენ. ის კი დამშვიდებით დინჯად უპასუხებს მათ: „თქვენ მესროლეთ, რამდენიც გინდათ! შენობას კი უეჭველად დავამთავრებთო.“ ხელისშემშლელი და სკეპტიკოსი მართლაც ბევრი იყო. მათ შორის პირველ რიგში მეფის მოხელენი, მაგრამ მთელი საზოგადოებრიობა, მოწინავე ქართველი ინტელიგენცია მხარში ედგა მშენებლებს და არაფერს ზოგავდა ამ საშვილიშვილო საქმისათვის.

თავდაპირველად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმას, რომ თავადმა კ. ბაგრატიონ — მუხრანბატონმა და ქართველმა შეძლებულმა პირებმა — ძმებმა ზუბალაშვილებმა და დ. სარაჯიშვილმა დიდი თანხა გაიღეს ამ საქმისათვის. სწორედ ყოველივე ამის წყალობით მოხდა, რომ ნიკოლოზ ცხვედაძემ და სიმონ კლდიაშვილმა ქართველ ხალხს სანუკვარი დაპირება ბრწყინვალედ შეუსრულეს. ნ. ცხვედაძის დიდი დამსახურება ასე შეაფასა მისდამი მიწერილ ბარათში ცნობილმა მწერალმა და პედაგოგმა სამსონ ყიფიანმა: „თქვენ აღაშენეთ შენობა იმ ფიქალთა ქვებისაგან, რომელსაც თქვენი საყვარელი ერი უთუოდ უჩინრად და თანდათანობით

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდი ხანია ოცნებით თლიდა და აშალაშინებდა და კიდევაც ამიტომაა საიმედო, რომ იგი სხვის ხელში არ გადავა. თქვენი აღმშენებლობითი იდეა და მისი განხორციელება სინთეზია მთელი ერის მხრივ მისწრაფებისა, და სწორედ ამიტომაა, რომ ვერაფერმა დამაბრკოლებელმა ავმა სულმა უკან არ დაგახევინათ და სასარგებლო ინიციატივა ბოლომდე მიგაყვანიათ“.

ს. კლდიაშვილი თითქმის ერთნახევარ ათეულ წელს ხელმძღვანელობდა გიმნაზიის მშენებლობას, რომელიც 1916 წელს დასრულდა. 1918 წელს განხორციელდა ნიკოლოზ ცხვედაძის წინასწარმეტყველება და ქართველთა დიდი ხნის ოცნება აღსრულდა: „გიმნაზიის შენობაში ქართული უნივერსიტეტი გაიხსნა, საფუძველი ჩაეყარა უმაღლესი განათლების საშვილიშვილო საქმეს საქართველოში.

თავის მოხსენებაში უნივერსიტეტის ათი წლისთავზე უნივერსიტეტის დამაარსებელთა საინიციატივო ჯგუფის ხელმძღვანელი და მისი ფაქტიური ფუძემდებელი აკადემიკოსი ივ. ჯავახიშვილი ეხებოდა რა თბილისის ქართული უნივერსიტეტის დაარსების საკითხს, სამართლიანად აღნიშნავდა: „შთამომავლობამ უნდა დააფასოს ნიკოლოზ ცხვედაძის — ამ უანგარო მოღვაწის ღვაწლი; ბევრი დაცინვის მიუხედავად მან ააგო ეს შენობა, რომელშიც ამჟამად ჩვენ ვიმყოფებით“.

სასიქადულო მამულიშვილისადმი მადლიერების დიდი გრძნობა გამოხატა ცნობილმა პოეტმა ვალერიან გაფრინდაშვილმა თავის ლექსში „ნიკო ცხვედაძეს“.

უნივერსიტეტს როცა ვხედავ, ასე მგონია,
რომ შენს ბეჭებზე ამოსულან მისი კედლები;
მისი მშვენება, მთელი სიბრძნე და ჰარმონია,
არის შექმნილი ახალ ქვეყნის ახალ მჭედლებით.
წარსულს ჩაბარდა გზა, მოსილი ნარით
და ეკლით,
მადლობა ყველა — ამ ცხოვრების
დამამშვენებელს,
და შენც დაგიდგით ჩვენს ხსოვნაში
გულწრფელი ძეგლი,
როგორც უმაღლეს სასწავლებლის პირველ
მშენებელს.
გწამდა მარადის ჩვენი ქვეყნის აღორძინება,
თუმცა გვახრჩობდა თვითმპყრობელის
ხელი საზარი.
ვერ შეგაშინა უსასტიკეს მტრების გინებამ
და გადაწყვიტე, რომ აგეგო ცოდნის ტაძარი,
ილიას გავდი ნიადაგით, ძალღონით სავსე,
შენ ჩვენი ქვეყნის ბედ-იღბალი მართლაც
გჯეროდა,
ნეტავ ხედავდე, მზე ვით ბრწყინავს
სამშობლოს თავზე,
როგორ ამოდის ხე სიბრძნისა დარგულ
ღეროდან.

დღეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეს დიდი ეროვნული სიამაყის შენობა ქალაქის განაშენიანებაში თავის ადგილს ინარჩუნებს და ვაკის, ამ ახალი რაიონის საერთო არქიტექტურულ ანსამბლში საუცხოოდ არის ჩართული.



# სიყვარულით მოსაგონარი

ნათელა იმედაძე

მზე მომხიბვლელად ანათებდა აუდიტორიას. ლექციაზე ყოფნა ძნელი ხდებოდა, გაზაფხულის სასიამოვნო სურნელი გარეთ გვიხმობდა პირველკურსელებს. ზარის ხმა გაისმა თუ არა, მაშინვე წამოვიშალეთ, ფანჯრებთან მივცვივდით... უნივერსიტეტის ეზო სავსე იყო ახალგაზრდებით.

— შემდეგი ლექცია ცდებაო, — იყვირა ვიღაცამ და ატყდა ერთი ყიჟინა. ის იყო კარებს მივაწყდით, რომ აუდიტორიაში თეთრთმიანი, მაღალი კაცი შემოვიდა, შემოგვიტია ,,რას ხმაურობთო“. როცა გაიგო ლექცია გვიცდებოდა — დასხედითო — გვითხრა და კათედრაზე ავიდა.

უნებურად მისადმი დიდი მოკრძალება ვიგრძენი. იგი უბრალოდ გაგვეცნო და შემდეგ საუბარი დაიწყო თავის საგანზე. მთელი გულისყურით ვუსმენდით, გატაცებით გვესაუბრებოდა ანტიკური სამყაროს სიდიადეზე.

ხუთი წლის შემდეგ, 1967 წლის ივლისში ფილოლოგიის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთა გამოსაშვებ საღამოზე ეს თეთრთმიანი სანდომიანი

სახის მოხუცი, თვალებზე ცრემლებმომდგარი გვილოცავდა გზას და იმედს გამოთქვამდა, რომ ღირსეულად ვატარებდით ქართული უნივერსიტეტის კურსდამთავრებულის საპატიო სახელს.

გული გვწყდებოდა, რომ ხშირად ვეღარ შევხვდებოდით საოცრად კეთილ, თბილ მოხუცს, რომელიც მუდამ გულწრფელად ცდილობდა დახმარებოდა ყველას, ვინც კი მას მიმართავდა რაიმე თხოვნით. იგი ყოველ წუთს მზად იყო ესაუბრა ჰომეროსსა და სოფოკლეზე, ევრიპიდესა და ლუკრეციუსზე, ბერძნულ თეატრზე, ქართული თეატრის წარსულსა და მომავალზე...

ახლა კი იგი ცოცხალთა შორის აღარ არის.

მძიმედ განიცადა ჩვენმა საზოგადოებრიობამ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწ ი ს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კლასიკური ფილოლოგიის კათედრის გამგის, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის პროფესორ პანტელეიმონ ალექსანდრეს ძე ბერაძის გარდაცვალება.

„უღვთო იყო ამ ჯანღონით აღსავსე, დაუცხრომელი მგზნებარებისა და სიცოცხლის უსაზღვროდ მოტრფიალე კაცის სიკვდილი. მისი სახით თბილისის უნივერსიტეტს კიდევ ერთი თვალსაჩინო წევრი გამოაკლდა. ფილოლოგიის მეცნიერებამ დაკარგა კარგი მკვლევარი, ქართულმა მწერლობამ — ჩინებული მთარგმნელი, ახალგაზრდობამ კი გულისხმიერი აღმზრდელი და გულწრფელი მეგობარი" — წერდა პროფ. აკ. ურუშაძე.

იგი იყო დიდად განათლებული, თავმდაბალი, სათნო და ფაქიზი სულის ადამიანი.

1934 წლიდან პ. ბერაძე კლასიკური ფილოლოგიის კათედრის დოცენტია.. 1936 წელს ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხ:.ს მოსაპოვებლად მან ერთ-ერთმა პირველთაგანმა დაიცვა დისერტაცია თემაზე: — ჰესიოდეს „სამუშაო:ნი და დღენი".

1942 წელს თბილისის უნივერსიტეტის შრომებში პ. ბერაძემ გამოაქვეყნა წერილი: „ბერძნული საბრძოლო ელეგია". განიხილავს რა საბრძოლო ელეგიას ბერძნულ ლიტერატურაში (კერძოდ კალინესა და ტირტეოს შემოქმედებაში), პ. ბერაძე მის პარალელებს პოულობს ქართულ ხალხურ პოეზიაშიც.

„ამრიგად, ეს დაკვირვება — ასკვნის ბოლოს მკვლევარი — ბერძნულ და ქართულ ლექსზე გვაფიქრებინებს, რომ როგორც უძველეს ბერძნულს, ისე ქართულ ლექსს ერთი საერთო საფუძველი უნდა მოეპოვებოდეს, შეიძლება ეს იყოს ის წინაქართული, რომელსაც კარლ მაისტერი ფრიგიულს და ლიკიურს უწოდებს? ამ მიმართულებით წარმოებული კვლევა-ძიე ბ ა დიდად ხელს შეუწყობს ჰეგზამეტრის წარმოშობის საკითხის გადაწყვეტას".

წლების მანძილზე იგი გულმოდგინედ იკვლევდა ქართულ და ბერძნულ ლექსთწყობის რთულ საკითხებს, ბერძნულ-ქართული ლიტერატურული და კულტურული ურთიერთობის პრობლემებს.

1950 წელს მან დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „ბერძნული დაქტილური ჰეგზამეტრის საწყისები"... იმავე წელს პანტელეიმონ ბერაძეს მიენიჭა პროფესორის სამეცნიერო წოდება და მას კლასიკური ფილოლოგიის კათედრის ხელმძღვანელობა მიანდეს.

ღვაწლმოსილი მეცნიერ ი ქართული თეატრის დიდი მოჭირნახულე იყო. საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი ვერიკო ანჯაფარიძე იგონებს: „მე არ მახსოვს არც ერთი პრემიერა, არც ერთი დღესასწაული, თუ ღონისძიება თეატრისა, რომ პანტელეიმონი არ ყოფილიყოს ჩვენთან, არ გაეზიარებინოს ჩვენი წუხილი თუ სიხარული, მარცხი თუ გამარჯვება, მასში რაღაც არაბუნებრივად იყო თეატრის სიყვარული".

ჯერ კიდევ ახალგაზრდობაში ოცნებობდა პ. ბერაძე მსახიობი გამხდარიყო. 1920 წელს იგი რუსთაველის სახელობის თეატრთან არსებულ დრამატულ სტუდიაში სწავლობდა, ოცნებობდა შეექმნა დაუვიწყარი სახეები ცნობილი ტრაგედიებიდან.

საქართველოს დამსახურებული არტისტი ბაბო გამრეკელი იგონებს: „იგი დერეფანში მუდამ დაფიქრებული დადიოდა და როდესაც მას მივმართავდით კითხვით თუ რაზე ფიქრობდა ამდენს, აუღელვებლად გვიპასუხებდა რომელიმე ცნობილი ტრაგედიის გმირის მონოლოგით".

პ. ბერაძემ რამდენიმე როლიც კი ითამაშა, მაგრამ ბოლოს, მეგობრების რჩევით, გადაწყვიტა დაეტოვებინა სცენა. სცენისადმი სიყვარული კი მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე გაჰყვა.

1962 წელს პ. ბერაძემ ქართულ საზოგადოებას წარუდგინა ევრიპიდეს ტრაგედიის „მედეას" შესანიშნავი თარგმანი.

ქართულ სცენაზე „მედეას" უდიდესი წარმატება პ. ბერაძის დამსახურებაცაა. როდესაც სპექტაკლზე მუშაობა მიმდინარეობდა, პანტელეიმონ ბერაძე ერთი წუთით არ ტოვებდა თეატრს, გულმოდგინედ ეხმარებოდა რეჟისორსა და მსახიობებს ამა თუ იმ სახისა და დეტალის გახსნაში.

„ერთხელ მხოლოდ პრემიერაზე ვნახე ეს სპექტაკლი, მაგრამ ჩემს ცნობიერებაში არასოდეს ჩაქრება ცხოველი შთაბეჭდილება, რომელიც ჩემზე მოახდინა საოცარი ხელოვნებით გამოძერწილმა და პოეტურად ამღერებულმა მიზანსცენებმა, სპექტაკლის მგზნებარე რიტმმა, კოლხური ჰანგებით გამსჭვალულმა მუსიკამ, სცენური მხატვრობის იშვიათმა ნიმუშმა" — წერდა ცნობილი კრიტიკოსი ბ. ჟღენტი.

ყველა ერთხმად აღიარებდა, რომ პ. ბერაძემ ფასდაუდებელი ამაგი დასდო ქართულ თეატრს. მის მიერ წარმოდგენილ თარგმანში ევრიპიდეს ტექსტი ლაღად მოედინება:

„კეფისის წყარო, სუფთა კამკამა
მოედინება და მის ნაპირებს
ვარდყვავილების სურნელით
ავსებს
და იმ ვარდებით შემკულ თმებს
ტურფას
ამო სურნელი თან ახლავს მუდამ"
და მარად ხარობს იქ სიყვარული
გულის სალხინო.

„სპექტაკლის წარმატებას, — წერდა გ. ციციშვილი — განაპირობებს კიდევ ერთი მიზეზი, ეს არის ევრიპიდესეული ტექსტის შთამაგონებელი და მაღალოსტატური თარგმანი, შესრულებ უ ლ ი პროფესორ ბერაძის მიერ. მთარგმნელმა არა მარტო ზუსტად გადმოგვცა ტექსტი, არამედ ხალხური იდიომატიკის მდიდარი გამოყენებით შექმნა ძარღვიანი, ბგერადი, მოქნილი და სხარტი სალაპარაკო მასალა".

როცა სპექტაკლ „მედეათი" წარსდგნენ მოსკოველთა წინაშე, მარჯანიშვილელებს პანტელეიმონ ბერაძე თან გაყვა და იქაც გაიხარა ქართველ მსახიობთა წარმატებით, ხოლო როდესაც საქართველოში სტუმრად ჩამოვიდა ცნობილი ბერძენი ტრაგიკოსი ქალი ასპასია პაპატანასიუ სპექტაკლ — „მედეაში" მონაწილეობის მისაღებად, ბერაძე ერთი წუთითაც არ ტოვებდა მას, რათა ბერძენ ტრაგიკოს ქალს თავი უცხოდ, ობლად არ ეგრძნო ქართულ თეატრში. პ. ბერაძე ყოველნაირად ცდილობდა დახმარებოდა ბერძენ მსახიობს. ასპასია პაპატანასიუმ განიცადა და იგრძნო ქართველი მთარგმნელის უანგარო სიყვარული თავისი საქმისადმი.

მარტო ევრიპიდეს მედეათი არ ამოწურულა პ. ბერაძის მთარგმნელობითი საქმიანობა. მან მიაწოდა ქართველ მკითხველს დიდი რომაელი პოეტისა და ფილოსოფოსის ლუკრეციუსის პოემის „საგანთა ბუნებისათვის" მაღალხარისხოვ ა ნ ი თარგმანი.

„ლუკრეციუსის თხზულების თარგმნა ადვილი საქმე როდი იყო. იგი მოითხოვდა ფილოსოფიის საკითხების ცოდნასთან ერთად კლასიკური ლათინური ენის ღრმა ცოდნასა და მდიდარი ქართული ენის წარმატებით გამოყენებას ორიგინალის პოეტური ფორმისა და შინაარსის გადმოსაცემად". — აღნიშნავდა პროფესორი აკაკი ურუშაძე. ბერაძემ ეს მეტად რთული საქმე ღირსეულად შეასრულა.

სიცოცხლის ბოლო წლებში პროფესორი პ. ბერაძე გატაცებით თარგმნიდა სოფოკლეს „ანტიგონეს". იგი დიდად აფასებდა ამ ტრაგედიას:

„სოფოკლემ „ანტიგონეში“ დაგვანახა ადამიანის უდიდესი გამარჯვება თავისთავზე, უდიდესი ძალვა სამართლიანობისა და უმაღლესი ადამიანობის დასადასტურებლად. ანტიგონე არის სწორედ ისეთი ადამიანის სახეობა, როგორიც უნდა იყოს ნამდვილი და ჭეშმარიტი სრულყოფისაკენ მისწრაფებული პიროვნება.

სოფოკლეს ტრაგედიას ადამიანის ძალის, მისი მორალური სიწმინდის, ჩვენება აქვს მიზნად და ამიტომაც ბუნებრივია თუ ანტიგონეს სახით მას ტრაგედიაში გამოჰყავს ადამიანი, რომელიც ისწრაფვის სრულყოფისაკენ და თუ რაიმე დააბრკოლებს ამ სწრაფვას, იგი მთელი არსებით, მთელი თავგანწირვით შეებრძოლება.

ანტიგონე ერთიმეორეს უპირისპირებს ორგვარ კანონს — დაწერილს და დაუწერელს — დაწერილი კანონი არის ადამიანთა მიერ შექმნილი, ხოლო დაუწერელი კანონი არის კანონი სინდისისა“.

„სამარევ ჩემო, ქორწილთ
ტაძარო,
ჯურღმულთ სამკვიდროვ
სამარადჟამო!
ჩემთა გარდასულთ მივესწრაფები
იმ ფერსეფონეს მკვდართა
სამეფოს
უკანასკნელი ბედკრულთა
შორის!..

გულდასაწყვეტი და სამწუხაროა, რომ ამ ტრაგედიის სცენურ ხორცშესხმას ქართულ თეატრში ვერ მოესწრო პანტელეიმონ ბერაძე.

* * *

„პატარავ, როცა პირველად
მოსდიხარ ქვეყანაში,
შენ
სტირი და შენს გარშემო კი
ყოველს სიხარულის
ღიმილი
მოსდის, ჰქმენ ისე, რომ,
როცა ქვეყანას
ეთხოვებოდე, ყველანი
სტიროდნენ და მარტო შენ კი
ღიმილი მოგდიოდეს“...
**(ილია ჭავჭავაძე)**

1968 წლის იანვარი, სახელმწიფო უნივერსიტეტის ეზოში უჩვეულო დუმილია. უნივერსიტეტის წინ ამაღლებულ ადგილას წითელ მიხაკებში ასვენია თეთრთმიანი მოხუცი. ნათესავები თუ ნაცნობები, თანატოლნი თუ სტუდენტები გულისტკივილით ეთხოვებიან ყველასათვის მახლობელ და საყვარელ ადამიანს.

იგი ისეთივე იერით წავიდა, როგორადაც ცხოვრებაში გამოიყურებოდა — უჩვეულოდ მშვიდი, კეთილი, სახეზე კი თითქოს ღიმილი დასთამაშებდა.

---

# ასე იქმნებოდა ქართული მეცნიერების ტაძარი

ავთანდილ თელია

1878 წელს, გიორგი რომანის ძე ერისთავის ინიციატივით, შეიქმნა ფრიად სასარგებლო და საჭირო „ღარიბ მოწაფეთა შემწე თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა საზოგადოება“. როგორც გაზეთი „ივერია“ იუწყებოდა „ამ საზოგადოებას საგნად აქვს დასახული მოამზადოს ღარიბნი ყმანი რომელსამე სასწავლებელში შესასვლელად, ხელი გაუმართოს შეუძლებელთა და ნიჭიერთა მოსწავლეთა, ღონისძიება აღმოუჩინოს სწავლის განგრძობისათვის, თქმა არ უნდა, რომ საგანი ამ საზოგადოების მეტისმეტად სასარგებლოა და საკეთილდღეო ჩვენი ქვეყნისათვის. წესდება დამტკიცდა მთავრობისაგან და რუსულად დაბეჭდილიც არის. რვა მაისს პირველი მორიგი კრება შესდგა. ამორჩეული იქნა გამგე კომიტეტი“[1]. ამ პირველმა საორგანიზაციო კრებამ „საზოგადოების“ გამგე კომიტეტი აირჩია. გ. რ. ერისთავი (თავმჯდომარედ), კ. მამაცაშვილი (მოადგილედ), ნ. ქანანოვი (მდივნად). წევრებად: ვ. თულაშვილი, ნ. ცხვედაძე, ი. გოგებაშვილი, ლ. მაღალაშვილი, დ. ერისთავი, რამდენიმე თვის შემდეგ გ. რ. ერისთავი განთავისუფლდა გამგე — კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობისაგან ავადმყოფობის გამო და მის ადგილზე არჩეული იქნა კ. მამაცაშვილი.

1879 წლის 6 თებერვალს გამგე — კომიტეტის ინიციატივით თბილისში გაიხსნა სათავადაზნაურო პირველი ქართული სკოლა. ამ სკოლის კურთხევა მთელი ქართული საზგადოების ეროვნულ ზეიმად გადაიქცა. იმ ხანებში ჟურნალი „ივერია“ იუწყებოდა: „ახლად დაარსებული ღარიბ მოწაფეთა შემწე თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა საზოგადოებამ განიზრახა, გამართვა თბილისში ისეთი სასწავლებლისა, სადაც მოზარდ ქართველებს მიეცემათ ღონისძიება პირველდაწყებითი განათლება თავისი დედაენის შემწეობით მიიღონ. ეს განზრახვა ეხლა სინამდვილეში მოჰყავს ამ „საზოგადოების“ კომიტეტსა, რომელმაც დაიქირავა კუკიაში მშვენიერი სახლი... მოიპოვა სკოლისათვის ყველა საჭირო ნივთეულობა და ხსნის სკოლას თებერვლის პირველ რიცხვებში, ჩვენ საფუძველი გვაქვს ვთქვათ, რომ ეს სკოლა ხვალ თუ ზეგ, ამ მოკლე ხანში შეიქმნება სათავედ, სადაც აღმოცენდება ერთი კარგი კერძო გიმნაზია საქართველოში[2].

ქართველი ერის დიდი მოჭირნახულე ილია ჭავჭავაძე, ამ სკოლის დაარსებაში ქართველი ხალხის სწავლა-განათლებისა და კულტურის განვითარების დიდ მომავალს ხედავდა. იგი აღნიშნავდა, რომ „არსებობს ჩვენში სკოლა ჯერჯერობით მოსამზადებელი, რომელიც უნდა გახდეს საშუალო სასწავლებლად და მით შეავსოს საქმე, რომლისათვის ხელის მოკიდებას აპირებს ახლად დაარსებული „საზოგადოება“. ეს საშუალო სასწავლებელი და ჩვენი საკუთარი ქართული სასწავლებელი შეიქმნება ჩვენი ხალხისათვის სახსარი უფრო მომეტებული, სწავლისა და განათლების შესაძენად, ეს სასწავლებელი გამოგვიზრდის ჩვენს საკუთარ ქართველ ინტელიგენციას, ე. ი. იმგვარ პირთ, რომელნიც არიან დედაბოძნი ყოველი ხალხის განვითარებისა და წარმატებისათვის[3]. პირველი ქართული

---

[1] „ივერია“, 1878 წელი, № 18, გვ. 2.

[2] ჟურნალი „ივერია“, № 1, გვ. 152, 1879 წელი.

[3] ი. ჭავჭავაძე, თხზ. ტ. XI, გვ. 27. 1927 წ.

სკოლის გახსნას აღფრთოვანებით მიესალმა და ამით გამოხატა მთელი ქართველი ხალხის სიხარული გაზეთმა „დროებამ“, იგი ამ დღეებში წერდა: „სულითა და გულით ვინატრი ახლად დაარსებულ პირველი ქართული სკოლის წარმატებასა და დღეგრძელობას, ვინატრი, რომ იგი გამხდარიყოს გიმნაზიად და იმაში კურსდამთავრებულ ყმაწვილ-კაცობას ნამდვილი ქართული გული შერჩენოდეს, და მამულიშვილობა არ დავიწყებოდეს“.[4]

დასაწყისში სკოლაში 81 მოსწავლე სწავლობდა, მაგრამ მათი რიცხვი ყოველწლიურად იზრდებოდა და 1897—1898 წლებში 440-მდე ავიდა. ამასთან თანდათან მწიფდებოდა სკოლის გიმნაზიად გადაკეთების საკითხი, რასაც აბრკოლებდა საამისო ბაზისა და განსაკუთრებით სასწავლო შენობის უქონლობა.

1897 წელს „ღარიბ მოსწავლეთა შემწე თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა საზოგადოების“ ყოველწლიურმა კრებამ დაავალა გამგე კომიტეტს, რომელსაც იმჟამად კ. ი. ბაგრატიონ-მუხრანსკი თავმჯდომარეობდა, გამოეძებნათ და შეეძინათ გიმნაზიის შენობისათვის შესაფერისი ნაკვეთი და ხელში აეღოთ მისი მშენებლობის საქმე. კომიტეტმა გიმნაზიის შენობის მთლიანი ორგანიზაცია დაავალა ცნობილ პედაგოგს და საზოგადო მოღვაწეს ნიკო ცხვედაძეს, რომელმაც სიამოვნებით მიიღო ეს საპატიო დავალება. 1898 წლის ივნისში მან ყურადღება შეაჩერა სოლომონ ალექსანდრეს ძე ბებუთაშვილისა და მისი დის ანასტასია ალექსანდრეს ასულ ხერხეულიძის მამულზე, რომელიც მდებარეობდა წყნეთის ქუჩაზე ქალაქის განაპირას. მამული 6 დესეტინას შეადგენდა და სრულიად აკმაყოფილებდა ნ. ცხვედაძისა და მისი თანამოაზრეებისათვის სასურველი შენობის მოთხოვნილებას. მამული 30 ათას მანეთად ყოფილა შეფასებული, მაგრამ მათმა კეთილმა მეპატრონეებმა გამგე კომიტეტს 20000 მანეთად დაუთმეს[5]. გაფორმებისა და „საზოგადოების“ სახელზე დამტკიცების შემდეგ იგი სულ დაჯდა 20924 მანეთი. „საზოგადოებას“ კი ამ საქმისათვის იმჟამად ჰქონდა მხოლოდ 9924 მანეთი, ისიც კერძო პირებისაგან შეწირული. დანარჩენი ივალეს და მამული სრულ საკუთრებაში დაიმტკიცეს.

ამის შემდეგ დადგა უფრო რთული და საპასუხისმგებლო მომენტი: უპირველესად საჭირო იყო მშენებლობისათვის სახსრების გამოძებნა, რომლის ძირითად წყაროდ „საზოგადოების“ კრების გადაწყვეტილებით ამავე „საზოგადოების“ წევრ თავადაზნაურთა შეწირულებანი უნდა ყოფილიყო. მაგრამ ქართველი თავადაზნაურობა, თავიანთი ხელგაშლილი ცხოვრების გამო, კისრამდე ვალებში იყო ჩაფლული, მათი საუკეთესო მიწები სადგილმამულო ბანკებში ქონდათ დაგირავებული და სკოლის მშენებლობის დაფინანსების საქმეში ძალზე შეზღუდულნი იყვნენ.

მეორეც, სასკოლო შენობის მშენებლობის ხელმძღვანელ ნ. ცხვედაძეს, თბილისის გუბერნიის სადგილმამულო ბანკის გამგეობის თავმჯდომარეს — ი. ჭავჭავაძეს, ცნობილ ქართველ პედაგოგსა და საზოგადო მოღვაწე ი. გოგებაშვილს, არქიტექტორ ს. კლდიაშვილს ქართველი პროგრესული ინტელიგენციის ძალზე მცირე ნაწილთან ერთად, საიდუმლოდ ჰქონდათ განზრახული — გიმნაზიის საფარით აეშენებიათ მომავალი ქართული უნივერსიტეტის სრულყოფილი შენობა. ისინი ღრმად იყვნენ დარწმუნებულნი — ადრე თუ გვიან ქართველი ხალხი ძალით თუ ნებით მოიპოვებს უნივერსიტეტის დაარსების უფლებასო. ასეთი შენობა გასაგებია, გაცილებით დიდი უნდა ყოფილიყო გიმნაზიისათვის განკუთვნილ შენობაზე და უფრო მეტ სახსრებსაც მოითხოვდა. ამიტომ ამ განზრახვის გამხელა ნიშნავდა მათ მიერ გაიაზრებული საქმის ჩაფუშვას, ვინაიდან ამაზე არავითარ შემთხვევაში არ დაეთანხმებოდა თავადაზნაურობა.

შენობის აგების მიზანს ნ. ცხვედაძე და მისი თანამოაზრენი იმდენად საიდუმლოდ ინახავდნენ, რომ თვით გამგე — კომიტეტის წევრებსაც კი არ უმჟღავნებდნენ. აი, რას მოგვითხრობს ამის შესახებ ცნობილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე ალ. ჯაბადარი, რომელიც 1901—1902 წლებში „საზოგადოების“ გამგე კომიტეტის წევრად იყო არჩეული; „დიდი ამაგი მიუძღვის ნ. ცხვედაძეს იმ სახლის აშენებაში, გასაოცარ ენერგიას იჩენდა საჭირო ფულის შოვნაში და თვით შენობის აგების საქმეში. რასაკვირველია, მე ვამაყობდი, როდესაც კომიტეტში ამომირჩიეს და ჩავები ამ საქმეში. ცხვედაძესთან მანამდეც კარგად ვიყავი. როცა მნახა, რომ მე სულითა და გულით თანაუგრძნობდი მის მუშაობას, დამიახლოვდა. როდესაც შენობის გეგმას და ხარჯთაღრიცხვას გავეცანი დაწვრილებით, ცხვედაძეს ვკითხე: ბატონო ნიკო! თქვენს მიერ დაწყებული შენობის დამთავრებას დიდი ფული დაჭირდება, შენობის პროექტიდან ნათლად სჩანს, რომ ეს შენობა გიმნაზიისათვის ძალიან დიდია, გარდა ამისა თქვენი ხარჯთაღრიცხვა მცირეა. ამით სახლს ვერ დაამთავრებთ, და ბოლოს შეიძლება დიდი უსიამოვნება მოხდეს, მთელ კომიტეტს უსაყვედურებენ უვიცობას, წინდაუხედაობას, და სხვ. მე, როგორც კომიტეტის წევრი, მოვალე ვარ თქვენ გითხრათ და კომიტეტის კრებაზეც და საზოგადო ყრილობაზეც აღვნიშნო. შევატყვე, რომ სიტყვებმა დააფიქრა და თითქოს კიდეც ეწყინა. ეს ლაპარაკი შენობის ეზოში მქონდა. ნიკომ მკლავში ხელი წამავლო, შენობის მოშორებით გამიყვანა და დაიწყო „რაც თქვენ თქვით ყველა მართალია, ისიც მართალია, რომ გიმნაზიისათვის ეს შენობა დიდია, მაგრამ რაკი კითხვა ასე დააყენეთ, გევედრებით ჩემი ნათქვამი საიდუმლოდ შეინახოთ და შემდეგში დამეხმაროთ, რომ ეს დიდი საქმე შევასრულო, არ ვიცი მოვახერხებ თუ არა, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ ამ შენობაში ქართული უნივერსიტეტი იქნება. მე რომ ეს საზოგადო ყრილობაზე ვთქვა, ყველა სულელს დამიძახებს, და შენობისათვის ერთ გროშსაც არ გამოიღებენ. მე რომ ნამდვილი ხარჯთაღრიცხვა წარმედგინა, თქვენ ამ შენობას თვალითაც ვერ ნახავდით, როგორც ვატყობ თქვენ არ იცით ჩვენი ხალხის ამბავი. მე მწამს, რომ თბილისში ქართული უნივერსიტეტი გაიხსნება და ამოდენა შენობას სწორედ ამისათვის ვაშენებ“[6].

აქედან ჩანს, თუ რაოდენ სიფრთხილით იქცეოდნენ უნივერსიტეტის მშენებლობის ორგანიზატორები. ამით იყო გამოწვეული, რომ 1898 წლის აპრილში, „საზოგადოების“ წლიურ კრებაზე, სკოლის მშენებლობის ორგანიზატორი ნ. ცხვედაძე ძალზე აზვიადებდა სკოლის მშენებლობის სიძნელეებს, ასურათებდა მისი გადიდების აუცილებლობას, და თავადაზნაურობას პირდებოდა ისეთ მცირე თანხაში ჩატევას, რომლითაც სინამდვილეში შეიძლება პირველი სართულიც კი ვერ ამოეყვანა. იგი ამბობდა: „როგორც საზოგადოების წევრთ მოეხსენებათ, ერთი წლის შემდეგ სათავადაზნაურო სკოლა შეიქმნება სრულ გიმნაზიად და ამისათვის სახლიც უნდა ჰქონდეს იმისთანა, რომელშიაც შესაძლო იყოს მოთავსდეს მთელი გიმნაზია თავისი მოსამზადებელი კლასების განყოფილებებით და პანსიონით. თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ გიმნაზიის ზოგიერთ კლასებსაც მომავალში შეიძლება დასჭირდეს პარალელური განყოფილებები და ამასთანავე თუ ვიქონიებთ მხედველობაში იმასაც, რომ პანსიონში შეიძლება გყავდეს არანაკლები სამასი ყმაწვილისა, მაშინ ცხადი იქნება,

---

[4] გაზ. „დროება“, თებერვალი, 1879 წელი.

[5] ცსსა ფონდი 478, საქმე 288 ფურცელი.

[6] ა. ჯაბადარი — მოგონება. „მნათობი“, № 4, გვ. 203, 204, 1934 წ.

ჩვენ დაგვჭირდება კარგი მოზრდილი შენობა პანსიონისა და ყოველგვარი საჭიროებისათვის“ [7].

გამგე კომიტეტს ნ. ცხვედაძის შთაგონებით წინასწარ ჰქონდა გაანგარიშებული სასკოლო ოთახების რაოდენობა, მაგრამ სრული გეგმა ჯერ შედგენილი არ ჰქონია. ამიტომ კომიტეტს გამოუწერია პარიზიდან და ჰელსინკიდან საუნივერსიტეტო შენობების ალბომები. ნ. ცხვედაძე შეეცადა არ დაეფრთხო თავადაზნაურობა და ამიტომ ამავე კრებაზე განაცხადა: „ის შენობა, რომელიც ჩვენს სკოლას დასჭირდება, დაახლოებით გამოანგარიშებით დაგვიჯდება 150.000 მანეთი“ და მოუწოდა კრებას, რომ კეთილება საშვილიშვილო საქმე და ყველას, ვისაც უღვივის გულში თავისი მოძმისა და თავისი ქვეყნის სიყვარული, უნდა დაეხმაროს ამ საქმის წარმატებას, რითაც კი შეუძლიათ. ამასთანავე გამგე კომიტეტს რომ განემტკიცებია თავისი მდგომარეობა და მოეპოვებია ერთპიროვნული უფლება სკოლის შენობის აშენების საქმეში, ნ. ცხვედაძე კრებას კატეგორიულად თხოვდა: 1. საჭიროების შემთხვევაში მცოდნე პირთაგან შეედგინა სახლის აშენების კომისია; 2. მიემართა წერილობით საზოგადოების წევრებისათვის აღმოეჩინათ, რითაც მოეხერხებოდათ, შემწეობა სკოლის აგების თანხის შეგროვებისათვის, 3. მშენებლობისათვის სესხად აეღო ფული კერძო პირთაგან ან ბანკებისაგან, ან ბანკებში საზოგადოებრივი მამულების დაგირავების გზით. 4. საჭიროებისამებრ საადგილმამულო ბანკებისა და მათი ზედამხედველი კომიტეტის თანხმობით გაეყიდულიყო საზოგადოების რომელიმე მამული და ფული მოხმარებოდა სკოლის შენობის აგებას. 5. გამგე კომიტეტს უფლება ჰქონდა სრულიად თავისუფლად ემოქმედა სკოლის აშენების საქმეში. ამასთან ნ. ცხვედაძემ გააკეთა შემდეგი ხასიათის შენიშვნა: „რასაკვირველია, ყველა ამ უფლებების მონიჭება კიდევ არ მოასწავებს იმას, რომ გამგე კომიტეტი მოახერხებს სახლის აშენებას, ეს ძალიან სასარგებლო საქმეა ჩვენი ქვეყნისათვის. ფრიად მძიმეა და მოითხოვს მთელი საზოგადოების და თვითეული მისი წევრისაგან დიდ თანაგრძნობასა და დახმარებას“.

კრებამ ყველა ეს წინადადება უყოყმანოდ მიიღო. ამრიგად, ნ. ცხვედაძემ გამგე კომიტეტს მოუპოვა თავისუფალი მოქმედების უფლება, რომელიც ყველაზე მეტად თვით მას სჭირდებოდა. იმისათვის, რომ კიდევ უფრო ამაღლებულიყო ნ. ცხვედაძის ავტორიტეტი „საზოგადოების“ წევრთა თვალში და მეტი ნდობით მოჰკიდებოდნენ მის მოქმედებას საზოგადოების წევრები, ი. ჭავჭავაძემ წამოაყენა კრების წინაშე წინადადება კარგი მუშაობისათვის ნ. ცხვედაძისადმი მადლობის გამოცხადების შესახებ, რაც კრებამ ერთხმად დაამტკიცა [8].

კრების გადაწყვეტილების საფუძველზე კომიტეტმა გამოჰყო კომისია ნ. ცხვედაძის თავმჯდომარეობით, ვ. ყიფიანისა და გ. ჟურულის შემადგენლობით, რომელიც ფაქტიურად აწარმოებდა შენობის აგებას. კომისიამ მოიწვია არქიტექტორი ს. კლდიაშვილი, რომელსაც ურჩიეს იმგვარი პროექტის შედგენა, როგორითაც დღეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მთავარი კორპუსი გამოიყურება. 1900 წლის დასაწყისისათვის პროექტი უკვე მზად იყო. დაიწყეს მასალების მიზიდვა, გათხარეს საძირკველი, გაასწორეს მიწა, ააგეს დამხმარე საწარმოები—4 ქარხანა აგურის დასამზადებლად, რომელსაც 2 მილიონზე მეტი აგური უნდა გამოეშვა, გააკეთეს სამხერხაო, გაიყვანეს წყალსადენები, ააშენეს მასალის შესანახად 6— ფარდული, კანტორა, მშენებლებისათვის ოთახები, მოაწყეს ღვარსაშვებები, აღმოსავლეთის მხარეს დარგეს ქარსაფარი ხეები, გააშენეს ხეხილის ბაღი და სხვა საჭირო დამხმარე საწარმოები. ყველა ეს სამუშაო დამთავრდა 1900 წლის ოქტომბრისათვის. ამავე წლის 14 ოქტომბერს საზეიმო ვითარებაში მოხდა შენობის საძირკვლის კურთხევა. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა ივ. ყიფშიძის მოგონება: „მახსოვს 1904 წელს მეც დავათვალიერე მშენებლობა და ნიკომ გადმომცა ამ შენობის საძირკვლის ჩაყრის ერთერთი საინტერესო ამბავი, რომელიც ეხება 1900 წელს. ძველი ჩვეულება იყო, რომ შენობის, სახლის საძირკველში, მის კუთხეებში ჩაეყარა ოქროს ფული, მაგრამ ნიკო ცხვედაძეს ვინ მისცემდა უფლებას ოქრო კედლებში ჩაეყარა, იგი ოქროს ამისათვის არ გაიმეტებდა, მიღებული ადათი კი უნდა შეესრულებინა. საძირკვლის კურთხევაზე კი ბლომად ჰყავდა მოწვეული სტუმრები. ცხვედაძეს მოუტანია ქართული კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებებისა და ორგანიზაციების დაბეჭდილი წესდება და შუშის ცარიელი ბოთლები კარგი საცობებით, ყოველ ბოთლში ჩაუდვია რამდენიმე სხვადასხვა წესდება და ეს ბოთლები ჩაუტანებია საძირკველში. ქაღალდი ბოთლებში დიდხანს ინახება.

„დაე — ამბობდა ცხვედაძე, — თუ თბილისს კიდევ უწერია რომელიმე აღა-მაჰმად-ხანის შემოსევა და განადგურება. და თუ ამ შენობას მოელის დანგრევა, დაე, მტრებმა ნახონ მის საძირკველში ჩაყრილ ბოთლებში შენახული წესდებები და ისტორიას გადაეცეს თუ რა კულტურა ჰქონია საქართველოს XX საუკუნის დასაწყისში, რით სუნთქავდა ქართველი ერი და რას წარმოადგენდა იგი“ [9].

მშენებლობა დღე და ღამ არ წყდებოდა, ყველა მიმართულებით მიმდინარეობდა. 1900 წლის 15 დეკემბრიდან 1901 წლის 15 მარტამდე საძირკვლისა და პირველი სართულის კედლების ამოყვანა ერთი წუთით არ შეწყვეტილა. ამოყვანილი იქნა მთელი სახლის საძირკველი და ზემოდან გაილესა გუდრონით, რომ შენობა დაეფარა სინესტისაგან. სართულის ნაწილი, რომელიც მიწის ზემოთ არის, მოპირკეთებული იქნა ალგეთის ქვით. კედლებში დაატანეს სავენტილაციო მილები. გაკეთდა 320 კუბიკური მეტრის სოლოლაკის ქვის საძირკველი, 340 საჟენი სარდაფის აგურის კედლები, 203 კვ. საჟენი საძირკველი და 330 კვ. საჟენი გარე აგურის კედლები გაილესა გუდრონით. 165 კვ. საჟენი თლილი ალგეთის ქვით მოპირკეთდა პირველი სართულის ნაწილი და ყველა ამ სამუშაოთა შესრულებაზე დაიხარჯა 144.194 მანეთი, ე. ი. თითქმის იმდენი თანხა, რასაც ნ. ცხვედაძე თხოულობდა 1898 წელს თავადაზნაურთა კრებისაგან შენობის მთლიანად დამთავრებისათვის. მაგრამ ნ. ცხვედაძეს ახლა უკვე არაფერი აშინებს, იგი გაბედულად აშენებს უნივერსიტეტის მომავალ შენობას და მისთვის არ ზოგავს ძალასა და ენერგიას, რადგან მას გვერდში უდგას თბილისის გუბერნიის საადგილმამულო ბანკის გამგეობის თავმჯდომარე ი. ჭავჭავაძე და აძლევს სუბსიდიებს ბანკის „საზოგადოებრივი კაპიტალიდან“, „სასოფლო სამეურნეო კაპიტალიდან“, ამას გარდა აძლევს სესხს, საჭიროების მიხედვით, ასე, რომ 1907 წლის 1-ლი ივლისისათვის გამგე-კომიტეტს სკოლის მშენებლობისათვის მიუღია სულ 497 556 მანეთი. აქედან თბილისის საადგილმამულო ბანკმა უკანდაუბრუნებელი თანხა მისცა 71761 მ. ხოლო სესხის სახით 149 743 [10]. შენობის დამთავრებას კიდევ სჭირდებოდა 200 000 მანეთზე მეტი, რაც იგივე სადგილმამულო ბანკმა იკისრა და და 1912 წლის 1-ლი იანვრისათვის სკოლას ქონდა საადგილმამულო ბანკის ვალი 426 642 მანეთი[10], ამ დროისთვის დიდი ილია უკვე ხუთი წლის გარდაცვლილი იყო, მაგრამ მის დაწყებულ საქმეს აგრძელებდნენ მის მიერვე დაარსებული ბანკის ხელმძღვანელები. 1915 წლისათვის ბანკის ვალი ჩამოვიდა 141.452 მანეთამდე [11].

[7] გაზ. „ივერია“, № 89, 1898 წ.
[8] ცსსკ ფონდი 478, საქმე 37, გვ. 7.

[9] ივ. ყიფშიძე. უმაღლესი ტექნიკური განათლების ისტორიისათვის საქართველოში 7, გვ. 27.
[10] ცსსა ფ. 478, საქმე 223, გვ. 4.
[11] იქვე. გვ. 55.

1906 წლის ივლისში „საზოგადოების“ კრების დავალებით მშენებლობას ეწვია სარევიზიო კომისია ინჟინრების— დეკანოზიშვილის, ქურდიანის და ჯორჯაძის შემადგენლობით. კომისიის აქტში ვკითხულობთ, რომ შენობა აშენებულია პროექტის ზუსტი დაცვით და ეკონომიურად. ჩატარებული სამშენებლო სამუშაო დაახლოებით 11 ათას კუბ. საჟენს შეადგენს. დახარჯული თანხის მიხედვით კუბიკური საჟენი დამჯდარა 35 მანეთი, მაშინ, როდესაც სააქციო საზოგადოების მიერ ჩრდილოეთ კავკასიაში სახაზინო ღვინის ქარხნის მშენებლობა ყოველგვარი შინაგანი მოწყობილობის გარეშე კუბიკური საჟენი 65 მანეთი დამჯდარა, ე. ი. ხარჯები მინიმუმამდე არის შემცირებული, მაშინ, როდესაც შენობა მაღალხარისხოვნად არის აშენებულიო. კომისია სამართლიანად მიუთითებს, რომ ეს წარმატებები მშენებლების განსაკუთრებული მონდომებისა და დაუღალავი შრომის შედეგიაო. ნ. ცხვედაძე ყოველგვარ ხერხს ხმარობდა, რომ იაფად ჩაეგდო ხელში საშენი მასალა, თითქმის ყველა მუშას არწმუნებდა, რომ ეს შენობა შენდება მათი შვილებისათვის, შვილიშვილებისათვის და ამიტომ უნდა იმუშაონ განსაკუთრებულად გულმოდგინედ და იაფად. მართლაც, მუშები მუშაობდნენ ერთგულად და იაფად „ისტორია უფრო შეაფასებს ნიკო ზაველის ძე ცხვედაძეს, როგორც ქართველთა საკუთარი პირველ გიმნაზიის მშენებელს, რომელიც პასუხობს ყველა თანამედროვე მსგავს შენობების მოთხოვნებს“ [12] — ასკვნის საბოლოოდ სარევიზიო კომისია.

1906 წლის ნოემბერში ქართული გიმნაზია უკვე გადავიდა მის საკუთარ ახალ შენობაში, თუმცა შენობა დამთავრებული არ იყო, მაგრამ გიმნაზიას სხვა საშუალება არ გააჩნდა, შენობაში მოთავსდნენ აგრეთვე ქალთა გიმნაზიაც, ასევე საქართველოს საეთნოგრაფო და საისტორიო საზოგადოება მუზეუმით, რომელიც დაარსდა ე. თაყაიშვილის ინიციატივით 1907 წელს, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მუზეუმი და სხვა საზოგადოებები. 1915 — 1918 წლებში კი მთელი IV სართული დაიკავა წმინდა ნინოს სახელობის № 12 ლაზარეთმა.

ამ დაწესებულებებიდან მიღებული შემოსავლებითა და „შეუძლებელ მოწაფეთა შემწე საზოგადოების“ სხვა შემოსავლებით ხდება შენობის ვალის თანდათანობით დაფარვა.

1915 წელს თითქმის მთლიანად დასრულდა მშენებლობა, თუმცა მისი სულისჩამდგმელი ნ. ცხვედაძე ამას ველარ მოესწრო.

სამეურნეო ნგრევისა და ხალხთა რევოლუციური მღელვარებით შეშინებული რუსეთის თვითმპყრობელური მთავრობა 1916 წელს იძულებული შეიქნა განაპირა ქვეყნებისადმი სხვა იძულებით დათმობასთან ერთად დაემტკიცებია დებულება იმპერიაში ეროვნულ ენებზე უმაღლესი სასწავლებლის დაარსების შესახებ. მაგრამ მისი განხორციელება მაინც ჭიანურდებოდა. 1917 წელს, როდესაც თებერვლის რევოლუციის ქარიშხალმა დაბერა, შესაძლებელი შეიქნა განხორციელებულიყო ქართველი ხალხის დიდი ხნის ოცნება საქართველოში უნივერსიტეტის დაარსების შესახებ.

1917 წლის მაისში თბილისში მოწვეული იქნა კულტ-საგანმანათლებლო საზოგადოებების წარმომადგენელთა კრება. მან აირჩია „ქართული უნივერსიტეტის საზოგადოება“, რომელიც ფაქტიურად უნივერსიტეტის გახსნის საორგანიზაციო კომიტეტს წარმოადგენდა. აირჩიეს სხვადასხვა კომისიები, რომლებსაც ევალებოდათ უნივერსიტეტის წესდების შედგენა, უნივერსიტეტის გახსნისათვის სახსრების შეგროვება. დადგა ნანატრი დღეც, რაზეც ოცნებობდნენ და იღწვოდნენ უნივერსიტეტის მშენებლობის ინიციატორები ი. ჭავჭავაძე, ნ. ცხვედაძე, ე. თაყაიშვილი, ი. გოგებაშვილი, ს. კლდიაშვილი და სხვები. 1917 წლის 27 ნოემბერს ქართული გიმნაზიის ხელმძღვანელებმა მიიღეს პირველი მომართვა „ქართული უნივერსიტეტის საზოგადოებიდან“, რითაც „ფრიად საჩქაროდ“ აცნობებდნენ, რომ „რადგან მომავალ 1918 წლის პირველ იანვრიდან გადაწყვეტილია ქართული უნივერსიტეტის გახსნა, გამგეობა გთხოვთ დაუთმოთ უნივერსიტეტს სათანადო სადგომი ახლავე, რადგან ეს სადგომი შესაფერისად უნდა შეკეთდეს“ [13].

[12] იქვე, ფ. 478, საქმე 62, გვ. 52.

გიმნაზიის გამგე კომიტეტმა მაშინვე განიხილა „უნივერსიტეტის საზოგადოების გამგეობის ეს თხოვნა და მიიღო შემდეგი გადაწყვეტილება: „უსასყიდლოდ დაეთმოს ქართულ უნივერსიტეტს მეოთხე სართული გიმნაზიის შენობისა, სადაც მოთავსებული იყო წმინდა ნინოს საავადმყოფო, ხოლო განათება და გათბობა შენობის ამ ნაწილში საზოგადოებამ უნდა ითავოსო“ [14]. პასუხი მეორე დღესვე ეცნობა ქართული უნივერსიტეტის საზოგადოებას და საზოგადოებამაც დაიწყო შენობის ამ ნაწილის მიღება და ათვისება.

ასე, რომ ყველა საკითხი, რაც დაკავშირებული იყო უნივერსიტეტისათვის ახალ შენობაში გადასვლისა და გახსნისათვის, მოგვარებული იქნა 1917 წლის დამლევისათვის. 1918 წლის 26 იანვარს (ძველი სტილით) ქართველმა საზოგადოებამ დიდი ზეიმით აღნიშნა ეროვნული უმაღლესი სასწავლებლის—ქართული უნივერსიტეტის დაბადება, რომლის ორგანიზატორი იყო დიდი ქართველი მეცნიერი ივანე ჯავახიშვილი, იგი ამავე უნივერსიტეტის ერთადერთი ფაკულტეტის — სიბრძნისმეტყველების (ფილოსოფიის) დეკანად იქნა არჩეული, ხოლო უნივერსიტეტის პირველ რექტორად — ცნობილი ქართველი ქიმიკოსი პეტრე მელიქიშვილი.

დასაწყისში უნივერსიტეტში 18 პროფესორ-მასწავლებელი მუშაობდა, მათ შორის ივ. ჯავახიშვილი, პ. მელიქიშვილი, გ. ახვლედიანი, შ. ნუცუბიძე, ფ. გოგიჩაიშვილი, ა. რაზმაძე, დ. უზნაძე, ა. შანიძე, ე. თაყაიშვილი და სხვები.

1918 წელს იხსნება მეორე ფაკულტეტი — სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო და სამკურნალო, 1921 წელს გაიხსნა აგრონომიული ფაკულტეტი, 1922 წელს პოლიტექნიკური და სოციალ-ეკონომიური. 1922 წლის გაზაფხულს მოხდა ქართულ უნივერსიტეტდამთავრებულთა პირველი გამოშვება (28 კაცმა დაამთავრა, აქედან 3 ქალი იყო და 25 ვაჟი).

თანდათან იზრდებოდა უნივერსიტეტის სამეცნიერო კვლევითი მუშაობის წარმატებები. 1933 წლიდან უნივერსიტეტთან დაარსდა რამდენიმე სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი, რომლებიც შემდეგში გამოეყვნენ უნივერსიტეტს და გაერთიანდნენ სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ფილიალში. 1941 წელს კი მათ ბაზაზე შეიქმნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემია.

ამჟამად უნივერსიტეტში მუშაობს სსრ კავშირის აკადემიის სამი ნამდვილი წევრი: ნ. მუსხელიშვილი, ი. ვეკუა, ი. ბერიტაშვილი და 4 — წევრკორესპონდენტი — ა. შანიძე, გ. ახვლედიანი, გ. წერეთელი და მ. ამირანაშვილი. უნივერსიტეტის პროფესორებიდან 27 საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსია, 14 წევრ-კორესპონდენტი, 6 — სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, 3 — ლენინური პრემიისა.

უნივერსიტეტში ამჟამად 13 ფაკულტეტი და 100-მდე კათედრაა. უნივერსიტეტის კათედრებზე მუშაობს 950 პროფესორ-მასწავლებელი, აქედან 34 სსრ კავშირისა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრებია, 165 პროფესორი. ამჟამად, უნივერსიტეტში სტუდენტთა რიცხვი 13 ათასს აღემატება. მათ ყველა პირობა აქვთ შექმნილი არა მარტო მეცნიერების დაუფლებისათვის, არამედ ყოველმხრივი განვითარებისათვის.

[13] ცსსა ფონდი 478, საქმე 263 გვ. 82.

[14] იქვე, გვ. 110.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იალტის ავტოსადგურის საერთო ხედი



იალტის ავტოსადგური აგებულია ქართველი არქიტექტორების პროექტით. ამ სადგურის ავტორებია: არქიტექტორები გ. ჩახავა (ავტორთა ჯგუფის ხელმძღვანელი), ზ. ჯალაღანია და ო. ნახუცრიშვილი. უკრაინის რამდენიმე ორგანიზაციამ არქიტექტორი გ. ჩახავა და ინჟინერი კ. რისენკო 1968 წლის სახელმწიფო პრემიაზე წარადგინა.

# ავტოსადგური იალტაში

ლადო მესხიშვილი,
ნოდარ მგალობლიშვილი

გაზეთებიდან და ჟურნალიდან ვიცოდით, უამრავი მნახველისაგან გაგვიგონია, რომ ყირიმის ნახევარკუნძულზე, იალტაში, ქართველ არქიტექტორებს საბჭოთა კავშირში უდიდესი ავტოსადგური აუგიათ და როგორც ყველა ამბობდა — საკმაოდ კარგი.

ძალიან გვაინტერესებდა ამ შენობის ნახვა. ამიტომ, როდესაც საქართველოს არქიტექტორთა კავშირმა დაგვავალა იალტაში წასვლა და ავტოსადგურის ადგილზე დათვალიერება და შეფასება, სიამოვნებით დავთანხმდით. ეს პატარა მოგზაურობა ერთად უნდა ჩაგვეტარებინა, ხოლო ერთად მოგზაურობის გამოცდილება უკვე გვქონდა: ვიყავით ბულგარეთში, რუმინეთში, საფრანგეთში, იუგოსლავიაში, მონტე-კარლოშიც კი, ხოლო ყირიმში ერთად არა ვყოფილვართ.

წასვლის წინ ოდნავ ვღელავდით: ერთის მხრივ ყირიმის სანაპიროს და ახალი განაშენიანების ნახვის სასიამოვნო მოლოდინი, მეორეს მხრივ იალტის ავტოსადგურის არქიტექტურული ღირსებანი, ხომ შეიძლებოდა, გაზვიადებული ყოფილიყო. საკუთარი თვალით ნანახი შენობა ხშირად სრულიად საწინააღმდეგო შთაბეჭდილებას ტოვებს, ვიდრე წაკითხულითა და მონაყოლით შექმნილი სახე.



არქიტექტორი
გიორგი ჩახავა

გადავფრინდით სიმფეროპოლში, საიდანაც მანქანით გადმოვლახეთ ყირიმის მთები. ჩვენ წინ გადაიშალა ზღვის უსაზღვრო სივრცე და საოცრად ლამაზი და თავისებური ყირიმის სანაპირო. განსაკუთრებით საინტერესო მდებარეობა აქვს იალტას. იგი გახსნილია ზღვისკენ ბუნებრივ ამფითეატრად, რომელიც შექმნეს უცნაურად შემჭიდროვებულმა გამწვანებულმა მთებმა. ამფითეატრი გადასერილია მთის ორი მდინარით გაჭრილი ხეობებით.

ავტოსადგური აშენებულია ოდნავ ჩავარდნილ ადგილას, სადაც სიმფეროპოლ-სევასტოპოლის და იალტის მაგისტრალების გზაჯვარედინი იკვეთება მდინარე ბისტრაიას ხეობით. ამ გადასერილ ნაკვეთზე, ძალიან რთულ რელიეფზე ორგანულად და ოსტატურად ჩადგმულია ავტოსადგურის ჰორიზონტალურად გადაწყვეტილი შენობა.

ახლა, როდესაც უყურებ დამთავრებულ შენობას და ამ შენობის გარშემო გზების გადაკვეთის დახლართულ და ამავე დროს მარტივ კვანძს, ფიქრობ, რომ ეს ერთადერთი ადგილია, სადაც შეიძლებოდა ავტოსადგურის აგება. შენობა ისე ზუსტად არის ჩაწერილი რთულ გარემოში, ისე ლოღიკურადაა გადაწყვეტილი მოცულობით და სივრცეში, ისე ბუნებრივად არის მორგებული ციცაბო რელიეფზე, რომ გებადებათ აზრი — შენობის ამ ადგილზე განლაგება ნამდვილად ოპტიმალურია. ერთი ნაბიჯითაც ვერ დაძრავ ადგილიდან, რადგან მთელი ეს აწყობილი სისტემა დაირღვევა.

მაგრამ ეს ყველაფერი ახლა ჩანს, რამდენიმე წლის წინათ კი, როდესაც ირჩევდნენ ადგილს ავტოსადგურისათვის, აღნიშნული ნაკვეთი დიდ წინააღმდეგობას იწვევდა: მთის მდინარე და რთული რელიეფი გადაულახავ სიძნელედ იყო მიჩნეული.

როდესაც ნაკვეთი შეარჩიეს, გადაწყდა, რომ მდინარე მილში იქნება მომწყვდეული, ხოლო ხეობა ამოივსება მიწაყრილით, რელიეფი გასწორდება მოჭრილი და დაყრილი მიწის ხარჯზე.

ავტორებმა სამართლიანად არ გაიზიარეს ეს რა თქმა უნდა, მცდარი აზრი. ავტოსადგურის პირველი და მნიშვნელოვანი ღირსება სწორედ რელიეფზე მისი კარგად მორგებაა, ავტორების მიღწევაა საერთო კომპოზიციაში მთის მდინარისა და ხეობის შეყვანა, სხვადასხვა დონეების გამოყენება ფუნქციური გრაფიკის გაუმჯობესებისათვის.

რა თქმა უნდა, შემოქმედების თვალსაზრისით იოლი იყო ნაკვეთის ჰორიზონტალურ ბაქნად გადაკეთება, მოშანდაკება და ამ ბაქანზე ორდინარული ავტოსადგურის აგება, მაგრამ ასეთი გადაწყვეტა გაცილებით უფრო ძვირი დაჯდებოდა, ვიდრე საბოლოოდ არჩეული ვარიანტი.

ამიტომ მართებული გამოდგა ავტორების აზრი, რომ უკუეგდოთ იოლი გზა და მოენახათ თუმცა რთული, მაგრამ ესთეტიკური და ეკონომიური თვალსაზრისით გაცილებით უფრო მომგებიანი გადაწყვეტა. დაიწყო ძნელი ძიება. ბუნების რთული რელიეფი, მთელი თავისი პირველყოფილი სახით უნდა გამხდარიყო არქიტექტურული კომპოზიციისა და ტექნოლოგიური პროცესის კომპონენტი. ამავე დროს თანამედროვე ავტოსადგურის არქიტექტურულ ფორმებს არავითარ შემთხვევაში არ უნდა ეკამათა ირგვლივ ლანდშაფტთან. პირიქით. რბილად და უკონფლიქტოდ უნდა ჩაწერილიყო ურთულეს გარემოში.

*

*　*

იალტის ავტოსადგურის შენობა ზღვის მხრიდან ოთხსართულიანია, ხოლო მთების მხრიდან — სამსართულიანი. პირველი სართულის გადახურვა გადაწყვეტილია როგორც მთლიანი ფირფიტა, რომლის ერთი მხარე ებჯინება მთის კალთას, ხოლო მეორე მხარე თავისუფლად დევს პირველი სართულის კოლონებზე. სწორედ ეს ფირფიტა ასრულებს როლს იმ მოშანდაკებულ საამშენებლო ნაკვეთისა, რომელიც საფუძვლად ედებოდა პირველ ვარიანტს და ითვალისწინებდა დიდ მიწის სამუშაოებს.

ამრიგად მიწაყრილის მაგიერ ფირფიტის ქვეშ მიღებულია საკმაოდ ვრცელი ფართი, რომელზედაც ორგანიზებულია ავტოსადგურის ძირითადი სათავსოები: სალაროების დარბაზი, ცნობათა ბიურო, მოსაცდელი დარბაზი ზაფხულის პერიოდისათვის, ბარგის შესანახი საკნები, დიდი რესტორანი სამზარეულოთი და ყველა საჭირო სა-



ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა



იალტა. ხედი ავტოსადგურზე

თავსოთი, სუვენირების მაღაზია და სხვ. ეს სათავსოები გამოდიან ქალაქის ტრანსპორტის ბაქნებზე და მდებარეობენ იმავე დონეში.

მთის მდინარე გამჭვირვალე წყლით და ლამაზი კალაპოტით, იმის მაგიერ, რომ მომწყვდეულიყო რკინაბეტონში, თავისუფლად მიედინება პირდაპირ შენობაში, თუ შეიძლება ასე ითქვას, ინტერიერში, პირველი სართულის გადახურვის ქვეშ გარდა ამისა, რომ ეს ჩქარი და მხიარული მდინარე სადგუ-

4. „საბჭოთა ხელოვნება“, № 9. 1968.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



იალტის ავტოსადგურის წინა ფასადი

რის ინტერიერის კომპოზიციაში ასრულებს მხატვრულ როლს, მას აქვს საკმაოდ ფუნქციური დატვირთვაც, — შემოაქვს სიგრილე. ზაფხულის სიცხეების დროს, მდინარის სიგრილე, სასიამოვნო ხმაური და საერთო ლამაზი ხედი ძალზე თავისებურ და ხალისიან განწყობილებას ქმნის.

მეორე სართული საერთო კომპოზიციაში წარმოადგენს ერთგვარ კვარცხლბეკს, რომელზედაც განლაგებულია ერთიანად გადაწყვეტილი მესამე და მეოთხე სართულებისაგან შემდგარი მოცულობა.

ავტოსადგურის შენობა ერთმანეთისაგან ჰყოფს საქალაქო და საქალაქთაშორისო ტრანსპორტის სადგომებსა და გაჩერებებს.

ქალაქთა შორის მიმომსვლელი ავტობუსების ბაქანი, რომელიც უშუალოდ არის დაკავშირებული ხელოვნურ პარკთან, განლაგებულია მეორე სართულის დონეზე. გარდა ამისა, მეორე სართულზე მდებარეობს ბილეთების წინასწარი გაყიდვის სალაროები, სადისპეტჩერო, საპარიკმახერო, ფოსტა-ტელეგრაფი და ღია ცის ქვეშ განლაგებული დიდი მოსაცდელი ბაქანი. აქედანვე შეიძლება გასვლა ტაქსებისა და მსუბუქი მანქანების სადგომთან. ყველა ეს ბაქანი გაერთიანებულია ქვის განიერი კიბეებით პანდუსებითა და მიწისქვეშა გადასასვლელებით.

მესამე სართულზე განლაგებულია ხანგრძლივი დასვენების დარბაზი ბარით, დედათა და ბავშვთა ოთახი და სადგურის ადმინისტრაცია. მეოთხე სართულზეა სასტუმრო მძღოლებისათვის და დაგვიანებული მგზავრებისათვის, ოთხივე სართული ვერტიკალურად დაკავშირებულია ერთმანეთთან ორი კიბით, რომელთაგან ერთერთი საზეიმოა — ფრიად ორიგინალური კონსტრუქციისა. კიბის საფეხურები კონსოლებად გამოდიან მონოლითური კოსოურიდან. კიბე მსუბუქი და ხალვათი გამოვიდა.

ავტოსადგურის შენობის განხილვა

ეროვნული ბიბლიოთეკა



იალტის ავტოსადგურის შესასვლელი

არ შეიძლება ცალკე. ეს ნაგებობა ძირითადი ელემენტია დიდი კომპლექსისა, რომელიც 20 ჰექტარზეა განლაგებული და შედგება სატრანსპორტო კვანძისაგან, მაგისტრალებისაგან, ვიადუკებისა და მიწისქვეშა გადასასვლელებისაგან, შენობის ჰორიზონტალური ხაზები კონტრასტულად ეფარდებიან მის გარშემო მდებარე ვერტიკალურ მთებს, ხოლო მთელი კომპლექსის კომპოზიცია არბილებს ამ კონტრასტს და დიდი ტაქტითაა ჩაწერილი ბუნების დიდებულ პეიზაჟში. ამრიგად, რთული რელიეფი და ლანდშაფტის ნაირსახეობა გადაულახავი სიძნელისაგან ავტორების მოკავშირედ გადაიქცა. გზაჯვარედინებისა და ტრასის სწორად გადაწყვეტამ, ბუნებასთან ორგანულად დაკავშირებამ, ავტოსადგურის მთელ კომპლექსს მიანიჭა პლასტიკური ცხოველხატულობა. რა თქმა უნდა, პირველ რიგში იდგა ფუნქციური მხარე. ტრანსპორტის მოძრაობა ამ კვანძში ძალიან მარტივია და მოხერხებული.

გარდა თვალნათლივი ესთეტიკური და ტექნოლოგიური უპირატესობისა, უნდა ითქვას, რომ ავტორების მიერ განხორციელებული ვარიანტი ეკონომიურადაც გაცილებით უფრო ეფექტიური გამოდგა, ვიდრე პირველად იყო

ეროვნული ბიბლიოთეკა



იალტის ავტოსადგურის მისადგომი

ჩაფიქრებული. მართლაც, საამშენებლო ბაქნის გასწორება გამოიწვევდა ძალიან დიდსა დ ძვირ მიწის სამუშაოებს. ორი ვარიანტის შედარება გვაჩვენებს, რომ მშენებლობის საერთო ღირებულების გაუდიდებლად, განხორციელებულ ვარიანტში ორჯერ მეტი სასარგებლო ფართია მიღებული, ე. ი. მშენებლობა თითქმის ორჯერ უფრო იაფი დაჯდა.

ავტოსადგურის შენობა გადაწყვეტილია მოქნილი კონსტრუქტიული სქემით, იალტისათვის დამახასიათებელი

ეროვნული
ბიბლიოთეკა



იალტის ავტოსადგურის ვესტიბიული

რვა ბალიანი სეისმურობის გათვალისწინებით. შენობის კარკასი შედგება რკინაბეტონის ანაკრეფი ჩარჩოებისაგან, რომლებიც ხისტად არიან დამონოლითონებული ერთმანეთთან. ყველა ეს ჩარჩო უნიფიცირებული იყო და დამზადდა ერთსა და იმავე ყალიბში. სართულშუა გადახურვა შესრულებულია რკინაბეტონის სტანდარტული ფილებით, მომქმედი კატალოგების თანახმად.

ფასადების შემინვა განხორციელებულია ვიტრაჟებით რომლებიც ფოლადის მართკუთხა კვეთის თხელკედლიანი მილებისაგან შედგება. ამ მილებში სპეციალური რეზინის ელემენტების საშუალებით დაყენებულია მინები, ასეთივე პრინციპითაა დამონტაჟებული მინები თანამედროვე აეტომანქანებში. მეიტრაჟის ეს კონსტრუქცია ხარისხით არ ჩამოუვარდება ალუმინისა და ფოლადის ალათებს, ღირებულებით კი ბევრად უფრო იაფია.

სამხრეთის ფასადი მთლიანად დაცულია მზის სხივების გადახურებისაგან ავტომატური ჟალუზებით, რომლებიც დამზადებულია დაშტამპული უჟანგავი ფოლადის ფურცლებისაგან. და ფასადიდან 40 სმ წინ არის გამოტანილი. ჟალუზების ფურცლებს ხისტი პროფილი აქვს. ყოველ ფურცელს აქვს ავტომა-

ეროვნული ბიბლიოთეკა



იალტის ავტოსადგურის მისადგომები

ტური ამძრავი რომელიც რეაგირებს მზის სხივზე. სინქრონულად აბრუნებს ფოლადის ფურცლებს და აყენებს იმ კუთხით, რომელიც საჭიროა ამა თუ იმ სიმაღლეზე მყოფი მზის სხივებისაგან დასაცავად.

ავტორების დამსახურებაა, რომ სამხრეთის მძლავრი მზისაგან დასაცავად აუცილებელი ღონისძიება — ავტომატური ჟალუზებით მთლიანად დაფარული კედელი, გადაიქცა არქიტექტურულ მოტივად, რომელმაც შენობას ინდივიდუალური და თანამედროვე სახე მიანიჭა.

ავტომატიკა და ტელემექანიკა გამოყენებულია აგრეთვე სადისპეტჩერო სამმართველოში, სადაც გადაწყვეტილია ინფორმაციის რთული და სხვადასხვა პრობლემა.

ავტოსადგურის ინტერიერებში საინტერესოდ არის გამოყენებული სახვითი ხელოვნება. სასიამოვნო შთაბეჭდილებას სტოვებს რესტორნისა და სხვა სათავსოების კედლებზე განლაგებული ჭედური ხელოვნების ნიმუშები. თითბერზე და მელქიორზე ნაჭედი რელიეფები ქართველმა მხატვრებმა შეასრულეს. აქ არის ა. გორგაძის, ო. ქოჩაკიძის’ ნ. სლოვანსკის, ი. ჩიკვაიძის და სხვათა ნამუშევრები.

პირველი სართულის იატაკი დაფარულია ლაბრადორის შავი ფილებით, რამდენიმე ადგილას დატოვებულია დიდი რიყის ქვები. პოლირებული შავი გრანიტის მეზობლობა უხეშ ქვის ლოდებთან მოულოდნელსა და სასიამოვნო ეფექტს ქმნის. კონტრასტული დაპირისპირება ხელოვნურისა ბუნებრივთან — ოდნავ გაზვიადებულია და შესანიშნავად ეხამება ყირიმის მთებისა და ავტოსადგურის შენობის დაპირისპირება-დაკავშირებას.

ჩვენი აზრით, იალტის ავტოსადგურის შენობის ავტორები ღირსნი არიან სახელმწიფო პრემიის ლაურეატების საპატიო წოდებისა.

იალტის ავტოსადგურის სასადილო



# ინდოეთის მუსიკოსებთან



დამაიანტი ჯოში

შალვა მშველიძე

ინდოეთს „საოცრებათა ქვეყანას“ უწოდებდნენ. ბოლო დროს აქ დიდი ძვრები მოხდა, რამაც საფუძვლიანად შეცვალა მისი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრება და სათანადო კვალი დააჩნია ხალხის ყოფა-ცხოვრებას, მის კულტურას, ჩვევებს...

ინდოეთში მივლინებული საბჭოთა კომპოზიტორების დელეგაციის მიზანი იყო გასცნობოდა ქვეყნის მუსიკალურ კულტურას და განემტკიცებინა შემოქმედებითი ურთიერთობა ინდოეთის მუსიკოსებთან. ამ მიზნით ვეწვიეთ დელის, კალკუტას, მადრასს, მამალაპურამს, ბომბეის, აგრას, სიკანდრას და სხვ.

კოლონიალიზმმა მძიმე, წარუშლელი კვალი დატოვა ინდოეთში. დღესაც მეფობს სიღატაკე, შიმშილი, უბინაობა, უმუშევრობა, სნეულებანი. ინდოეთი კონტრასტების — მდიდრებისა და ღარიბების, განათლებულთა და წერა-კითხვის უცოდინართა ქვეყანაა. დღესაც მძიმე შთაბეჭდილებას სტოვებენ ეგრეთ წოდებული რიქშები... ხალხი ბინადრობს უდაბნოებში, ნახევრად უდაბნოებში, კლდოვან ადგილებში, ჯუნგლებში...

ინდოეთში ბატონობს მრავალი რელიგიური მიმდინარეობა: ბუდიზმი, ინდუიზმი, ისლამი, ქრისტიანობა (მცირე რაოდენობით) და სხვა, რომელთა მიხედვით სამყაროს და ბუნების მოვლენათა „გაღმერთება“ ხდება. რელიგიათა უმრავლესობა სულის მარადისობის მოძღვრებას ქადაგებს, ბატონობს რწმენა ადამიანის სულის უკვდავების, მისი გამუდმებული აღორძინების შესახებ. ამიტომ ამ ქვეყნიდან „წასვლა“ სასიხარულო მოვლენად ითვლება. რელიგიათა სიმრავლე აფერხებს საზოგადოებრივი ცხოვრების პროგრესს, ქვეყნის მთლიანობასა და შეკავშირებას. რა თქმა უნდა, ეს სიტუაცია შესანიშნავად უწყობდა ხელს კოლონიზატორებს წარსულში.

უარყოფით როლს თამაშობს ენათა და დიალექტთა სიმრავლეც. ცნობილია, რომ ინდოეთის ტერიტორიაზე 15 მთავარი, და რამდენიმე ათეული ენა, აგრეთვე ასობით დიალექტი არსებობს. წიგნები, გაზეთები, კინოფილმები, რეკლამები, აბრები იწერება ამა თუ იმ პროვინციის ადგილობრივ ენაზე, თავისი საკუთარი დამწერლობით და შრიფტით.

მაგრამ ყოველივე ეს მაინც ვერ აჩერებს ქვეყნის დიდ პროგრესს, თანამედროვე ინდოეთის დიდ მიღწევებს. ზეაღმართულან ბხილაისა და დურგაპურის მეტალურგიული ქარხნები და კომბინატები, საფეიქრო წარმოებისა და აბრეშუმის ქსოვილის გამომშვები ფაბრიკა-ქარხნები საუკეთესო შალეულსა და აბრეშუმის ნაწარმს ამზადებენ. მუშაობა დაიწყო უდიდესმა ორთქლმავალმშენებლმა ქარხნებმა. მდინარეებისა და ზღვების ნაპირებზე გუგუნებენ გემსაშენი ქარხნები, გაჩნდა ეროვნული წარმოების მსუბუქი და მძიმე ავტომანქანები, უნივერსიტეტებში იზრდებიან ახალგაზრდა კვალიფიციური სპეციალისტები...

ამ მიღწევებში თავისი წვლილი შეაქვს საბჭოთა ხალხსაც; მეტალურგიულ ქარხნებში ათასობით საბჭოთა მუშა და ინჟინერი მუშაობს. ჩვენი სიმპათიები ყოველთვის მრავალტანჯული, მაგრამ სულით ძლიერი, კოლონიალიზმის მძიმე უღლისაგან განთავისუფლებული ინდოელი ხალხის მხარეზე იყო. ამიტომ არის, რომ ისინიც დიდი პატივისცემით არიან გამსჭვალულნი საბჭოთა ხალხისადმი. ჩვენ ვგრძნობდით ამას ინდოეთის მთელ ტერიტორიაზე.

ნიჭიერ ინდოელ ხალხს საუკუნეების მანძილზე შექმნილი აქვს ლიტერატურისა და ხელოვნების დიადი ნაწარმოებები. სახელდობრ, ცნობილი სალიტერატურო ძეგლები: „მახაბჰარატა" (თქმულება ბჰარატების დიდ ბრძოლაზე) და „რამაიანა" — ძველი ინდური ეპოსი. ისინი ნათლად გვიხატავენ ძველი ინდოეთის სოციალურსა და მორალურ საყრდენს.

ინდოეთის კულტურა მდიდარია მუსიკით, ცეკვით, ჭედური ხელოვნებით, იარაღის კეთებით, ხალიჩებისა და აბრეშუმეულის ქსოვით, ოქროს, ვერცხლის, ბრინჯაოს, სპილოს ძვლის ნატიფი მოსევადებით, სასახლეებისა და ტაძრების მოხატულობით.

ინდური ძეგლები თავისებური და მშვენიერია. საკმარისი იქნება დავასახელოთ რამდენიმე მათგანი: რამეშვარის ათასსვეტიანი გალერეა, ამრიტსარის ოქროს სასახლე, ქნაჯურახოს არქიტექტურული ანსამბლი, ვიშნუს სვეტებიანი ტაძარი ოქროს ლოტოსთა ტბით შრირანგამში, ტაძართა კომპლექსი მამალაპურამში, (ბენგალის სრუტის ნაპირზე), ქვის მაღლივი შენობა-სვეტი ჯაინის კირტისტამბხა ჩიტარში, საყოველთაოდ ცნობილი ფორტი და ქალაქის კარი, აგრეთვე კუტუბ-ედ-დინის მიზგითი და მინარეთი დელიში, აკბარის ღირსშესანიშნავი სასახლე და საფლავი სიკანდრაში, მარმარილოს მავზოლეუმი „ტაჯ-მახალი" — აგრაში, მარმარილოზე წარწერებისა და ჩუქურთმების მაღალი ხელოვნება აჯანტსა და ახმედაბადში და სხვა ღირსშესანიშნაობანი — ჯაიპურსა და ბხუვანეშვარასა, ჩაიდამბარამსა და ამრიტრარში.

განსაკუთრებით დამაინტერესა ინდურმა მუსიკამ, რომლის ძირითადი თემაა — ადამიანი და მისი ურთიერთობა გარესამყაროსთან. ინდური მუსიკა სადაა და ამავე დროს ამაყი, დიადი, ამაღლებული. მას ძალზე თვითმყოფადი მელოდიური ბუნება აქვს, შეიცავს ორიგინალურ ინტონაციებსა და რიტმულ კონსტრუქციას. ინდური მუსიკა აღსავსეა ამაღლებული ჰიმნებით, სამშობლოს, გმირებისა და შრომისმოყვარე ადამიანების განდიდებით. იგი უმღერის წმინდა სიყვარულს და მაღალ ადამიანურ ღირსებებს. ზოგადსაკაცობრიო თემატიკა მასში თავისებურ გადაწყვეტას იღებს. ამგვარად, ინდურ მუსიკაში — ცეკვებსა თუ სიმღერებში მარტო რელიგიური თემები როდია ასახული, იგი ხსნის უბრალო ადამიანთა სამყაროს, ხალხის ცხოვრებას, საქმიანობას, განცდებს, ინტერესებს... ხშირად მუსიკაში ძველი ინდური ხალხური საგმირო ეპოსის „მახაბჰარატას" და „რამაიანას" ყოვლისმომცველი შინაარსის მოტივებია ასახული.

ინდური მუსიკა ვოკალური და საკრავიერია. მუსიკოსები, მომღერლები ინდოეთში უსაზღვრო პატივისცემით სარგებლობენ. მათ აყენებენ ბრძენთა, მოაზროვნეთა, პოეტთა, ისტორიკოსთა და ადამიანის ფსიქოლოგიის შემსწავლელთა შორის.

ვოკალური მუსიკა სრულდება სხეულის პლასტიკური მოძრაობის თანხლებით, რომელიც შეესაბამება ნაწარმოების შინაარსს. ამას ხეირონომიას უწოდებენ.

ინდოეთის მუსიკა ძირითადად ერთხმიანია. საგუნდო მუსიკაზე ჰარმონიაზე და პოლიფონიაზე მათ წარმოდგენა არა აქვთ. მრავალთად ხდება სხვადასხვა საკრავების შეერთება. ამგვარი კოლექტივები კარგად არიან გაწვრთნილნი. მახვილი გამოკვეთილი რიტმი მონოლიტურობას ანიჭებს ანსამბლს. ანსამბლური სიმღერის ან დაკვრის დროს (რაც მათ კინოსურათებში უხვად გვხვდება), მღერიან უნისონში ან ერთ გაბმულ ბგერაზე, რომელიც შეიძლება საათობითაც გრძელდებოდეს. ამას ჩვენ ბან-ბურდონს ან საორღანო პუნქტს ვუწოდებთ, რაც ჩვენში დიდიხნის წინათ განვლილ ეტაპს წარმოადგენს. მუსიკა ერთხმიანია, მაგრამ მელოდია მეტად ექსპრესიული, შინაარსიანი და განვითარებადი ხასიათისაა.

ინდოეთის სამუსიკო საკრავებიდან აღსანიშნავია:

ვ ი ნ ა — ინდოელების უძველესი, საყვარელი საკრავი. ვინაზე უკრავენ დამკვრელ-პროფესიონალები. არსებობს ვინას რამდენიმე სახეობა. მისი მოწყობილობა უბრალოა. ხის დიდი კორპუსი გოგრის ფორმის ორი საკმაოდ დიდი რეზონატორით. გოგრები, უმეტეს შემთხვევაში, ინდონეზიიდან შემოაქვთ. ვინას ყელზე, თითების რეგულირებისათვის, 20-22 ფარდა აქვს გაკეთებული. მასზე გაბმულია 7 სიმი — ოთხი ფარდებზე და სამიც გრიფის — ყელის გასწვრივ ორივე მხარეზე, რაც საჭიროა დაკვრის დროს აკომპანემენტისათვის. მასზე უკრავენ მარჯვენა ხელის ნეკით. შესრულების ყველა ტექნიკური საკითხი ვინაზე ადვილი მოსაგვარებელია; თითების მდიდარი ტექნიკა უზრუნველყოფს ადამიანის სულიერი განწყობილებისა და ხასიათის გადმოცემას. ვინაზე, სიმების გაწელვით, გაჭიმვით, რაც დაკვრის დროს საკრავის ყელზე ხდება, ბგერა აიწევა ან დაიწევა მეოთხედი და მესამედი ტონით. ასეთი „მიკროტონები", რომლებსაც ინდოელები „შრუტის" უწოდებენ, ბევრია. ამიტომ გამაბგერათა რიგი დამატებითი ნაწილებისაგან შედგება, რომელთა რიცხვი 18-20-ს უდრის. მაშასადამე, ბგერათა შკალა დაყოფილია ტონებად, რომელთა სიმაღლის აღქმა შესაძლოა ადამიანის ნორმალური სმენისათვის. ამაშია ინდური მუსიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თვისება. გარდა ამისა, ბგერის ხშირი დაცურება — გლისანდო ალამაზებს მელოდიის ქარგასა და ქსოვილს.

ვინას წარმოშობა უძველეს პერიოდს მიეკუთვნება, ამიტომ იგი განსაკუთრებული სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობს. მას ხშირად ინახავენ სამლოცველო ოთახებში, ბუდას გამოსახულებების გვერდით. ძველად ვინას ოქროსა და ვერცხლისაგანაც კი აკეთებდნენ. უკრავენ მასზე ფეხმორთხმულ, დამჯდარ მდგომარეობაში. დასაკრავი ადგილი ამაღლებულია.

ს ი ტ ა რ — ხალხური სამუსიკო საკრავი ხის დიდი ყელით, რომელსაც ქვედა, ძირითად ნაწილში მიდგმული აქვს მოზრდილი გოგრა. იგი უზბეკეთსა და ტაჯიკეთში გავრცელებულ საკრავ სიტარს მოგვაგონებს. სიტარზე 16-18-20 ფარდაა გაკეთებული, აბრეშუმის კონის სათანადო დახვევით საკრავის ტარზე. საკრავს აქვს სამი ძირითადი და ათი სარეზონანსო სიმი, რომლებიც წმინდა კვარტისა და კვინტის ინტერვალებით აიწყობიან. იხმარება როგორც სიმებიანი, საბრწყინლი საკრავი. დაკვრის დროს დამკვრელი თითის წვერებზე ლითონის პლექტრონებს იკეთებს. საკრავის სახელწოდება წარმოდგება სპარსული სიტყვებიდან: სი — (სამი), ტარ — (სიმი). ფართო ყელზე სიმების „გაჭიმვის" შედეგად წარმოიშობა მთელი რიგი „მიკროტონები" — „შრუტის" სახელწოდებით, რაც ინდური მუსიკისათვის არის დამახასიათებელი.

ს ა რ ო დ — ლითონის სიმებიანი, საბრწყენლი სამუსიკო საკრავი, რომელსაც ხალხში „შემოდგომის ვინა" ეწოდება. მას აქვს 3-4 ძირითადი და 11-15 სარეზონანსო სიმი. ფრიად გავრცელებული საკრავი საროდი აიგება ხის კორპუსით, მოკლე ყელით და ტყავის დეკით. ძირითადი სიმები კვარტა-კვინტით აიწყობა, სარეზონანსო კი დიატონური გამის ფარგლებში. უკრავენ მასზე დამჯდარ მდგომარეობაში, დამკვრელს ფეხები ჯვარედინად აქვს დაწყობილი, საკრავი კი ვერტიკალურ მდგომარეობაშია. საროდს ბევრი საერთო აქვს ავღანურ ერთსახელიან საკრავთან.

ს ა რ ა ნ გ ი — სიმებიან-ხემიანი საკრავი, ფორმით რამდენადმე

ეროვნული ბიბლიოთეკა

წააგავს საროდს, მაგრამ მასზე ხემის საშუალებით უკრავენ. საკრავი შესრულების დროს ვერტიკალურ მდგომარეობაშია.

ტ ა ნ პ უ რ ა — ოთხხმიანი, მუსიკალური თანხლების საკრავი. მას ფარდები არ უკეთდება, რადგან მხატვრული ღირებულება ამ საკრავისა არ არის მაღალი, და მეორეც, მისი ძირითადი მნიშვნელობაა — შექმნას 4 სიმისაგან გამუდმებული ბანი — ერთი შეუწყვეტელი ტონიკური ხმოვანება ოქტავასა და კვინტაში. საკრავი ორნამენტირებული და ინკრუსტირებულია.

ბ ა ნ ს ჰ ო რ ი ა ნ უ ბ ა ნ ს უ რ ა — ენაკიანი, ხის ჩასაბერი საკრავი. იგი სალამურის მსგავსია, მაგრამ თავისებური ელფერით და იერით. ხისაგან კეთდება და არა ლერწმისაგან. ბგერა საალერსოა, რბილი, მაგრამ მსუყე და სავსე ხმოვანება აქვს.

ნ ა დ ო ს უ რ ა მ — გრძელი, ხის ჩასაბერი საკრავი, რომელიც საყვირს მოგვაგონებს, უფრო სწორედ, ძალოვან და მჭახე ინგლისურ ქარახსას. ამ საკრავით (ან რამდენიმეთი ერთად) მიესალმებიან ახალმოსულთ, საპატიო სტუმრებს. ეს სიამოვნება ჩვენცა გვხვდა წილად ქალაქ მადრასში. საყვირები დამკვრელებს ყელზუკით მაღლა ჰქონდათ ზეაწეული, ძველებური წესით. ეს საკრავი განსაკუთრებით გავრცელებულია მადრასის შტატში, დაკვრის დროს ძლიერ ღრმა სუნთქვას საჭიროებს. ნადოსურამის ყულზუკი შროშანას დიდ გაშლილ ყვავილს მოგვაგონებს. ორკესტრში მას ორ ცალად ხმარობენ.

რ ა მ ა შ რ ი ნ გ ა — მისი სიგრძე ორ მეტრამდეა. ძალიან წააგავს უზბეკურ საკრავს სურნაის, რუმინულ — ბუჩუმს და დასავლეთუკრაინულ — ტრემბიტას. მას იყენებენ ხალხის მასობრივი თავყრილობისას, დიდი დღესასწაულებისა და სამგლოვიარო ცერემონიების დროს.

ტ ა ბ ლ ა — მეტად საინტერესო და თავისებური დასარტყამი საკრავი, ჩვენი ნაღარის ან შუააზიის ნაკრას ტიპისაა. იგი გამოსცემს ყველა ბგერას, რომლებიც სიმებიან და ჩასაბერ საკრავებზე აიღება. აქვს ორი, საშუალო ზომის დაფი, ერთ მხარეს გადაკრული ტყავით. მარჯვენა ხელის დაფზე გამის ყველა სიმაღლის ბგერა დაიკვრება. ამას აღწევენ ტყავზე ხელის დარტყმით სხვადასხვა ადგილზე და სხვადასხვა სიძლიერით. მარცხენა ხელის დაფზე ბანის ბგერები დაიკვრება, ამასთან ყველაზე მეტად ეფექტური და ორიგინალურია ბგერის „დაცურება" ზევით ან ქვევით — ყრუ ხმაური, გაურკვეველი ხასიათის ბანის ხმა, რომელიც ორგანულად შეესატყვისება და შეეხამება მუსიკის საერთო დინებას. ამას აღწევენ ხელის გულისა და კიდურების ნარნარი, „დაცურებით" დაფის ტყავზე. ბანის ხმებს ამ შემთხვევაში უწოდებენ — ბანიას. ტაბლას ბგერები მდიდარია ობერტონებით.

მ რ ი დ ა ნ გ ა მ ა ნ უ მ რ დ ა ნ გ ა — ეს საკრავი დაფდაფების ტიპისაა, თავში და ბოლოში გადაჭიმული ტყავით. მასზე ტონის სიმაღლის რეგულაციას ახდენენ მჭიდროდ დაჭიმული ბაწრით. მრიდანგამს ისევე, როგორც ტაბლას, აქვს მარჯვენა და მარცხენა ხელის ორი დაფდაფი. უკრავენ მასზე თითებისა და ხელის მტევნის საშუალებით. ამ დასარტყამ საკრავებზე შესანიშნავად ასრულებენ ყოველგვარ რიტმულ კომბინაციას, რაგინდ ძნელი არ უნდა იყოს იგი.

დასარტყამ საკრავთა შორის გვხვდება, აგრეთვე, დ ო ლ ა კ ი (ამიერკავკასიისა და შუააღმოსავლეთის დოლის მსგავსია) და ნ ა ღ ა რ ა (მსგავსი დიდი ტიმპანისა), რომელსაც ინდოეთში თიხიდან ან ლითონიდან აკეთებენ, ერთი მხრივ გადაჭიმული ტყავით არსებობენ, აგრეთვე, უამრავი სახის ლითონის დასარტყამი საკრავები: სხვადასხვა სიმაღლის გონგების ნაკრები, ზარებისა, ზანზალაკებისა, ფიფინებისა და ჟღარუნების ანაწყობები.

პატარა ორკესტრებსა და ანსამბლებს ინდოეთში უწოდებენ „ბჰანდას", რაც ჩვენ სიმფონიურ ორკესტრში შეტანილ „ბანდას" შეესაბამება.

ეს საკრავები დღესაც არსებობენ და უნდა ნახოთ ინდოელთა სახეები და გამომეტყველება, მათი გატაცება და ინტერესი, რაც იხატება ამ საკრავებზე დაკვრის დროს. შესრულებაში ისინი მონაწილეობენ თუ უშუალოდ არა, ყოველ შემთხვევაში, თავისი თბილი



შარან რანი

დამოკიდებულებით, გამომსახველი მიმიკით და ჟესტიკულირებით.

როცა სხვადასხვა ქალაქში ჩემს „ინდურ სუიტას" უსმენდნენ, მსმენელთა უმრავლესობა არარსებულ, მოჩვენებით ტაბლასა და ბარაბანებს „ურტყამდა" ხელს. ამახვილებდნენ რიტმებს, ხმამაღლა მღეროდნენ ნაცნობ, მშობლიურ თემებს. რა თქმა უნდა, მათი მიმიკა პირველ პლანზე იყო წამოწეული.

არც ერთი ინდური სამუსიკო ნაწარმოები არ იქნება ნამღერი ან დაკრული, თუ შემსრულებლის წინ ნათლად არ დაისვა საკითხი რომელ ր ა გ ა შ ი მოუხდება მას სიმღერა ან დაკვრა! რაგა — ეს მუსიკის ჩარჩოა, შესასრულებელი ნაწარმოების ხასიათისა, რიტმის, მეტრის, შინაარსის, ტემბრის და ფერის განმსაზღვრელი. ამიტომ რაგები სხვადასხვა ბგერათა რიგს, ხასიათებს, შუქ-ფერებს, განწყობილებებს შეიცავენ. თვითეულ რაგას გარკვეული ფსიქოლოგიური და ეთიკური ზემოქმედების ძალა მიეწერება. მასში დიდი მნიშვნელობა ენიჭება თვითმყოფად კილოურ აზროვნებას. თუ ამ მხრივ ბევრი გააკეთეს არაბებმა, სპარსელებმა და შუა აზიის მცხოვრებლებმა, ინდოელებმა მაინც ყველას გადააჭარბეს.

არსებობენ რაგები წლის ყველა დროისათვის, დღის ყველა საათისა და ადამიანის სულიერი მდგომარეობის ყველა მომენტისათვის: დილის რაგა, შუადღის, საღამოსი, ღამის, განთიადის, სიხარულის რაგა, სევდის, ლაღობის, სიბეროტის, აღტყინების, მწუხარების, სიყვარულის, სიცილის, თანაგრძნობის, ზიზღის, გაკვირვების, სიმშვიდის და სხვ... რაგების მელოდიები დაკავშირებული არიან ქალაქების, სოფლების, ადამიანთა ტომების და ბუნების მოვლენათა

სახელწოდებებთან. ხშირად შეხვდებით რაგებს გაზაფხულის მელოდიას, წვიმის მელოდიას, შემოდგომის რაგას, პირველი მკის რაგას და აგრეთვე: ლოტოსის, შროშანას, ჟასმინის, ყაყაჩოს, თაფლის ყვავილის, ფარშევანგის, გუგულის, შველის და სხვა რაგებს: სიტყვა წარმომდგარია სანსკრიტულიდან, მისი ძირია — „რანჯა“, — რაც შეღებვას ნიშნავს. რაგა — ვაჟკაცურის, გმირულის, ძლიერის, ეპიკურის ცნებაა, მაგრამ არსებობენ რაგები ნაზი, სევდიანი, სასიყვარულო, ქალური საწყისისაც.

რაგა — ეს ტონალობაა და არა შკალა. რაგებში ნორმალური ბგერათა რიგია, რაც მიღებულია 12 საფეხურიანი გამისათვის, მაგრამ იგი შეიძლება შესდგებოდეს 5-6 ძირითადი ბგერისაგან. იყენებენ ბგერებს შორის „დაცურებას“, ანუ „გლისანდურ ინტონაციებს“ და რაგებს შორის გადასვლებს. რაგები არ მეორდებიან და ყოველთვის განსხვავდებიან ურთიერთისაგან. ამა თუ იმ რაგის გამოყენება მხოლოდ მაშინ ახდენს სათანადო შთაბეჭდილებას მსმენელზე, როცა ის შესაბამის მომენტშია გამოყენებული და უდგება ადამიანის გარკვეულ სულიერ მდგომარეობას.

უკვე რამდენიმე საუკუნეა, რაც რაგების სისტემა არსებობს. მათი რაოდენობა 3-5 ათას უდრის, მაგრამ ყოველდღიურ პრაქტიკაში რამდენიმე ათეული, ყველაზე საჭირო და აუცილებელი რაგა იხმარება. რაგების რაოდენობისა და ხარისხის შესახებ ინდოეთის გამოჩენილ შემსრულებლებს შორის აბსოლუტურად საწინააღმდეგო და სუბიექტიური მოსაზრებები არსებობს.

ინდური მუსიკა უძველესი დროიდან ორ ძირითად ნაწილად არის გაყოფილი, ორ მუსიკალურ-სამეცნიერო სისტემად: ინდუსტანის მუსიკად (ჩრდილოეთი) და კარნატის მუსიკად (სამხრეთი). კარნატის მუსიკა გამოირჩევა უფაქიზესი კილორიტმული თავისებურებებით, მელოდიური სინატიფით, „მიკროტონების“ სიმრავლით (მეოთხედტონებს — შრუტის), ბგერათა „დაცურებით“ და სხვ. წარსულისა და თანამედროვე შემსრულებელთა გადმოცემების თანახმად კარნატის მუსიკა არსებობის 5000 წელს ითვლის. იგი, აგრეთვე, დამყარებულია რაგების ღრმად შესწავლაზე — „ინდური მუსიკის სულსა და გრძნობებზე“.

ინდოეთის მუსიკის განვითარების საქმეში დიდი წვლილი შეიტანა დიდმა პოეტმა, მწერალმა, ფილოსოფოს-ჰუმანისტმა და მუსიკოსმა რაბინდრანატ თაგორმა — წრფელი გულისა და გამჭრიახი გონების ადამიანმა, საბჭოთა ხალხის გულწრფელმა მეგობარმა.

რ. თაგორი თავის ლექსებზე თვითონვე წერდა მუსიკას. ზოგჯერ იგი ჯერ მელოდიას თხზავდა, რომელსაც შემდეგ სიტყვებს მიუწერდა, ან ორივე კომპონენტი ერთდროულად იბადებოდა. მისი მუსიკა გაჟღენთილია ხალხური შემოქმედებით, საყვარელი ბენგალიის სულით, მისი ლირიკა გამთბარია დიდი გრძნობით, ცხოვრების ცოდნით, უბრალოებითა და მაღალი შთაგონებით. მთელ ინდოეთში დიდებით ამკობენ პოეტისა და მუსიკოსის — რ. თაგორის სახელს, კალკუტაში კი (მშობლიურ ქალაქში) მის პატივსაცემად აგებულია „სიტყვისა და მუსიკის უნივერსიტეტი“, რომელშიაც მრავალი სტუდენტი სწავლობს. უნივერსიტეტი „შანტინიკეტანი“ (წყნარი სადგომი) ცოდნას განავრცობს მთელ ინდოეთში და აგზავნის ქვეყნის ყველა კუთხეში საუკეთესო ოსტატთა და შემსრულებელთა კადრებს.

აღფრთოვანებით ვიგონებ თაგორის მელოდიურ თემებს: „როგორი ცეცხლით აღანთე შენ ჩემი სულის ლამპარი?“ ან „თუ არავინ გყავს შენ გზის გამნათებელი და ბნელ, ქარიშხლიან ღამეში შენ წინ დაიხურა ყველა კარები — აანთე შენი გული ელვისებური ცეცხლით“. პირველი მათგანის მელოდია გამოყენებული მაქვს ინდურ სუიტაში“, რამაც ინდოელ მსმენელთა სიხარული გამოიწვია. რ. თაგორს ეკუთვნის, აგრეთვე, მუსიკა და სიტყვები ინდური ეროვნული ჰიმნისა — „ჯანა, განა, მანა“.

დელიში გავეცანით ინდური მუსიკის თვალსაჩინო წარმომადგენლებს: ვიდვან მუტუკუმარა პილაის, ვიდვან მეენაქშისუნდარამ პილაის და უსტად მუსტაკ ხუსეინ ხანს, ვინახულეთ და მოვისმინეთ შესანიშნავი ახალგაზრდა შემსრულებლები. მათთან შეხვედრის დროს ჟღერდნენ ტკბილხმოვანი — ინდური საკრავები. განსაკუთრებული შთაბეჭდილება დასტოვეს ჩვენზე 16 წლის ქალ-ვაჟმა, რომლებსაც დელის კოლეჯის ქორეოგრაფიული ხელოვნების „ვარსკვლავებს“ უწოდებენ. მათი ცეკვა აღსავსე იყო ღრმა შინაარსით. ისინი მაღალმხატვრულად განასახიერებდნენ ინდოელი ღმერთებისა და სახალხო გმირების სახეებს, შესანიშნავად წარმოგვიდგინეს შველის, ქურციკის, ფარშევანგის და ვეფხვის იმიტაცია, წვიმისა და ნავის ხატოვანი სურათი, რომელსაც განგის ღონიერი ტალღები აქანავებენ. ქალ-ვაჟმა შეასრულა აგრეთვე ინდოეთის საცეკვაო ხელოვნების კლასიკური ნიმუშები. ცეკვის დამთავრების შემდეგ მოცეკვავეებმა მოიხსნეს ფეხის წვივებზე დამაგრებული პატარა ზარები და მოწიწებით მიუტანეს თავის მასწავლებელს, რათა იგი ხელით შეხებოდა ცეკვის ატრიბუტს და დაელოცა მომტანი მომავალი მოღვაწეობისათვის. ამ ამაღელვებელი რიტუალით ნიჭიერი მოწაფეები თავის გამოსვლას უძღვნიდნენ იმ ადამიანს, რომელმაც დააოსტატა ისინი ხელოვნების გზაზე.

წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვეს (Sangeet natac Akademi). დელიში, „მუსიკის, ცეკვისა და დრამის აკადემიაში“ დიდი მომღერლის და ინდური კლასიკური მუსიკის მცოდნის შრი დილიპ კუმარ როის მოსმენამ თავისი ანსამბლით. ის ასრულებდა ნაწყვეტებს უძველესი ინდური ეპოსიდან „რამაიანა“ და „მახაბჰარატა“ — ბჰარატების დიდ ბრძოლაზე. მომღერალი მრავალი გამოკვლევის ავტორია ინდოეთის მუსიკის ისტორიაში, მას შექმნილი აქვს აგრეთვე, ორიგინალური დრამა-ცეკვები ვიშნუს ცხოვრების თემებზე.

აქვე გავეცანით ინდოეთის შესანიშნავ მუსიკოს — ქალს, შარან რანის, მან მოგვაჯადოვა უბადლო შესრულებით საკრავ საროდზე. მის მაღალ ხელოვნებას იცნობენ ევროპაში, ამერიკაში, ავსტრალიაში... მის ხელში მღერის უძველესი საკრავი საროდი, გადმოგვცემს უძველეს ლეგენდებს შემოქმედ ხალხზე, მისი ცხოვრების სიხარულსა და ჭირ-ვარამზე.

დელიში ვინახულეთ, აგრეთვე, შესანიშნავი მომღერალი ქალი შანო ქურანა. მისი პატარა სახლი გადაქცეულია მუსიკის კერად; აქ მუდამ უკრავენ, მღერიან, ქმნიან ახალ ეროვნულ ნაწარმოებებს, ასწავლიან მუსიკას. შანო ქურანა ასრულებს ინდოეთის თანამედროვე სიმღერებს, მაგრამ მის რეპერტუარში ძირითადია ინდური კლასიკური მუსიკა. იგი თვითონაც ქმნის ახალ ნაწარმოებებს, ხელმძღვანელობს შესანიშნავ ანსამბლს, რომლის წევრები „დაავადებულნი“ არიან მუსიკით. ამ დიდმა მუსიკოსმა თავისი ნიჭითა და შთაგონებული ხელოვნებით ჭეშმარიტი სიამოვნება მოგვგვარა.

კალკუტაში გვეწვია ბენგალიის მუსიკის საუკეთესო მცოდნე პანკაჟკუმარ მულიკი. იგი სასიამოვნოდ მღერის და უკრავს მთელ რიგ საკრავებზე. განშორების ჟამს, როცა თვითმფრინავის გაფრენამდე დარჩა მხოლოდ საათნახევარი, მან წამოიწყო გრძელი სიმღერა, განსაკუთრებულ სამკაულებით და სიმღერის იმ მანერით, რომელიც ბენგალიის მუსიკისთვის არის დამახასიათებელი. ამით გამოხატა ღრმა პატივისცემა ჩვენდამი.

განსაკუთრებული შთაბეჭდილება დატოვა მადრასის შტატის გამოჩენილმა მუსიკოსმა შრი ვიდვან ბალაჩანდერმა. იგი ცნობილი დამკვრელია ვინაზე. ვინა მის ხელში — სიწმინდეა, ღრმად პატივსაცემი და საყვარელი საკრავია.

ვინაზე მან აჩვენა თითების უფაქიზესი ტექნიკა, რომელიც გაკვირვებას იწვევს... ნირვანის ტკბილი ხმოვანება გრძელდება, თანდათან ქრება და არ უჩინარდება მაშინაც, როცა არტისტი ხელს მოსწყვეტს სიმებს. ინდოეთი პოეტებისა და მუსიკოსების ქვეყანაა და ერთი საუკეთესოთაგანი იჯდა ჩვენ წინ.

ბალაჩანდერი საბჭოთა კავშირშიც ყოფილა, ძალიან შეუყვარდა საბჭოთა ხალხი და უეცრად... ვინას სიმები აეწყო პ. ჩაიკოვსკის მუსიკის დასაკრავად, გაისმა „საფორტეპიანო კონცერტის“ მეორე ნაწილი (ფლეიტის სოლო), თემა პოემიდან „რომეო და ჯულიეტა“, დამხმარე პარტია „მეექვსე სიმფონიიდან“, განთიადის სურათი „ევგენი ონეგინიდან“ და სხვ.

ბალაჩანდერი აღიარებულია არა მარტო ვინაზე დაკვრის გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა



რავი შანკარი

მოჩენილ ოსტატად, არამედ მუსიკათმცოდნედ, ხალხის ცხოვრების, მისი წარსულისა და თანამედროვეობის მემატიანედ. იგი ახალგაზრდაა (დაიბადა 1927 წ.), მაგრამ ხალხმა მას ბრძენი და ღრმადმოაზროვნე უწოდა.

ბომბეიშიც მოვისმინეთ ერთ-ერთი სახელმოხვეჭილი მუსიკოსი რ ა ვ ი  შ ა ნ კ ა რ ი. იგი პირადად იცნობს მუსიკალური ხელოვნების გამოჩენილ მოღვაწეებს — დ. ოისტრახს, რ. რასტროპოვიჩს, ი. მენუხინს, კალასს, ტებალდის, მათთან დამყარებული აქვს შემოქმედებითი კონტაქტი.

რავი შანკარი მუდამ ეძებს ახალ ფერებსა და საღებავებს. იგი თანამედროვე ორფეოსია, ხშირად უხდება მოგზაურობა. მის ხელოვნებას იცნობენ ევროპაში, ამერიკასა და ავსტრალიაში. არა ერთხელ ყოფილა საბჭოთა კავშირშიც.

მისი სიმღერა ,,ჩვენი ინდოეთი", ეროვნული პოეტის იკბალის სიტყვებზე, გიზიდავთ მაღალი პატრიოტიზმით, ღრმა შინაარსით. ჯი ტექსტი. ,,ჩემო ინდოეთო, შენ ქვეყნიერების საუკეთესო მხარე ხარ. შენ ჩვენი ბაღი ხარ და ჩვენ შენი ბულბულები. სადაც არ უნდა ვიყოთ, ჩვენი ქვეყანა ჩვენთანაა, ჩვენს გულში. ათასეულ მდინარეთა ტალღები ჩუხჩუხებენ მის მკერდზე"...

იგი მოღვაწეობს, როგორც დირიჟორი, კინოსურათების მუსიკალური გაფორმების დროს. რავი შანკარმა ბომბეიში დააარსა მუსიკისა და ცეკვის სკოლა, სადაც იმართება მისი სახელობის ფესტივალები.

დღეს შანკარის მუსიკა გასცდა ეროვნულ საზღვრებს, საყოველთაოდ ხელმისაწვდომი და პოპულარული გახდა. იეგუდი მენუხინი გაზეთ ,,ტაიმსში" წერდა: ,,შანკარს აქვს არაჩვეულებრივად მდიდარი შემოქმედებითი ფანტაზია და ჭეშმარიტად ბრწყინვალე ტექნიკური ოსტატობა"...

ა ლ ა  რ ა ხ ნ ა — მუსიკოსია, რომელიც უკრავს ტაბლაზე და თანხლებას უკეთებს რავი შანკარის მუსიკას. იგი თვალსაჩინო ინტერპრეტატორია და სასწაულებრივი აკომპანიატორი. ტაბლას რიტმი, ალა რახნას შესრულებით, მუსიკას სიმაღლეს, ძალას, ენერგიას მატებს და ამაღლებს რავი შანკარის მუსიკის ხარისხს. რავი შანკარისა და ალა რახნას მუსიკა გამოხატავს გმირულ საწყისს, სიმშვიდეს, თავდადებას, რელიგიურ განწყობილებას, ეროტიზმს, მარტოობას.

აღსანიშნავია ინდოეთის საცეკვაო ხელოვნების ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენელი — დ ა მ ა ი ა ნ ტ ი  ჯ ო შ ი. მისი ხელოვნება აღსავსეა სინაზით, გრაციით, სტილის სინატიფით, არაჩვეულებრივი ოსტატობით და ვირტუოზობით.

მართლაც, ეს პატარა ტანის ინდოელი ქალი მღელვარე დრამატიზმისა და ფსიქოლოგიური განცდების ოსტატია, იგი უმალ ატყვევებს მაყურებლებს.

,,დ. ჯ ო შ ი — დიდი მსახიობია, თავისი მანერებით, გრაციით, მიმიკით, ტანისა და ფეხების მეტყველი მოძრაობებით (ფეხებზე შემოკრული აქვს პატარა ზარები, ზანზალაკები, რომლებიც ცეკვის დროს მოძრაობენ და ჟღარუნობენ), მრავალფეროვან ასოციაციებს იწვევს. მისი ტანი გადმოსცემს მუსიკას, რიტმს" — ასე წერდნენ მასზე საზღვარგარეთული გაზეთები. იგი დიდი წარმატებით გამოდიოდა ნეპალში, არაბეთის გაერთიანებულ რესპუბლიკაში, სუდანში, ოსმალეთში, ირანში, საბერძნეთში, საფრანგეთსა და ინგლისში.

დამაიანტი ჯოშის — ,,ინდოეთის პავლოვას", ,,აზიური ხელოვნების პავლოვას" უწოდებენ. სახელგანთქმული რუსი ბალერინა — ანა პავლოვა დიდი პატივისცემით იხსენიება ინდოეთში, სადაც იგი ხანგრძლივად მოღვაწეობდა. ა. პავლოვამ დიდი სარგებლობა მოუტანა ინდოეთის ცეკვის ოსტატებს. მის შემოქმედებას ინდოეთში ეძღვნება გამოკვლევები, წიგნები, ლექციები.

ინდოეთში აღინიშნება მსოფლიო მუსიკალური კულტურის მდიდარი ტრადიციების გაცნობა-გამოყენების ტენდენცია.

დელიში, სრულიად ინდოეთის რადიოს სიმფონიური ორკესტრის (რომელშიც უკვე შეტანილია კლარნეტები, ფლეიტები და ზოგიერთი ევროპული დასარტყამი საკრავი) რეპეტიციაზე დირიჟორმა და კომპოზიტორმა ა ნ ი ლ  ბ ი ს ვ ა ზ მ ა განაცხადა, რომ იგი მიაღწევს ინდური და ევროპული ორკესტრების გაერთიანებას, მართლაც, ინდური ორკესტრი თანდათან ეუფლება შესრულების დინამიკურ მანერას, მუსიკის სიმფონიზაციას, მიმდინარეობს ახალი ჰარმონიული და ტემბრალური საშუალებების ძიება.

ჩემმა ,,ინდურმა სუიტამ", რომელშიაც გამოყენებულია მრავალი ინდური თემა, ღრმა ინტერესი გამოიწვია. მუსიკის ფირი ,,კიდევ და კიდევ" იწერებოდა დაწესებულებებსა და კერძო პირთათვის. ინდოელები ხმამაღლა მღეროდნენ ნაცნობ მშობლიურ მელოდიებს და გამოსთქვამდნენ გაკვირვებასა და კმაყოფილებას ინდური მუსიკის გამოყენებისა და განვითარების შესახებ ევროპული ტიპის ორკესტრში, ევროპული მუსიკის ხერხებით.

ინდოეთში დაინტერესებული არიან კლასიკური და თანამედროვე ევროპული მუსიკით — ჩაიკოვსკის, სტრავინსკის, პროკოფიევის, შოსტაკოვიჩისა და სხვათა შემოქმედებით.

ამრიგად, ჩვენ კავშირი დავამყარეთ ინდოეთის გამოჩენილ მუსიკოს მოღვაწეებთან და შემსრულებლებთან, განვამტკიცეთ კონტაქტი ორი დიდი სახელმწიფოს — საბჭოთა კავშირის და ინდოეთის წარმომადგენლებს შორის.

გამომგზავრების წინ ჩვენი დელეგაცია მიიღო ინდოეთის პრემიერ მინისტრმა ინდირა განდიმ.

უზარმაზარ მისაღებ დარბაზში ინდოეთის ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლებმა მოიყარეს თავი. გაიმართა სასიამოვნო და საქმიანი საუბარი. გამოჩენილ სახელმწიფო მოღვაწეს ინდირა განდის ადრევე ვიცნობდი (როცა მან საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკებთან ერთად საქართველოც ინახულა). საჩუქრად გადავეცი ჩემი ,,ინდური სუიტის" პარტიტურა, რომელიც დაწერილია 1955 წელს. ეს ნაწარმოები ჩვენი ქვეყნების კეთილმეზობლურ ურთიერთობას, საბჭოთა კავშირისა და ინდოეთის მეგობრობას ეძღვნება.

# იორის ივენსი და მისი ფილმები

იორის ივენსი. აგერ უკვე ორმოცი წელიწადი იქნება, რაც მსოფლიო კინოეკრანებს არ ჩამოცილებია ამ „მფრინავი ჰოლანდიელის“ სახელი. წლეულს ნოემბერში მას სამოცდაათი წელი შეუსრულდება. ის კი მუდამ ისევ იქ არის, სადაც ბრძოლაა ისტორიული სამართლიანობისათვის. ტყუილად კი არ შეარქვეს „გარიბალდი კინოაპარატით“.

იოტის ოდენადაც არ გადავაჭარბებთ თუ ვიტყვით, რომ უკანასკნელი ორმოცი წლის მანძილზე კაცობრიობის ცხოვრებაში არ მომხდარა რაიმე ისტორიული მნიშვნელობის მოვლენა, რომლის შუაგულშიც არ შეჭრილიყო იორის ივენსი და ჭეშმარიტი კინოპუბლიცისტის მგზნებარებით მართლად, პირუთვნელად, შეურიგებელი მებრძოლის პრინციპულობით არ აესახოს იგი. ამიტომაც ბევრი ჰყავს მტერიცა და მოყვარეც. მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში დაუხშეს ეკრანიცა და მისასვლელი კარიც, ამხედრებულმა გერმანელმა ფაშისტებმა ჯერ კიდევ 1933-ში შეიტანეს მისი სახელი შავ სიაში. შემდგომაც მრავალგზის დაუცოფიათ იგი ყვითელი პრესის მსახურთ. ის კი მუდამ პირნათელი გამოდიოდა მილიონობით მაყურებლის წინაშე, რადგან თავისი მაღალი ხელოვნებით მათთან მიჰქონდა სიმართლის, ისტორიული სიმართლის ხმა.

მისი პოეტურ-პუბლიცისტური ფილმები — ჭეშმარიტი ხელოვნების ქმნილებანი — მუდამ სიკეთისა და სამართლიანობის ქომაგია. დიდი ხანია ეს ლენტები მსოფლიო კინოდოკუმენტალიზმის ანთოლოგიაში შევიდა და მის საგანძურს ამდიდრებს. თავად იორის ივენსს კი — სახელმოხვეჭილს, საყოველთაოდ აღიარებულ კინემატოგრაფიულ პოეტსა და პუბლიცისტს, არც ზღვის პირას ვილა გააჩნია და არც ბანკში აქვს ანგარიში გახსნილი. ასე განსაჯეთ, საკუთარი მუდმივი ჭერიც კი არ მოეპოვება ამ შვიდათეულწელმოლეულ, მართლაც-და, „მფრინავ ჰოლანდიელს“.

ერთხელ თქვა: დოკუმენტური ფილმი — სინდისიაო კინოსი. დაუცხრომელი, მაძიებელი, მაღალი მებრძოლი ხელოვნებით კი თავად იქცა ჩვენი დროის კინოს სინდისის გამოხატულებად.

ახლაც, სულ ახლახანს დაამთავრა ახალი ფილმის გადაღება ვიეტნამში ომის შესახებ და ისევ ვერ ფარავენ მტერ-მოყვარენი გაოცებას. საოცარი კი ის იქნებოდა, იორის ივენსს ეს ფილმიც რომ არ გადაეღო.

ფილმს ჰქვია „მე-17 პარალელი“, რეჟისორის ამ ახალ ნამუშევარს კვლავ მივუბრუნდებით. ამჯერად კი მკითხველის ყურადღებას შევაჩერებთ ერთ მნიშვნელოვან ფაქტზე:

როგორც აღვნიშნეთ, გერმანელმა ფაშისტებმა ხელისუფლების სათავეში მოქცევისთანავე სასტიკად აკრძალეს იორის ივენსის ფილმების ჩვენება. თითქოს „ტრადიციას“ აგრძელებენო, ბონის მმართველებსაც ათვალისწუნებული ჰყავთ ივენსი და მისი ფილმები ნეტავ იშვიათად თუ გამოჩნდება ხოლმე გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ეკრანებზე. ამას წინათ კი დასავლეთ გერმანიის პროგრესული ორგანიზაციების თაოსნობით მიუნჰენში მოეწყო იორის ივენსის შემოქმედებითი საღამო და აქ პირველად უჩვენეს კინოპუბლიცისტის უკვე საყოველთაოდ ცნობილი ფილმები — „ბორინაჟი“ (1933), „ახალი მიწა“ (1934) და „მიწა ესპანური“ (1937). აქვე გაიმართა დისკუსიაც. შემდეგ კი ჟურნალ „კიურბისკერნის“ ერთ-ერთმა რედაქტორმა ფრიდრიხ ხიტცერმა ვრცელი ინტერვიუ მიიღო რეჟისორისაგან. ეს საუბარი საინტერესო აღმოჩნდა იმით, რომ მასში თითქოს დაიხატა იორის ივენსის მთელი შემოქმედებითი გზაც და მისი მხატვრულ-მოქალაქეობრივი პრინციპებიც.

ახლა ბევრს ლაპარაკობენ „მიმხრობილ“ ხელოვნებაზე, — ამბობს ჟურნალისტი — ერთ დროს თქვენ ქმნიდით ფილმებს, რომლებიც „მიმხრობილი“ იყო უკვე თავისი მასალით (მხედველობაში მაქვს „მიწა ესპანური“ და „ბორინაჟი“), მაგრამ ცნობილია თქვენი სხვა ფილმებიც, მაგალითად „მისტრალი“, რომელიც თითქოს-და არ ატარებს „მიმხრობის“ აშკარა ნიშნებს. ხომ არ არსებობს, როგორც ამტკიცებს ბურჟუაზიული კრიტიკა, აგრეთვე „მიუმხრობელი“ იორის ივენსიც?

ივენსი: მხოლოდ „მიმხრობილი“ არსებობს მუდამ. ბურჟუაზიული კრიტიკოსების მსგავსად, მე ვერ ვპოულობ განსხვავებას ჩემს მებრძოლ და ვითომდა არამებრძოლ ფილმებს შორის „მიმხრობა“ — ეს არის ჩემი დამოკიდებულება სინამდვილისა და მაყურებლისადმი. იგი მდგომარეობს მოვლენის არსის წვდომაში, ნათელ დიალოგში საზოგადოებრიობასთან, რომელსაც ესმის, რომ ჩემს ფილმებში გარკვეულ მიზანს მივსდევ. ეს არ არის ნიღაბი, არც ტაქტიკაა, რომელიც შეიძლება შეიცვალოს. ჩემი „მიმხრობა“ გულახდილია და იგი ჩემი მსოფლშეგრძნების ღრმა საფუძველს ემყარება. სამაგალითოდ შეიძლებოდა მოგვეყვანა ფილმი „ბორინაჟი“. ბელგიელ მუშათა საყოველთაო გაფიცვამ, რომელიც ნაჩვენებია ამ ფილმში, ვერ შესძლო ბურჟუაზიის ბატონობის გატეხვა, მაგრამ, როგორც მარქსისტი, წაგებულ გაფიცვას არ განვიხილავდი დამარცხებად. ჩემი „მიმხრობა“ იყო ის რწმენა, რომ წაგებული გაფიცვები შეიცავენ ახალი კლასობრივი კონფლიქტების ჩანასახებს. სწორედ ამიტომ აკრძალეს ეს ფილმი იმ დროს ყველა კაპიტალისტურ ქვეყანაში და ბურჟუაზიულ კრიტიკოსებს, რომლებიც ცდილობდნენ „ბორინაჟის“ გაკრიტიკებას ვითომდა კინემატოგრაფიული ნაკლის გამო, მიუთითებდნენ სტატიურობაზე და სხვ., ფაქტიურად მხედველობაში ჰქონდათ მისი პოლიტიკური მიმართულება. რამდენად უფრო პატიოსნები იქნებოდნენ ისინი, პირდაპირ და გულახდილად რომ ეთქვათ — ფილმი არ ვარგა, რადგან მას არ ვემხრობითო. მაგრამ ისინი მუდამ ესთეტიკაში ეძებენ გზის ასაქცევს და ვერ ამჩნევენ, რომ საბოლოოდ სწორედ თავიანთ ესთეტიკურ შეფასებებში ცდებიან.

„ბორინაჟამდე“ გადავიღე ფილმი რადიოქარხანა „ფილიპსზე“, იმ დროს გატაცებული ვიყავი კინოტრიუკებითა და ჟონგლიორობით. უნდა ითქვას, რომ ყველაფერი რაც კი დაკავშირებულია გადაღების ტექნიკასთან, საოპერატორო და მონტაჟურ ოსტატობასთან, პროფესიონალიზმთან, ძლიერ მიყვარს, მაგრამ „ფილიპს-რადიოში“, რომელშიც ლაპარაკია მძიმე სოციალურ ბრძოლაზე, ტექნიკური ვირტუოზობა არაფერი საჭირო იყო. სხვადასხვა ფორმალისტური და ხელოვნური ხერხი უცხო იყო თვით მასალისათვის, რომელიც მასთან წინააღმდეგობაში ექცეოდა. ამიტომაც ეს ხერხი ფილმში მინიმუმამდე დავიყვანე. კამერა უფრო უბრალო გახდა, ხელოვანი — თავშეკავებული, რაც შეეხება „მისტრალს“, ასეთ ფილმებს მაშინ ვქმნი, როცა ამისთვის მართლაც დრო მაქვს. ისტორია სწრაფად მიდის წინ და მოითხოვს რაც შეიძლება მეტი „მიმხრობილი“ ფილმების შექმნას.

სურათი მისტრალზე თავდაპირველად დაკვირვებიდან წარმოიშვა. ერთხელ, საფრანგეთის სამხრეთით დასვენებისას, შევნიშნე ცაში როგორ ებრძოდა ერთმანეთს ორი ქარი, დასავლეთის ქარი ერეკებოდა დიდ საავდრო ღრუბელს, მისტრალი კი პირიქით, — გრძელ, რაკეტისმსგავს ღრუბელს. ორ საათზე მეტ ხანს გრძელდებოდა „ღრუბელთა ეს შერკინება“, და გავიფიქრე: ადამიანებს უნდა ვუჩვენო იგი. პირველი შთაბეჭდილება ისეთი იყო, თითქოს შეყვარებული ვიყავი. დაიწყო გადაწყვეტის ძიება, მოვიწადინე გამეგო — პოეტთაგან და მხატვართაგან ვინ შეხებოდა ამ თემას, როგორ აისახა მათ ნაწარმოებებში ქარი. ჩვენ ახლა ქარს აღვწერთ ჩვენებურად, ახალი საშუალებებით, შესაძლოა, ჩვენს შემდგომ თაობას ქარის დახატვის კიდევ უფრო ხელშესახები შესაძლებლობა აღმოაჩნდეს.

ამ ფილმზედაც უეჭველად ვმუშაობდი როგორც „მიმხრობილი“ ხელოვანი, რადგან ახალი თემის შესწავლისას და გააზრებისას პანთეიზმის ან რელიგიის პოზიციებიდან როდი ვმოქმედებდი. მაგრამ „მიმხრობა“ იქ განსაკუთრებული იყო. იგი ისე აშკარად გამოხატული არ არის როგორც, მაგალითად კლასობრივი ბრძოლების ამსახველ ფილმებში, მაგრამ მაინც თავს იჩენს თვითეულ კადრში, რამდენადაც ავტორი ცდილობს არა ზედაპირზე სრიალს, — რისთვისაც სწორედ განგაწყობთ „ქარზე“ მუშაობა, არა მასთან იდენტიფიცირებას, არამედ მკვეთრად გამოხატავს თავის დამოკიდებულებას ბუნების ამ აქტიური ძალის მიმართ. ბოლომდე დარწმუნებული არა ვარ, გასაგებია ეს თუ არა?“

ამ დროს ფრიდრიხ ხიტცერი ჩაურთავს, — იმდენად გასაგებია, რომ ბურჟუაზიულ კრიტიკას გაუჭირდება ივენსის ცამდე აყვანა იმისათვის, რომ იგი საბოლოოდ შეეშვა კლასობრივ ბრძოლასო.

თვითონ ძალიან მომწონს ეს ფილმი, — განაგრძობს იორის ივენსი, — სამწუხაროდ მასში ყველაფრის განხორციელება ვერ შევძელი. კარგად ვიცნობ სოციალურ-კრიტიკული ფილმების ფინანსირების სიძნელეებს, მაგრამ, თურმე, როცა ილებ თემას, რომელსაც ბურჟუაზია ვითომდა „სუფთა ესთეტიკის“ სფეროს მიაკუთვნებს, ფინანსიური სიძნელენი არაფრითაც არ მცირდება. საქმე ის არის, რომ ამ ფილმით მსურდა მიმეღწია ასოციაციების რაც შეიძლება მეტი სიფართოვისათვის. აკი ყველას შეუძლია თავისთვის გამონახოს საკუთარი ქარი. ერთნი ამ დროს ფიქრობენ სიყვარულზე, მეორენი მასში ხედავენ რევოლუციური გარდაქმნების გრიგალს. ქარის ფიზიკასთან ერთად არსებობს მისი „სულიერი ქიმიაც“, რომელიც აღძრავს ფიქრს, ჭვრეტას. ყველას თავისებურად შეუძლია აღიქვას ქარი. მე ვანიჭებ მაყურებელს ყოველგვარი ასოციაციის დიდ თავისუფლებას. ამ თვალსაზრისით ფილმი „მისტრალი“, შესაძლოა, უფრო მებრძოლიცაა, ვიდრე, ვთქვათ, „ცა და მიწა“, რომელიც ვიეტნამში ომზეა გადაღებული. ყოველშემთხვევაში, იგი უფრო ღრმაა.

ჟურნალისტის ნათქვამზე — რასაკვირველია, თქვენი მუშაობის ისტორია დამოკიდებულია ისტორიის „მუშაობისგან“, ან უფრო სწორად იმ ძალებისაგან, რომლებიც ქმნიან ისტორიას. ფილმები კი პატარა ნაკადულებია, რომლებიც ერთვიან ისტორიის დინებას შეგნების რთულ გზაზეო, ივენსი პასუხობდა: ხშირად მეკითხებიან — რატომ არ ქმნი დიდ ფილმებსო? მხედველობაში აქვთ გათამაშებული, სამსახიობო სურათები. ამის პასუხად ერთი რამ მეთქმის — ჩემი ტემპერამენტი. შემოქმედებაში, უპირველეს ყოვლისა, მებრძოლი რევოლუციონერი ვარ. ჩემთვის ყველაზე მთავარია ადამიანების ნდობა, რომლებთანაც ვმუშაობ და რომლებიც შემდეგ ფილმში წარმოდგებიან. ვცდილობ მთლიანად გავითქვიფო მათ ყოველდღიურ ცხოვრებასა და ბრძოლაში, რომელსაც ისინი აწარმოებენ. ეს ხომ ბრძოლაა მოწინააღმდეგის ჭარბი ძალების წინააღმდეგ, მეწარმეთა, პოლიციისა თუ ისე, როგორც მაგალითად, ვიეტნამში, მაღალტექნიკურად აღჭურვილი ამერიკული აგრესიის წინააღმდეგ.

ჟურნალისტი სიტყვას აგდებს დასავლეთ გერმანიის ქალაქ ობერჰაუზენში გამართულ მოკლემეტრაჟიანი ფილმების ფესტივალის მუდმივ მონაწილეთა შემოქმედებით დაცემულობაზე და კითხულობს — თუ რა უნდა გაკეთდეს, რომ „გერმანული ფილმი ძაღლივით არ მსახურობდეს გაბატონებულ კლასს?“

აუცილებელია ჭეშმარიტად დიდი მნიშვნელობის თემები, — ამბობს იორის ივენსი, — ახალგაზრდობამ, კინომოყვარულებმა, კინოინსტიტუტების დიპლომანტებმა, რომლებიც ისწრაფვიან ცხოვრებაში უფრო მეტი იყვნენ, ვიდრე, უბრალოდ, მხატვრობაა, ამისკენ უნდა მიმართონ თავიანთი ენერგია და მეცადინეობა. მათ თავიანთი შემოქმედებითი „მე“ უნდა აიყვანონ ისეთ სიმაღლეზე, საიდანაც გარკვევით მოჩანს ცხოვრება. მაშინ გაუადვილდებათ შემოქმედებაში წინ აღუდგნენ იმ გავლენებს, რომლებიც კინოში მუდამ შემოაქვს მის კომერციულ მხარეს.

კითხვა: ალბათ დოკუმენტალისტი მუდამ განიცდის „კორექტირებას“ ცოცხალი სინამდვილის მხრივ და შეიძლება თვით მუშაობის პროცესში ძლიერ შეიცვალოს?

ივენსი: უთუოდ, განსაკუთრებით ისეთი დიდი ისტორიული მოვლენების დროს, როგორიც იყო, მაგალითად, სამოქალაქო ომი ესპანეთში. მე, მართალია, უკვე მომზადებული ვიყავი მისი პოლიტიკური და სოციალური პრობლემატიკის ასასახად, სხვაგვარად, ალბათ, ასე არც გამიტაცებდა იმ წლების ესპანეთის მოვლენები, მაგრამ ჩემთვისაც კი იგი შემოქმედების დაუვიწყარ სკოლად იქცა. როგორც ცნობილია, ფილმი „მიწა ესპანური“ მთავრდებოდა ჩვეულებრივი ხახვის მსხვილი პლანებით. იმ დროს ეს იყო ნოვატორობა — დაამთავრო ფილმი ომზე პატარა ხახვის გამოსახულებით, რომელიც წყალს ისრუტავს. ეს სიმბოლო იმდენად რეალური გახდა, რომ გვახსენებდა ბევრ რამეს, პირველ ყოვლისა კი — ჩვენს იმედს, — ოდესმე თავისუფალი გვენახა ესპანელი ხალხი.

ბევრი ფილმი ესპანეთში სამოქალაქო ომზე — ამბობს ჟურნალისტი, — ან მეტისმეტად ოპტიმისტური იყო, ან პესიმიზმისა და გულგატეხილობის შხამით გაჟღენთილი. მათში ფაშისტების გამარჯვებას ან სულ ყურადღებას არ აქცევდნენ, ანდა ესპანეთის მთელი ისტორიის ფინალად განიხილავდნენ. თანამედროვე დოკუმენტურ ფილმებშიც იშვიათად შევხვდებით ასეთი მხატვრული ძალისა და ჭეშმარიტად ოპტიმიზმით გაჟღენთილ მეტაფორას, როგორც გვქონდა ფილმში „მიწა ესპანური“. როგორ მიგაჩნიათ, რატომ ხდება ეს?

ივენსი: არ ვიცი. იქნებ იმიტომ, რომ მხატვრები საკმაოდ არ ინდომებენ. ჩვენ, როგორც მხატვრები, ბევრი რამით ვართ დავალებული ჩვენი თეორიული სკოლისაგან, მარქსისტულ-ლენინური მოძღვრებისაგან. პირადად მე ძლიერ დახმარებას მიწევს მხატვრული ამოცანების გადაწყვეტაში ჩემი პოლიტიკური და ფილოსოფიური ცოდნა... თეორია მეტ თავისუფლებას მანიჭებს სიუჟეტის ყოველმხრივ გასააზრებლად.

კითხვა: თქვენი ვიეტნამური ფილმი „ცა და მიწა“ გააკრიტიკეს იმისათვის, რომ მასში ასახული იყო სწორედ ერთი მხარე — ეროვნულ-განმათავისუფლებელი ომი. რით ეთანხმება ეს თქვენს მიერ ნათქვამს?

ივენსი: მიმაჩნია, რომ საჭირო არ არის საიგონში ჩასვლა ამერიკელებზე სიმართლის შესატყობად. მათი ნამოქმედარი უამისოდაც ცნობილია. არ მჭირდება ფრონტის ხაზებს შორის ბორიალი და მოწინააღმდეგე მხარეთა მოტივების „გაგება“. არ მინდა ჩავწვდე, თუ რას ფიქრობდა ბატონი მაქსუელ ტეილორი ან უესტ-მორლენდი. ამ აზრობრივ პროცესს, რასაკვირველია, ჩემს ანალიზში ვაერთიანებ, მაგრამ არა იმ ცრუ ობიექტურ პლანში, რომელიც ცდილობს ერთი მხარის სიმართლის, მეორის „სიმართლესთან“ გატოლებას და, ამასთან, მოწინააღმდეგის სუბიექტურ თავისებურებებს განიხილავს. ცხადია, მე ვფიქრობ იმ ამერიკელთა ქცევაზეც, რომლებმაც ამ ომის გამო მთელი სიმართლე არ იციან. მაგრამ სიუჟეტის ყოველმხრივ განხილვა სრულიადაც არ ავალდებულებს დოკუმენტალისტს მივიდეს მკვლელებთან და ერთ ოთახში მათთან ერთად იჯდეს. შეუძლებელია იყო მშვიდობის ელჩი და ერთდროულად დაუშვა აზრი, თითქოს ამერიკელები ვიეტნამში კეთილშობილურ მიზნებს ისახავენ და მთელი კაცობრიობის ნათელი მომავლისათვის მოქმედებენ. განა შემთხვევითია, რომ ჯერ არ არსებობს რამდენადმე დამარწმუნებული ფილმი ამერიკელთა „სიმართლეზე“. ეს ისევე შეუძლებელია, როგორც, ვთქვათ ჰებელსისათვის შეუძლებელი იქნებოდა შეექმნა დამარწმუნებელი ფილმი ფაშიზმის სასარგებლოდ.

ჩემს სურათში შევეცადე გადმომეცა ჰანოიში მიღებული შთაბეჭდილება, სახელდობრ — რომ ეს მებრძოლი ხალხი აღსავსეა უდიდესი მორალური ძალით, რწმენით, საკუთარი სიმართლით. თუ ფილმი ამ შთაბეჭდილებას გადმოსცემს, კმაყოფილი დავრჩები. რამდენადაც ვიცი, ჩემს ფილმზე ამერიკაში დიდი მოთხოვნილებაა და ხშირადაც უშვებენ.

შემდეგ ჟურნალისტს საუბარი გადააქვს ერნესტ ჰემინგუეიზე, როგორც ცნობილია, ივენსის ფილმში „მიწა ესპანური“ ჰემინგუეის ეკუთვნოდა დიქტორის ტექსტი, რომელსაც თვითონვე კითხულობდა. ჟურნალისტს აინტერესებს — იყო თუ არა დაკავშირებული ჰემინგუეი ლინკოლნის ბატალიონიდან ვინმესთან, როდესაც ესპანეთში ჩამოვიდა?

ივენსი: ჰემინგუეი მარტო ჩამოვიდა, როგორც პრესის მსხვილი ამერიკული სააგენტოს, ვგონებ, „ნორდ-ამერიკა პრეს-ასოშიეიშნის“ კორესპონდენტი. ერთხელ აშშ-დან ინტერბრიგადაში ახალი შევსება მოვიდა და ჰემინგუეი ორ ამერიკელ ჟურნალისტთან ერთად ფრონტზე გაემგზავრა. გზაზე იგი უსიამოვნოდ განცვიფრებული დარჩა იმით, რომ მისი ორივე თანამგზავრი ნამდვილი პურიტანი აღმოჩნდა, ეზიზღებოდათ სპირტიანი სასმელები და თამბაქო. დომბროვსკისა და გარიბალდის ხალხისთვის კი ეს სულ სხვა საქმე იყო. და იმან, რომ ინტერბრიგადის კომუნისტები თამბაქოს ეწეოდნენ, სვამდნენ და უყვარდათ ქალები, ჰემინგუეი მათთან უფრო ადრე დააახლოვა, ვიდრე მისი პოლიტიკური სიმპათიების ჩამოყალიბება მოხდებოდა.

პოლიტიკური თვალსაზრისით ჰემინგუეიმ სწორედ ესპანეთში გადადგა ძლიერი ნაბიჯი?

ივენსი: საქმე აი როგორ იყო: ჩვენი ნიუ-იორკელი მეგობრებისაგან რჩევა მივიღე — მეცადა ჰემინგუეისთან დაახლოვება. მე ჯერ კიდევ არ ვიცნობდი მას. ერთ თვეში ბარსელონის გავლით პარიზს გადავფრინდით, რათა გამემჟღავნებინა გადაღებული მასალა და მენახა თუ რა გამოდიოდა. პარიზში ჩასვლიდან ერთ კვირაში კაფე სან-ჟერმენ დე პრეში ვნახე ჰემინგუეი. საუბარი გავაბით და ვკითხე — რის დაწერას აპირებთ-მეთქი ამ ომზე? „მინდა დავწერო, რომ ომი მუდამ საშინელებაა“ — მიპასუხა. მე არ ვცდილვარ აგიტაციის გაწევას, რასაც ბევრი ჩვენი ამხანაგი აკეთებდა. მხოლოდ ვუთხარი: „ომი არსებობს სამართლიანი და უსამართლო. თავად დარწმუნდები, როგორ გამოიყურებიან ისინი“.

საერთოდ ჩვენ ბევრს ვსაუბრობდით და ბევრს ვსვამდით. შემდეგ ერ-

თად გავიმგზავრეთ მადრიდს. მე მქონდა ფრონტზე გასასვლელი სპეციალური საშვები, რაც საშუალებას გვაძლევდა შევჭრილიყავით უფრო ღრმად, ვიდრე სხვებს შეეძლო ამის გარდა, მე თავისიან კაცად მივაჩნდი ინტერბრიგადაში. ჰემინგუეიც ჩვენთან ცხოვრობდა. ერთი კვირის მერე მითხრა: „მივხვდი, რაზედაც მელაპარაკებოდი, ახლა ყველაფერს სხვაგვარად ვხედავ. აქ საქმე უფრო დიდ რასმე ეხება. ამაზე მინდა მივწერო ჩემს გაზეთებს. მხოლოდ მინდა ვიცოდე, რა ფარგლებში შეიძლება სიმართლის თქმა". იგი აგრეთვე მიხვდა, რომ ახლოვდებოდა მეორე მსოფლიო ომი, რომ აქ, ესპანეთში მიდიოდა მისი რეპეტიცია. და მას ახალი დამოკიდებულება გაუჩნდა ცხოვრების ბევრი მოვლენისადმი.

ამჯერად უკვე ჟურნალისტს აინტერესებს იორის ივენსის პირადი და შემოქმედებითი ბიოგრაფია. იგი სვამს კითხვას: „თქვენი ფილმები მჭიდროდ არის დაკავშირებული მუშათა მოძრაობასთან, სოციალიზმის ისტორიასთან. მაგრამ თქვენ ხომ წარმოშობით მუშათა ოჯახიდან არა ხართ. როგორ მოხვედით თქვენს თემასთან?"

ივენსი: ეს პროცესი არც თუ იოლი ასახსნელია. ყველაფერი მრავალ ფაქტთანაა დაკავშირებული. ბევრი რამ იწყება იმით, თუ როგორ აზროვნებს ადამიანი. მე საშუალო შეძლების ბურჟუაზიული ოჯახიდანა ვარ წარმოშობილი. პაპაჩემი ფოტოგრაფი იყო, მამაჩემიც, მოგვიანებით კი ამ სფეროში საქმიანობა დაიწყო, ისე, რომ მესამე მუხლის „კინოშნიკი" გახლავართ. მაგრამ მამის სავაჭრო საქმეები გულს არ მეკარებოდა. ზოგჯერ ფირმისათვის მეტი ზარალი მომქონდა, ვიდრე სარგებლობა, რადგან ვაჭრობის არც ნიჭი გამაჩნდა და არც სურვილი... მამაჩემი ლიბერალური ბურჟუა იყო. უნდოდა უფროსი ვაჟიშვილი ექიმი გამოეყვანა. იგი მეცნიერებასა და კაცობრიობის სამსახურს შესწირა. მეორე ვაჟიშვილი კი საქმეს უნდა გაძღოლოდა. ეს მე გახლდით. მყავდა კიდევ უმცროსი ძმა და ორი და. ამრიგად, ხუთშვილიან ოჯახში გავიზარდე. ვსწავლობდი უმაღლეს რეალურ სასწავლებელში, შემდეგ კი — როტერდამის ეკონომიურ ინსტიტუტში. იქ, რასაკვირველია, ვსწავლობდი ჰეგელის, კანტის ფილოსოფიას. მაგრამ იყო კიდევ ერთი ფილოსოფოსი — კარლ მარქსი.

იყავით თუ არა რომელიმე სტუდენტურ დაჯგუფებაში?

ივენსი: მე ჩამოვედი ჰოლანდიის ერთ-ერთ უძველეს პატარა ქალაქიდან — ნიმიეგენიდან. იმ ბურჟუაზიული გარემოცვის შემდეგ, როგორშიაც ვიზრდებოდი, პრაქტიკულად აქ პირველად წავაწყდი სიღარიბეს. ბევრი სტუდენტი უსახლკარო იყო, ნახევრად შიმშილობდა. ჩვენ შევქმენით სტუდენტური კორპორაცია, არა ეს უფრო ფედერაცია იყო. ჩვენი სტუდენტური გაზეთის ხელმძღვანელი კი ანარქისტი გახლდათ. მან პირველმა აღმიძრა ასე თუ ისე პოლიტიკური ინტერესები. ვკითხულობდით ბაკუნინს, სენ-სიმონს, პრუდონსა და ა. შ. უმაღლესი სასწავლებელი მალე მივატოვე. მამას სურდა ჩემთვის ტექნიკური განათლება მიეცა და გავემგზავრე შარლოტენბურგს, უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებელში.

ბერლინში იმ დროს, როგორც მოგეხსენებათ. მჩქეფარე კულტურული ცხოვრება იყო, ყველაფერი ძლიერ მაინტერესებდა, ამასთან, მდიდარიც ვიყავი. მე უცხოელი გახლდით და ერთი გულდონით ბევრი რამის გაკეთება შეიძლებოდა ინფლაციის პირობებში.

ამას რატომ ვამბობ? იმიტომ, რომ ეს სიმდიდრე ინტენსიური სულიერი განვითარებისათვის გამოვიყენე, დავდიოდი ყველა მუზეუმში, ყველა თეატრში. თუ სპექტაკლი არ მომეწონებოდა, გამოვდიოდი, ავიყვანდი ტაქსის და სხვა თეატრში მივეშურებოდი. თავს ვაძლევდი ამის უფლებას. თუ არც ერთი თავისუფალი ადგილი აღარ იყო დარჩენილი, ჩემთვის მაინც ყოველთვის მოინახებოდა ხოლმე. ამრიგად, ექსპლოატაციას ვუწევდი ეკონომიურ სიტუაციას იმისათვის, რომ შემევსო გამორჩენილი, რაც აუცილებელი იყო ჩემი შემდგომი შემოქმედებითი განვითარებისათვის. შემდეგ მოხდა მნიშვნელოვანი მოვლენა. მე პრაქტიკანტად ვმუშაობდი დრეზდენში. აქ იყო იკის ქარხნები, რომლებიც შემდგომ ცნობილ „ცეისიკონის" ფირმად იქცა. ურთიერთობა მქონდა მუშებთან და ვხედავდი თუ საკუთრივ რას ნიშნავს — იყო მუშა. დავიარებოდი მათთან შინ, ვხედავდი — ცუდად ჰქონდათ საქმე. იფეთქა გაფიცვამ. ლაიფციგში დემონსტრაციები მიმდინარეობდა. როგორც თანამგრძნობმა, მათში მონაწილეობა მივიღე და... პოლიციიდან მაგარი ნაცემი გამოვედი... შემდეგ ჰოლანდიაში დავბრუნდი და ამსტერდამში მამაჩემის მთავარ საწარმოში ტექნიკურ ხელმძღვანელად დავდექი. მას ხუთი მაღაზია ჰქონდა, ერთი სიტყვით ფირმა მთელ ჰოლანდიას სწვდებოდა.

კორესპონდენტის შეკითხვაზე — ცხადია, მაშინ თქვენი პოლიტიკური შეხედულებანი სოციალისტური არ იქნებოდა, — ივენსი პასუხობს: არა, არა. უბრალოდ ინდივიდუალისტი ვიყავი ჰუმანური მიზნებით. ბერლინში ვხვდებოდი პაციფისტებსაც. მქონდა სამკერდე ნიშანი, რომელზეც გამოსახული იყო ორი ხელი, თოფს რომ ამსხვრევდა. ვიყავი ჰოლანდიის არმიის სათადარიგო ოფიცერი და 1924 წელს წერილი მივწერე დედოფალს და თან გავუგზავნე ჩემი ხმალი. აღარ მსურდა არმიაში სამსახური. ოთხი კვირის მერე მივიღე პასუხი, ცხადია, დედოფლისაგან კი არა, მისი მდივნისაგან, მაცნობებდნენ — ყველაფერი, რასაც წერთ, საინტერესოა, მაგრამ ამასთან დაკავშირებით გადაყვანილი ხართ უბრალო ჯარისკაცის რანგში და საყოველთაო მობილიზაციის შემთხვევაში ცხენების დასუფთავება ან სხვა რაღაც მსგავსი საქმის შესრულება მოგიხდებათო. ასეთი იყო პასუხი ჩემს პაციფისტურ დეკლარაციაზე.

როგორც პაციფისტს აღარ გსურდათ ხმლის ტარება?

ივენსი: ეს უფრო პაციფიზმთან მჭიდროდ დაკავშირებული ანარქო-სინდიკალიზმის გამოვლინება იყო. მაშინ პაციფიზმი და ანარქო-სინდიკალიზმი, ასე ვთქვათ, კანონიერ ქორწინებაში იმყოფებოდნენ. სიმართლე რომ ვთქვა, მაშინ მკვეთრად ვერც განმესაზღვრა ჩემი პოზიცია. მართალია, მაშინაც დიდი მოწიწება მქონდა ლენინის მიმართ. ძალიან მომწონდა ერთი საბჭოთა პროფესორიც, ფიზიოლოგი, რომელიც ბერლინში ლექციებს კითხულობდა. მან მოახდინა ლენინის ტვინის პრეპარაცია. იმ დროისათვის ლენინი უკვე ექვსი თვის გარდაცვლილი იყო და ისეთი გრძნობა მქონდა, მინდოდა მეტირა, როცა წარმოვიდგენდი, რომ ასეთი ადამიანი ჩვენს შორის აღარ იყო. ეს იყო ადამიანი, პატიოსანი ადამიანი, რომელიც განასახიერებდა საბჭოთა კავშირს.

განა იმ სოციალურ ფენებში, სადაც თქვენ წარმოიშვით, ლენინი უფრო გაკიცხვას არ იწვევდა, ვიდრე აღფრთოვანებას? ბერლინში, მაგალითად?

ივენსი: დიახ, გაბატონებულ წრეებში, ბურჟუაზიაში. მაგრამ მე ამ წრეებში არ ვტრიალებდი. არასოდეს არ მიგრძვნია თავი კარგად რეაქციონერ სტუდენტთა წრეებში, სადაც ლენინზე ბევრ ავს ლაპარაკობდნენ. თავად ბურჟუაზიული ოჯახიდან ვარ, მაგრამ ჩვენთან მუდამ ლიბერალური ჰავა მეფობდა. შესაძლოა, მამაჩემი პირადად უარყოფითად ეკიდებოდა ლენინს. მაგრამ ეს უფრო მერკანტილური მოსაზრებით მოსდიოდა, რადგან ლენინურ იდეებს ფირმისათვის ზიანის მოტანა შეეძლოთ. არასოდეს ვყოფილვარ ისეთ სფეროში, სადაც ლენინის დაცვა დამჭირდებოდა.

გერმანიაში მხოლოდ წინასწარ გამოცდები ჩავაბარე ინჟინრობაზე. მე ხომ დარწმუნებული ვიყავი ჩემს მომავალში, საერთოდ კი ვფიქრობდი, რომ სწავლა ძალზე გამიგრძელდა. მწყუროდა მუშაობა. ლაიდენის უნივერსიტეტში გადაღებული სამეცნიერო ფილმები ჩემი პირველი ნამუშევრები იყო. ჩვენ იქ უნდა გაგვეყიდა მიკროგადაღების კინოაპარატურა და რეკლამირებისათვის საჭირო იყო მათი მუშაობაში ჩვენება. ამრიგად, ჩემი მოღვაწეობა კინემატოგრაფიაში დაიწყო, ასე ვთქვათ, სამეცნიერო-ტექნიკურ საფუძველზე. მაგრამ მეწარმეთა და ტექნიკოსთა წრეში ტრიალით კმაყოფილებას ვერ ვგრძნობდი. ისევე როგორც ჩემს ორ ძმას, მეც გული ახალგაზრდა ჰოლანდიელი პოეტებისაკენ მიმიწევდა, მათთან ვმეგობრობდი. ამსტერდამში შემოქმედებით წრეებში უფრო ხშირად ვიყავი, ვიდრე მწარმოებლებს შორის. მალე ჩამოვაყალიბეთ კინოკლუბი, რომელიც თავდაპირველად წმინდა ესთეტიკურ მიზნებს ისახავდა. მანიფესტიც კი გამოვაქვეყნეთ სენტიმენტალური ჰოლივუდის, მისი პროდუქციის ზესექსუალურობისა და კომერციის ინტერესებისადმი შემოქმედების დაქვემდებარების წინააღმდეგ. ეს მანიფესტი დღემდე ინარჩუნებს მნიშვნელობას.

თქვენი ფილმი „წვიმა" ამასთან კავშირში წარმოიშვა?

ივენსი: დიახ. სწორედ აქედან დაიწყო. ჩვენ დავიწყეთ ცენზურის მიერ აკრძალული ფილმების ჩვენება. პუდოვკინის „დედა", შემდეგ — ეიზენშტეინის „ჯავშნოსანი „პოტიომკინი" და სხვ. როცა ვიწყებდით, ჩვენს ლიგაში 400 სტუდენტი იყო. სამ თვეში 4000 გახდა. ეს უკვე რაღაც ესთეტიკური მოძრაობა იყო. სწორედ მაშინ შევქმენი პირველი ფილმი „ხიდი". მეორე იყო ლირიკული სურათი. ეს გახლავთ პოემა წვიმაზე, იმაზე, თუ როგორ იცვლის ქალაქი სახეს წვიმის დროს. ორივე ფილმს მსოფლიო წარმატება ჰქონდა, უჩვენეს პარიზში, ლონდონში, მოგვიანებით კი — მოსკოვში. აქ ფილმები ძლიერ გააკრიტიკეს ფორმალიზმისათვის.

როგორ მოხდა?

30-ანი წლის დასაწყისში მოსკოვში მიმიწვიეს რეჟისორებმა ეიზენშტეინმა და პუდოვკინმა, რომელთანაც ვმეგობრობდი. მოსკოვში ჩამოვედი და შემდეგ ვიმოგზაურე ქვეყანაში.

ეს თქვენი პირველი მოგზაურობა იყო საბჭოთა კავშირში?

დიახ. და იქ ბევრი რამე ვისწავლე. მაკრიტიკებდნენ არა კინემატოგრაფისტები, არამედ მუშები. ჩემს ფილმებს უჩვენებდნენ ყოველ საღამოს მუშათა კლუბებში, დაახლოებით 600 კაცს. დემონსტრირებას მოსდევდა განხილვები, იწყებოდა დისკუსიები. მაშინ დამსწრეთა შორის ბევრი იყო წერაკითხვის უცოდინარი. ადამიანები მეუბნებოდნენ: „ხიდი" ძალიან კარგია, მაგრამ საით მივყავართ? და შეუძლია თუ არა მუშას ასეთი მატარებლით მგზავრობა?" „ზიუდერზეეს" შემდეგ მეკითხებოდნენ: „რამდენ ბეტონს ზიდავს ასეთი მანქანა? რა ღირს ჰოლანდიაში გირვანქა კარაქი?" მე კი ჩემს თავს ვეკითხებოდი: აქვს თუ არა ყოველივე ამას დამოკიდებულება ჩემს ფილმებთან? მე თითქოს ვთვლემდი და გამომაფხიზლეს. თურმე ჩემი ხელოვნება სულ სხვა, უფრო მნიშვნელოვან აზრებს აღძრავს. ასეთი დიალოგი ხალხთან პირველი იყო ჩემს ცხოვრებაში და მისდამი პასუხისმგებლობა ვიგრძენი. დიალოგი ფაქტიურად იწყებოდა ჩემი მონოლოგით — ფილმის დემონსტრაციით და უცებ მოდიოდა საპირისპირო ტალღა, და ვხედავდი, რომ საჭიროა ყველაფრის უკეთ გაკეთება. ჩემი შემოქმედება ჯერ კიდევ მეტად სტერილური იყო.

ისევ მამის საწარმოში ვმუშაობდი და ვუშვებდი ტექნიკურ ფილმებს. ერთხელ მშენებელ მუშათა პროფკავშირებიდან მოვიდნენ ჩემთან და მითხრეს: „გაგვიგონე, ბატონო ივენს, ბურჟუაზიული პრესა ამტკიცებს, რომ თქვენ დიდი ხელოვანი ხართ. ჩვენი 25 წლის იუბილისათვის კი არ გვინდა ძეგლის აღმართვა, არც სამახსოვრო წარწერებიანი ოქროს საათე-

ბის მირთმევა ჩვენი გამგეობის წევრებისათვის. ჩვენ ამის გამო ფილმის ქონას ვამჯობინებდით“. ეს შესანიშნავი, ჭეშმარიტად პროგრესული რამ იყო! ფილმს უკვეთავდნენ ხელოვანს, რომელიც სჭირდებოდათ. რა იქნება ხელოვანისათვის უფრო უკეთესი! ეს მოხდა 1931 წელს. მე შევქმენი ხუთფრაგმენტიანი მუნჯი ფილმი. იგი ბევრი მოკლემეტრაჟიანი სურათის წინამორბედი აღმოჩნდა. სხვათაშორის ამ ფილმის დასასრულით იწყებოდა „ზიუდერზეე“. მუშაობის დროს სხვა რამეც გამოვლინდა: სოციალ-დემოკრატებს სურდათ მიეღოთ უწყინარი, ვეგეტარიანული რამ. მე კი მსურდა ყველაფერი დიალექტიკურ წინააღმდეგობებში მეჩვენებინა. ვინ აშენებს? მუშა. შემდეგ ჩნდება ადამიანი დიდი სიგარით და ამბობს: მე ვაშენებ. სოციალ-დემოკრატებს ასეთი დაპირისპირება არ აწყობდათ. მე უფრო რადიკალურად ვიყავი განწყობილი, ვიდრე დამკვეთები და არ შემეძლო მათ პოზიციას მივმხრობოდი.

იყავით თუ არა მაშინ რომელიმე ორგანიზაციის წევრი?

ივენსი: არა. მაგრამ ვირიცხებოდი ჰოლანდია — საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოებაში. ამას მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან იმ დროს ჰოლანდია ჯერ კიდევ არ სცნობდა საბჭოთა კავშირს. როცა საბჭოთა კავშირში გასამგზავრებლად პასპორტს ვაფორმებდი, მკითხეს — სად მიემგზავრებითო? — „საბჭოთა კავშირში“. „ასეთი ქვეყანა არ არსებობს“, — მიპასუხეს. ჰააგაში მაშინ ჯერ კიდევ აკრედიტებული იყო მეფის რუსეთის ელჩი. პასპორტის ამ გრაფაში ჩამიწერეს: „მიემგზავრება გერმანიასა და სხვა ქვეყნებში“. დაბრუნების შემდეგ ლექციებით გამოვდიოდი სტუდენტებში, ვუყვებოდი საბჭოთა კავშირის შესახებ. სააქტო დარბაზი სავსე იყო. პირველ რიგში ისხდნენ პროფესორები, რომლებსაც თავის დროზე გამოცდებს ვაბარებდი ფილოსოფიაში. დავიწყე იმ ყველაზე უბრალო კითხვით, რომელსაც გვაძლევდნენ გამოცდაზე: „ვინ არის კარლ მარქსი?“ იქვე ვპასუხობდი: „როგორც ხედავთ, ეს არის არა მარტო აგიტატორი, ისე, როგორც აქ გვასწავლიდნენ. შემომხედეთ. იქნებ მეც აგიტატორი ვარ? მაგრამ მარქსი და ლენინი ბევრად უფრო კონკრეტულნი არიან. ახლა ისინი გარდაქმნიან სამყაროს“. წინათ, გამოცდაზე პასუხისას, მარქსის შესახებ ორ წუთში უნდა ჩავტეულიყავი, ახლა კი ორი საათის განმავლობაში ხოტბას ვასხამდი მას. ეს რაღაც არნახული იყო. ასე გავიზარდე პოლიტიკურად.

მიუბრუნდით თუ არა თქვენს ექსპერიმენტებს?

ივენსი: ფილმმა მშენებელი მუშების შესახებ რეალურ სინამდვილესთან პირისპირ დამაყენა. სურათი „ფილიპს-რადიოზე“, განაგრძობდა ტექნიკური სრულყოფის ძიებებს, რომლებიც „ხიდსა“ და „წვიმაში“ დავიწყე. ყოველ შემთხვევაში „ფილიპსზე“ მუშაობისას მაინცდამაინც ბევრს არ ვფიქრობდი სოციალურ მხარეზე. ამ საწარმოში შრომის პირობები ბევრად უკეთესი იყო, ვიდრე ჩვეულებრივ გვხვდება ხოლმე.

მაგრამ უეცრად დაიწყო მემაღაროეთა საყოველთაო გაფიცვა და ჩემს წინაშე დაისახა „ბორინაჟი“. აქ მოხდა გარდატეხა, ჩემი პოზიცია ნათელი და მკვეთრი გახდა. შევიგნე, რომ დოკუმენტალისტი დიდ პასუხისმგებლობას კისრულობს, რომ აქ შუალედი „სადგურები“ არ არსებობს. ჭეშმარიტი „მიმხრობა“ „ბორინაჟით“ დაიწყო. და ამას იქვე მოჰყვა ბურჟუაზიული კრიტიკის პირველი ახმაურებაც... მაგრამ ისინი თავს მესხმოდნენ, არა პოლიტიკური ბრალდებებით. ამას ისინი ჩემს ზურგს უკან აკეთებდნენ: „კომუნისტია, ნუ დაუშვებთ სამუშაოზე“. საჯარო გამოსვლებში კი მარტო იმას აღნიშნავდნენ, რომ როგორც მხატვარი უკვე მოვკვდი. მაკრიტიკებდნენ ესთეტიკური პოზიციებიდან, მაგრამ ვერაფერს ამტკიცებდნენ. მე კი ვთვლი — და სწორედ მხატვრის პოზიციებიდან, — რომ „ბორინაჟი“ უფრო დიდი ფილმია, ვიდრე „წვიმა“.

შემდეგ ჟურნალისტი სიტყვას აგდებს იორის ივენსის ფილმების მეტად დახვეწილი ფორმის გამო, გამოთქვამს თავის თანხმობას იმ მოსაზრებისადმი, რომ საჭიროა მისი სურათების სოციალურ-კრიტიკული შინაარსი როგორღაც გაეხვეს ჩვეულებრივი გამრთობი ფილმების სქემის საბურველში, რათა ერთბაშად თვალში საცემი არ ხდებოდეს მათი ამაფეთქებელი ძალა. მიმაჩნია, რომ ამ მოსაზრებაში არის რაციონალური მარცვალიო, — ამბობს ჟურნალისტი, — რადგან ყოველი ნამუშევარი გარკვეულად სისხლნაკლები ხდება, თუ უგულვებელყოფილია მისი კომერციული მხარე, ცხადია ერთი პირობით — შინაარსი არ უნდა გახდეს გართობის მსხვერპლიო.

ამის გამო იორის ივენსი პასუხობს: ამჯერად მისაბაძ მაგალითად გამოდგებოდნენ სერვანტესი და სვიფტი, რომლებმაც იცოდნენ უძნელეს საზოგადოებრივ პირობებში წარმოუდგენლად თამამი ლაპარაკი, მაგრამ ეს არ იყო კონტრაბანდა. ახლა რომ ახალი დონ-კიხოტი გამოჩენილიყო, თანამედროვე ობივატელები სასტიკად გაუბრაზდებოდნენ. ადამიანებისათვის სიმართლის სათქმელად ყოველგვარი დაბრკოლების გადალახვის მხრივ, იგივე ითქმის ბრეჰტზედაც. მის ნაწარმოებებს ყოველთვის უნდა ვკითხულობდეთ და დაუღალავად ვსწავლობდეთ, ხოლო შემდეგ შესაბამისად ვიყენებდეთ ჩვენს სფეროში. არაფერი მაქვს საწინააღმდეგო კონტრაბანდისადმი, მხოლოდ იგი მაღალ დონეზე უნდა იდგეს. თუ მაყურებელს კონტრაბანდად რასმე მიუტან, ეს უნდა იყოს... ალმასები.

მომავლის გეგმებიდან იორის ივენსი ამხელს ერთ დიდი ხნის ჩანაფიქრს. ეს გახლავთ ერაზმ როტერდამელის „უმეცრების ქების“ თანამედროვე გადმოცემა. „ერაზმმა ეს წიგნი XVI საუკუნეში დაწერა, დასცინა თავის თანამედროვე ბიბლიურ ბრძენებს, რომლებიც თავს ეკითხებოდნენ — ვინ არის ბრძენი და ვინ სულელიო? მე კი ამ თემის უფრო მწვავედ დამუშავება მსურს. ერაზმმა ფართოდ გამოიყენა ბერძნული და რომაული მითოლოგია, მე კი მინდა ეს ყველაფერი მეტად გესლიანად გავაკეთო, უფრო გოიას სტილში. აბსოლუტურად თანამედროვედ მიმაჩნია: შევუტიო ფაშიზმის უმეცრებას, მილიტარიზმს, ბიუროკრატიზმს... უკვე ბევრი იდეა მაქვს ამის გასაკეთებლად. ყველაფერი უნდა იყოს სასაცილო, გამოვიყენებ ინსცენირებას, ნაწილობრივ — მულტიპლიკაციას და კიდევ ღმერთმა უწყის რას. რასაკვირველია, ეს ჩანაფიქრი დიდია და ძნელიც, მაგრამ ამ ნამუშევრით მინდა გამოვთქვა ბევრი რამ, რაზედაც წლების განმავლობაში მიფიქრია.

ჟურნალისტის კითხვაზე — კიდევ რის გაკეთება გაქვთ განზრახულიო, — იორის ივენსი ამბობს: ჩვენს გვერდით მუდამ მიაბიჯებს დიდი სცენარისტი — ისტორია თუ უცებ რაიმე მოხდა და ვიგრძნობ, რომ ვჭირდები — მეც იქ გავჩნდები. გული მუდამ იქ მიმიწევს, სადაც დიდი მოვლენები ხდება. მაგრამ ცოტათი ეგოისტიცა ვარ და, ცხადია, მინდა, რომ არაფერი მოხდეს. ახლა ახალგაზრდობა უნდა ქმნიდეს მებრძოლ ფილმებს. მე კი მზად ვარ დახმარების ხელი გავუწოდო სხვადასხვა ქვეყნის ახალგაზრდა კინოდოკუმენტალისტებს, რათა მათ განაგრძონ ჩვენს მიერ დაწყებული საქმე. ეს მოითხოვს მსხვერპლს და მას ყველა ვერც შესძლებს. ბევრი რამ დამოკიდებულია პოლიტიკური რწმენის სიწმინდეზე. მებრძოლი ფილმების კეთება იმათი საქმეა, ვინც მომავალზე ფიქრობს.

ამ საუბარში არაფერი თქმულა იორის ივენსის ახალ ფილმზე, რომელიც მებრძოლმა კინოდოკუმენტალისტმა დღევანდელ ვიეტნამში გადაიღო. სულ მალე კი პარიზში შედგა მისი „მე-17 პარალელის“ პრემიერა. ფრანგული გაზეთები და ჟურნალები ფართოდ გამოეხმაურნენ მას.

„ამ ფილმში მთელი სიცხადით გამოვლინდა მისი შემქმნელის გენია“, — წერს გაზეთ „ფრანს ნუველში“ კინოკრიტიკოსი ალბერ სერვონი. აი რა განუცხადებია მისთვის იორის ივენსს:

„ფილმი „მე-17 პარალელი“ ჩემთვის ახალი ეტაპია ვიეტნამის სინამდვილის გახსნისა. სურათი ვიეტნამელთა მხარეზეა მათ სამართლიან ბრძოლაში.

მე არ ვქმნიდი ამ ფილმს, მე ვცოცხლობდი ამ სურათში... ჩვენს ორსაათიან ფილმში 40 წუთი სინქრონული კადრები მიდის. მათი გადაღება არც თუ იოლი იყო საომარი მოქმედების დროს, ცეცხლის ხაზზე!.. ოპერატორმა კინოკამერას „ფიქრი“ უნდა აიძულოს. ვიეტნამელი ოპერატორები შესანიშნავი ოსტატები არიან, განსაკუთრებით რეპორტაჟის სფეროში. ეს მათ ომმა ასწავლა. მაგრამ მე მაინც მივესწრაფოდი, რომ მათ აეთვისებინათ ის სტილი, რომლის მინიჭებაც ამ ფილმისათვის მსურდა... ჯერ იყო და თავად მინდოდა დიქტორის ტექსტის წარმოთქმა (ისევე, როგორც ფილმში „ცა და მიწა“). მაგრამ, თუ შეიძლება ასე ითქვას, თვითონ ფილმმა უარმყო, მე „შეუთავსებელი“ აღმოვჩნდი მასალისათვის, რომელიც თავისთავად არსებობდა“. მაშინ ივენსის უახლოეს თანაშემწეს მარსელინა ლორიდანს აზრად მოსვლია, რომ ვიეტნამის მიწაზე დატრიალებული მოვლენების შესახებ ეკრანიდან მოეთხრო რომელიმე ვიეტნამელ პატრიოტ ქალიშვილს. ასეც მოიქცნენ.

„სურათი „მე-17 პარალელის“ მონტაჟი, — განაგრძობს იორის ივენსი, — არ წააგავს ფილმს „ცისა და მიწის“ მონტაჟს. ამჯერად კ ა დ რ ე ბ ს კი არ ვამონტაჟებდი, არამედ გ რ ძ ნ ო ბ ე ბ ს“.

გაზეთ „ლუმანიტეს“ კორესპონდენტისათვის მიცემულ ინტერვიუში იორის ივენსი აცხადებს: ტელევიზიით მოგვეყირჭა სამხედრო ქრონიკა. მაგრამ მას არ გაუხსნია ხალხის თავდაცვითი ძლიერება, არ უჩვენებია თუ როგორ ცხოვრობენ და იბრძვიან ვიეტნამელები ყოველ დღე. ამიტომაც გადავწყვიტეთ გვეჩვენებინა ძირითადი ნიშნები სახალხო ომისა, რომელსაც, შესაძლოა, თანამედროვე ისტორიის მსვლელობაზე გავლენის მოხდენაც კი შეუძლია.

ჩვენი ექსპედიცია გაემგზავრა მე-17 პარალელის ყველაზე „ცხელ“ ალაგას, სადაც არ დაუშვიათ არც ერთი უცხოელი კინემატოგრაფისტი. ეს გახლავთ საფრონტო ხაზი ვინ ლინი, რომელსაც „ცეცხლის ხაზს“ უწოდებენ. ჩვენ ვიღებდით, აგრეთვე, ხალხის წინააღმდეგობას, რომელსაც მძიმე არტილერია ცეცხლს უშენს სამხრეთიდან, ხოლო ზღვიდან მე-7 ამერიკული ფლოტის არტილერია ბომბავს“.

„იორის ივენსმა და მარსელინა ლორიდანმა მრავალი კვირა გაატარეს სოფელში, რომელიც „ცეცხლის ხაზზეა“ განლაგებული, — წერს „ლუმანიტე დიმანშში“ კინომიმომხილველი ფრანსუა მორენი. — ვიეტნამელ კინოჯგუფთან ერთად მათ თავიანთი არსებობის რიტმი დაუმორჩილეს გლეხ-ჯარისკაცთა ცხოვრების რიტმს. ისინი ფირზე აღბეჭდავდნენ იმას, თუ ეს გლეხი-ჯარისკაცები როგორ ამუშავებენ ბრინჯის ნათესებს, როგორ ავსებენ მიწით ყუმბარებისაგან ამოთხრილ ორმოებს, საჰაერო განგაშის დროს როგორ ესვრიან მტრის თვითმფრინავებს, ტყვედ როგორ აჰყავთ მათ მიერ ჩამოგდებული მფრინავი-ამერიკელი, რა საოცარი გამომგონებლობით იყენებენ თავიანთ მეურნეობაში ამერიკული თვითმფრინავების ნამსხვრევებსა და გაუმსკდარ ბომბებს, როგორ იცავენ ზღვის სანაპიროს,

როგორ ვარჯიშობენ ხელჩართული ბრძოლებისათვის მტრის დესანტის შესახვედრად, როგორ უვლიან დაჭრილებსა და აქრობენ ხანძრებს... და ყველაფერს ამას აკეთებენ განსაკუთრებული სიმშვიდით, დარწმუნებულები იმაში, რომ ვერაფერი გასტეხს მათ სწრაფვას გამარჯვებისაკენ, ვერაფერი შეარყევს მათ მაღალ მორალურ სულისკვეთებას.

ამერიკული სამხედრო მანქანა ვერასოდეს ვერ შესძლებს გამარჯვებას... ამ ფილმში დახატულია გასაოცარი იერსახე ხალხისა, რომელსაც გადაუწყვეტია სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იბრძოლოს თავისი ტერიტორიული ხელშეუხებლობისათვის, თავისი დამოუკიდებლობისათვის. ეს არის მთავარი, რაც წარმოგვიდგება იორის ივენსის ფილმით, რომელშიც ნათლად გამოვლინდა დიდი კინორეჟისორის მთელი შემოქმედებისათვის დამახასიათებელი ჰუმანიზმი. ეს ფილმი ვიეტნამელი ხალხის სადიდებელი ტრაგიკული პოემაა, ეს არის თავისუფლების ჰიმნი".

„ეს ფილმი ჩვენი დროის კულტურის მნიშვნელოვანი მოვლენაა, — იორის ივენსი განაგრძობს საქმეს, რომელსაც შესწირა მთელი თავისი ცხოვრება. იგი მიელტვის იყოს თავისი დროის მებრძოლი, იდგეს მუდამ მოწინავე ხაზზე, ბრძოლის პოსტზე კინოკამერით ხელში. იგი უბრალოდ ფერწერულ კადრებს კი არ იღებს, არამედ იმ მთავარს, რისთვისაც ადამიანები იბრძვიან, იტანჯებიან, კვდებიან...

იორის ივენსი თითქმის სამი წლის განმავლობაში აწარმოებდა კინოგადაღებას ვიეტნამში, საიდანაც ჩამოიტანა ბევრი გამაოგნებელი კადრი. ეს კადრები შევიდა მის ფილმებში — „ცა და მიწა", „ვიეტნამისაგან შორს" და სხვ.

ფილმი „მე-17 პარალელი" თითქმის ორ საათს მიდის ეკრანზე. უდავოა მისი ტექნიკური ღირსებები (თუ გავითვალისწინებთ გადაღების პირობებს და იმას, რომ ფილმს იღებდნენ 16 მილიმეტრიანი კამერით). ჩვენს წინაშეა ერთ-ერთი ყველაზე გრანდიოზული და უტყუარი დოკუმენტი ომზე. იგი არც ერთ სხვა ომს არ ჰგავს. შეულამაზებელი ორიგინალური მანერით, მკაცრი თავშეკავებით შესრულებული ეს ფილმი ნათლად გვიჩვენებს: ამ ომს წინაღსდგომია მთელი ხალხი ...შესაძლოა ეს კინონაწარმოები ექვივალენტურია მსოფლიო ხელოვნების ისეთი ქმნილებებისა, როგორიცაა ჟაკ კალოს „ომის საშინელებანი" ან გოიას „ომის საშინელებანი".

„ის, რისი ნახვაც მომიხდა ვიეტნამში, ეს არის აზვირთება, ვაჟკაცობა, გმირობა მთელი ქვეყნისა, რომელიც თავისი დამოუკიდებლობის, თავისუფლების ელემენტარული უფლების დასაცავად აღმსდგარა", — თქვა იორის ივენსმა ფილმ „ცა და მიწის" გამო. ეს განსაზღვრა, ცხადია, „მე-17 პარალელისათვისაც" გამოდგებოდა. ეს არის პოემა გმირობაზე, სიკვდილსიცოცხლეზე, ადამიანის გონიერებაზე. იგი აძლიერებს ამ გმირობას, აქცევს მას იმ ხალხის გადამწყვეტ მორალურ იარაღად, რომელიც უბრალოდ თავის გადარჩენას კი არ ესწრაფვის, არამედ გ ა მ ა რ ჯ ვ ე ბ ა ს.

ამიტომაც გასაგებია, რატომ აირჩია იორის ივენსმა თავისი ფილმის მოქმედების ადგილად აგრესიის ყველაზე „ცხელი" პუნქტი, რომელიც მდებარეობს „დემილიტარიზებული" ზონის საზღვარზე, მდინარე შენ ხაის ჩრდილოეთ ნაპირზე, მე-17 პარალელიდან რამდენიმე ასეულ მეტრზე.

და სასწაული ის არის, რომ ამ ჯოჯოხეთურ აპოკალიპსში სიცოცხლე გრძელდება, ეწყობა ცხოვრება ახალი ნორმებით, ახალი რიტმით, ეთვისება განგაშების, თავშესაფრების, მიწისქვეშა ტრანშეების რთულ სისტემას.... ყოველ კადრში შეგძრავს დიადი ღირსება ადამიანებისა, რომლებსაც მიწა თავიანთ მოკავშირედ უქცევიათ.

ბრწყინვალეა ფინალური ეპიზოდი: ცხრა წლის ბიჭუნა, რომელიც სამხრეთში, ამერიკული ვერტმფრინავების ბაზის მახლობლად ცხოვრობს, გვიყვება, თუ მისი ზუსტი ცნობების მიხედვით, როგორ მოსპეს ეს ბაზა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ფრონტის მებრძოლებმა.

იორის ივენსმა უბრალოდ (და უკვე მერამდენედ!) წარმატებით კი არ დაასრულა თავისი გაბედული მისია, არამედ ბევრად მეტიც გააკეთა: მან შექმნა შედევრი ადამიანის სადიდებლად".

დაუღალავი „მფრინავი ჰოლანდიელი" კვლავ შემოქმედებითი გეგმებითაა აღსავსე, კვლავ შემართულია საბრძოლველად მშვიდობისათვის, სამართლიანობისათვის, ქვეყნად სიკეთის დამკვიდრებისათვის. იორის ივენსი ღირსეულად ატარებს „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის" საერთაშორისო ლენინური პრემიის ლაურეატის საპატიო სახელს.

# საბჭოთა საქართველოს ხელოვნება

სასკოლო ბიბლიოთეკის წიგნაკში „საბჭოთა საქართველოს ხელოვნება" იგორ ურუშაძე ნორჩებს გასაგებად და მისაწვდომად მოუთხრობს ქართული საბჭოთა ხელოვნების აღმოცენებასა და განვითარებაზე, პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ვითარების ფონზე და მათთან კავშირში აცნობს მკითხველებს ამ განვითარების გზას, წინააღმდეგობებს, რეალისტური ხელოვნების მიმდევართა ბრძოლას რეაქციული, დეკადენტური ხელოვნების წინააღმდეგ ადრინდელ ეტაპზე.

„სოციალისტური მშენებლობის წარმატებებმა, ხელოვნების პარტიული ხელმძღვანელობის ლენინურმა სტილმა, სახელმწიფოს ზრუნვამ ხელოვნებაზე უსაზღვრო სივრცეები გადაშალა ქართველი ხალხის მხატვრული შემოქმედების წინაშე — აღნიშნავს ავტორი და მკითხველებს მოუთხრობს თბილისის სამხატვრო აკადემიის ჩამოყალიბებაზე, მის პედაგოგებზე, სასწავლო პრინციპებზე,




თანმიმდევრულად აცნობს მათ ქართული საბჭოთა ხელოვნების მიღწევებს მისი აღმავალი განვითარების გზაზე. მკვლევარი განსაკუთრებით გამოყოფს მნიშვნელოვან, საეტაპო გამოფენებს, რომლებიც გამოხატავდნენ ქართველ შემოქმედთა წინსვლას, იდეურ-მხატვრულ დაოსტატებას.

შემდეგ ი. ურუშაძე მოკლე ცნობებს იძლევა ქართველ ხელოვანთა და მათი ნაწარმოებების ირგვლივ, მკითხველებს აცნობს ყველა თაობის სახელმოხვეჭილ მხატვართა, ფერმწერთა, გრაფიკოსთა, მოქანდაკეთა და კერამიკოსთა შემოქმედებას, მათ თვალსაჩინო ნაწარმოებებს.

ეს პატარა წიგნაკი უეჭველად საინტერესო და მნიშვნელოვანია არაქართველი მკითხველისათვის, ვისაც სურს წარმოდგენა ჰქონდეს მოძმე რესპუბლიკის სახვით ხელოვნებაზე, მისი განვითარების გზასა და დღევანდელ შესანიშნავ მიღწევებზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა


18 74 Г.

1874 წელს ხონში გამართული წარმოდგენის აფიშა



ქალაქ წულუკიძის კულტურის სახლი

# ხონის თეატრალური წარსულიდან

პეტრე ვაჭრიძე

გიორგი ბახტაძე

ხონი, რომელიც ამჟამად ცნობილი რევოლუციონერის ალექსანდრე წულუკიძის სახელს ატარებს, თეატრალური ტრადიციების ქალაქია. აქ ჯერ კიდევ XIX საუკუნის მეორე ნახევარში საქველმოქმედო მიზნით ხშირად იმართებოდა ლიტერატურულ-მუსიკალური საღამოები და თეატრალური წარმოდგენები. ხონში პირველი წარმოდგენა 1865 წლის 24 იანვარს (ძვ. სტილით) გაუმართავთ. დაუდგამთ გ. ერისთავის ცნობილი კომედია „გაყრა". ამ სპექტაკლის სტამბური წესით დაბეჭდილი პროგრამა, რომელიც საზოგადო მოღვაწემ დ. ლორთქიფანიძემ თავის მამის არქივში აღმოაჩინა, გამოქვეყნდა ჟურნალში „თეატრი და ცხოვრება" [1].

ეს წარმოდგენა რუსეთის და უცხოეთის საუნივერსიტეტო ქალაქებში მოსწავლე ღარიბ ქართველ სტუდენტთა დასახმარებლად გაიმართა. ამით ხონი ერთ-ერთი პირველთაგანი გამოეხმაურა მოწინავე ქართველი ინტელიგენციის მოწოდებას — ღარიბ სტუდენტთა სასარგებლოდ სახსრების შეგროვების შესახებ.

წარმოდგენის გამართვის ინიციატორები და მისი პირველი მონაწილენი იყვნენ წულუკიძეები.

ხონის კულტურულ ცხოვრებაში ეს იყო დიდი მნიშვნელობის მოვლენა, რითაც საფუძველი ჩაეყარა კარგ ტრადიციას — წარმოდგენების ჩვენებას.

XIX საუკუნის 70-იან წლებში ხონში კვლავ დაიდგა გ. ერისთავის კომედიები — „გაყრა" და „ძუნწი". ამჯერადაც სპექტაკლები გაუმართავთ და მათში მონაწილეობა მიუღიათ

---

[1] ნ. გვარაძე „თეატრალური მემუარები", თბ. 1949, გვ. 80; „თეატრი და ცხოვრება", 1914, № 3, გვ. 16. ხონში პირველი წარმოდგენის სხვა თარიღს ასახელებს ილ. რუხაძე. იხ. „თეატრი და ცხოვრება", 1916, № 37, გვ. 12 — 13; საქართველოს სათეატრო მუზეუმი, ხელ. ფ. 42.

წულუკიძეებს. ხონელმა სცენისმოყვარეებმა ურთიერთობა დაამყარეს ქუთაისის თეატრის მსახიობებთან და მათი დახმარებით ცდილობდნენ თავიანთ მშობლიურ დაბაში წინ წაეწიათ ქართული წარმოდგენების გამართვის საქმე. საქართველოს თეატრალურ მუზეუმში დაცულია 1874 წლის 22 და 23 აპრილს ხონის ქალთა უფასო სასწავლებლების სასარგებლოდ გამართული წარმოდგენების აფიშა. ამ დოკუმენტიდან ირკვევა, რომ ადგილობრივი ინტელიგენციის მოწვევით მაოში მონაწილეობდა ეფრო კლდიაშვილისა, გამოჩენილი საზოგადო მოღვაწე ქალი, ქუთაისის თეატრის დაარსების ერთ-ერთი ინიციატორი და აკაკის ახლო მეგობარი. მას ყარდაშვერდის როლი შეუსრულებია.

1875 წელს ხონელებმა ეფ. კლდიაშვილთან და სხვა ქუთაისელ მსახიობებთან ერთად წარმოადგინეს „ძალად ექიმი“ (კომედია ორ მოქმედებად გადმოკეთებული რ. ერისთავის მიერ) და „მდგმური ტრომბონით“ (ვოდ. 1 მოქმედებად ს. ბოიკოვისა, თარგმანი ვ. აბაშიძის).

ხონელ სცენისმოყვარეთა ეს პირველი ნაბიჯები შეუმჩნეველი არ დარჩენია ქართველ საზოგადოებრიობას. გაზეთ „დროების“ რედაქცია მიესალმა მათ პირველ წარმოდგენებს, რომლებსაც „ჩვენი ცხოვრების მცირე ბრწყინვალე მოვლენა უწოდა [2]“.

80 — 90-იან წლებში ხონში ქართული წარმოდგენები გახშირდა. 1880 წლის 16 აგვისტოს, ქალთა სასწავლებლის სასარგებლოდ, ანა და ეკატერინე ნიკოლაძეების თაოსნობით, ხონელმა სცენისმოყვარეებმა წარმოადგინეს „ბიძიასთან გამოხუმრება“ (ვოდევილი ერთ მოქ. გადმოკეთებული რ. ერისთავის მიერ) და „ფერი ფერს, მადლი ღმერთს“ (კომედია 3 მოქ. გადმოკეთებული ა. ჰიჰინაძის მიერ). სპექტაკლებში მონაწილეობდნენ: ქუთაისის თეატრის გამოჩენილი მსახიობი კოტე მესხი, მ. ნათაძე, პ. წულუკიძისა, ალ. ნათაძე, ვ. ქუთათელაძე, ლიპა წულუკიძისა, ან. და ეკ. ნიკოლაძეები და სხვები. როგორც „დროება“ აღნიშნავდა, ამ წარმოდგენებმა მაყურებლები აღტაცებაში მოიყვანა.

1883 წლის 23 აპრილს, ხონის საოსტატო სემინარიის ღარიბ მოწაფეთა დამხმარე საზოგადოების ინიციატივით, მორიგი ქართული წარმოდგენა გაიმართა აკ. ქუთათელაძის, ა. ნაზარიშვილის, ს. გოგოლაშვილის, მ. კლდიაშვილის და სხვათა მონაწილეობით.

1884 წელს ხონის კულტურულ ცხოვრებაში ყველაზე საყურადღებო მოვლენა იყო ცნობილი მომღერლის, ქართული სიმღერა-გალობის შეკრების და მათი გამოცემის ერთ-ერთი ინიციატორის ფილიმონ ქორიძის კონცერტი, რომელიც 16 სექტემბერს გაიმართა. ფ. ქორიძემ დასავლეთ საქართველოში ბევრი კონცერტი მოაწყო. ქართული მუსიკის ერთგულ და უანგარო მოღვაწეს ყველგან დიდი სიხარულით ხვდებოდნენ, მაგრამ მას განსაკუთრებული წარმატება განთქმული მგალობლების — წულუკიძეების და ქუთათელაძეების სამშობლოში ხვდა. კონცერტს დაესწრო გამოჩენილი ქართველი მწერალი გ. წერეთელი, (სამტრედია-ხონის რკინიგზის გაყვანის საკითხთან დაკავშირებით იგი ხშირად იმყოფებოდა ხონში), რომელმაც ვრცელი წერილი მოათავსა „დროებაში“.

ერთხანს ხონში ქართული წარმოდგენების გამართვის საქმე შეფერხდა. მაგრამ თბილისის დასის მსახიობის — სვიმონ გოგოლაშვილის, ცნობილი საზოგადო მოღვაწეების — ა. ქუთათელაძის, ნ. წერეთლის და სხვათა ენერგიული ღონისძიებების შედეგად ხონელმა სცენისმოყვარეებმა მუშაობა განაახლეს. 1889 წლის 23 ივლისს მათ წარმოადგინეს „ბაიყუში“ (ფარსი 2 მოქ., გადმოკეთებული ა. ცაგარლის მიერ) და „დილა ქორწილის შემდეგ“ (1 მოქ. ვოდევილი. გადმოკეთებული ა. ყაზბეგის მიერ). „23 წარსული თვისა საყურადღებო და სახსოვარი იქნება ჩვენთვის, — წერდა ხონელი კორესპონდენტი გაზეთ „ივერიაში“, — ამ დღეს სამი წლის შემდეგ ხონელები ველირსეთ ქართულ წარმოდგენას, რომელმაც საზოგადოთ ჩინებულად ჩაიარა“ [3].

1890 წლის 20 ივლისს ხონში დიდი საღამო-კონცერტი გაიმართა ახალგაზრდა ნიჭიერი მომღერლის პლატონ კაკაბაძის მონაწილეობით. ხონელებმა გულთბილი შეხვედრა მოუწყვეს თავიანთ თანამემამულეს, რომელიც პეტერბურგის კონსერვატორიაში სწავლის გასაგრძელებლად ემზადებოდა. დარბაზი, სადაც კონცერტი ტარდებოდა, ხალხით გაიჭედა. პლატონ კაკაბაძის გამოსვლამ მოლოდინს გადააჭარბა. საღამოზე ბენაშვილისა და რატინის მიერ დამუშავებული სიმღერები შეასრულა მოწაფეთა გუნდმა, რომელსაც პლ. კაკაბაძე ხელმძღვანელობდა. საღამო-კონცერტზე სვ. გოგოლაშვილმა წაიკითხა სცენები პიესებიდან, ხოლო ნ. წერეთელმა ქართული ლექსები. ფორტეპიანოზე უკრავდა ელისაბედ კრინინა.

1890 — 1900 წლებში ხონელმა სცენისმოყვარეებმა დადგეს ვ. აბაშიძის „ცოლი თუ გინდა ეს არის“, ვ. გუნიას დრამა „და-ძმა“, გ. სუნდუკიანცის კომედია „პეპო“ და სხვები.

1895 წლის 4 იანვარს ხონში ჩატარდა დიდი რუსი მწერლის ა. გრიბოედოვის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო.

მიუხედავად იმისა, რომ 1865 — 1900 წლებში ხონში ქართული წარმოდგენები ხშირად იმართებოდა, ამას მაინც შემთხვევითი ხასიათი ჰქონდა და სრულიად ვერ აკმაყოფილებდა მოსახლეობის გაზრდილ მოთხოვნილებებს: წარმოდგენები და კონცერტები, ლიტერატურული შეკრება-საღამოები ტარდებოდა კერძო ბინებში ან სასწავლებელთა ვიწრო ოთახებში. სწორედ ამ წარმოდგენებმა და კონცერტებმა, რომლებიც წარმატებით სრულდებოდნენ, მოამზადეს ნიადაგი ხონში სცენისმოყვარეთა მუდმივი დასის ჩამოსაყალიბებლად და თეატრის შენობის ასაგებად.

1901 წლის დასაწყისში შედგა ადგილობრივი ინტელიგენციის წარმომადგენელთა კრება, რომელმაც მიიღო დადგენილება ხონში თეატრის შენობის აგების და სცენისმოყვარეთა დასის შექმნის შესახებ. ამ გადაწყვეტილების განხორციელებაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს პოლ. ჩხიკვიშვილმა, პ. კიკალიშვილმა, ვ. შავდიამ, პ. მდივანმა, ი. ქუთათელაძემ და სხვ. მათ თეატრის შენობის ასაგებად საჭირო თანხა ისესხეს შავი ქვის მრეწველ მ. მებუკესაგან. თეატრის ფიცრული შენობა უფასოდ ააგეს ძმებმა შველიძეებმა [4]. არჩეული იქნა სათეატრო კომიტეტი პ. ჩხიკვიშვილის, პ. კიკალიშვილის, ო. წერეთლის, ო. ლორთქიფანიძის, ი. ბახტაძის და სხვათა შემადგენლობით. კომიტეტმა ალ. წულუკიძის მონაწილეობით შეადგინა რეპერტუარი. სცენისმოყვარეთა დასს ხელმძღვანელობდა ქუთაისის თეატრის მსახიობი და მხატვარი ვასილ ბალანჩივაძე.

ხონის საზაფხულო თეატრის დაარსების ინიციატორები თეატრის დანიშნულებას ხალხზე, მშრომელ მასებზე იდეურ ზემოქმედებაში ხედავდნენ. მათ სურდათ რაც შეიძლება მეტი უფასო წარმოდგენები გაემართათ და ამით გონებრივი საზრდო მიეცათ მაყურებლებისათვის. ამ თვალსაზრისით იყო შედგენილი რეპერტუარი, რომელშიაც შედიოდა (1901 — 1906 წ. წ.) დ. ერისთავის „სამშობლო“, აკ. წერეთლის „პატარა კახი“, დ. კლდიაშვილის „ირინეს ბედნიერება“, გ. სუნდუკიანცის „პეპო“, ა. ოსტროვსკის „შემოსავლიანი ადგილი“,

[2] „დროება“, 1874, 1, 25 №. 408, გვ. 2.

[3] „ივერია“, 1889, 8, 1, № 161.

[4] ნ. გვარაძე „ქ. წულუკიძის (ხონის) თეატრის ისტორია“ ხელნაწერი საქ. სათეატრო მუზეუმი ფ. 3 საქ. ხ. 14603, გვ. 7.



ხონის თეატრალური დასი 1913 წლის სეზონში. მეორე რიგში მარჯვნიდან მეორე ზის ნუცა ჩხეიძე, პირველ რიგში შუაში — რეჟისორი მიხეილ ქორელი

მოლიერის „სკაპენის ცუღლუტობანი“, ა. ცაგარლის „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“ და სხვ. [5].

ამ პერიოდში სასცენო მუშაობით და წარმოდგენების მომზადებაში ხონის საზაფხულო თეატრს დიდ დახმარებას უწევდნენ: — ელ. ხინტკირია, აგ. ჭავჭანიძე, ფ. ბახტაძე, ნ. წულუკიძე, ნ. ბახტაძე-ფრანგიშვილისა, ფარცვანია, პ. გეგეჭკორი, მ. ქუთათელაძე-რატიანისა, ლ. გალდავაძე, მ. ბალანჩივაძე, ლ. ლორთქიფანიძე, ნ. მენაბდე, ვ. ქუთათელაძე, ნ. ბალანჩივაძე, გ. პირტახია, ვლ. ტყეშელაშვილი, ბ. მდივანი, ჭ. ქუთათელაძე, ვ. შავდია, ი. ბახტაძე, კ. უგულავა, პ. ჩხიკვიშვილი, პ. კიკალიშვილი, გ. მებუკე, ვ. ქუთათელაძე, ვ. და პ. აბაშიძეები, დ. ლორთქიფანიძე, ვ. კეთილაძე, კ. მაჭარაძე, შ. გოგოლაშვილი, ი. მამფორია, მ. რატიანი, ა. ბახტაძე, კ. კაკაბაძე, დ. მებუკე, ი. რუხაძე, ლ. ჩხეიძე, მ. ქუთათელაძე, ეკ. ბახტაძისა, კ. ქუთათელაძე, მაშიკო ქუთათელაძე, ც. ლორთქიფანიძე, ვ. ძიძიგური, გრ. ქუთათელაძე, პოლ. მდივანი და სხვ. ჩამოსულთაგან: ალ. ჯაფარიძე, მიხ. მდივანი, მ. გარიყული, ფრანგულიანი, თ. მშველიძე და სხვები.

ხონის საზაფხულო თეატრს მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა ქუთაისის თეატრთან, რომელსაც ამ დროს სათავეში ქართული სცენის მშვენება ლადო მესხიშვილი ედგა. შეიძლება ითქვას, რომ 1901 — 1917 წლებში ხონში არ დადგმულა თითქმის არც ერთი სპექტაკლი, რომელშიაც მონაწილეობა არ მიეღოს ქუთაისის თეატრის რომელიმე მსახიობს ან რეჟისორს.

1901 წლის ზაფხულში ლ. მესხიშვილისა და ვ. გუნიას დასი დასავლეთ საქართველოში მოგზაურობდა. ინტელიგენციის მოწვევით ივნისში ისინი ხონსაც ეწვივნენ. ქუთაისის დასმა სულ სამი წარმოდგენა გამართა: „ბედს ვერ წაუხვალ“ (დრამა, გადმოკეთებული მ. ნასიძის მიერ), „ორი გმირი“ (დრამა გად. ვ. გუნიას მიერ) და „უკუღმართი ალაგი“ (ვოდ. ხოლსტოვისა, თარგ. ე. მესხისა). „ქართული სცენის ჯადოქარის“ ლ. მესხიშვილის პოპულარობამ და ქუთაისის თეატრის მაღალკვალიფიციურმა კოლექტივმა დიდძალი მაყურებელი მიიზიდა. წარმოდგენები წარმატებით ჩატარდა, რამაც ხონში თეატრის ავტორიტეტი კიდევ უფრო აამაღლა, ამას დაემატა ისიც, რომ 1901 წ. 25 ივლისს აკაკი დაესწრო ხონელ სცენისმოყვარეთა სპექტაკლს „პეპო“, რომელშიაც მონაწილეობდა ცნობილი ექიმი პოლიკარპე ჩხიკვიშვილი. დარბაისელი ინტელიგენტის სცენაზე გამოსვლამ და მის მიერ თეატრის მაღალი საზოგადოებრივი დანიშნულების ღრმა შეგნებამ აკაკის დააწერია სტატია, რომელიც დიდად სცილდება ხონელთა სპექტაკლის რეცენზიის ფარგლებს და საკითხთა უფრო ფართო წრეს მოიცავს. საზოგადო მოღვაწის სცენაზე გამოსვლას აკაკიმ ჩვენი ცხოვრების სინამდვილის „ობოლი მარგალიტი“ უწოდა. საერთოდ სცენისმოყვრეთა თამაშს დიდ პოეტზე კარგი შთაბეჭდილება მოუხდენია. „თვით ჩვენი საყვარელი, სათნო ავტორიც, რომ დასწრებოდა წარმოდგენას, უეჭველია იტყოდა: ესენი ხომ ნამდვილად ჩემი ნათლულები არიან, მაგრამ ე რა სხვანაირად უქცევენ კილოსო“ [6] — წერდა აკაკი.

1902 წლის აპრილში ხონს ესტუმრა გამოჩენილი ქართველი მსახიობი ნუცა ჩხეიძე. მან მონაწილეობა მიიღო დ. კლდიაშვილის პიესაში „ირინეს ბედნიერება“ (ასრულებდა ირინეს როლს) და აკაკის ვოდევილში „ბუტიაობა“. წარმოდგენები ნ. ჩხეიძის მონაწილეობით უჩვეულო წარმატებით ჩატარდა.

[5]. ხონის თეატრალური ცხოვრება (ბიბლიოგრაფია), ხელ. საქ. სათეატრო მუზ.

[6] „ივერია“ 1901 წ. № 170 ა. წერეთელი, თხზ. სრული კრებული ტ. 6 გვ. 269.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაყურებელი აღტაცებაში მოიყვანა უბადლო ხელოვანის ბრწყინვალე თამაშმა.

1903 წლის საზაფხულო სეზონის დამთავრების შემდეგ უბადრუკი ნაგებობა, რომელიც კერძო პირს ეკუთვნოდა, დაანგრიეს და თეატრი კვლავ შენობის გარეშე დარჩა. ამ გარემოებამ მოწინავე ინტელიგენციის წინაშე დააყენა საკითხი ხონში სახალხო სახლის აშენების შესახებ. მაგრამ სანამ ეს საქმე მოგვარდებოდა, ხონელ სცენისმოყვარეებს თავიანთი საქმიანობა არ შეუწყვეტიათ. წარმოდგენები და საღამო-კონცერტები იმართებოდა კერძო ბინებში, ფართო ეზოებში და დიდძალ მაყურებელს იზიდავდა.

1904 წლის აპრილში ხონს ესტუმრა ქუთაისის ახალგაზრდა მსახიობთა ამხანაგობა ი. ზარდალიშვილის, გ. ურბნელის და სხვათა შემადგენლობით, ხოლო 1905 წელს ლადო მესხიშვილი თავისი დასით. ამჯერად ლ. მესხიშვილის მონაწილეობით დაიდგა ა. ოსტროვსკის „შემოსავლიანი ადგილი" და მანსფელდის „შეშლილი". ქუთაისიდან ჩამოსულ მსახიობებს შეუერთდა შ. დადიანიც, რომელიც იმჟამად ნათესავთან იმყოფებოდა ხონის მახლობლად. წარმოდგენები გაიმართა მღვდლის სევერიანე ჩხენკელის ეზოში.

მიუხედავად იმისა, რომ ხონელ სცენისმოყვარეებს თეატრის შენობა არ ჰქონდათ, ისინი მაინც მხნედ განაგრძობდნენ მუშაობას და მომსახურეობას უწევდნენ არა მარტო თავიანთი დაბის, არამედ ახლომახლო სოფლების და ზოგჯერ სამეგრელოს მოსახლეობასაც კი [7]. აფასებდა რა ამ პერიოდის საზაფხულო თეატრის მნიშვნელობას ხონის კულტურულ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ადგილობრივი ბოლშევიკური ორგანიზაციის ერთ-ერთი ხელმძღვანელთაგანი წერდა: „ხონის რაიონის მოსახლეობაში თეატრმა პოპულარობა მოიპოვა; წარმოდგენებს ესწრებოდნენ არა მარტო ხონში მცხოვრებნი, არამედ ხონის რაიონის სხვადასხვა საზოგადოებიდან, რომელნიც ხშირად 8 — 10 ვერსის მანძილზე იყვნენ ხონს დაშორებული. დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ხონის თეატრმა დიდი კულტურული როლი ითამაშა მთელი ხონის რაიონის მოსახლეობაში საზოგადოთ და განსაკუთრებით დაბა ხონის მეშჩანურ მასაში, სადაც მან შეიტანა სხივი საზოგადოებრიობისა და გააადვილა მომავალი რევოლუციონური პროპაგანდა" [8].

1907 წლიდან ხონის თეატრის ისტორიაში ახალი პერიოდი დაიწყო. ადგილობრივმა სცენისმოყვარეთა ჯგუფმა მტკიცედ გადაწყვიტა ზაფხულის სეზონის ყოველ კვირაში გაემართა წარმოდგენა. ხელმძღვანელად მოწვეული იქნა ცნობილი მსახიობი ნიკო გვარაძე. 1907 წლის 29 მაისს კარეევის დრამით „ცხოვრების გმირი" გაიხსნა პირველი საზაფხულო სეზონი. ამას მოჰყვა ბაჯიაშვილის სამმოქმედებიანი დრამა „სიმდიდრის მსხვერპლნი", შემდეგ ვ. გუნიას კომედია „ვაის გაუეყარე, ვუის შეეეყარე" და ა. შ. ახლა სცენისმოყვარეთა მუშაობას უკვე აღარ ჰქონდა შემთხვევითი ხასიათი. როგორც ნ. გვარაძე აღნიშნავს თავის მემუარებში, ფაქტიურად ჩამოყალიბდა პატარა პროვინციული დასი, რომელსაც ჰყავდა თავისი ხელმძღვანელი და ჰქონდა საკუთარი რეპერტუარი.

თეატრის ავტორიტეტის გაზრდისა და ხალხის მოზიდვის მიზნით სცენისმოყვარეთა ჯგუფი პერიოდულად პროფესიონალ მსახიობებსაც იწვევდა, რამაც დიდად აამაღლა წარმოდგენების ხარისხი, სცენისმოყვარეთა თამაშის ტექნიკა და თეატრს მშრომელთა ფართო მასებში დამსახურებული პოპულარობა მოუპოვა.

პირველი საზაფხულო სეზონი დამთავრდა ნ. გვარაძის ბენეფისით, რომელსაც დიდძალი ხალხი დაესწრო. ხონის მოწინავე საზოგადოებრიობამ სათანადოდ დააფასა ნ. გვარაძის თავდადებული შრომა და სთხოვა მომავალშიც სათავეში ჩადგომოდა ამ კეთილშობილურ საქმეს.

ქართული თეატრის ნიჭიერმა მსახიობმა და რეჟისორმა, შემდეგში საქ. სსრ სახალხო არტისტმა, ნ. გვარაძემ ხონში თითქმის 10 საზაფხულო სეზონი გაატარა. მან დიდი ღვაწლი დასდო სათეატრო საქმეს ხონში და პირველად საქართველოს სინამდვილეში საფუძველი ჩაუყარა საზაფხულო სეზონების ჩატარების ტრადიციებს.

მძიმე პირობებში უხდებოდათ მუშაობა ხონელ სცენისმოყვარეებს. თეატრის ფიცრული შენობა, რომელიც ოდნავადაც ვერ აკმაყოფილებდა სცენის მოთხოვნებს, 1908 წელს მეპატრონემ სხვაზე გაჰყიდა. კვლავ ცის ქვეშ რომ არ დარჩენილიყვნენ, დაიქირავეს ფქვილის საწყობი და სცენა მოაწყვეს. თეატრს გააჩნდა ერთი ოთახის ბუტაფორია და ტყის პეიზაჟი შესრულებული ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის მოწაფის, შემდეგში სახელგანთქმული ქართველი მხატვრის, დავით კაკაბაძის მიერ. წარმოდგენის დაწყების წინ სცენისმოყვარეებს და თეატრთან ახლოს მდგომ პირებს მოჰქონდათ სკამები, მაგიდები, ნოხები, სცენისა და მაყურებელთა დარბაზისათვის საჭირო მოწყობილობა. შენობა ნავთის ლამპებით იყო განათებული. სცენისმოყვარეები სრულიად უსასყიდლოდ მუშაობდნენ. მცირეოდენი გასამრჯელო ეძლეოდათ რეჟისორს და მოწვეულ მსახიობებს. მაგრამ ხონის სცენისმოყვარეთა დასმა ქართული თეატრის გამოჩენილ მოღვაწეთა დახმარებით შესძლო გადაელახა ეს დაბრკოლებები და თავის გარშემო შემოიკრიბა მაყურებლები საზოგადოების სხვადასხვა ფენიდან. სცენა გადაიქცა მშრომელთა ფართო მასებში რევოლუციური იდეების პროპაგანდის მძლავრ საშუალებად. ხონის მოსახლეობა მალე დარწმუნდა, რომ თეატრი მარტო გასართობი ადგილი არ არის. ამიტომ იყო, რომ მაყურებელი განსაკუთრებით ეტანებოდა იმ პიესებს, რომლებიც მოგვითხრობდნენ ქართველი ხალხის გმირულ ბრძოლაზე უცხოელი დამპყრობლების წინააღმდეგ, უბრალო, მშრომელი ადამიანების ცხოვრებაზე, ხალხთა თავისუფლებისათვის მებრძოლ გმირებზე. ასეთი პიესები იყო „სამშობლო", „ღალატი", „ცხოვრების გარეშე", „დღენი ჩვენი ცხოვრებისა", „არსენა", „კაი გრაკხი" და სხვა, რომლებიც ხონის თეატრის რეპერტუარში დამკვიდრდა.

1909 წლის საზაფხულო სეზონისათვის ჩამოყალიბდა დრამატული კომიტეტი, რომელშიაც შედიოდნენ: ეკ. ბახტაძისა, კ. ქაცარავა, პ. კიკალიშვილი, დ. ლორთქიფანიძე, ივ. ქუთათელაძე, ო. კიკალიშვილი, ივ. ჭავჭანიძე, გ. ბურჭულაძე, ვლ. ქუთათელაძე და კ. უგულავა. სცენისმოყვარეთა დასი შეივსო ახალი ძალებით (მ. ბახტაძე, ლ. ჩხენკელი, ლ. ჭანტურიშვილი, ნ. კაკაბაძე, ან. ჭავჭანიძისა, ამბ. ბახტაძე, ერ. კეჟერაძე, გ. მებუკე, ს. სანაძე და სხვები). მოწვეული მსახიობებიდან წარმოდგენებში მონაწილეობდნენ: ვ. არაბიძე, მ. მდივანი, ვ. შალიკაშვილი და ნ. ჯავახიშვილი.

1910-11 წლებში ხონის თეატრში რეჟისორობდა ნიჭიერი მსახიობი და დრამატურგი ვ. შალიკაშვილი. მუშაობდნენ მსახიობები: ნ. ჯავახიშვილი, ი. ზარდალიშვილი, შ. გოგოლაშვილი, ნ. დავითაშვილი, პ. შოთაძე, ა. ლოლუა, ა. ყალაბეგაშვილი და სხვ.

ნაყოფიერი და საინტერესო აღმოჩნდა 1913 წლის საზაფხულო სეზონი. 29 მარტს ქუთაისის მსახიობთა ამხანაგობამ ხონში „მარგარიტა გოტიე" დადგა. მარგარიტას როლს ასრულებდა ნინო ჩხეიძე. თეატრის გამგეობამ ნინო ჩხეიძეს თხოვა ხონში დარჩენილიყო მთელი ზაფხულის განმავლობაში და მონაწილეობა მიეღო სცენისმოყვარეთა წარმოდგენებში. ნ. ჩხეიძე დათანხმდა. მასთან ერთად მოიწვიეს კ. მაჭარაძე, შ. გოგოლაშვილი და ნ. გვარაძე. წარმოდგენებს რეჟისორობდა ნ. ჩხეიძის მეუღლე მ. ქორელი. ნ. ჩხეიძე მონაწილეობდა პიე-

[7] ამ პერიოდში ხონელ სცენისმოყვარეთა მიერ ჩატარებული მუშაობის შესახებ თავისი გამოუქვეყნებელი მოგონებებიდან ვრცელი ამონაწერი გამოგვიგზავნა საქ. სსრ დამსახურებულმა არტისტმა კ. ერ. მაჭარაძემ, რისთვისაც დიდ მადლობას მოვახსენებთ.

[8] ჟურ. რევოლუციის მატიანე, 1929, № 1 (21) გვ. 144 — 145.

სებში: კარევის „უბედური ნაბიჯი“ (ვარია), ვ. გუნიას „დედულ-მამული“ (მაგდა), ენგელის „ზღვასთან“. (მეთევზის ცოლი), გორდონის „საკლავი“ (ახალგაზრდა ებრაელის ქალი).

1914 — 1916 წლებში საზაფხულო სეზონების ჩატარებას თაოსნობდა მსახიობი და რეჟისორი ა. ყალაბეგაშვილი.

1916 წლის თებერვალში ხონში კონცერტი გამართა „საქართველოს ბულბულმა“ — ვანო სარაჯიშვილმა. ამავე წელს აქ ჩამოყალიბდა დრამატული საზოგადოება, რომლის გამგეობაში აირჩიეს ექიმი მ. ჩხენკელი, ლ. სანოძე, ლ. ჩხენკელი, ი. ჭავჭანიძე, ნ. შაფაქიძე, რ. წიწვივაძე და კ. უგულავა; კანდიდატებად — ს. ჯორბენაძე და ევ. სანადირაძე. დრამატული საზოგადოების ინიციატივით, 1916 წლის 18 ივნისს ახალი საზაფხულო სეზონის გახსნასთან ერთად აღინიშნა ხონის თეატრის არსებობის 10 წლისთავი (იგულისხმებოდა ხონში საზაფხულო სეზონების დაწყება). საიუბილეოდ წარმოდგენილი იქნა დ. ერისთავის „სამშობლო“. ქართული პრესა ფართოდ გამოეხმაურა ამ თარიღს.

თეატრის საზოგადოებრივი დანიშნულება კარგად ჰქონდა შეგნებული ხონის ინტელიგენციის საუკეთესო ნაწილს, რომელიც აქტიურად მონაწილეობდა წარმოდგენებში, ლიტერატურულ შეკრება-საღამოებსა და კონცერტებში. სცენისმოყვარეთა შორის იყვნენ დარბაისელი ექიმები და პედაგოგები, საზოგადო მოღვაწეები და რევოლუციური ორგანიზაციების წარმომადგენლები. მშობლიური ქალაქის თეატრს დიდი ამაგი დასდეს პროფესიონალმა მსახიობებმა: შ. გოგოლაშვილმა-ხონელმა, (ამჟამად საქ. სსრ სახალხო არტისტი) კირილე მაჭარაძემ (საქ. სსრ დამს. არტისტი), ილია მამფორიამ და სხვებმა.

მენშევიკების ბატონობის პერიოდში ხონში საზაფხულო სეზონები აღარ იმართებოდა. სპექტაკლებს აღარც სისტემატიური ხასიათი ჰქონდა. 1918 წელს შ. ხონელმა, კ. მაჭარაძემ და დ. მებუკემ შეადგინეს ამხანაგობა, რომელმაც ითავა ხონში წარმოდგენების გამართვა.

პირველივე წარმოდგენის გამართვის შემდეგ ხონელ სცენისმოყვარეთა და ინტელიგენციის საზრუნავ საგნად იქცა თეატრისათვის შენობის აგება. შეიქმნა სპეციალური ფონდი, მაგრამ ცარიზმისა და მენშევიკების ბატონობის პერიოდში ეს მხოლოდ აუხდენელ ოცნებად დარჩა.

ხონის თეატრალური ცხოვრების ისტორიაში სრულიად ახალი ხანა დაიწყო საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ. 1921 წლის ზაფხულში, რევკომის დავალებით, დავით და ვანო მებუკეებმა თავი მოუყარეს ადგილობრივ სცენისმოყვარეებს და მუშაობას შეუდგნენ. დრამატულ წრეში შედიოდნენ: ნ. გეგელია, ა. იოსელიანი, ა. მებუკე და სხვები. სპექტაკლებისათვის დეკორაციებს აფორმებდა ემხანად მოსწავლე, შემდგომში სახელგანთქმული ქართველი მხატვარი დ. ქუთათელაძე. დრო და დრო მსახიობებსაც იწვევდნენ ქუთაისიდან. წრეს თავისი ორკესტრიც ჰქონდა — გიტარა, ბალალაიკა და მანდოლინა. ორკესტრში უკრავდნენ ახლა ცნობილი კომპოზიტორი ალ. ფარცხალაძე, ამჟამად პოეტი — აკადემიკოსი ირაკლი აბაშიძე და კოტე კოპიწაშვილი. დრამატული წრე წარმატებით მართავდა სპექტაკლებს, აწყობდა კარნავალებს და სხვადასხვა სანახაობებს.

1926 — 1927 წლებში მომწიფდა პირობები პროფესიული სათეატრო დასის ჩამოყალიბებისათვის. ადგილობრივი ორგანოების თხოვნით მსახიობმა შ. ჯაფარიძემ შეადგინა დასი, მოიწვია რამდენიმე ცნობილი მსახიობი. ამ წლებში ბევრი კარგი სპექტაკლი ნახა ხონელმა მაყურებელმა. აღსანიშნავია სპექტაკლები: „ელეონორა“ და „ლეკის ქალი გულ-ჯავარი“. 1927-28 წლებში დრამატული წრის ხელმძღვანელად მოიწვიეს მსახიობი ა. ლოლუა. მასთან ერთად სპექტაკლებში მონაწილეობდნენ ვ. ბალანჩივაძე, კ. მაჭარაძე, სცენისმოყვარე ბ. მჭედლიძე და სხვები.

1929 — 1930 წლებში, ხონში დაარსდა სახელმწიფო თეატრი. ეს დიდი მოვლენა იყო რაიონის კულტურულ ცხოვრებაში. თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელად მოიწვიეს რეჟისორი ვ. აბაშიძე. დასში მონაწილეობდნენ მსახიობები: ა. გომელაური, ს. ზაქარიაძე, ბ. ზაქარიაძე, შ. ქელბაქიანი, ი. ბაკაკური, შ. ჭავჭანიძე, ნ. როსება, ა. თევზაძე, ო. გოგნიაშვილი და სხვები. თეატრის ირგვლივ შემოიკრიბა სცენისმოყვარეთა დიდი ჯგუფი. მხატვრებად მუშაობდნენ თვალიაშვილი, აბჟანდაძე და ან. ბახტაძე; სპექტაკლებს მუსიკალურად აფორმებდნენ რ. გოგნიაშვილი და მ. ჩემია. დაიდგა „ხატიჯე“, „ლიანდაგი გუგუნებს“, „როგორ?“ და სხვები. თეატრი გასტროლებს მართავდა მეზობელ რაიონებშიც.

1931 — 1934 წლებში დრამატულ დასს ხელმძღვანელობდნენ რეჟისორები გ. ჯაოშვილი და ა. ყვინჩია. დასში შედიოდნენ: ი. ყვინჩია, შ. ტაბიძე, კ. გაბუნია, ვ. ქუთათელაძე, შ. ჭავჭანიძე, ა. ბახტაძე, დ. ქვათელაძე, გ. კაკაბაძე და სხვა. დაიდგა პ. კაკაბაძის „ყვარყვარე თუთაბერი“, ა. ყვინჩიას „ჟანგი“, შ. დადიანის „გეგეჭკორი“, ვ. გუნიას „და-ძმა“ და სხვ.

1934 — 1935 წლებში ხონის რაიონულმა ხელმძღვანელობამ ხელშეკრულება დასდო ქუთაისის სახელმწიფო თეატრთან. თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელობამ ვ. ყუშიტაშვილის და ს. ჩხარტიშვილის დახმარებით სეზონი წარმატებით ჩაატარა. სპექტაკლებიდან მაყურებლების დიდი მოწონებით სარგებლობდა დრამატურგ პ. სამსონიძის (ქუთათელაძე) „სალტე“.

1935 — 1938 წლებში ხონის დრამატულ წრეს ხელმძღვანელობდა მსახიობი მ. ბახტაძე. 1938 წელს კვლავ აღადგინეს სახელმწიფო თეატრი. რეჟისორად მოიწვიეს მსახიობი ბ. მაღლაკელიძე. დასი შეივსო კვალიფიციური კადრებით. მაყურებელი კმაყოფილი იყო სპექტაკლების იდეური და მხატვრული დონით. განსაკუთრებული წარმატებით სარგებლობდა პ. კაკაბაძის „კოლმეურნის ქორწინება“. 1939 წელს დასს სათავეში ჩაუდგა ა. ყვინჩია. რეჟისორებთან ერთად ნაყოფიერ შემოქმედებით მუშაობას ეწეოდნენ მუსიკოსები — მ. კაჯელაშვილი, შ. დიაკვნიშვილი და სხვ. მხატვრებიდან დ. ღვინცაძე, პ. დოლაბერიძე და სხვ.

1947 წელს სახელმწიფო თეატრი დაიხურა, მაგრამ ლტოლვა თეატრალური ხელოვნებისადმი არ შენელებულა. ამ რამდენიმე წლის წინად წულუკიძის მშრომელებმა შესანიშნავი საჩუქარი მიიღეს — კულტურის სახლის ახალი შენობა. ასრულდა წულუკიძელთა მრავალი ათეული წლის ოცნება. ამჟამად ქ. წულუკიძის დრამატული კოლექტივი, რომელსაც ა. ყვინჩია ხელმძღვანელობს, ნაყოფიერ შემოქმედებით მუშაობას ეწევა და იბრძვის სახალხო თეატრის საპატიო სახელის მოსაპოვებლად.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# აჭარის ასსრ დამსახურებული არტისტი

# ნინო საკანდელიძე



დეზდემონა „ოტელო“



დიდი სურვილი ყოველგვარ დაბრკოლებას გადალახავს.

პატარა გოგონა ტოლ-ამხანაგებში რომ ლაღობდა და სიმღერებით ატკბობდა ყველას, ფიქრობდნენ გაიზრდება და კარგი მომღერალი დადგებაო. გავიდა წლები და როცა ნინომ ვანის რაიონში შვიდწლედი დაამთავრა, ოჯახში მსჯელობა დაიწყეს: სად გაეგრძელებინა სწავლა. ზოგი კონსერვატორიაში შესვლას ურჩევდა, ზოგი სამედიცინოზე სწავლას, ზოგი კიდევ რას... მაგრამ ახალგაზრდულ სურვილს წინ ვინ დაუდგება?

ქალაქიც მაშინ ნახა პირველად პატარა ნინიკომ. სამსართულიანი შენობის შესასვლელთან აბრაზე ეწერა „კულტსაგანმანათლებლო სასწავლებელი“.

ფრთხილად შეაღო კარები და კიბეებს აუყვა. გამოცდებზე წარმატებით წაიკითხა ლექსი, იგავ-არაკი. ეტიუდებიც ნიჭიერად შეასრულა, არც სმენა დაუწუნებიათ და გოგონა თეატრალურ განყოფილებაზე ჩაირიცხა. ეს იყო პირველი ნაბიჯი ხელოვნებაში. ეგონა, სიძნელე უკვე გადავლახეო, მაგრამ არ იცოდა, რომ წინ კიდევ უფრო მეტი მშფოთვარე და სიძნელეებით სავსე გზა ელოდა, გზა ხელოვნებისა.

როცა სასწავლებელი დაამთავრა, მაშინ კიდევ უფრო მეტად აღეძრა სპეციალური თეატრალური განათლების მიღების სურვილი. გადაწყვიტა სწავლა თეატრალურ ინსტიტუტში. აქ კი თითქოს „ბედმა“ უმტყუნა, მაგრამ ყველაფერი უცებ შეტრიალდა. მართალია სარეჟისორო ფაკულტეტზე ვერ მოხვდა, მაგრამ როდესაც საბუთების გასატანად მივიდა ინსტიტუტში, კომისიის თავმჯდომარემ შენიშნა და უთხრა: გოგონა შენი მონაცემებით სამსახიობო ფაკულტეტზე იქნები ჩარიცხულიო. მის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა.

დაიწყო სტუდენტობის წლები. გარდა თეორიული საგნების კარგად ჩაბარებისა, ინსტიტუტის სცენაზე განასახიერა რამდენიმე როლი: ლილი — ვიქტორ გაბესკირიას „გაზაფხულის დილაში“, ქსენია — ლავრენევის „რღვევაში“, ოტრადინა — ნ. ოსტროვსკის „უდანაშაულო დამნაშავენში“ და სხვ.

ერთი წუთით არ დაფიქრებულა ნინო საკანდელიძე, როცა ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ბათუმის თეატრში მუშაობა შესთავაზეს.

ათი წელი გავიდა მას შემდეგ.

გულისხმიერი, თავმდაბალი, ნიჭიერი, ნამდვილი შემოქმედი, ფაქიზი დედა და კარგი მეუღლე — ასე ახასიათებს ყველა, ვინც კი ახალგაზრდა მსახიობს ახლოს იცნობს.

ახლის ძიების დაუცხრომელი წყურვილი, მხატვრული დასტატებისა და სრულყოფისაკენ სწრაფვა თან ახლავს მსახიობს.

ნ. საკანდელიძემ ბათუმის სცენაზე პირველად ნინიკო განასახიერა სპექტაკლში „დიდი მოგება“, ამას მოჰყვა გენრიეტა („ორი ობოლი“), თინათინი — („პროვინციელი“), დარო — („გზები“), იზოლდა — („გზაჯვარედინი“), რომლის საუკეთესო შესრულებისათვის სიგელიც მიიღო, კატერინა — („ანჟელო“), ნუკრია — („მევ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლუდი"), ნილა სლიშკო — („მედაფდაფე"), მირანდოლინა — („სასტუმროს დიასახლისი") და სხვ. დიდი წარმატება ხვდა ლელას როლში მ. მრევლიშვილის პიესაში „ზვავი".
მისი ლელა იყო ქალურიც და ვაჟკაცურიც, ფაქიზიც და შეუპოვარიც, მტკიცე ნებისყოფისა.

რომელ მსახიობ ქალს არ უოცნებია ოფელიას და დეზდემონას როლებზე. „დეზდემონას როლის შემსრულებელი ნინო საკანდელიძე ნაზი, ჰაეროვანი, გულწრფელი, მიმნდობი, კეთილი, სპეტაკი ადამიანის სახეს ქმნის, და ეს თვისებები მის შესრულებას ბოლომდე გასდევს", — წერდა პროფესორი აკ. ფაღავა.

ენერგიითა და ხალისით სავსე ახალგაზრდა მოქანდაკის — ირინე კახაძის საინტერესო იერსახე შექმნა სპექტაკლში „ეზოში ავი ძაღლია". მაყურებლის გულწრფელი მოწონება დაიმსახურა ნინო საკანდელიძემ სევრეთის როლის შესრულებით სპექტაკლში „ვაზის ტირილი", მისი სევრეთი წყნარი, ოჯახის ერთგული, შრომისმოყვარე ქალია. რამდენი სითბო და სინატიფეა მის ხასიათში!

ასევე საინტერესოდ წარმოადგინა ნ. საკანდელიძემ ცქრიალა, ცელქი გოგონა ფიფქა (უსტინოვისა და ტაბაკოვის პიესაში „ფიფქა და შვიდი ჯუჯა"), ფუქსავატი ქალიშვილი დალი (სამსონიას პიესაში „ჩვენი შვილი სიმონი").

ნინო საკანდელიძეს უყვარს თეატრი, სცენა. არ იშურებს ძალას, ბევრს მუშაობს თავის თავზე. და მართლაც, ყოველ ახალ როლში იგრძნობა მისი შემოქმედებითი წინსვლა.

ყველაზე დიდი სიხარული კი მსახიობმა მაშინ განიცადა, როდესაც 1960 წელს აჭარის ასსრ დამსახურებული არტისტის წოდება მიენიჭა.

მაყურებელი ახალ გამარჯვებებს ელის მისგან სასცენო გზაზე.

ლიანა ზანგურაშვილი

სიუზი — ნ. საკანდელიძე,
ტოპაზი — ლ. ღლონტი. „ტოპაზი"



# თეატრი ცოცხალ გარემოში

ელეონორა მაკაროვა

ადრიატიკის ზღვის სანაპიროზე, უძველეს ქალაქ დუბროვნიკში ყოველწლიურად ტარდება თეატრალური ფესტივალი — „დუბროვნიკის საზაფხულო თამაშობანი". ამ ფესტივალის განუმეორებელი მშვენიერება იმაშია, რომ თეატრალური წარმოდგენები მიმდინარეობს ღია ცის ქვეშ, ერთდროულად 26 იმპროვიზებულ სცენაზე — ეკლესიების პორტალებზე, ქუჩებსა და პატარა მოედნებზე, რომლებიც გარშემორტყმულია სახლებით. ამრიგად, ბუნებრივი დეკორაციების ფონზე ცოცხლდება მსოფლიოს კლასიკოს-დრამატურგთა ნაწარმოებები.

VII საუკუნეში დაარსებული ქალაქი დუბროვნიკი საუკუნეების განმავლობაში ითვლებოდა თავისუფალ რესპუბლიკად, რომელიც წარმატებით უწევდა მეტოქეობას ძლევამოსილ ვენეციას.

ხელოსნებისა და მეზღვაურების ამ რესპუბლიკამ, რომელსაც შუა საუკუნეებში „ადრიატიკის დედოფალს", „სლავიანელთა ათენს" უწოდებდნენ, შესძლო შეენარჩუნებინა დამოუკიდებლობა მე-19 საუკუნის დასაწყისამდე.

ახლა დუბროვნიკი პატარა ლამაზი ქალაქია, რომელიც მდებარეობს ადრიატიკის ლურჯ წყლებში შეჭრილ კონცხზე. ის სახელგანთქმულია შუასაუკუნეების არქიტექტურული ძეგლების იშვიათი სილამაზით.

თუ ამწე კიბით ახვალთ ხევზე გადებულ მძიმე ჯაჭვებიან ხიდზე, — მოხვდებით ძველ ქალაქში, რომელიც ქვის ზღაპარს მოგაგონებთ, მოგიცავთ დამაფიქრებელი, ოდნავ სევდიანი გრძნობა, როგორც ხდება ხოლმე სილამაზის წინაშე, რომელსაც ჟამთა ვითარებამ გადაურჩინა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საინტერესოა ქალაქის ციხე-სიმაგრის სქელი კედლები, რომლებიც აგებულია მტრებისგან თავდასაცავად, თავადაზნაურთა სასახლეები, შადრევნები, ათასწლეული ქვებით მოკირწყლული ქუჩები (რომლებშიც შეიძლება ჩაიხედოთ, როგორც სარკეში), პაწაწინა შუკები, რომელზედაც ორი ადამიანი ერთმანეთს გვერდს ვერც აუვლის, თოკებზე ლამაზად გაფენილი თეთრეული... ძველი ნავსადგური, სადაც ირწევიან მეთევზეთა ნავები. აქ საღამოობით იკრიბებიან ახალგაზრდები და გიტარაზე მღერიან მომხიბვლელ მელოდიებს, რომლებიც ნიავს შორს, ზღვის კიდეში მიაქვს, ხოლო ყოველივე ეს ნატურალურად „შუასაუკუნოებრივი", თითქოს გარემოიცავს სცენურ მოედნებს და უკვე სპექტაკლების დაწყებამდე ქმნის ერთგვარ განწყობილებას.

1950 წლიდან ყოველ ზაფხულს ფესტივალის დღეებში ქალაქის თავზე ფრიალებს დუბროვნიკის რესპუბლიკის უძველესი დროშა წარწერით „ლიბერტას"[1], რომელიც მოგვაგონებს დუბროვნიკის — რენესანსის ეპოქის — კულტურის შესანიშნავი ძეგლის წარსულ დიდებას.

„დუბროვნიკის XVII საზაფხულო თამაშობებზე" ჩვენ ვნახეთ ოთხი სპექტაკლი: მარინ დრჟიჩის ორი კომედია — „დუნდო მაროიე" და „ძუნწი", აგრეთვე კალდერონის „სალამეელი მოსამართლე" და შექსპირის „ოტელო".

მარინ დრჟიჩი — მე-16 საუკუნის უდიდესი დრამატურგი — იუგოსლავიის ეროვნული სიამაყეა, ხოლო დუბროვნიკის დრამა სლავთა რენესანსის კულტურის შესანიშნავი, მკაფიო გამოვლინებაა.

„დუნდო მაროიეს" — საბჭოთა მაყურებელი იცნობს რეჟისორ ბოიან სტუპიცის მიერ ვახტანგოვის სახელობის თეატრში დადგმული სპექტაკლით, აგრეთვე იუგოსლავიის დრამატული თეატრის დადგმებით, როცა ეს თეატრი საბჭოთა კავშირში საგასტროლოდ იმყოფებოდა.

ეს კომედია შეიქმნა და პირველად დაიდგა დუბროვნიკში 1551 წელს, მას შემდეგ იგი იუგოსლავიის თეატრების რეპერტუარში შედის.

„დუნდო მაროიე" — კომედია-ფარსია, სრულდება ჩქარ ტემპში და ძალიან ცოცხალი მანერით, დელ-არტეს იტალიური კომედიების მსგავსად გამოირჩევა ცოცხალი ხალხური ხასიათებით.

კომედია მოგვითხრობს დუბროვნიკელი ვაჭრის ვაჟის მაროს მსუბუქ ქცევებზე. მამამ შვილი იტალიაში სასწავლებლად გააგზავნა, ის კი კურტიზან ქალ ლაურასთან ფლანგავს ფულებს.

დუნდო მაროიე, პერა და მაროს საცოლე იპოვნიან მას და ამხელენ, სპექტაკლი მთავრდება მამა-შვილის შერიგებით, მაროს საცოლესთან დაბრუნებით.

[1] თავისუფლება.

მიუხედავად იმისა, რომ პიესის მოქმედება XVI საუკუნეში მიმდინარეობს, რეჟისორ კოსტა სპაიჩის მიერ დადგმული სპექტაკლი მაყურებელთა ინტერესს იწვევს.

კომედიას წარმოადგენენ ხოლმე პატარა სახლებით და დიდებული აივნებით გარშემორტყმულ ბაზრის მოედანზე, შუასაუკუნეების ტაძრის განიერი საპარადო კიბის ფონზე. მაყურებელთათვის სკამები ლაგდება წარმოდგენის დაწყების წინ. სპექტაკლის დღეებში სახლების ზევითა სართულები თავისუფლდება. იქ მოქმედების მსვლელობის დროს მსახიობები გამოჩნდებიან ხოლმე, ქვევით კი გრძელდება ჩვეულებრივი ცხოვრება. დიასახლისები ამზადებენ ვახშამს, რეცხავენ სარეცხს, ხანდახან კი მშვიდად იღებენ თოკზე გაფენილ თეთრეულს.

ეს პიესის მოქმედებას განსაკუთრებულ კოლორიტს და ბუნებრიობას მატებს. მსახიობთა თამაშის სიმსუბუქე, სიმკვირცხლე და დიალოგების ტემპერამენტიანობა გადამდებ სიცილს იწვევს და დიდ შთაბეჭდილებას ახდენს.

ზღვის ნაპირთან, ფიჭვების ხეივანში კი მუსიკალური სკოლის მშვენიერ პარკში მიდის დრჟიჩის კომედია „ძუნწი".

ხელმომჭირნე მოხუცმა, რომელსაც ძუნწი ჰქვია, ფულით სავსე ტომარა იპოვა და ვინმეს რომ არ მიეგნო, ბუხარში დამალა. ის თავის სახლში არავის უშვებს და სიღარიბეში ცხოვრობს.

ძუნწს უნდა თავისი ახალგაზრდა ქალიშვილი ადრიენა მდიდარ მოხუცს ზლატიკუმს მიათხოვოს. ადრიენას კი უყვარს კამილო, რომლის დედასაც მათი სიყვარულის შესახებ სიტყვის გაგონებაც კი არ უნდა, რადგანაც ისინი ძალიან ახალგაზრდებად მიაჩნია.

კამილოს თავისი მსახური მუნიო ურჩევს თავი მოიავადმყოფოს და დედა შეაშინოს.

ძუნწი, რომელიც მუდამ შიშში იყო თავისი განძის გამო, გადაწყვეტს მის დამალვას ეკლესიაში, საფლავის ქვის ქვეშ, ამას დაინახავს მუნიო და განძს ამოიღებს.

ქორწილისათვის მდიდრული სამზადისის დროს განძის დაკარგვით გაავებული ძუნწი სცემს ზლატიკუმის მსახურებს, რის შემდეგაც იგი უარს ამბობს ადრიანესთან დაქორწინებაზე.

დიდი ხნის მოლაპარაკების შემდეგ ძუნწი თანახმაა მიათხოვოს თავისი ქალიშვილი კამილოს, ოღონდ უმზითვოდ. მაშინ მუნიოს მოაქვს ფულით სავსე ქოთანი და დასცინის მოხუცის გულქვაობას და სიძუნწეს. მდიდარი ზლატიკუმი თვითონ უხდის ქორწილს კამილოს და ადრიენას, მათთან ერთად მუნიოს და მის შეყვარებულს გრუბეს.

სპექტაკლი დადგმულია XVI საუკუნის საყოფაცხოვრებო კომედიის სტილში (რეჟისორი კოსტა სპაიჩი). კარგად თამაშობს ი. ხაიდარხოდჟიჩი მთავარ გმირს — ძუნწს. მისი დაძაბული სახე მუდმივ შიშს გამოხატავს, ყოველთვის საგონებელშია ჩავარდნილი, მხოლოდ მაშინ გამოცოცხლდება ხოლმე, როდესაც მარტო რჩება თავის განძთან. განძი მთავარია მის ცხოვრებაში, ის არის მისი ოცნება, შიში, ეჭვები. მსახიობი სხვადასხვანაირად და არაჩვეულებრივად ცოცხლად გადადის ერთი მდგომარეობიდან მეორეში — მდიდარ ზლატიკუმთან ტკბილად საუბრობს მისი ადრიენას დაქორწინების შესახებ, მსახურებს და მის გარშემო მყოფთ უხეშად ლანძღავს, როცა ხარბივით იხუტებს გულზე ოქროთი სავსე ქოთანს, თვალები სიხარულით უბრწყინავს, ხოლო როდესაც ეკლესიაში დამალული განძის დაკარგვის ამბავს გაიგებს, მისი სახე უსაზღვრო მწუხარებას და დაბნეულობას გამოხატავს.

რამდენადმე მოულოდნელია კამილოს სახე (ვ. პრიზმიჩი). რეჟისორმა იგი გამოიყვანა უჩვეულო გმირად, რომელსაც უყვარს თავისი არჩევანი და დაჟინებით აღწევს თავის საწადელს. კამილო კომედია დელ-არტეს პერსონაჟს ემსგავსება. ამ მოსულელო მრგვალსახიან ყმაწვილს გული უწუხდება, როდესაც ადრიენას გათხოვების ამბავს იგებს. ლაპარაკობს სასაცილო გამყინავი ხმით და მისი გამოჩენა სცენაზე ყოველთვის იწვევს მაყურებელთა სიცილს და არა თანაგრძნობას. სახის ასეთი გადაწყვეტა დრჟიჩის კომედიის სტილიდან რამდენადმე ამოვარდნილია.

მსახური მუნიო კი (ა. დულჩიჩი) თითქოს შუა საუკუნეების დუბროვნიკელ ბრბოდან არის გამოყვანილი. ის ისე ზომიერად ცხოვრობს სცენაზე, რომ თავისი ბუნებრიობით, უბრალოებით, გონებამახვილობით და მოხერხებულობით მაყურებელთა სიმპათიას იმსახურებს.

აღსანიშნავია ამ სპექტაკლის მასობრივი სცენები, რომლებშიც სტუდენტები მონაწილეობენ. განსაკუთრებით ნათელი და ეფექტურია ეს სცენები ზლატიკუმის ქორწილის მზადების დროს. ერთი მეორის მიყოლებით ომახიანი მუსიკის ფონზე მიდიან გრძელი ლანგრებით დატვირთული მოსამსახურეები. ლანგრებზე აწყვია საქორწილო მაგიდისთვის განკუთვნილი კერძები. ამ პროცესიას წინ უძღვის მსახური, რომელსაც მხრებზე შეუსვამს ცოცხალი თხა. თხა საბრალოდ ბღავის, როდესაც მსახური თავისი გრძელი მონოლოგის კითხვისას აძლევს მას ამა თუ იმ შეკითხვას.

საიდუმლო პარკში „პატარა გრადაცში" უჩვენეს კალდერონის დრამა „სალამეელი მოსამართლე" (რეჟისორი — დინო რადოევიჩი) ნაირფერი სხივებით განათებული ხეების ფანტასტიკური ფორმები, ბუჩქნარი, ღამის პანორამა — ყველაფერი ეს სპექტაკლის ბუნებრივი გაფორმებისათვის არის გამოყენებული.

დაღლილი ჯარისკაცები სალამეაში დასასვენებლად ჩერდებიან. კაპიტანი დონ ალვაროსი (უ. დიაკოვიჩი) თვალს დაადგამს თავისი მასპინძლის გლეხ პედრო კრესპოს (ტ. ლონცა) ქალიშვილს, ჩუმად მოიტაცებს, ნამუსს ახდის და მიატოვებს.

ამ დროს პედრო კრესპოს სალამეის მოსამართლედ ნიშნავენ. მოსამართლედ გახდომისთანავე პედრო კრესპო ასრულებს თავის ფიცს, სიკვდილით სჯის ალვაროსს, ხოლო თავის ვაჟს ხუანს (ბ. მიჩოლევიჩი), რომელმაც დის სახელის შერცხვენისათვის შური იძია კაპიტანზე და დასჭრა, ციხეში ჩასვამს. გზად ჩავლილი მეფე იწონებს კრესპოს განაჩენს და სალამეის უცვლელ მოსამართლედ ნიშნავს.

,,სალამეელი მოსამართლე" რეჟისორულად კარგად არის გადაწყვეტილი, დახვეწილია მსახიობთა თამაში. ფესტივალზე ნაჩვენები სპექტაკლებიდან ის ყველაზე მთლიანი და სერიოზულია. სპექტაკლის ოჯახური სცენები მეტად ამაღელვებელია და სიუჟეტის განვითარებაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს.

...აი, წევს ჯარისკაცების მიერ ხელ-ფეხ შებორკილი პედრო და უსმენს ნაწამებ, პატივაყრილ, ნახევრად შიშველ თმაგაწეწილ ქალიშვილს. იზაბელა (მარია კონჩი) არც ცდილობს მამის განთავისუფლებას, ახლოსაც არ მიდის მასთან, მხოლოდ თავის ამბავს ჰყვება, ჰყვება ქვითინით. ნამდვილი ტრაგიზმი და ღრმა ადამიანური მწუხარება იგრძნობა არა მარტო მის სიტყვებში და გამოხედვაში, არამედ ყოველ ჟესტში, ყოველ მოძრაობაში.

კრესპო სჯის დამნაშავეებს და პატიოსნების შებღალვისათვის შურისმაძიებლის სახე გადაიქცევა ხალხის ინტერესების დამცველ სახედ.

ღიმილს და გულწრფელ თანაგრძნობას იწვევს სალამეელი დონ-კიხოტის, მაღალი, მოუხეშავი, თხელწვერა დონ მონდოს (ივ. კადიჩი) ამაღელვებელი, უიმედო სიყვარული იზაბელასადმი. მისი უცვლელი თანამგზავრი და მსახური — სქელი, ტლანქი და ცბიერი ნუნიო (ი. ვიდოვიჩი) თანაუგრძნობს მას და მეგობრულად დასცინის თავისი გულუბრყვილო პატრონის უიღბლო სიყვარულს. ყოველთვის, როცა დონ მენდო იზაბელას ფანჯრის წინ გამოჩენას აპირებს, ნუნიო აცმევს მას რაღაც უცნაურ ხელთათმანებს, გააფთრებით უწმენდს ჩექმებს, მოახტება მხრებზე და ბეჯითად უვარცხნის თმას. საფრთხის წუთებში დონ მენდო ლამანჩელი დონ-კიხოტივით უზარმაზარი დაჟანგული შუბით შეიარაღებული თავს ესხმის ჯარისკაცებს, რათა დაიხსნას თავისი სატრფო, მაგრამ სწორედ ისე, როგორც ქარის წისქვილებთან მებრძოლი სერვანტესის გმირი, იძულებული ხდება უკან დაიხიოს დაბეგვილი გვერდებით...

ძველი ციხე-სიმაგრე ლოვრიენაცი ქალაქის ფორპოსტი და მისი მცველია. მრისხანე კედლები, კოშკები, სვეტები, ბორცვზე მდგარი თვით ამ შენობის სილუეტი, თითქოს შექმნილია შექსპირის პიესების გმირთათვის.

ამ მძლავრ ციხე-სიმაგრეში, რომელთანაც მისვლა მხოლოდ ქვის ვიწრო კიბეებით შეიძლება, იდგმება ,,ოტელო".

...ციხე--სიმაგრეს ვარსკვლავებით მოჭედილი ცა დაჰყურებს. ნამდვილი ძველებური ზარბაზნების ქუხილი გვამცნობს ოტელოს გამარჯვებას და მის დაბრუნებას კუნძულ კვიპროსზე...

პროჟექტორებით მოქმედების ადგილის ოსტატური განათება აძლიერებს მაყურებელთა თვალწინ განვითარებული მოვლენების სინამდვილის გრძნობას და ქმნის ისეთ შთაბეჭდილებას, რომელიც, სამწუხაროდ, უფრო ძლიერია, ვიდრე თვითონ გმირთა განცდები და ვნებები.

ოტელოს როლს ასრულებს ცნობილი იუგოსლაველი მსახიობი ლუბა ტადიჩი. ეს მეტად საინტერესო მსახიობია, საკმაოდ ტემპერამენტიანი და გონიერი, მაგრამ რას თამაშობს იგი — ეჭვიანობის ტრაგედიას თუ ნდობის ტრაგედიას — ამის ზუსტად განსაზღვრა ძნელია.

სტიუარტ ბურჟას ამ სპექტაკლში ოტელოს დეზდემონა უყვარს როგორც თავისი საკუთრება, რომელიც მოუპოვებია. ,,ჩემგან გამოვლილ ჭირთათვის მან მე შემიყვარა, მე შევიყვარე ჩემთან ჭირთა თანაგრძნობისთვის" შექსპირის ოტელოს ეს ცნობილი სიტყვები მაყურებელთა სიცილხარხარს იწვევს და სრულიად მოულოდნელად ჟღერს. ოტელო კმაყოფილია იმით, რომ თავისი თავგადასავლის თხრობით მოხერხებულად შესძლო გულუბრყვილო გოგონას გატაცება.

რეჟისორის ჩანაფიქრის მიხედვით უჩვეულოა ირინა კოლეზარის დეზდემონაც. ის ცელქი, ცბიერი და კოპწიაა. ის კოპწიაობს კასიოსთან, იაგოსთან და ოტელოსთანაც. მას უფრო სიყვარულის თამაშიართობს და არა ის, რაც მის გარშემო ხდება. როცა მას უცქერით ძნელი დასაჯერებელია, რომ ამ ქალს შეეძლო უგულვებელეყო საზოგადოებისა და წოდების კანონები და გამსჭვალულიყო ოტელოსადმი უსაზღვრო გრძნობით.

დეზდემონას სახის ასეთი ტრაქტოვკით სავსებით უფლებამოსილად წარმოგვიდგება ოტელოს ეჭვიანობა და მისი უნდობლობა.

რომანტიკული საბურველჩამოცლილი სპექტაკლის გმირების ფონზე იაგო ფსიქოლოგიურად ღრმა იერსახეა. სტევო ჟიგონა ამ როლს გონივრულად, ფაქიზად და სრულიად სხვა, თანამედროვე მანერით ასრულებს. გატაცებით და საუცხოოდ აბამს იგი ინტრიგის ძაფებს, შიგ ახვევს პიესის გმირებს. ყოველივე ეს გამოჰყოფს მას აქტიორთა ანსამბლიდან, მთელი თავით მაღლა აყენებს სხვებთან შედარებით, ამით ის შექსპირის ტრაგედიის ყველა აქცენტს ამჟღავნებს.

სპექტაკლის განზრახ გაუბრალოება და ყოფითობა, რომანტიკული სულის ჩამოცილება ინგლისელი დრამატურგის ამ ერთერთ ყველაზე რომანტიკული ნაწარმოებისაგან, ეწინააღმდეგება იმ გარემოცვას, რომელშიც სპექტაკლს თამაშობენ. ხოლო დუბროვნიკის ფესტივალის ძირითადი სილამაზე იმაში მდგომარეობს, რომ ამ ,,საშუალოსაუკუნოებრივ" გარემოს სპექტაკლები კარგად ერწყმიან, აქ კი ეს არ მოხდა.

სპექტაკლში ბევრია აშკარად ნატურალისტური სცენა. მაგალითად ოტელოს ეპილეპსიური შეტევა, მისი სცენა იაგოსთან, რომელსაც თავისი ღონიერი ხელებით ზევით ასწევს და ბრაზმორეული კედელს მიაკრავს, თითქოს მისი გასრესა სურს, გმირთაგან თუ ვინმე ეცემა, ეს ისე ხდება, რომ მაყურებელი ძალაუნებურად შეიჭმუხნება გონებაში წარმოდგენილი ტკივილებისაგან.

ხოლო ფინალი მოულოდნელია და გვაოცებს მართლაც რომ ზედმეტი რომანტიკულობით.

ოტელო ხანჯლით იკლავს თავს და ვარდება საწოლზე დახრჩობილ დეზდემონას გვერდით. აბრეშუმის გადასაფარებელზე ერთმანეთის გვერდით დევს ორი ხელი — შავი და თეთრი, როგორც ვენეციელი ქალის სისპეტაკისა და კეთილშობილების შერიგება მავრის თავშეუკავებელ ველურობასთან.

ჩვენს მიერ ნანახი სპექტაკლები, პირველყოვლისა მსახიობურია, მათში მთავარი და უპირატესი საწყისია მსახიობი. მიზანსცენები ჩვეულებრივია და უბრალო, ძნელია მათი გახსენება. ზოგჯერ მსახიობები ლაპაკობენ, ისე, რომ ერთმანეთს არ უცქერიან, თამაშობენ წმინდა გარეგნული ეფექტებისა და აქტიორული ხერხების გასამჟღავნებლად. ყველაფერი, რაც დუბროვნიკის ფესტივალზე ვნახეთ, გვიხბლავს თვით ჩანაფიქრის ორიგინალობით, მისი შესრულების მოსაზრებულობით. უდავოა, რომ პიესის გმირები, რომლებიც მათთვის ბუნებრივ გარემოში აღმოჩნდებიან, უკვე ამით იქცევიან ცოცხალ, რეალურ ადამიანებად. ეს ათავისუფლებს მსახიობებს ბევრი სცენური პირობითობისაგან, ხოლო მაყურებლები ადვილად მოექცევიან სცენური მოქმედების მართალ ატმოსფეროში.

რა თქმა უნდა, დუბროვნიკის ფესტივალის ნახვით არ შეიძლება მივიღოთ იუგოსვიის თეატრალური ცხოვრების შესახებ მთლიანი წარმოდგენა, მით უმეტეს, რომ აქ ზღვასა და ქვებს შორის ცოცხლდება მხოლოდ მსოფლიო კლასიკური დრამატურგიის ნაწარმოებები. ამიტომაც კიდევ უფრო მეტის ინტერესით ველით იუგოსლავიის მსახიობებთან ახალ შეხვედრებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა



სინი. ა. და გ. მანუკოვების ნამუშევარი
სადაფის, ძვლისა და ვერცხლის ინკრუსტაცია

# ხალხური მხატვრული ხელოსნობის აღორძინება

ვარვარა ბებუთოვა-გაბუნია

ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნებაში“ 1936 წლის მე-4 და მე-5 ნომრებში გამოქვეყნდა ხელოვნების მცოდნე არტემ გაბუნიას სტატია ხალხური ხელოვნების ერთ-ერთი უძველესი და წამყვანი დარგის, მხატვრული ქარგვის შესახებ. სტატიაში ის სახავდა მთელ რიგ კონკრეტულ ღონისძიებებს ამ დარგის აღორძინებისათვის. კერძოდ, საჭიროდ მიაჩნდა შემორჩენილი კერების და ოსტატების გამოვლინება, ქალაქებში და სოფლებში არტელების მოწყობა, მხატვრული ქარგვის მდიდარი მემკვიდრეობის შეკრება და საამისოდ სპეციალური სამხატვრო საბჭოს შექმნა. სტატიამ არა მარტო სპეციალისტების, არამედ ფართო საზოგადოებრიობის ინტერესი გამოიწვია. მართლაც, 1936 წლის ივნისში ხელოვნების საქმეთა სამმართველომ ხალხური შემოქმედების კაბინეტი ჩამოაყალიბა, რომელიც შემდეგ ხალხური შემოქმედების რესპუბლიკურ სახლად გადაკეთდა. იქ ხალხური ცეკვების და სიმღერების შესწავლასთან ერთად გულმოდგინე მუშაობა წარმოებდა ქართული მხატვრული ხელოსნობის გამოსავლენად. მუშაობას სათავეში ჩაუდგა თვით ამ საქმის მცოდნე და დამფასებელი არტემ გაბუნია. მოკლე ხანში მან შესძლო მიეზიდა ძველი ოსტატები, რათა მათ თავიანთი ცოდნა ახალი თაობისათვის გადაეცათ. ა. გაბუნიას მუდამ ჰქონდა კავშირი ხალხურ ოსტატებთან, ოცნებობდა შეექმნა მათთვის მუშაობის შესაფერისი პირობები. აუცილებელი გახდა გაქრობის გზაზე მდგარი ხელოსნობის რამდენიმე სახეობისათვის მხარდაჭერა. ჭედურობას, დახვეწილ ფილიგრანს თუ ვერცხლისა და ოქროს ძაფით ქარგვას აშკარად ემუქრებოდა ნელ-ნელა მოსპობის საფრთხე.

1937 წლის 6 მაისს გაიხსნა ხალხური მხატვრული ხელოსნობის საუკეთესო ნიმუშების პირველი გამოფენა, რომელიც მოაწყო საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულმა ხალხური შემოქმედების რესპუბლიკურმა სამმართველომ. ამ გამოფენის მიზანი იყო გამოევლინებია მხატვრული ქარგვის ძველი ოსტატები, რომელთა ძალზე მცირე რიცხვი შემორჩა ჩვენში.

გამოფენა, რომლის ორგანიზატორი იყო არტემ გაბუნია, გაიხსნა ხელოვნების მუშაკთა სახლში (მახარაძის ქ. № 8). მან დაიკავა მთელი მეორე სართული. ა. გაბუ-



დორი. ა. ჯანდიერის ნამუშევარი. მოქარგულია ოქროსა და ვერცხლის ძაფებით

ნია, ვ. ერისთავი, ვ. ბებუთოვა-გაბუნია და სხვები არ ზოგავდნენ ენერგიას, რათა გამოფენა რაც შეიძლება კარგად ყოფილიყო მოწყობილი. ისინი არ ერიდებოდნენ ფიზიკურ მუშაობასაც კი. ხავერდის ქსოვილით შემოსეს მრგვალი დანადგარები, რომლებზედაც გამოფენილი უნდა ყოფილიყო კერამიკული ნიმუშები. გამოჩენილმა მხატვარმა ლადო გუდიაშვილმა მოხატა კატალოგის გარეკანი. ბევრს მოჰქონდა საკუთარი უნიკალური ექსპონატებიც, რათა თავიანთი წვლილი შეეტანა ამ დიდ კულტურულ წამოწყებაში.

გამოფენას დიდი წარმატება ხვდა. მან ნათელჰყო თუ როგორ იზრდებიან და მტკიცდებიან ხალხური შემოქმედების ძალები, ხელი შეუწყო მთელი რიგი პრაქტიკული საკითხების გადაწყვეტას, პირველყოვლისა უკვე არსებული ტექნიკური და მხატვრული მიღწევების განმტკიცებას, ხალხური შემოქმედების შემდგომი ზრდის უზრუნველყოფის საქმეს, ხალხური ოსტატებისათვის შემოქმედებითი მუშაობის სათანადო პირობების შექმნას, მხატვრული ხელოსნობის კერების შემდგომ გამოვლინებას და ა. შ.

გამოფენის წარმატებამ დაბადა მხატვრული ექსპერიმენტალური სახელოსნოების შექმნის იდეა. ხელოვნების საქმეთა სამმართველომ ასეთი სახელოსნოები მოაწყო 1938 წელს, სამი ძირითადი საამქროთი — მხატვრული ქარგვა, ლითონისა და ხის დამუშავება. ამ საამქროებში შედიოდა ხალხური მხატვრული ხელოსნობის სხვა დარგებიც, როგორიცაა მხატვრული ხელსაქმე, ჭედურობა და მხატვრული ქარგვა, რომელსაც ჩვენში დიდი კულტურული მემკვიდრეობა გააჩნია. იგი უძველესი დროიდან მომდინარეობს, ხოლო ამ წარმოების პროდუქცია თავისი ტექნიკური და მხატვრული სრულყოფილებით განსაკუთრებით ცნობილი იყო მთელ აღმოსავლეთში. დიდი მიღწევები აქვს ხესა და ქვაზე ჭრას. ასევე ითქმის ქართულ კერამიკაზეც. ყოფითი კერამიკის ურიცხვი სახეობა, რაც საქართველოშია შემონახული, გვაოცებს მაღალი მხატვრულობით და მოწმობს კერამიკული წარმოების მრავალსაუკუნოვან კულტურას. აღსანიშნავია, რომ მიუხედავად ერთგვარი დაქვეითებისა, რაც განიცადა მხატვრულმა ხელოსნობამ XIX საუკუნეში, მაინც გამოჩნდნენ ჩვენში ისეთი პირველხარისხოვანი ოსტატები, როგორიც არიან კვეზერელი, მამულაიშვილები (მამა და შვილი), დოსმიშვილი და სხვ., რომლებმაც მნიშვნელოვანი კულტურული მემკვიდრეობა დაგვიტოვეს. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია — ეს ის ფუნდამენტია, რომელზეც არნახული ტემპებით აღორძინდა ხალხური შემოქმედება.

ხალხური შემოქმედების პირველმა გამოფენამ, რომელიც 10 განყოფილებისგან



თომა და ამბროსი ჯიქიები

შედგებოდა, მოგვცა ხალხური მხატვრული ხელოსნობის გარკვეული სურათი. გამოვლინდნენ ისეთი გამოცდილი ოსტატები, როგორიც იყვნენ ა. ჯანდიერი, თ. გედევანიშვილი, ი. სვანიძე, დ. მამადაშვილი, ნ. კურცხალია, ს. ჩერქეზიშვილი, მ. ყანჩელი, თ. აბესაშვილი, ლ. რამიშვილი და სხვ; ლითონის მხატვრული დამუშავების საქმეში განთქმული ოსტატები: ხანდამაშვილი, ძაძამიძე, ბეზანტი, ძმები ჯიქიები, ჯანგველაძე, ჩანტლაძე, დოსმიშვილი, ოქროპირიძე და სხვ. ხალიჩების ქსოვის საქმეშიც გამოჩნდნენ ოსტატები: ბათიაშვილი, უტროტაშვილი, სეფიაშვილი, ხუციშვილი, დატუგუშვილი და სხვ.

თიხისგან პირველად გააკეთეს მხატვრული ანგობირებული ჭურჭლები მაისურაძემ, ჯაფარიძემ, ლეჟავამ და სხვ. მათმა გამოცდილებამ ფართო პერსპექტივები გადაუშალა მხატვრული კერამიკის განვითარების საქმეს საქართველოში.

ხეზე კვეთასაც გამოუჩნდნენ პირველხარისხოვანი ოსტატები: ბოტკოველი, კობელაშვილი, ცანავა, ავალიშვილი, ნაკაშიძე და სხვები.

სახელოსნოები გაიხსნა შემდეგი შემადგენლობით: ხალხური შემოქმედების სახლის დირექტორი გ. კოკელაძე, საექსპერიმენტო სახელოსნოების დირექტორი ბ. სიხარულიძე, საექსპერიმენტო სახელოსნოების დირექტორის მოადგილე და ხელმძღვანელი ა. გაბუნია, მახტვარი, ხატვის მასწავლებელი ვ. ბებუთოვა-გაბუნია, ლითონის დამუშავების ხელმძღვანელი გ. ხანდამაშვილი, თ. და ა. ჯიქიები (გრეხილი). მხატვრული კერვის ხელმძღვანელები — ა. ჯანდიერი და თ. გედევანიშვილი, ხის დამუშავების ხელმძღვანელი — გ. ავალიშვილი, საინკრუსტაციო დარგის ხელმძღვანელი — ა. მანუკოვი, მხატვრული გამოწვის ხელმძღვანელი — ე. სტასენკო.

ხანდამაშვილის პირველი მოწაფეები იყვნენ: გ. ლეკიშვილი, კ. ქუთათელაძე, ე. ბუჩუკური, რ. ზუბიაშვილი და ზ. კაკალაშვილი. ჯიქიას მოწაფე იყო მ. მიქაძე, მანუკოვის მოწაფე — მისივე შვილი, გ. ჯანდიერის მოწაფეები — ნ. სვანიძე, მ. წერეთელი, მ. ცხომელიძე, თ. ზულიაშვილი, დ. მამადაშვილი, ვ. ზიარელაშვილი, ე. სამუნჯიანი, ლ. გოგუა, თ. მექვაბიშვილი, ს. გურგენიძე, ო. არღუთინსკაია, ნ. ნანეიშვილი და სხვ.

ხრიკა და აზარფეშა. თ. და ა. ჯიქიების ნამუშევარი





არტემ გაბუნიას პორტრეტი
მხატვარი ვ. ბებუთოვა-გაბუნია

ა. გაბუნიას მზრუნველობის შედეგად სახელოსნოები კარგად მარაგდებოდა სხვადასხვა მასალით, როგორიცაა ვერცხლი, ოქრო, აბრეშუმი, ხავერდი, ნაირნაირი ჯიშის ხე, სპილოს ძვალი, პერლამუტრი და სხვ. საკმაო იყო საწარმოო იარაღებიც. ოსტატები და შეგირდები მეგობრულად მუშაობდნენ.

გ. ხანდამაშვილი
ვერცხლით ნაჭედი ლარნაკი



ა. გაბუნია მოსკოვს გაემგზავრა ქართული ხალხური მხატვრული ხელოსნობის პოპულარიზაციის მიზნით. იმ ხანებში მოსკოვში გამოვიდა წიგნი „სსრკ ხალხთა შემოქმედება“, რომლის რედაქტორი იყო მაქსიმ გორკი. წიგნი ეძღვნებოდა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 20 წლისთავს. მასში საბჭოთა ფოლკლორის საუკეთესო ნაწარმოებებთან ერთად ა. გაბუნიას ინიციატივით შეტანილი იყო ქართული ფოლკლორიც. წიგნში დაიბეჭდა თ. ჯიქიას ნამუშევარი „ხანჯალი“, აგრეთვე ვ. ზიარელაშვილის „მდიდრული სუფრა“, შოთა რუსთაველის ჭედური პორტრეტი, რომელიც ეკუთვნოდა ბოტკოველს. ყველა ეს ნამუშევარი ამჟამად ინახება ხალხური გამოყენებითი ხელოვნების მუზეუმში. ა. გაბუნიას ინიციატივით მოსკოვის აღმოსავლური კულტურის მუზეუმში შეიქმნა ქართველი ოსტატების ნამუშევრების კუთხე. მანვე დაამტკიცა, რომ შესანიშნავი, მდიდრული ორნამენტით შემკული ვერცხლის დოქი, რომელიც ირანულად მიაჩნდათ, ქართულია. ამ აღმოჩენაში მას დაეხმარა ძველი ანბანის და ნიშნების ცოდნა.

1938 წელს მოსკოვის მახლობლად გაიხსნა სრულიად საკავშირო სასოფლო სამეურნეო გამოფენა. ა. გაბუნიამ მიაღწია იმასაც, რომ ქართული ხელოვნების ნიმუშებიც ყოფილიყო აქ ნაჩვენები. ამ ექსპონატებმა მაშინ მნახველთა დიდი ყურადღება დაიმსახურა.

მოსკოვში ა. გაბუნია დაუმეგობრდა ხალხური შემოქმედების წარმომადგენლებს; თანამშრომლობდა მოსკოვის ჟურნალებში „ხელოვნება“ და „ხალხური შემოქმედება“. მისი სტატიების წყალობით ფართო საზოგადოებრიობა გაეცნო საქართველოს ხალხური შემოქმედების მდიდარ და უძველეს საუნჯეს, თავის სტატიებში ა. გაბუნია დიდ ყურადღებას უთმობდა ლითონის მხატვრულ დამუშავებას და მხატვრულ ქარგვას. მას ეკუთვნის წიგნი „ლენინისა და სტალინის სახეები ქართულ ხალხურ სახვით ხელოვნებაში“, რომელშიც წარმოდგენილია მხატვრული ხელოსნობის ყველა სახეობა. თავის წიგნში ა. გაბუნია გარკვეულ ყურადღებას უთმობს წარმოების ტექნიკას და გაფორმების მხატვრულ ხარისხს. ეს წიგნი ა. გაბუნიას გარდაცვალების შემდეგაც (1958 წ.) გამოვიდა სახელწოდებით: „ქართული ხალხური შემოქმედება“.

როგორც მხატვრული ნიმუშების კარგ მცოდნეს, 1935 წელს გაბუნიას დაეკისრა ბორჯომის ყოფილ თავადთა სასახლეებიდან შეერჩია ხელოვნების ნივთები, განსაკუთრებით ძვირფასი ფაიფური. ა. გაბუნიამ ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში მოაწყო მხატვრულ ნაკეთობათა განყოფილება, ამასთან შეადგინა მეცნიერული კატალოგი. მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალში, სადაც იგი უმცროსი მეცნიერი მუშაკის მოვალეობას ასრულებდა, მოაწყო დარბაზი ხალხური შემოქმედების ოსტატების საუკეთესო ნიმუშთა გამოფენისათვის.

1939 წელს მიმდინარეობდა მსჯელობა კუსტარული მუზეუმის მიზნებისა და ამოცანების შესახებ. აქ იყო ა. გაბუნიაც, რომელიც სარეწაო კავშირმა მოიწვია ამ საკითხის განსახილველად. ა. გაბუნიას მიერ შემუშავებულ ღონისძიებებს კარგი შეფასება მისცა აკადემიკოსმა ი. ჯავახიშვილმა. ა. გაბუნიას აზრით ამ მუზეუმის მიზანი უნდა ყოფილიყო საქართველოს კუსტარული მრეწველობის შესწავლა და მხატვრული ნიმუშების შეგროვება ღირსშესანიშნავი კოლექციის შექმნა. ამის საპასუხოდ აკადემიკოსი ი. ჯავახიშვილი წერდა: „კუსტარული მრეწველობის აღდგენისა და განვითარებისათვის აუცილებელია უზრუნველვყოთ ამ მრეწველობის ნიმუშების არა მარტო შესწავლა და შეგროვება, არამედ დაცვა. აუცილებელია შევისწავლოთ წარსულის მემკვიდრეობა და თანამედროვე ხალხური შემოქმედებაც“.

1938-41 წლებში ხალხური შემოქმედების სახელოსნოების ოსტატებმა და შეგირდებმა მზადება იწყეს ხალხური შემოქმედების მეორე გამოფენისათვის, შეგროვდა ჩინებული ნამუშევრები ლითონის, ხის დამუშავების, ქარგვის და კერამიკის დარგებში.

1941 წელს ისევ ხელოვნების მუშაკთა სახლში გაიხსნა ხალხური შემოქმედების მეორე გამოფენა.

ა. გაბუნია გარდაიცვალა 1940 წლის ნოემბერში. ვერ მოესწრო ეხილა თავისი შრომისა და ენერგიის ნაყოფი. საქმემ კი, რომლისთვისაც ის იღწვოდა, შესანიშნავი შედეგები მოგვცა. სახელმწიფო მუზეუმის, ხალხური და გამოყენებითი ხელოვნების მუზეუმის ყველა საუკეთესო ექსპონატი ამ გულისხმიერი, მრავალმხრივ განვითარებული და საქმისათვის თავდადებული ადამიანის მიერ იყო ორგანიზებული. იგი მუდამ მზად იყო სიტყვით, რჩევით, საქმით გამოხმაურებოდა ყველას, ვინც კი მოღვაწეობდა ხალხური ხელოვნების დარგში, დახმარებოდა მათ, როგორც უფროსი მეგობარი, თავისი მდიდარი ცოდნითა და გამოცდილებით.

ა. გაბუნიას დასაფლავების დროს მწერალმა იოსებ იმედაშვილმა სთქვა: „განსვენებულმა მოგვცა იმის მაგალითი, თუ როგორ შეიძლება შექმნას ადამიანმა დიდი მნიშვნელობის საქმე ყოველგვარი ხმაურისა და თვითრეკლამის გარეშე. ისე, რო-

გორც ხალხური შემოქმედებაა უსახელო, ისევე ა. გაბუნია იღწვოდა რაც შეიძლება მეტი გაეკეთებინა და რაც შეიძლება ნაკლებად გამოეჩინა საკუთარი სახელი. მაგრამ ჩვენ, მისი მოღვაწეობის მოწმენი ვალდებული ვართ ღირსეულად დავაფასოთ მისი შრომა“.

1941 წლის 25 ივნისს, ომის დაწყების გამო, დაიხურა ექსპერიმენტული სახელოსნოები, რომელთა სპეციალისტები და ოსტატები გაიფანტნენ იმ იმედით, რომ მალე კვლავ შეიკრიბებოდნენ და განაგრძობდნენ თავიანთ საყვარელ საქმეს. და მართლაც, 1945 წლის 25 ივნისს სახელოსნოები გაიხსნა ახალი სახელწოდებით „ხალხური სახვითი ხელოვნების სასწავლო კომბინატი“, რომელიც ხელოვნების საქმეთა სამმართველოს სისტემაში შევიდა. სამუშაოდ მოწვეული იქნენ: კომბინატის დირექტორად — ვ. სიხარულიძე, მოადგილედ — გ. ქართველიშვილი, რომელიც მალე განთავისუფლდა და მის ადგილას დაინიშნა ვ. ბებუთოვა-გაბუნია; ჭედურობის ოსტატები: გ. ხანდამაშვილი, რ. ზუბიაშვილი, გრეხილის ოსტატი თ. ჯიქია, ხის დამმუშავებული ოსტატი ვ. მგელაძე, ინკრუსტირების ოსტატი ა. მანუკოვი, ხელსაქმის ოსტატი ქალები: ა. ჯანდიერი, დ. მამადაშვილი, მ. წერეთელი, ო. არგუტინსკაია, მ. ცხომელიძე, ე. სამუჯიანი, ვ. ზიარაშვილი და სხვ.

სახელოსნოებში ჩაებნენ ნიჭიერი ახალგაზრდები, რომლებმაც წინ წასწიეს მხატვრული ხელოსნობა, განსაკუთრებით ლითონის დამუშავების, ხეზე კვეთის ხელოვნება, მხატვრული კერვა, ინკრუსტირების საქმე და ფრიად ნაყოფიერი შედეგები მოიპოვეს.

1951 წელს კომბინატი ლიკვიდირებულ იქნა, როგორც არარენტაბელური და როგორც მხატვრულ ნაწარმთა ტრესტის ერთეული საქ. სსრ კულტურის სამინისტროს სისტემაში შევიდა. ბევრი ოსტატი და შეგირდი გარეთ აღმოჩნდა, მხოლოდ რამდენიმე მათგანი გადავიდა ტრესტში, საჩუქრების საამქროში.

1934-1941 წლების გამოფენათა ექსპონატები საფუძვლად დაედო ხალხური შემოქმედების სახლის მუზეუმს.

ა. გაბუნიას გარდაცვალების შემდეგ, ომის წლებში, ექსპონატები მოგზაურობდნენ სხვადასხვა ადგილებში. მხოლოდ 1947 წელს, მუზეუმი მოწესრიგდა და გაიხსნა კიდეც.

მუზეუმს ორი პატარა ოთახი ეჭირა, ექსპონატები განლაგებული იყო 17 ვიტრინაში, გატარებული იყო ხუთ-ხუთ სხვადასხვა წიგნში. შთაბეჭდილებათა წიგნში აღფრთოვანებული ჩანაწერებია.

მუზეუმი კონსულტაციას უწევდა ხალხური შემოქმედების ოსტატებს. აქ მოდიოდნენ სხვადასხვა მხატვრული წრეების წევრები, კულტსახლების მუშაკები... მუზეუმის დასათვალიერებლად ჩამოდიოდნენ ჩვენი თვალუწვდენელი სამშობლოს სხვადასხვა კუთხეებიდან — ლენინგრადიდან, სვერდლოვსკიდან, მაგადანიდან, ალტაიდან, ლიტვიდან, ბაქოდან და სხვა რაიონებიდან.

მუზეუმის ექსპონატები გამოფენილი იყო შემდეგ გამოფენებზე:

1. ხალხური შემოქმედების პირველ გამოფენაზე თბილისში, 1937 წ.

2. მსოფლიო გამოფენაზე პარიზში 1937 წ.

3. თვითმოქმედთა შემოქმედების გამოფენაზე მოსკოვში 1938 წ.

4. ხალხური შემოქმედების მეორე გამოფენაზე თბილისში 1941 წ.

5. საკავშირო სასოფლო სამეურნეო გამოფენაზე მოსკოვში 1939 წლიდან 1954 წლამდე. საქართველოს პავილიონში.

6. ხალხური შემოქმედების გამოფენაზე მოსკოვში 1946 წ.

7. ახალგაზრდობის გამოფენაზე პრაღაში 1948 წ.

8. საყოფაცხოვრებო და მხატვრულ ნაწარმოებთა გამოფენაზე, რომელიც მოეწყო თბილისში საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ისტორიული განყოფილების სესიის დროს.

9. მხატვრული ხელოსნობის და დეკორატიული გამოყენებითი ხელოვნების გამოფენაზე მოსკოვში 1948 წ.

10. პროფკავშირის მუშაკთა რესპუბლიკური კომიტეტის მიერ მოწყობილ მხატვრული თვითმოქმედების გამოფენაზე თბილისში.

11. კინოთეატრ „რუსთაველში“ მოწყობილ მოძრავ გამოფენაზე 1953-1955 წ. წ.

12. თვითმოქმედი ხელოვნების საკავშირო გამოფენაზე მოსკოვში 1954 წ.

13. ქართული თვითმოქმედების გამოფენაზე თბილისში 1951 წელს მე-8 ოლიმპიადის დროს.

14. საქართველოს მუზეუმის ეთნოგრაფიული განყოფილების გამოფენაზე თბილისში 1954 წ.

15. საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფოლკლორული სესიის გამოფენაზე თბილისში 1956 წ.

16. დეკორატიული და გამოყენებითი ხელოვნების გამოფენა-კონფერენციაზე მოსკოვში 1956 წ.

17. საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის საქართველოს პავილიონში, მოსკოვში 1954 წ. და 1956 წ.

18. საქართველოს მუზეუმის კერამიკული წარმოების გამოფენაზე თბილისში 1958 წ.

19. თვითმოქმედ მხატვართა ნამუშევრების გამოფენაზე თბილისში 1960 წ.

20. თვითმოქმედ მხატვართა ნამუშევრების II საკავშირო გამოფენაზე მოსკოვში 1961 წ.

21. ხალხური შემოქმედების გამოფენაზე საქართველოს სურათების გალერეაში 1966 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხალხური შემოქმედების რესპუბლიკური მუზეუმი ამ პროფილის პირველი მუზეუმია. ადრე მოსკოვიდან არა ერთხელ ჩამოსულან ხალხური შემოქმედების ცენტრალური სახლის თანამშრომლები, რომლებიც გვიმტკიცებდნენ, რომ ასეთი მუზეუმი საბჭოთა კავშირში არსად არის და გვირჩევდნენ დაგვეხურა იგი, მაგრამ ჩვენ მტკიცედ გვჯეროდა ჩვენი საქმისა და მართალიც აღმოვჩნდით — მალე ჩვენი მაგალითით ასეთივე მუზეუმი გაიხსნა კიევში, რიგაში, ერევანში და სხვ.

ჩვენ გვყავს ძველი ოსტატების მიერ მომზადებული ახალგაზრდა კადრები, მაგრამ სამწუხაროდ მათ არა აქვთ საჭირო პირობები მუშაობისათვის. ფართო მოხმარების საგნებმა განდევნეს მხატვრული ნაწარმოებები როგორც ერთგვარი არარენტაბელური პროდუქცია. ერთ დროს არსებობდა არტელი „მხატვარი“, რომელიც სარეწაო საბჭოს ეკუთვნოდა და უშვებდა მცირე რაოდენობით პროდუქციას — ვერცხლით მოჭედილ ყანწებს. მართალია ეს პროდუქცია რენტაბელურია, მაგრამ ამის მიხედვით არ შეიძლება ვიმსჯელოთ ლითონის დამუშავების შესანიშნავ ტრადიციაზე საქართველოში. ერთ დროს ფართოდ განვითარებული მხატვრული საწარმოებიდან თითო ოროლა ოსტატი დარჩა. საჭიროა დაჩქარდეს ასეთი საწარმოების აღდგენა, მომზადდეს კადრები. აუცილებელია გაიხსნას მხატვრული ექსპერიმენტული სახელოსნოები ამ საქმის მოყვარული მხატვარ-სპეციალისტების ხელმძღვანელობით. სამხატვრო აკადემიასთან გახსნილია დეკორატიული და გამოყენებითი ხელოვნების ფაკულტეტი ლითონის, ხის და ქსოვილების დამუშავების განყოფილებით. მხოლოდ ამ ღონისძიებებით შეიძლება აღვადგინოთ საქართველოს მხატვრული ხელოსნობის უძველესი ტრადიციები.

1936 წლიდან ხალხური შემოქმედების რესპუბლიკურ სახლს ეჭირა ხელოვნების მუშაკთა კლუბის ქვედა სართული. იქვე არსებობდა ხალხური შემოქმედების სახლის ექსპერიმენტული სახელოსნოები, მაგრამ მუზეუმები თანდათან გამოდევნეს შენობიდან, შეუმცირეს ფართობი და შემდეგ, სარეწაო კოოპერაციის ლიკვიდაციის გამო, 1960 წელს სარეწაო კოოპერაციის მუზეუმი (ყოფილი კუსტარული მუზეუმი) და ხალხური შემოქმედების სახლის მუზეუმი გაერთიანებული იქნა ერთ მუზეუმად სახელწოდებით — „ხალხური და გამოყენებითი ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი“. თვითეულ ამ მუზეუმს კარგი წარსული აქვს და ისინი ერთმანეთს ავსებენ. ამიტომ აღნიშნული ღონისძიება მისასალმებელია. ეჭვი არ არის, რომ ეს მუზეუმი შესაფერ ადგილს დაიჭერს სხვა მუზეუმთა შორის.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ივანე დავითიანს 80 წელი შეუსრულდა

# ჟურნალისტი, კრიტიკოსი

იოსებ მეგრელიძე

მოკრძალებული, მაგრამ ფრიად ნაყოფიერი მუშაკია ივანე არტემის ძე დავითიანი. იგი დიდი ხანია რაც უანგაროდ ემსახურება სომეხ და ქართველ ხალხთა განათლების, ხელოვნებისა და მწერლობის განვითარების საქმეს. მიუხედავად ხანდაზმულობისა, მას კვლავ ხშირად ვხედავთ საზოგადოებრივ ასპარეზზე: რედაქციებსა და გამომცემლობებში, თეატრალურსა და ლიტერატურულ დისპუტებზე, ვისმენთ რადიოთი, ვკითხულობთ მის წერილებს სომხურსა და ქართულ ჟურნალ-გაზეთებში.

ივანე დავითიანი დაიბადა 1887 წლის 20 სექტემბერს სურამში. ოჯახი მაშინ იმდენად ხელმოკლე ყოფილა, რომ რვა წლის ბიჭუნა, სკოლის ნაცვლად, ხეროდინოვების ფეხსაცმელების სახელოსნოში მიუბარებიათ შეგირდად. სწავლამოწყურებულ ყმაწვილს მაინც დაუმთავრებია ადგილობრივი სამრევლო სკოლა და შემდეგ სურამის მცხოვრებთა დახმარებით და შუამდგომლობით, თბილისის ნერსესიანის სახელობის სემინარიაში მოწყობილა და დაუსრულებია იგი. მალე პეტერბურგის ფსიქო-ნევროლოგიურ ინსტიტუტში გაუგზავნიათ, მაგრამ ოჯახი ვერ დახმარებია და მესამე კურსიდან მშობლიურ საქართველოში დაბრუნებულა.

ცნობილია, რომ ივ. დავითიანი, ჯერ კიდევ სემინარისტი, თანამშრომლობდა პერიოდულ პრესაში, წერდა კორესპონდენციებს, ნარკვევებს, აქვეყნებდა თარგმანებს. მისი პირველი პოლიტიკური ნარკვევი — „წავედით სანახავად“ — დაიბეჭდა 1907 წელს, შავბნელი რეაქციის პერიოდში, ყოველდღიურ სომხურ გაზეთ „აპაგა“-ში („მომავალი“, 19 მაისი).

ეს ნარკვევი მოსწონებია სემინარიის ლიტერატურის მასწავლებელს, პიესა „ძველი ღმერთების“ ავტორს, ცნობილ სომეხ მწერალ ლეონ შანთს, საჯაროდ წაუკითხავს და ავტორი შეუქია.

მოღვაწეობის 50 წლის მანძილზე ივ. დავითიანს უმუშავია მასწავლებლად, სკოლის დირექტორად და საბავშვო სახლების ხელმძღვანელად ჩვენს დაბებსა და სოფლებში. იგი იქვე აარსებდა სამკითხველოებს ან არსებულთ ლიტერატურით ამდიდრებდა.

გორის მაზრის, ახალციხის, ახალქალაქისა და კახეთის დაბებში ი. დავითიანი სომხურ და ქართულ ენებზე მართავდა უფასო და ფასიან წარმოდგენებს, ადგილობრივი ინტელიგენციისა და ხელოსნობის გარდა, ივანეს ზრუნვის მეოხებით, ამ სპექტაკლებში მონაწილეობდნენ ხოლმე პროფესიონალებიც: ვასო და ტასო აბაშიძეები, ნ. ცაგარელი, გრ. სულიაშვილი, გ. ტერ-დავთიანი, გ. მირაღიანი, გ. ფირუმიანი და სხვები. წარმოდგენების შემოსავალი სკოლას, სამკითხველოებსა და უღარიბეს მოსწავლეებს ხმარდებოდა.

აღსანიშნავია რეპერტუარიც: გ. სუნდუკიანის „პეპო“, „ოსკან პეტროვიჩი ჯოჯოხეთში“, „სამი მამაკაცი“, ვ. გუნიას „და-ძმა“, გედევანიშვილის „მსხვერპლი“, ჰაჯიბეგოვის „არშინ-მალ-ალან“, ა. ცაგარლის „ხანუმა“, „ციმბირელი“, ა. წერეთლის „კინტო“ და სხვ.

ივ. დავითიანი აყალიბებდა ახალგაზრდების გუნდს, ასწავლიდა მათ ქართულ, სომხურ და რუსულ სიმღერებს და დაბებსა და სოფლებშივე მართავდა კონცერტებს, ზოგჯერ ისეთი ცნობილი კომპოზიტორების მონაწილეობითაც კი, როგო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიც იყვნენ: არ. ტიგრანიანი, დ. ყაზარიანი, ე. სარდარიანი და სხვები. ეს კონცერტები ადგილობრივ მცხოვრებთა და საგარაკოდ ჩასულ მსმენელ-მაყურებელთა მოწონებას იმსახურებდა.

ივ. დავითიანი ჩვენი ჟურნალისტთა კავშირის ერთ-ერთი უძველეს წევრთაგანია. მას ახლო ურთიერთობა ჰქონდა ქართველ და სომეხ მწერლებთან და საზოგადო მოღვაწეებთან, გამოდიოდა და გამოდის მათ შესახებ მოხსენებებითა და მოგონებებით. მის წერილებს ი. გოგებაშვილსა და ა. წერეთელზე, ყ. ღაიანსა და ის. არუთინიანზე, ვაჟა-ფშაველასა და ა. ალსაბაძეზე, ათ. ხნკოიანსა და სხვებზე ახლაც სიამოვნებით ვკითხულობთ. საინტერესოა დავითიანის მოგონება მისსავე მეგობარ პროფესიონალ რევოლუციონერ სტეფანე შაუმიანზე.

ივ. დავითიანის წერილები და მოგონებები გამოქვეყნებულია სომხურსა და ქართულ გაზეთებში; „კაიწ“ („ნაპერწკალ“), „ნორ ხოსქ“ („ახალი სიტყვა“), „აპაგა“ („მომავალი“), „პაიქარ“ („ბრძოლა“), „მოგზაური“, „მუშა“, „სახალხო განათლება“, „კომუნისტი“, „სოვეტაკან ვრასტან“ („საბჭოთა საქართველო“), „სოვეტაკან ჰაიასთან“ („საბჭოთა სომხეთი“), „ლიტერატურული საქართველო“, „გრაკან თერთ“ („ლიტერატურული გაზეთი“), „თბილისი“, „ერევან“ და სხვ.

იბეჭდებოდა ჟურნალებში: „ჰასკერ“ („თავთავი“), „მერ დპროც“ („ჩვენი სკოლა“), „აღბიურ“ („წყარო“); „ნაკადული“, „განათლების მუშაკი“, „საბჭოთა ხელოვნება“, „მნათობი“, „ცისკარი“, „არვესტ“ („ხელოვნება“), „პიონერი“, „სოვეტაკან გრაკანუთიუნ“ („საბჭოთა ლიტერატურა“) და სხვ.

ამ ჟურნალ-გაზეთებში ივ. დავითიანის ორიგინალურ ნაწარმოებებსა, სტატიებსა და მოგონებებს გარდა, გამოქვეყნებულა მისივე თეატრალური რეცენზიები.

საყურადღებოა ივ. დავითიანის მთარგმნელობითი მოღვაწეობაც. მან სომხურიდან ქართულად თარგმნა ხაჩ. აბოვიანის, ა. ისააკიანისა, ა. შირვანზადეს, ნარდოსის, ს. კურტიკიანის, ჰ. შირაზის, ჰ. ოვანისიანის, ტერ-არაქელიანის, ბენ. სეირანიანის, ს. მანველიანის და მრავალ სხვათა რომანები და მოთხრობები, ხოლო ქართულიდან სომხურ ენაზე თარგმნა „ვეფხისტყაოსანი“ (პროზად), პიესები, მოთხრობები და სტატიები; ა. წერეთლის „კინტო“, შ. დადიანის „ნაპერწკლიდან“, პ. ჩხიკვაძის „სართულები“, ე. ნინოშვილის, ი. ჭავჭავაძის, ვაჟა-ფშაველას, ანასტასია ერისთავი-ხოშტარიას, კ. გამსახურდიას, ა. ბელიაშვილის, ს. კლდიაშვილის, ს. ქუთათელის, რ. მარგიანის, გ. ჩიქოვანის, ირ. აბაშიძის, გ. შატბერაშვილის, ხ. ბერულავას, ე. ქარელიშვილის, ვ. გორგაძისა და სხვების.

ივ. დავითიანი იბეჭდებოდა ფსევდონიმებითაც: ი. დ. სურამელი, ჰ. დიანი, ვანო, მასწავლებელი, კახეთელი, ბაბუნჯი, ალაზნელი, თელაველი და სხვ.

ივანე არტემის ძე დავითიანი საქართველოში მცხოვრებ სომეხ მოღვაწეთა წარმომადგენელია. დიდად დასაფასებელია, რომ მას ქართველი და სომეხი ხალხების მეგობრობის გასამტკიცებლად ასე ბევრი გაუკეთებია, პატივს ვცემთ მას, როგორც გულმართალ ადამიანს, ვესალმებით მისი დაბადების 80 და საზოგადო მოღვაწეობის 60 წლისთავს. ვუსურვებთ კვლავ ჯანმრთელობასა და ბედნიერებას, შემოქმედებით სიხარულს.



კომპოზიტორი რევაზ გაბიჩვაძე

# ქართული სიმფონიის წარმატება

*საქართველოს სსრ სახალხო არტისტის, კომპოზიტორ რევაზ გაბიჩვაძის სიმფონია სიმებიანთა ორკესტრის, ფორტეპიანოსა და ლიტავრებისათვის 1964 წელს შეიქმნა. მას შემდეგ იგი ჟღერს საბჭოთა კავშირისა და საზღვარგარეთის მრავალ საკონცერტო ესტრადაზე. მაღალი შეფასება დაიმსახურა ამ ნაწარმოებმა მოსკოვში, გორკში, დონეცკში. ახლახანს, არგენტინელი დირიჟორის ხოსე როდრიგეს ფაურეს დირიჟორობით სიმფონია აჟღერდა ოდესაში, კიშინიოვსა და ლენინგრადში. რ. გაბიჩვაძის სიმფონია წარმატებით შესრულდა პარიზში, ბუდაპეშტში, ფრანკფურტში, მიუნხენში, დრეზდენში, პოზნანში, პრაგაში, შტეტინში და სხვ. საბჭოთა და უცხოეთის პრესაში მრავალი საინტერესო აზრი გამოითქვა ამ ნაწარმოების ირგვლივ.*

*გთავაზობთ გაზეთ ,,გორკოვსკაია პრავდას“, ,,სოვეტსკაია კულტურასა“ და იტალიური გაზეთის ,,უნიტას“ ფურცლებზე გამოქვეყნებულ მასალებს.*

ეროვნული ბიბლიოთეკა

„გორკოვსკაია პრავდა“:

„კონცერტზე შესრულდა უკანასკნელი წლების საბჭოთა მუსიკის ერთ-ერთი თვალსაჩინო ნაწარმოები გამოჩენილი ქართველი კომპოზიტორის რევაზ გაბიჩვაძის სიმფონია სიმებიანი ორკესტრის, ფორტეპიანოსა და ლიტავრებისათვის. ეს ნაწარმოები მრავალჯერ წარმატებით შესრულდა, როგორც საბჭოთა კავშირში ისე მის საზღვრებს გარეთ. სიმფონია მოსმენილ იქნა დაძაბული ყურადღებით. შთამბეჭდავმა, გამომსახველმა მუსიკამ დაიმორჩილა აუდიტორია. მისი მოსმენა არა მარტო საინტერესო იყო, არამედ სასიამოვნოც. კომპოზიტორის აზრები და გრძნობები აღელვებდა თვითეული მსმენელის გულსა და გონებას. შთაბეჭდილება გააძლიერა ავტორის დასწრებამ, რომელიც სიმფონიის დამთავრების შემდეგ, შემსრულებლებთან ერთად დაჯილდოვებული იყო მხურვალე აპლოდისმენტებით“...

„სოვეტსკაია კულტურა“ (№ 111):

„ძნელია სიტყვებით აღწერო იმ ჭეშმარიტად მხატვრული ნაწარმოების სილამაზე, რომელიც კომპოზიტორის მრავალწლიანი შემოქმედებითი ძიების შედეგია და საბჭოთა სიმფონიური კულტურის შენაძენია.

სწორედ ასეთი ნაწარმოებია კომპოზიტორ რ. გაბიჩვაძის სიმფონია სიმებიანი ორკესტრის, ფორტეპიანოსა და ლიტავრებისათვის. მოუსმინეთ მას და გარწმუნებთ, პირველივე ბგერებიდან გაგიტაცებთ სილამაზე, თემების ამაღლებული კეთილშობილება, რომელსაც აღიქვამ როგორც სულის ხმას, ადამიანის თხრობას ცხოვრების დიდსა და მნიშვნელოვან მოვლენებზე. რ. გაბიჩვაძის სიმფონია იხსნება პირადული განცდების, გრძნობებისა და ემოციების შეთავსებით დიდი მასშტაბის ისტორიული მოვლენების განზოგადებასთან. შემთხვევითი როდია, რომ ლირიკის გვერდზე პარტიტურაში არსებითი ადგილი ეთმობა რიტმების წინსწრაფვით მოძრაობას, ძლიერ აფეთქებებს, დარტყმებს, გარდატეხის ტემპერამენტს — ამ ორი საწყისის შეფარდებაზეა აგებული სიმფონიის დრამატურგია.

გვიტაცებს კომპოზიტორის მსოფლშეგრძნება, ოპტიმისტური აზროვნება. კომპოზიტორი მიმართავს მწუხარებით მოცულ მოვლენებს, ტრაგიზმს, მაგრამ მაშინაც კი აღსავსეა ადამიანის სულის სილამაზისა და ნათელი იდეალების რწმენით. სწორედ ეს იდეალები მკვიდრდება სიმფონიის ფინალში, რომლის მასშტაბი არც თუ ისე დიდია, მაგრამ აღსავსეა მახვილი ფსიქოლოგიური კოლიზიებით.

გაბიჩვაძის სიმფონია მისაწვდომი და გასაგებია ფართო მსმენელთათვის. მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ სიმფონიის სახეთა წყობა, ინტონაციები, რიტმები, ჰარმონია — მარტივია, ნუ გგონიათ, რომ პირველივე მოსმენისას ჩაწვდებით მის სიღრმეებს. პირიქით, იგი საკმარისად მდიდარი და რთულია. სიმფონია გიტაცებთ, გიბყრობთ. ვინაიდან ჭეშმარიტი სილამაზე მუდამ გიზიდავს. ამიტომ კვლავ აღგეძრებათ სიმფონიასთან ხელახლა შეხვედრის, მის სიღრმეებში, მუსიკალურ განზოგადოებებში, დაკვირვებებსა და შედეგებში წვდომის სურვილი.

ასეთია ჭეშმარიტი ხელოვნების კანონზომიერება. მასთან ყოველივე შეხვედრა გამდიდრებს, აგამაღლებს, იგი სულ უფრო ახლობელი და სრულყოფილი ხდება.

პროფესიონალი — მუსიკოსები, უთუოდ, გადაფურცლავენ სიმფონიის პარტიტურას, მიჰყვებიან კილო-ჰარმონიული, თემატური თუ ინტონაციური გარდაქმნების შესწავლას. აქ წააწყდებიან ისინი საინტერესო აღმოჩენებს. კომპოზიტორის ოსტატობა შეიცავს თავისებურებებს, სიახლეებს. იგი თავისუფლად აგებს ორიგინალურსა და დინამიკურ ფორმას. სიმფონიის თემატური დამუშავება აღსავსეა შეუწყვეტელი გარდაქმნებით, დახვეწილი ტანსფორმაციებით, ცვლილებებით, აქედან წარმოსდგება დიდი სახეობრივი მთლიანობა, შეუნელებელი ზრდისა და განახლების შეგრძნება. დიახ, სიმფონია სპეციალისტების ყურადღებას იმსახურებს, იგი სპეციალური გამოკვლევის საგანია.

ალბათ, მუსიკის ეროვნული თავისებურებების დამცველნი კომპოზიტორს გაამტყუნებენ ფოლკლორთან არც თუ მჭიდრო კონტაქტის გამო. ბევრგან, სიმფონიის ინტონაციური და ჰარმონიული წყობა ნაკარნახევია პროკოფიევისა და შოსტაკოვიჩის ტრადიციებით. განა დასაძრახია, როდესაც ხელოვანი თანამედროვეობის მნიშვნელოვან შემოქმედებით მოვლენებს ითვისებს, ეუფლება საბჭოთა სიმფონიზმის უმაღლეს მიღწევებს? ამ მხრივ რ. გაბიჩვაძემ დიდი ინიციატივა გამოავლინა, თუმცა არსად არ დაუკარგავს საკუთარი სტილის ინდივიდუალური ნიშნები. ეროვნულობისაგან დაშორების შთაბეჭდილება კი ნაწარმოების მხოლოდ ზერელე გაცნობის შედეგია. მასში არ აღინიშნება ეტნოგრაფიზმი (ამ სიტყვის ვიწრო გაგებით) კომპოზიტორის ამოცანა არ არის ჟანრული-ყოფითობა, იგი მიილტვის ემოციურ-ფსიქოლოგიური სიმფონიზმის ფორმებისაკენ. ქართული ეროვნული კოლორიტი დამახასიათებელია სიმფონიისათვის. მკვლევარი ამოიკითხავს — აღმოსავლეთის, საქართველოს თავისებურ ინტონაციებს, დახვეწილ მელოდიებს ჩაქსოვილს ნაწარმოების თემატიზმში, რაც ახალ, საინტერესო მიმოქცევებს წარმოშობს. იგივე შეიძლება ითქვას მის რიტმიკაზე, ჰარმონიული ჟღერადობის ცალკეულ თავისებურებებზე. ვიმეორებ, ყოველივე ეს არ არის მოცემული ვიწრო ეტნოგრაფიულ პლანში. ეს არის მისწრაფება ეროვნულობის შერწყმისა ზოგადსაკაცობრიოსთან. სწორედ აქ მოიპოვა რ. გაბიჩვაძემ მნიშვნელოვანი წარმატება.

ზოგიერთისათვის ალბათ გასაკვირია, რომ კომპოზიტორმა ამ ჟანრის პირველივე ნაწარმოებში მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია, ვინაიდან არსებობს აზრი, რომ მხოლოდ ხანგრძლივი ცდების და ძიებების შედეგად მიაღწევ წარმატებას სიმფონიის რთულ ჟანრში. მაგრამ გავიხსენოთ, რომ რ. გაბიჩვაძე ხანგრძლივად მუშაობდა სიმებიანი კვარტეტისა და ინსტრუმენტული კონცერტის ჟანრში (იგი ავტორია სავიოლინო და სავიოლონჩელო კონცერტების). სწორედ მაშინ შეიძინა გამოცდილება, მიაგნო თანამედროვე ინტონაციურსა და ჰარმონიულ მეტყველებას, ამან განაპირობა სიმფონიის წარმატება.

რ. გაბიჩვაძის შემოქმედების განხილვა შეიძლება სხვადასხვა ასპექტით. ერთ-ერთი მათგანი განსაზღვრეს კომპოზიტორებმა, გორკის ფესტივალის მონაწილეებმა. მათი აზრით გაბიჩვაძის სიმფონია შეიძლება მივიჩნიოთ მისაბაძ ეტალონად, ნიმუშად. მოიხიბლნენ კომპოზიტორის უნარით — ერთის მხრივ ეროვნული ფოლკლორის სიმდიდრეების გამოვლენით, ხოლო მეორეს მხრივ მისი შეზიარებით თანამედროვე მუსიკალურ მეტყველებასთან.

მართლაც, გაბიჩვაძემ წარმატებით გადასჭრა ესოდენ რთული და აქტუალური პრობლემა. ამ ნაწარმოებს ხანგრძლივი სიცოცხლე უწერია საკონცერტო ესტრადაზე“.

„უნიტა“ (7 იანვარი, 1968 წ.):

ფრანკფურტში შედგა საბჭოთა კომპოზიტორ რევაზ გაბიჩვაძის „სიმფონიის სიმებიანთა საკრავების, ფორტეპიანოსა და ლიტავრებისათვის“ ევროპული პრემიერა. ამ კონცერტზე, რომელიც მოეწყო გერმანია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების ინიციატივით, ჰელმუტ შტაინბახის ხელმძღვანელობით, ორკესტრმა შეასრულა აგრეთვე პროკოფიევისა და ჩაიკოვსკის ნაწარმოებები.

გაბიჩვაძე, დაბადებული 1913 წელს თბილისში, ამჟამად ამავე ქალაქის კონსერვატორიის პროფესორია.

დარბაზში მყოფი კომპოზიტორი მადლობას უხდიდა საზოგადოებას მისი ნაწარმოების განსაკუთრებული მიღებისათვის. სიმფონიამ, რომელიც შექმნილია 1964 წელს მოუხვეჭა კომპოზიტორს მსოფლიო სახელი“.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

*იბეჭდება
საქართველოს თეატრალური საზოგადოების პრეზიდიუმის,
მწერალთა კავშირის სამდივნოსა და
ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნების“
ერთობლივი გადაწყვეტილებით*



ემელიან ქურდიანი

# ჭიდილი მორფეოსთან

ტრაგედია 3 მოქმედებად

მოქმედი პირნი:

ვილიამ თომას გრინ მორტონი — კბილის ექიმი, 27 წლის.
ჩარლ თომას ჯექსონი — ექიმი და ქიმიის პროფესორი, 41 წლის.
ჰორაციო უელსი — კბილის ექიმი, 30 წლის.
ჯონ კოლინს უორენი — ჰოსპიტლის მთავარი ქირურგი, 68 წლის.
ჰენრი ბიგელოუ — ახალგაზრდა ქირურგი.
რიპო რიენო — იგივე მოხუცი, იგივე კანონიკი.
კლაუდიო — ბანკირი
ანა — მისი მეუღლე.
ნათან — მისი ვაჟი.
მერი — მისი ქალიშვილი.
ლოლიტა — მორტონის მეუღლე.
ჯეკი — მეზღვაურთა მეთაური.
ფიქსი — ბანკირი.
ფოსტმეისტერი
მხატვარი
ნოტარიუსი
ფოსტალიონი
ექიმები, ავადმყოფი, მოქალაქენი, მეზღვაურები.
პოლიციელები, სტუდენტები, ქალები, კაცები, მდევრები და გამვლელი.
მოქმედების ადგილი ქ. ბოსტონი.

ემელიან ქურდიანი დაიბადა 1927 წელს. 1943 წელს დაამთავრა ბანძის საშუალო სკოლა, ხოლო 1948 წელს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტი. 1953 წლამდე მუშაობს ქირურგად სოხუმის II საავადმყოფოში, ხოლო 1953 წელს გადმოჰყავთ თბილისში. ამჟამად მუშაობს საქართველოს ქირურგიის ინსტიტუტის გულის ქირურგიულ განყოფილებაში უფროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობაზე. გამოქვეყნებულია მისი რამდენიმე წიგნი მონოგრაფია, „დახურული ხვრელებიდან მცირე მენჯის ღრუზე ოპერაციული მიდგომა და ანესთეზია“ (1957 წ.), დაედო საფუძვლად მის საკანდიდატო დისერტაციას.

1945 წელს გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტში“ გამოქვეყნდა მისი ლექსი. მას შემდეგ გამოქვეყნებული აქვს ლექსების, ბალადებისა და პოემების წიგნები: „ვარდობისთვე“ (1949 წ.), „სიცოცხლის გადარჩენა“ (1953 წ.), „მანანას წიგნი“ (1957 წ.), „თბილისური“ (1959 წ), „როცა გიგონებ“ (1960 წ.), „ლექსები“ (1967 წ.) და სხვ. მისი ნაწარმოებები თარგმნილია საბჭოთა კავშირის ხალხთა ენებზე. 1958 წლიდან სსრკ მწერალთა კავშირის წევრია.

პირველი პიესა დაწერა 1952 წ. მისი პიესა „ერთ სოფელში“ 1958 წელს დაიდგა სახალხო თეატრის სცენაზე. მის კალამს ეკუთვნის პიესები: „რკალში“ (1952 წ.), ტრაგედია „დიადემა“ (1966 წ.), კომედია „ათენელი ესკულაპი“ (1968 წ.) და ტრაგედია „ჭიდილი მორფეოსთან“, რომელსაც ფართო საზოგადოებრიობას სთავაზობს ჩვენი ჟურნალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## პროლოგის სამაგიერო

„მე მინდა გულით, რომ ვუყვარდე ადამიანებს,
რადგან ისინი გულითადად შემყვარებია.
მძულს ბოროტები, ბოროტებსაც ვძულვარ სანაცვლოდ,
რადგანაც ვებრძვი სასიკვდილო შემმართებლობით.
ადამიანთა ძირითადი კატეგორია
განეკუთვნება კეთილის და ბოროტის მოდგმას.
კეთილს და ბოროტს გააჩნია, ჩემი ღრმა რწმენით,
მატერიალურ სუბსტანციის უცნობი ფესვი.
ამ საოცრების საიდუმლოს ფარდის ახდაში
ხელებს გაუწვდის მედიცინას ბიოფიზიკა,
ჰისტოქიმია და მოსაზღვრე მეცნიერება.
ეს უნდა მოხდეს, თუ მშვიდობა ექნა მსოფლიოს,
ოცდამეერთე საუკუნის დასასრულისთვის.
და დასაწყისი მიეცემა ახალ სასწაულს:
სუბსტიტუციის მეთოდიკის გამოყენებით
კაცობრიობა ბოროტების დათრგუნვას შესძლებს.
მანამ... ჰო... მანამ უკეთურნი იპარპაშებენ.
შემდეგ... ჰო... შემდეგ მათ საფლავებს არც დასტოვებენ.
ხომ გესმით როგორ გამეგება საწყისთა ბრძოლა.
მე იქ ვარ, სადაც უმცირესნი მზისებრ ნათობენ:
საქმეკეთილნი, გულკეთილნი და აზრკეთილნი.
თუ ვარ კეთილი, ეს იმიტომ მხოლოდ და მხოლოდ,
რომ უწმინდურთან შეგუება არ შემიძლია.
სიცოცხლის გვირგვინს მე მოყვასის სიყვარულს ვარქმევ
და მხოლოდ ამას ჰქონდეს გული და სუნთქვა ჩემი.
საქმის და სიტყვის დაუდეგარ ღმერთთან ჭიდილი
ცეცხლთან ბრძოლაა, შენც ენთები, თუმც არ იწვები...“
(ამონარიდი ჩემი ტრაგედიიდან: „დიადემა“)
„შენ მეკითხები: ადამიანს როგორ მოვექცე?
პასუხი ჩემი: შეიყვარე შეუბრალებლად“.
(ამონარიდი ჩემი დრამიდან „რკალში“)
„ადამიანებს მივუძღვენი რაც კარგი მქონდა,
ყველა ისინი შევიყვარე გულით და სულით,
ორიოდ ცუდის, გულბოროტის გამონაკლისით.
არ დამიზოგავს საკუთარი სულის მარაგი.
ახლაც ვაცხადებ: არ დავზოგავ არც სამერმისოდ.
არვის ვაყვედრი ღვაწლს და ამაგს საამასოფლოს,
რამეთუ ქვეყნად მაკისრია მოვალეობა,
რამეთუ ქვეყნად ჩემს გაჩენას ჰქონდეს მიზანი“
(ამონარიდი ჩემი კომედიიდან: „ათენელი ესკულაპი“)

---

Divinum opus — sedare dolorem.
ღვთაებრივი ხელოვნებაა ტკივილების მოსპობა.
ჰიპოკრატე

გაბედულობით და მისწრაფებით
ყოვლისშემძლეა ადამიანი.
კარლ მარქსი

## მოქმედება პირველი

### სურათი I

ქალაქის ბაღში არიან მორტონი და უელსი.
უელსი ზის. მორტონი დგას და ღელავს

მორტონი. მაშ, გადაწყვიტე, მეგობარო, სულზე უტკბესო,
ბრძოლის ველიდან გაიძურწო დამფრთხალ ჯორივით?
მისმინე უელს!.. **შეისმინე...**
უელსი. იყუჩე, მორტონ!
მორტონი. ჩვენი ახალი წამოწყება ტანჯულთ საშველად...
უელსი. იქნებ ჯობდეს თქვა: ოქროების ჩასაჯიბებლად.
მორტონი. სიკეთეს მუდამ საზღაურად მოაქვს სიკეთე,
აქ ანგარება ანგარიშში არ ჩაითვლება.
უელსი. განა არ ვიცი, ჩემო კარგო, რაა სიკეთე,
მაგრამ ყველაზე უდიდესი მაინც ის არის,
როცა შენს რწმენას ფრთას შეასხამ ლაღად საფრენად.
თუმც იკაროსის სანთლის ფრთები დათუთქა ცხელ მზემ,
მისით სულდგმულობს ყოველივე ამ პლანეტაზე.
კაცთათვის რწმენა ის არის, რაც მზე პლანეტისთვის.
მორტონი. მე მჯერა შენი, გაიმარჯვებ, ნუ იხევ უკან.
უელსი. მე გეკითხები, მაგრამ პასუხს არ გთხოვ ამაზე,
რისთვის მოვსულვართ ამა ქვეყნად, რათ ვახელთ
თვალებს?
იქნებ იმისთვის, რომ ვიხილოთ ცად მზე და მთვარე?
ან ყოველ ვარსკვლავს მოვუნახოთ სახელი რამე,
ან იქნებ მისთვის, რომ სტომაქი ამოვიყოროთ
ოფლიან მიწის ნაირ-ნაირ ბალახ-ბულახით.
შენ როგორ ფიქრობ?
მორტონი. ვფიქრობ...
უელსი. მშვიდად! მოეშვი მწველ ფიქრს,
ზედმეტი ფიქრი უხშირესად აფუჭებს საქმეს.
ჰო, საფიქრალი აქ სრულებით არაფერია.
რწმენა ღმერთია, ყოვლისშემძლე, ყოვლისშემცველი.
და როცა რწმენა იკარგება, ეცემა ღმერთი,
იმსხვრევა იგი, როგორც სურა თიხისმიერი.
რწმენის გარეშე თვით სიცოცხლე უმადურია,
როგორც საჰარა შუადღისას ია-იასთვის.
ვიტყოდი ასე: თუ უფალმა შეგვქმნა თიხისგან,
ვართ ვალდებულნი დავუბრუნდეთ მიწას თიხადვე
და რწმენაძლიერთ დარჩეთ ველი საასპარეზოდ.
იქნებ ფიქრობდე, რომ სიცოცხლე არ ღირს ამქვეყნად:
მარქვი, ქვეყანა უსიცოცხლოდ რა იქნებოდა?
ფორმა, რომელსაც შენი თავი მაგონებს: ნოლი.
მორტონი. კმარა!
უელსი. კმარა, ათასგზის კმარა, კმარა და არა!
ადამიანი მშვენებაა ამქვეყნიური,
ადამიანი სიბილწეა ამქვეყნიური,
ადამიანი მომცველია ყოველივესი,
რასაც ჩვენ ვარქმევთ სიკეთესა და ბოროტებას.
მაგრამ სად არის იგი ზღვარი, რომელიც თიშავს
ამ უვრცეს მცნებათ, ერთმანეთის საპირდაპიროს.
ეს ჩვენ არ ვიცით, მემკვიდრენიც დაიღლებიან
ამის რკვევაში და ვინ იცის, შესძლებენ ამას?
ასე თუ ისე, რომ განგების ძალა შემწევდეს
ლოცვასთან ერთად დავწყევლიდი ადამის მოდგმის
იმ დიდ ცუდ ნაწილს, სხვისი სისხლით რომ ვერ
გამძღარა.
მორტონი. კმარა! ბიჭო, ჰორაციო, შე...
უელსი. დაწყევლილო!
ნუ გერიდება, დაწყევლილი მიწოდე, ძმაო.
მე დაბადებით უბედობა თან დამყოლია.
მის ტყვეობიდან ჩემს გამომხსნელ სიკვდილის შემდეგ
ვიცი, ჩემს სახელს დაწყევლილი დაუწყვილდება.
გახსოვდეს ძმაო, ჩემი მარცხი არ არის ჩემი,
ის კაცთა მოდგმის ბუნებიდან იღებს სათავეს.
ქვეყნად ყველაფერს გავუძლებდი, დაცინვის გარდა,
კაცთა მოდგმამ კი იგი ჩემთვის არ დაიშურა.
შურიანობით? იქნებ არა, იქნებ ამიტომ...
ჩემი მღელვარე სული ამას ვერ განსჯის ფრთხილად.
გახსოვდე მუდამ, არასოდეს დაემორჩილო

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ავბედითობას კარზე მომდგარს, შესძელ გაუძლო.
გაჭირვების ჟამს მოიგონე ჩემი დაცემა,
რათა შენ აღსდგე სულიერად, ჩემს მაგივრადაც.
უთანასწორო შეჭიდებამ გაბზარა გული
და ჩემი სულის ძლიერება გაძვრა ბზარებში.
მ ო რ ტ ო ნ ი. მე ისღა მრჩება დაგიჭირო აზრაღრეული,
ჩემი პერანგის ნახევებით აგიკრა პირი
და ჩემთვის მხოლოდ დავიტოვო ერთი იმედი:
უკულმა მბრუნავ აზრთა წალმა შემობრუნების.
უ ე ლ ს ი. ფიცხო ჭაბუკო, ამოგლესილ ბუხრის საკვამურს
კვამლის ნასახიც შეიძლება არ ამოდინდეს,
მაგრამ ოთახი აღივსება კვამლით ყელთამდე
და ამოჰგუდავს სადგომში მყოფთ შეუბრალებლად.
საკვამურით კი იგი ერთვის უსაზღვრო სივრცეს.
ამით პლანეტას არაფერი არ უფუჭდება.
ესეც ასეა, მე ვსაუბრობ სულის საოხად,
და თუ არა ვთქვი, უთქმელობა გამგუდავს სწორედ.
მ ო რ ტ ო ნ ი. შენ შენი აზრის შავ ნიაღვრით გინდა წალეკო
სხვისი ოცნება, აღარ ფიქრობ, რომ სცოდავ ამით.
უ ე ლ ს ი. ძველ ბერძნებს უთქვამთ: კუჭი ჰკუას მოისყიდისო.
რას წარმოვადგენთ? მოაზროვნე მოარულ საგნებს,
და მიგვაჩნია: ჩვენი აზრი ყოვლისშემძლეა.
აზრები, ვითომ უდიდესნი, წელში გვრკალავენ
და უიმისოდ მზისქვეშეთი გაცამტვერდება.
პირველარსებას, უმარტივესს, ჰქონდა გონება?
სიცოცხლემ მაინც გაიმარჯვა დედამიწაზე.
მძიმეა მეტად, უმძიმესი, არა აზრების,
არამედ ქვეყნად ცარიელი კუჭის ტარება.
სავსე სტომაქმა თუ სიცოცხლე განაპირობა,
მასვე, ცარიელს, შეუძლია მისი დამხობა.
მ ო რ ტ ო ნ ი. რა პირუტყვული...
(წააწყდება უელსის მრისხანე მზერას)
...პირუთვნელი ასარებაა.
უ ე ლ ს ი. თავშეკავება პირუტყვებმაც იციან ხოლმე...
იმას ვამბობდი, ყოველივეს მიუხედავად
ადამიანი ამაღლდება ქვენა გრძნობებზე
და იზეიმებს ინსტიქტების გაუვნებლობას.
მ ო რ ტ ო ნ ი. შენ წყალწაღებულ პესიმისტად მიმაჩნდი
მუდამ,
თურმე ყოფილხარ ოპტიმისტი დაუთრგუნველი.
უ ე ლ ს ი. თურმე მოსმენა პირუტყვებმა უკეთ იციან...
მ ო რ ტ ო ნ ი. რომ ილანძღები, გაერკვიე, რად ილანძღები.
ხომ არა ფიქრობ წავიკვეთე ენა და სმენა.
უ ე ლ ს ი. იმას ვამბობდი, ამაღლდება ადამიანი,
თუმცა გაივლის საუკუნე ერთი თუ ასი.
ასე ვირწმუნე, შენც ირწმუნე, ძალას შეგმატებს.
მე ამ რწმენამდე მისვლისათვის შემომეხარჯა
რაც კი გამაჩნდა ძალა სულის და ფიზიკურიც.
შენ კი ამჟამად გევხარ სალ კლდეს, მიუკარებელს
ავმა სულებმა თუნდაც ცხრაგზის მოიფრთიანონ
დასაბუდებლად ვერ ხელჰყოფენ იმ კლდე-ფრიალოს.
შენ დამიჯერე და ჩემსავით არ დაეცემი.
მე მაქვს აზრები, მაგრამ ძალა გამომელია.
შენ ხარ ძლიერი, მაგრამ აზრი აწ გილაღდება.
მე შეგიყვარე, როგორც არვინ არ მყვარებია,
ჩემი ოცნების ნაპერწკალი შენში ანთია,
მე ცხადად ვხედავ მის ნათებას, მის ძლიერებას.
იქნებ ამიტომ შემიყვარდი ასე უსაზღვროდ.
მე გზას გილოცავ უბედურის მოწყალე გულით.
მ ო რ ტ ო ნ ი. ამ ქვეყანაზე ყოველივეს აქვს დასასრული,
ეგ შენი სევდა რატომ არის დაუსრულები!
ჩვენი ახალი წამოწყება ხალხის საშველად
არ უნდა იყოს თოკით ცაში გამონასკვული.
ვის ვეჭიდებით? თვით მორფეოსს, ძილის პირქუშ
ღმერთს,
რომ გამოვტაცოთ საიდუმლო...
უ ე ლ ს ი. გვევალებოდეს!
მ ო რ ტ ო ნ ი. გვევალებოდეს ჩვენ, ორთავეს.
უ ე ლ ს ი. არა და არა!
თავად სიკვდილის ტოლფასია რწმენის დაკარგვა.
მე ფთხოვ მომეშვა. მომასვენე, ადამიანო.
(მორტონსა და უელსს მიუახლოვდება მოხუცი)
მ ო ხ უ ც ი. სალამი თქვენდა!
(მორტონს).
თქვენ მორტონი ბრძანდებით მგონი.
მ ო რ ტ ო ნ ი. დასტურ ასეა.
მ ო ხ უ ც ი. რომ კვლავ გნახეთ რარიგ კარგია.
დაკაცებულხართ, მაგრამ თვალებს კვლავ შერჩენიათ
ერთობ გიზგიზა თქვენი ყრმობის ანცობის ცეცხლი.
აი, ეს ქისა, ვალი ჩემი, მიიღეთ ჩემგან
და ამასთანვე უმდაბლესი მადლობა ჩემი.
მ ო რ ტ ო ნ ი. თქვენ, ძია კაცო, ადრესატი ხომ არ გეშლე-
ბათ?
მ ო ხ უ ც ი. თქვენ ვილიამი ბრძანდებით-მგონი.
მ ო რ ტ ო ნ ი. დასტურ ასეა.
მ ო ხ უ ც ი. ვორკესტერიდან. იქ პატარა სავაჭრო გქონდათ.
მ ო რ ტ ო ნ ი. ჰქონდა მამაჩემს.
მ ო ხ უ ც ი. მეგობრობდა თეთრი დელფინი...
მ ო რ ტ ო ნ ი. დიახ, ბატონო, მეგობრობდა თეთრი დელფინი.
მ ო ხ უ ც ი. სავაჭრო გქონდათ..,
მ ო რ ტ ო ნ ი. ჰქონდა მამაჩემს.
მ ო ხ უ ც ი. და თქვენ მამას ზაფხულობით ეხმარებოდით.
მ ო რ ტ ო ნ ი. ვეხმარებოდი. არდადეგებს იქ ვატარებდი.
მ ო ხ უ ც ი. თქვენგან გამომყვა მცირე ვალი, გიბრუნებთ იმ
ვალს,
მაგრამ პროცენტით, ის, რაც თქვენმა ფულმა მოიგო
ამ ათ წელიწადს.
მ ო რ ტ ო ნ ი. რად არ მახსოვს? საოცარია.
მ ო ხ უ ც ი. ერწმუნეთ მოხუცს, მახსოვრობა ჯერ არ
მღალატობს.
მ ო რ ტ ო ნ ი. თქვენი სახელი, თუ ინებებთ...
მ ო ხ უ ც ი. პეტერს დიკერი.
უ ე ლ ს ი. როგორ? დიკერი? ოქსფორდიდან?
მ ო ხ უ ც ი. კანზას სიტიდან.
უ ე ლ ს ი. საოცარია.
მ ო რ ტ ო ნ ი. ყველაფერი საოცარია.
მ ო ხ უ ც ი. ნდა. გაოცება სიჭაბუკის ტყუპის ცალია.
ჩემს ასაკში კი არაფერი გაგიკვირდებათ.
დიდი მადლობა.
(მორტონს აძლევს ქისას და მიდის).
მ ო რ ტ ო ნ ი. გულითადი მადლობა ჩემგან.
(ხელში შეათამაშებს ქისას. ისმის წკრიალი).
ეხ, ჰორაციო, ჰორაციო, შენ კიდევ იტყვი
ამა ქვეყნიდან გულკეთილნი გადაშენდნენო?
უ ე ლ ს ი. ორში ერთია უშეცდომოდ, ეგ ფულის ქისა
შენ არ გეკუთვნის, ან და იგი ცრუობს სასტიკად.
დიკერთ გვარიდან ამერიკას შემორჩა ერთი,
მხოლოდ კონრადი, ოქსფორდიდან, ძველი ნაცნობი.
მ ო რ ტ ო ნ ი. შენც ხომ გესმოდა, წვრილმანებიც არ
დავიწყნია.
უ ე ლ ს ი. მაიმუნების მოდგმისაგან ელოდე ბოროტს.
მათს სიკეთეში დღეს ვერავის დავერწმუნები.
მაგრამ დადგება, უეჭველად დადგება ის დრო,
როცა სიკეთე ბოროტებას დასცემს მუხლებზე.
მ ო რ ტ ო ნ ი. იქნება ეგ დრო მოსულია და შენ ვერა გრძნობ!
უ ე ლ ს ი. მომეშვი-მეთქი, რათ არ გჯერა უბრალო რამე,
როგორც მზეს ჰფარავს მოღრუბლული ზეცის პირბადე,
ასევე, ვიდრე ფული კაცის ნამუსს აბნელებს
არ დაიჯერო, არა-მეთქი, სიკეთე კაცთა.
მ ო რ ტ ო ნ ი. ამბობ და გისმენ, ვითარც ჯენტლმენს შეშვენის
ქცევა,
ამბობ და გისმენ, თუმცა ნათქვამს ვერ ასაბუთებ.
აი, საბუთი.
(ანიშნებს ქისაზე)
ვნახოთ ერთი, მძიმეა მეტად.
(გახსნიან ქისას)
მ ო რ ტ ო ნ ი. ასი დოლარი, კიდევ ასი, ესეც, ხუთასი.
გავიყოთ ტოლად.
უ ე ლ ს ი. რათა ვითომ, შენ არ გჭირდება?
მე უფულოდაც გამომარჩენს ჩემი უფალი.
ჰოდა, ძმობილო, იყავ კარგად!
მ ო რ ტ ო ნ ი. კარგად იყავი!
(ხელის ჩამორთმევით ემშვიდობებიან,
უელსი მიდის)
ნაცად მეგობარს რომ შორდები, ასე გგონია
ჩამოჰკრა ზარმა სამუდამო განშორებისა.
ჰალლო, შეჩერდი!
(მივა და გადაეხვევა)

უ ე ლ ს ი. რა შეყვარებულ ჭაბუკივით აღტკინებულხარ!
გახსოვდეს ძმაო, ეს ქვეყანა დაუნდობელი
ყოველ ნაბიჯზე ცდილობს ყელში მოგწვდეს ხელებით,
დაგცეს, დაგახრჩოს საკუთარი სისხლის ხვლებით,
შენ კი... სათუთად, ქალწულივით აღტაცებულხარ.
იყავ მშვიდობით! იყავ ფხიზლად!
მ ო რ ტ ო ნ ი. მშვიდობით იყავ!
როცა სცილდები მეგობარს,
გგონია გული გაიყო,
ერთი ნაწილი შენ დაგრჩა,
ნაწილი მოძმემ წაიღო.
ეჰე, ძმობილო! ეს ქვეყანა ისე როდია,
შენ რომ დახატე. შავი ფერი აღარ დაზოგე.
არის მიზანი ცხოვრებაში, არის ლოლიტაც.
ღმერთო მფარვიდე! ნუ ჩამიქრობ სახმილს ტრფობისას.

## ს უ რ ა თ ი II

კლაუდიოს სახლი. დარბაზშია ანა, ნათან, მერი და კანონიკი.

ა ნ ა. მე მაპატიეთ თუ შეკითხვა გეუხერხულათ.
კ ა ნ ო ნ ი კ ი. ბრძანეთ, ვეცდები, გეფიცებით არ შევიმჩნიო,
თუნდაც ათასჯერ იყოს უფრო საწყენი მასზე,
რაც უნდა ბრძანოთ.
ა ნ ა. მაპატიეთ, უხერხულობას
ამ შეკითხვისას თვითონვე ვგრძნობ, მაგრამ არ ძალმიძს...
ვერ მოვიავენებ თუ სათქმელი გულში ჩამიკვდა.
ბატონო ჩემო! ეგ ბეჭედი, თქვენს თითს რომ ამკობს,
ასე მგონია მე ოდესღაც ხელში მჭერია
და მის მარგალიტს ჩემი მზერა აურეკლია,
ჩემთვის ძვირფასის, ახლობელის მზერასთან ერთად.
კ ა ნ ო ნ ი კ ი. მე თქვენს ოჯახში არც თუ ისე იშვიათად ვარ,
წელიწადია აქ დავდივარ თქვენივე თხოვნით.
იმ სამახსოვრო აღდგომა დღეს, ეკლესიაში
ლოცვით მოღლილი ამ ბინამდე რომ მოგაცილეთ
მაშინ მიბრძანეთ შემომევლო, როცა შევძლებდი.
და მე იმ დღესაც, და მას შემდეგ, როცა ვყოფილვარ,
თანა მქონია ეს ბეჭედი, მოუცილებლად.
ა ნ ა. მე მოგახსენებთ სულ სხვა დროზე... თუმცა, ბატონო,
ჩემი პირადი კაეშანი თუ მოგონება,
მან რომ აღმიძრა, ღმერთო ჩემო, მეტისმეტად
პიროვნულია...
კ ა ნ ო ნ ი კ ი. ადამიანს არ შეუძლია
თავის მეობის ტყვეობიდან თავი დაიხსნას.
თუმც უფრო სწორედ, მას ტყვეობა არ დაერქმევა,
ბუნებრივია ნორმალური არსებისათვის.
მას განაგებენ ძალნი ჩვენგან დაუკითხავად,
რადგან ორგანიზმს მექანიკა აქვს ურთულესი.
აი, ბეჭედი, თუ ისურვებთ ახლოდან ნახეთ.
თუ ის არ არის, იქნებ მისი ტყუპის ცალია.
(აწვდის ბეჭედს)
ა ნ ა. ჩემო ბატონო, ეს ბეჭედი... როგორ მაგონებს,
ნუთუ ის არის! ღმერთო ჩემო, ნუთუ ის არის?
კ ა ნ ო ნ ი კ ი. საოცარია, მაგრამ მართლაც იქნებ ის არის,
ვერ მოგახსენებთ. რაც ვატარებ ათი წელია.
ეს ბეჭედი კი, როგორც ვატყობ, ძველისძველია.
ა ნ ა. საოცარია.
კ ა ნ ო ნ ი კ ი. კიდევ უფრო საოცარია
ბედი პატრონის.
ა ნ ა. თქვენ იცნობდით? გვიამბეთ მასზე.
კ ა ნ ო ნ ი კ ი. თქვენი სურვილი, ქალბატონო, არის ბრძანება,
რომელიც მოხუცს აიძულებს დუმილის ყინულს
გულს შერჩენილი მცხუნვარება გადააფრქვიოს
და დასძრას ტივი უებარი მჭევრმეტყველების.
მაგრამ ვეცდები ცოტა სიტყვით ბევრი გიამბოთ.
ნაპოლეონი საბოლოოდ როცა დამარცხდა,
ბონაპარტისტებს იმავ დღიდან დევნა დაუწყეს.
მე, მის ოფიცერს, ევროპაში ციხე მელოდა.
უძრავ-მოძრავი, რაც გამაჩნდა, მივყიდ-მოვყიდე
და მოვაშურე ამერიკის შორეულ ნაპირს.
აქ გავიცანი ჩემნაირად გადმოხვეწილი
ვინმე რიენო...
ა ნ ა. ესპანელი?
კ ა ნ ო ნ ი კ ი. დიახ. შემდეგში
სახელგანთქმული კაპიტანი — თეთრი დელფინი.
ნ ა თ ა ნ. (წიგნს, რომელსაც კითხულობდა გადაისვრის
და ახლოს მიუჯდება)
თეთრი დელფინი?
კ ა ნ ო ნ ი კ ი. დიახ, ნათან!
ა ნ ა. ღმერთო, ძლიერო!
კ ა ნ ო ნ ი კ ი. წლების მანძილზე ერთი იყო ჩვენი წუხილი —
უსამშობლობა. გადმოხვეწილთ უცხო მხარეში
არ გვასვენებდა აჩრდილები მამა-პაპათა.
მან გულის ჭმუნვა გაინელა ცხარე ბრძოლებში,
რაც ამერიკის შეერთებულ შტატებისათვის
გადაიტანა, ვიდრე თვითონ თან არ გადაჰყვა
უმგვანო ღალატს, მოყვასისგან გამეტებული.
მე შევეკედლე ეკლესიის მყუდრო სავანეს
და მიზნად მქონდა სიკეთისთვის გულთა აღგზნება.
ერთხელ, როდესაც ეკლესიის ეზოში მჯდომი
ბედის თამაშზე მწარედ ვიყავ ჩაფიქრებული,
უცებ მომესმა ნაცნობი ხმის ჰანგი საამო.
მივმოვიხედე, არვინ იყო გარდა ერთისა.
ვიღაც მახინჯი, დაკონკილი, სახე დამწვარი
და დაჩეხილი, დაჟინებით შემომცქეროდა.
მაგრამ თვალები... მე თვალებით ვიცანი იგი.
ეგრძნო სიკვდილის ულმობელი მოახლოება
და ინახულა მეგობარი, გულში ჩარჩენილ
და მარად მტანჯავ საიდუმლოს გასამჟღავნებლად,
(დაფიქრდება)
მას უცხოვრია ესპანეთში. ზღვის სანაპიროს
ამკობდა თურმე მისი ბაღი, ედემის მსგავსი.
ჰქონია სახლი, ანაგები საშვილიშვილოდ.
ჰყოლია ცოლი გულკეთილი. მისმა მშვენებამ
მადრიდელ მგოსანს ფრთანარნარი ლექსი მოსტაცა.
მათი სიცოცხლე: ორი ვაჟი ფრთებს ლაღად ჰშლიდა
და სიყვარულით შეჰყურებდნენ ცასა და მიწას.
ცხოვრება განა გაგახარებს სამარადჟამოდ.
და, აი, ერთხელ ჭაბუკები თავიანთ ნავით
ისე წასულან სათევზაოდ, არც ჰკითხეს მამას.
და ეს გამხდარა ოჯახისთვის საბედისწერო.
წლის იმ დროს თურმე, ჯერ აუხსნელ მიზეზთა გამო
ამ სანაპიროს ეტანება ჯოგი ზვიგენთა, —
ბასრკბილიანთა, დამშეულთა, დაუნდობელთა.
რაღაც ნიშნებით ის დრო ზუსტად სცოდნია მამას
და ახლომახლოს მეთევზენი მის უკითხავად
ზღვაში ნავებით არასოდეს შეცურდებოდნენ.
...როგორც მოცილდნენ სანაპიროს ასიოდ მეტრით,
უფროს ძმას ზღვაში ჩალის ქუდი გადავარდნია
და გადამხტარა.
მამა ამ დროს მოყვრის ლხინიდან
შინ ბრუნდებოდა. მან გორაკზე ასვლის უმალვე
ნახა ყოველი: ნავში მყოფმა ზღვას გადახედა
და ნაპირისკენ გამოსწია თავგამეტებით.
იყვირა მამამ დაბრუნდით, ზვიგენთა ხროვა
წყალში ჩარჩენილს მიასწრებსო, მაგრამ ამაოდ.
უცნობმა ვაჟმა მიატოვა ვიღაც უბედო.
გორაკზე მდგარი გაჰყვიროდა ხმის ჩახლეჩამდე,
შორიდან შველას მხოლოდ ღმერთი თუ შეიძლებდა.
როგორც კი ერთი სანაპიროს მიუახლოვდა,
მეორე ხროვამ გაიტაცა უფსკრულისაკენ.
ნ ა თ ა ნ. ძმამ ძმას ამგვარად უღალატა?
მ ე რ ი. უსმინე, ნათან!
კ ა ნ ო ნ ი კ ი. სანაპიროზე მიტოვებულ ნავთან მისული
მუხლმოკვეთილი, უბედური განერთხო მიწას...
...შემდეგ ... ჰყვიროდა: ცას სწვდებოდა ღრიალი მისი
ღამეს უთევდნენ რიგრიგობით. გონწართმეული
და მნახველთაგან ვერვის მცნობი, ჰყვებოდა თურმე
საზარელ ამბავს: დაფლითესო ზვიგენთა ხროვამ
მისი ვაჟკაცი, განწირული საკუთარ ძმისგან...
სადღაც გარბოდა სარეცელზე ზეწრით დაბმული.
დიდხანს ბურუსში დაცურავდა გონდაბურვილი.
როცა თვალები გაახილა, შეაჟრიალა,
მისჩერებოდა ვიღაც ქალი, ლანდად ქცეული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უძირო სევდით მომზირალი მისი თვალები
გულს განეწონა, თვით სიკვდილი უმზერდა თითქოს.
ერთი თვის შემდეგ მან ქმრის მკლავზე თავმიდებულმა
უკანასკნელად რაღაც შვებით ამოისუნთქა.
მათი სასახლე კვირის თავზე ფერფლად გარდიქმნა.
წელმორღვეულმა მიატოვა ნაამაგარი.
იგი ცხოვრების ურაგანმა სად არ ატარა
და საბოლოოდ გამორიყა ამერიკაში.

ნათან. ის, მოღალატე?

კანონიკი. უგზო-უკვლოდ გადაიკარგა
და უფროსი ძმის საპატარძლო თან გაიყოლა.
ღალატის მიზეზს ყველა მიხვდა, მაგრამ რაღა დროს!
(ანა ხელებზე თავდაყრდნობილი ტირის)

მერი. დედა ბატონო!

კანონიკი. მაპატიეთ, მძიმეა მეტად
მოსასმენადაც, რა თქმა უნდა, მძიმეა მეტად.
თქვენ იდღეგრძელეთ ქალბატონო, უცნობთა ბედის
ამგვარად გულთან მიტანისთვის, თქვენ იდღეგრძელეთ.
გულს ნუღარ გატკენთ ეს ცხოვრება, ასე ვერაგი.
მწარეა ხვედრი უშვილობის და უფრო მწარე
ვისაც ჰყოლია და შეესწრო შვილის დაკარგვას...
ეს ბეჭედი კი... დასანიშნად ჰქონდა უფროს ძმას
იმ გოგონასთვის, უმცროსმა რომ დაისაკუთრა.
მე კი... მოხუცმა სიკვდილის წინ მომცა სახსოვრად.

ნათან. (დაფიქრებით) გარდაიცვალა.

კანონიკი. მკვდარი იყო სიცოცხლეშიაც.
როგორც ვაჟკაცმა, პირდაპირმა, რაღაც მიზანი
ჰპოვა ბრძოლაში რესპუბლიკის განსადიდებლად.

ანა. გთხოვთ მაპატიოთ, შეუძლოდ ვარ, უნდა დაგტოვოთ.
(უბრუნებს ბეჭედს)

კანონიკი. რა ბრძანებაა, დარჩეს თქვენთან, ხვალ
შემოვივლი.
(ანა გადის)

ნათან. თუმც არასოდეს არ მინახავს, ასე მგონია
თეთრი დელფინი ჩემი გულის, ჩემი ოცნების
განუყოფელი ნაწილია.

კანონიკი. შენ გაიხარე.
(შემოდის კლაუდიო, შემოჰყვება ახალგაზრდა, რომელსაც
მოაქვს დიდი ჩარჩო. მისალმება)

კლაუდიო. როგორ ბრძანდებით ღირსეულო მოძღვარო
ჩვენო.

კანონიკი. როგორც ღირსი ვარ.

კლაუდიო. ესე იგი, კარგად და კარგად.
აბა, გვიჩვენე, ახალგაზრდავ, თქვენი ქმნილება.

მხატვარი. აი, ინებეთ.
(ყველა აკვირდება)

კლაუდიო. და რას აფასებთ ყოველივე ამას, ძვირფასო?

მხატვარი. ფასი? რა ფასი? ჩემთვის ფასი არა აქვს ამას.

კანონიკი. დიდებულია!

მერი. რა კარგია!

ნათან. შესანიშნავი!

კლაუდიო. დიდებულია? ეს რა ბრძანეთ! რა არის კარგი?
ზღვა და ნაპირი. ეგ პალმები დაღრეცილია,
თითქოს შეჰყრია ტროპიკული ციებ-ცხელება.
ცაც ზღვის ფერია. ფანტაზია სადღაა ძმაო!

მხატვარი. ნუთუ არ გესმით ოკეანის პირქუში გრგვინვა,
რა მრისხანებით ათამაშებს ბუმბერაზ ხომალდს!
აქ, ამ ნაპირზე კი სიცოცხლე სუნთქავს გულმშვიდად,
ნუთუ არ გესმით პეპლის ფრთათა ნაზი შრიალი!

კლაუდიო. კარგი, ზღვა გრგვინავს, ნაპირი კი არის
მდუმარე.
რას მიგვანიშნებს მრისხანება და ეს დუმილი?

მხატვარი. რასა? ფერწერა დუმილია, მაგრამ მგზნებარე.
ყველამ ქარაგმა უნდა ახსნას თავისებურად.
რაც შეეხება ამ ტროპიკულ ციებ-ცხელებას,
რა მოგახსენოთ? ფანტაზია სადღაა მაშინ,
როცა გონება გლეტჩერივით ნელა მდინარებს
და დედამიწის სიჩქარესთან უჩინარია.
მიხვედრის ნიჭი, ალქმის ნიჭი არ გვანებივრებს,
რჩეულთა ხვედრი მდაბიოთა ხვედრს ემიჯნება.

კლაუდიო. ცა განურჩევლად გადმოჰყურებს წყალსა და
ხმელეთს,
არაფრად აგდებს მოგზაურთა ცად აწვდილ ხელებს.

მხატვარი. თუ ფანტაზია ზეციური მადლია მხოლოდ,
და მიწისშვილებს ესტუმრება, რათა სიცოცხლეს
სიმშვენიერის ფრთა შეახოს, რა ბედენაა
ღარიბი მხატვრის, უჩინარის ყალამს მოეჭდოს.
ასე ჰგონიათ სავალალოდ, განებივრებულთ.
უგრძნობი გულით, ძველის ეშხით, ახალს სდევნიან.

კლაუდიო. შენ ორატორის ნიჭსაც გატყობ.

მხატვარი. ო, მაპატიეთ...

კლაუდიო. განა შენ მარტო, საუკუნის სნეულებაა:
ყოველგვარ ახალს უწოდებენ რევოლუციურს.
რევოლუცია, ჩემო ძმაო, სულ სხვა ხილია.
პოლიტიკაში, ვაჭრობაში, ხელოვნებაში
რევოლუციის სახელით რომ ნათლავენ ახლა
ფანატიკოსთა ხაფანგია, — მისატყუებლად.
პოლიტიკაში ამერიკა ბეცი ჯორია,
ვაჭრობაში კი მივჩანჩალებთ ევროპის კუდქვეშ.
ხელოვნებაო? ვნება, ვხედავ შეცვლილა სნებით.

მხატვარი. თუ თქვენ მხატვრობის გაგეგებათ მცირედი
რამე,
ვამტყუნებ ჩემს თავს, რომ შედევრი ვერ შემიქმნია.
გეტყვით: ამგვარად ნორჩ მხატვარსაც არ მივმართავდი.
თუ თქვენ მხატვრობა ისე გესმით, როგორც მე ბანკი,
წავიღებ ამას, რომ სიცილით არ გაიგუდოთ.
ცივი გონებით ხელოვნება ჯერ არ შექმნილა.
სადაც გულია, — ხელოვნება ანათებს იქვე.
ცეცხლი ყინულზე? იღუპება ერთერთი ადრე,
ანდა ორთავე.

კლაუდიო. ოჰო, კარგი. ახლა ჭაბუკო,
ფასზე მოვრიგდეთ.

მხატვარი. აღარ ვყიდი ამ ჩემს ნაფიქრალს.
საჩუქრად ვუძღვნი ამ ქალბატონს,
(მერის)
მიიღეთ გულით.

კლაუდიო. შენ გულუხვობაც დაგყოლია...

მხატვარი. ბატონო ჩემო...

კლაუდიო. ჰო, კარგი, კარგი. წამობრძანდით, ყავა
დავლიოთ.
(გადიან. რჩება მერი და მხატვარი)

მერი. შენ, ვაჟბატონო, შეთქმულებას ხომ არ მიმზადებ.

მხატვარი. მერი, ძვირფასო, გადავწყვიტე თან გაგიტაცო.

მერი. დახედეთ ყაჩაღს!

მხატვარი. გაიღიმე, როგორც იმ დილით,
პირველად როცა დაგინახე და გულში დამჭერ,
სამარადჟამოდ დამატყვევე გამოუხსნელად.

მერი. მე რომ მცოდნოდა ის ღიმილი დაგჭრიდა ასე,
ვფიცავ სიცოცხლეს, არასოდეს გავიღიმებდი.

მხატვარი. მაშინ სიცოცხლე მშვენიერი არ იქნებოდა
და სილამაზე უშნო ჯოჯოს ემგვანებოდა.
ამას გთხოვ მხოლოდ: ჩემთვის ღიმილს ნუ დაიშურებ.

მერი. მხოლოდ ღიმილსა?

მხატვარი. ო, ქალღმერთო, შენ მანებივრებ.
ულრუბლო ზეცას და თან მზესაც შევასწრო თვალი,
ჩემებრ მომაკვდავს სხვა რა უნდა ჰქონდეს სანატრი.

მერი. თხოვნა რად გინდა, ბრძანე მხოლოდ.

მხატვარი. ჩემო ძვირფასო!
მიყვარს სიცოცხლე, ვინაიდან შენა ხარ ქვეყნად.
მე თავიც მიყვარს, ვინაიდან შენ გიყვარს იგი.
სამყაროც მიყვარს ერთიანად ზესკნელ-ქვესკნელით,
რადგან მარადჟამს განუყოფლად შენთან ვიქნები.
ძოწის ბაგით გაღიმება
ვარდობისთვეს გიგავს.
შენს სიყვარულს გავედევნე,
ვით ფოთოლი გრიგალს.
ოკეანის ღელვას ჰგავხარ,
ამოუცნობ იგავს.
შენ მზესავით დაბრძანდები,
გულით შუქი მიგაქვს.
შენს სიყვარულს გავედევნე,
ვით ფოთოლი გრიგალს.

მერი. ძვირფასო ჩემო, მხატვარი ხარ შენ თუ პოეტი?



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მ ხ ა ტ ვ ა რ ი. ყველა პოეტი მხატვარია სიტყვათა ფერით,
ყველა მხატვარი პოეტია ფერთა სიტყვებით.
(შემოდის ნათან)
ნ ა თ ა ნ. გელოდებიან ბატონებო!
(გადიან)

## ს უ რ ა თ ი III

მორტონის ოთახი. მორტონი და ჯექსონი.

მ ო რ ტ ო ნ ი. ყველაფერშია განფენილი ძალა ღმერთისა,
მაგრამ ღმერთები არ არიან ერთსახოვანნი.
არიან კარგნი, უფრო ბევრი სახემწუხარნი.
ბოროტებათა მთესვარ ღმერთთა უღმერთოებამ
ჩვენი პლანეტა ჯოჯოხეთად გადააქცია.
ყველაფერშია განფენილი ძალა ღმერთისა.
აი, ამ ბოთლში ჩამალულა სიკვდილის ღმერთი.
იმ ბოთლებშიაც ჩათესლილა ღმერთი სიკვდილის:
სწრაფად მოქმედი.
მკვლელი ნელა,
ძკვლელი წვალებით.
მრავალგვარია მისი ძალის გამოვლინება,
და საბოლოოდ უსასრულო გზა ცათა შინა.
ჯ ე ქ ს ო ნ ი. ყოველ ნაბიჯზე გვისაფრდება ღმერთი
სიკვდილის.
შენ სთქვი სად არის მრავალ სნების განმკურნებელი
ღმერთი კეთილი, ვის სახელსაც რიდით წარმოვთქვამთ
და მივაყოლებთ უსასრულო ლოცვა კურთხევას.
ამ პლანეტაზე, როგორცა სჩანს, ჩამოთესლილა
ბოროტი ღმერთი დამქაშებით...
მ ო რ ტ ო ნ ი. არც თუ ასეა.
მე აგრე ვფიქრობ, ჩემო ჩარლი, სიკეთის ღმერთი
თავმდაბალია, წარამარა არ ეჩხირება
ბოროტის მიერ დახლართული კვანძის გახსნაში.
ბოროტი ღმერთი კი ეჩრება ყველგან, ყოველთვის.
ადამიანთა ცხოვრებაშიც ყველა ბოროტი
ადამიანი ყოველ ხერხით წინ იქაჩება,
თანამოძმეთა სხეულებზე გადაივლიან,
ოღონდ წვდნენ მიზანს, უხშირესად ყოვლად ბიწიერს.
ჯ ე ქ ს ო ნ ი. ჩვენ ამ ცხოვრებიս გარდამქმნელად არა ვშო-
ბილვართ.
მ ო რ ტ ო ნ ი. ვეცადოთ მაინც.
ჯ ე ქ ს ო ნ ი. აი, ღმერთი.
(ჯიბიდან ამოიღებს მომცრო ბოთლს)
მ ო რ ტ ო ნ ი. აქაც ღმერთია.
(თაროდან ჩამოიღებს მომცრო ბოთლს)
მაგრამ სად არის ჭეშმარიტი ღმერთი ძილისა,
ყველა ტკივილის დამთრგუნავი, დამყუჩებელი!
ჯ ე ქ ს ო ნ ი. აი, აქ არის.
(უთითებს ბოთლზე)
მ ო რ ტ ო ნ ი. ლეთეონი.
(აჩვენებს ბოთლს. ჯექსონი გამოართმევს და უყნოსებს)
ჯ ე ქ ს ო ნ ი. ეს ეთერია!
მ ო რ ტ ო ნ ი. ეს შენაერთი განსხვავდება ეთერისაგან,
სპაზმურ ასთმისას შესუნთქული ანელებს სპაზმებს...
ჯ ე ქ ს ო ნ ი. ეგ პერეირას ცნობარშია მითითებული,
მაშასადამე, ეთერია...
მ ო რ ტ ო ნ ი. ლოლიტას ძაღლი,
კატა კნუტებით იძინებენ მისი შესუნთქვით.
ეს მოქმედებით ფარადეის ეთერს მაგონებს,
ოცდათვრამეტი წლის წინ შრომა გამოაქვეყნა.
თუმც პერეირაც, ფარადეიც მიუთითებენ:
აზოტის ქვეჟანგს და ეთერის ორთქლს შეუძლიათ
იყვნენ ვარგისნი ქირურგიულ ნარკოზისათვის,
დღემდე ვერავინ ვერ გაბედა ადამიანზე
ეხმარა იგი, ვინაიდან საშიშია და
შიშის თვალები, თუმც ფართოა, უხედველია,
ვიწროა სივრცე შეუცნობის...
ჯ ე ქ ს ო ნ ი. უნდა შევიცნოთ.
მ ო რ ტ ო ნ ი. ჩემი მიზანი შეცნობაა შეუცნობელის.
ჯ ე ქ ს ო ნ ი. იგი აქ არის.
(აჩვენებს ბოთლს)
მ ო რ ტ ო ნ ი. აი, ღმერთი.
(აჩვენებს თავის ბოთლს)
მაგრამ ის არის?
რად გვემალები მორფეოსო, ღმერთო ძლიერო,
უსასტიკესი ტკივილების გამყუჩებელო.
შენ შენი რანგით, შენი ძალით, შენი დიდებით
განეკუთვნები კეთილ ღმერთთა მოდგმას უდიდესს.
მაშ რად გვემალვი?
ჯ ე ქ ს ო ნ ი. იმალება, მაგრამ მივწვდებით.
ძმაო, ვილიამ, აფთიაქარ ბარნეტის ეთერს,
მინარევთაგან გაწმენდილს და სუფთაზე — სუფთას,
თუ მერწმუნები, აქვს თვისება გასაოცარი,
ვინც ჩაისუნთქავს დააძინებს, მაგრამ არ ვიცი
დასტაქრის ხელში გააყუჩებს თუ არა ტკივილს.
მ ო რ ტ ო ნ ი. მე რომ შემეძლოს ისე, როგორც მოსეს
წიგნშია,
ვუთხრა ავადმყოფს:
„მე, იეღოვა, შენი ექიმი“
გაძინებ, რათა არ შეიგრძნო სუსხი ტკივილის,
მაშინ ჩავთვლიდი თავს ბედნიერ ადამიანად.
ეჰ, ჩარლი, ჩარლი, უსაზღვროა კაცის ოცნება,
ზეცას მოივლის, მიმოისვრის ვარსკვლავთა კენჭებს
და ყალიონში აბედივით მზესაც ჩასტენის.
ჯ ე ქ ს ო ნ ი. ჩვენ ჩვენი ვცადოთ.
მ ო რ ტ ო ნ ი. სხვა რა გზაა. არ შემიძლია
თუნდ ერთი წუთით მოვიცილო ამაზე ფიქრი.
ჰოდა, ასეა... აი, ჩარლი, ამით გაერთე:
(აწვდის წიგნს)
არ მოიწყინო. გტოვებ მხოლოდ ორიოდ წუთით.
(მორტონი მიდის. თავის სახლთან ხვდება ახალ-
გაზრდა მხატვარს, რომელსაც შეხვეული ჩარჩო
მოაქვს)
მ ო რ ტ ო ნ ი. თუ შეიძლება ერთი წუთით აქეთ მობრძანდით.
მ ხ ა ტ ვ ა რ ი. გისმენთ, ბატონო.
მ ო რ ტ ო ნ ი. ეგ რა არის?
მ ხ ა ტ ვ ა რ ი. ჩემი ოცნება.
მ ო რ ტ ო ნ ი. უფრო ზუსტად?
მ ხ ა ტ ვ ა რ ი. თვითვე ნახეთ.
მ ო რ ტ ო ნ ი. ოჰო, სურათი.
მშვენიერია. ნატურიდან?
მ ხ ა ტ ვ ა რ ი. დიახ, ბატონო.
მ ო რ ტ ო ნ ი. ასეთები იბადებიან?
მ ხ ა ტ ვ ა რ ი. არც ისე ხშირად.
მ ო რ ტ ო ნ ი. თუ თქვენი ნიჭის ყვავილია?
მ ხ ა ტ ვ ა რ ი. არა, ბატონო.
მ ო რ ტ ო ნ ი. ვერ გამანდობთ?
მ ხ ა ტ ვ ა რ ი. კლაუდიოს ქალიშვილია.
მ ო რ ტ ო ნ ი. მილიონერის? რათ ვერ ვიცან! ეს ხომ მერია!
მ ხ ა ტ ვ ა რ ი. დიახ, ბატონო.
მ ო რ ტ ო ნ ი. ჩინებული ქალიშვილია.
ალმაფრთოვანე, ყოჩაღ ძმაო. გიჭრის ყალამი.
ბედნიერებას ვისურვებდი ორთავესათვის.
მ ხ ა ტ ვ ა რ ი. დიდი მადლობა სურვილისთვის, ჩვენო ექიმო.
მ ო რ ტ ო ნ ი. მიცნობთ? მიბოძეთ ახალგაზრდავ, სახელი
თქვენი.
მ ხ ა ტ ვ ა რ ი. ბობი, ბატონო.
მ ო რ ტ ო ნ ი. მინდა გთხოვოთ...
მ ხ ა ტ ვ ა რ ი. ბრძანეთ, ბატონო.
მ ო რ ტ ო ნ ი. მისტერ ბარნეტის აფთიაქი იცით სად არის?
მ ხ ა ტ ვ ა რ ი. დიახ, ბატონო.
მ ო რ ტ ო ნ ი. გადაეცით.
(აწვდის ბარათს)
ის გამოგატანთ
პატარა ბოთლით თხიერ წამალს. თამბაქოს თუ სწევთ?
მ ხ ა ტ ვ ა რ ი. არც კი მიცდია.
მ ო რ ტ ო ნ ი. აქვე, სკვერთან დაგელოდებით.
(მხატვარი მიდის. მორტონი გადაუხვევს სკვერისაკენ.
შემოდის ფიქსი და მიდის მორტონის სახლისაკენ. ოთახ-
ში შემოდის ლოლიტა)
ლ ო ლ ი ტ ა. ბატონო ჩარლი, ვილიამი სადღა წავიდა!
ჯ ე ქ ს ო ნ ი. მალე მოვალო.
ლ ო ლ ი ტ ა. ნუ მოიწყენთ. არ დაგტოვებდით,

თუმც... რომ იცოდეთ... თქვენს საყვარელ კერძებს
ვამზადებ.
ჯექსონი. რათა სწუხდებით?
ლოლიტა. იშვიათად მოდიხართ ჩვენთან.
ვედარც ჩვენ ვიცლით, რომ ხშირ-ხშირად
მოგინახულოთ.
ამგვარ სიშორით ოჯახების გზები იყრება.
ჯექსონი. ასე რად ბრძანებთ ქალბატონო! თქვენ კარგად
იცით
ჩემი ოჯახი თქვენს მეუღლეს შეხვდა გულღიად.
არამც თუ მარტო სტუდენტობა, ჭვარდაწერილმაც
მანდ გაატარა თქვენთან ერთად, საკმაო ხანი.
საწყენი იყო თქვენი სხვაგან დაბინავება,
მაგრამ ორ ოჯახს ჩემი სახლი ეპატარავა.
ჩვენში ასაკით უფროსობას თუ უმცროსობას
კისრად არ აწევს ნაყალბევი პატივისცემა.
ჩვენი ოჯახის გზები აღარ დაშორმორდება,
რადგანაც ძმობის მადლის ძალამ ჩააქვითკირა.
ლოლიტა. ძველი ანდაზა მოვიშველე გზების გაყრაზე.
ისე კი ჩვენი დაშორება არავის ძალუძს.
(კარზე კაკუნი. ლოლიტა კარებს აღებს.
შემოდის ფიქსი. მისალმება)
ფიქსი. ექიმთან მოველ. თქვენ ბრძანდებით?
ჯექსონი. ახლავე მოვა.
ლოლიტა. აგერ, დაბრძანდით. სად წავიდა? წავალ,
მოვძებნი.
(გადის)
ფიქსი. (ყბაზე ხელმიდებული)
ექიმის ცოლი?
ჯექსონი. დიახ.
ფიქსი. ზოგჯერ ექიმის ცოლმაც
იცის მტკივნეულ კბილის შველა...
ჯექსონი. მეც ექიმი ვარ,
მაგრამ ვერ ვშველი საკუთარ კბილს.
ფიქსი. არ შემიძლია,
ვერ გავჩერდები. მოძრაობა მშველის როგორღაც.
კბილმა ამ სახლთან შემომიტია. წავალ და მოვალ.
(ფიქსი გადის. ჯექსონი ათვალიერებს თაროზე
დალაგებულ წიგნებს. შემოდის მორტონი)
მორტონი. ახლა გაჩვენებ ლეთეონის ულეველ მარაგს.
(გადის მეორე ოთახში და შემოაქვს ყვითელი
სითხით სავსე თეთრი ბოთლი)
აჰა, გასინჯე.
ჯექსონი. (ყნოსავს) ჩემო კარგო, ეს ეთერია.
მორტონი. ასე ყვითელი?
ჯექსონი. იქნებ განგებ შეფერილია.
მორტონი. ბევრი ვიფიქრე, ბევრჯერ ვსინჯე, მაგრამ
მარტოკამ
მაინცდამაინც ვერ გავბედე მისი შესუნთქვა,
რადგან შენ აქ ხარ ქიმიკოსი, თანაც ექიმი,
ახლა გავბედავ, რაც მომივა ალალი იყოს
ჩემი ოცნების და კეთილი საქმის გულისთვის.
ჯექსონი. შენს ექსპერიმენტს, რაც მანამდე გიკეთებია,
მე ვეთანხმები. ამ ეთერის ორთქლის შესუნთქვა
ჩაგრავს სიფხიზლეს, დაძინებაც კი შეუძლია.
არ მიამბნია ერთი თვის წინ მე რა შემემთხვა?
სტუმრად მეწვია სერ ბარნეტი, აფთიაქარი,
ვისგანაც ვიძენ სუფთა ეთერს ქიმიურ ცდისთვის.
ჰოდა, ბანქოთი გატაცებულთ შემოგვაღამდა.
მოვძებნე ლამფა, ცარიელი აღმოჩნდა იგი.
მე და ბარნეტმა სიბნელეში მოვნახეთ ნავთი.
ავანთეთ ლამფა და განვაგრძეთ ბანქოს თამაში.
ორთავეს დილით კარტით ხელში გამოგვეღვიძა.
თურმე ლამფაში ნავთის ნაცვლად ესხა ეთერი,
იმ სიბნელეში აგვრევია საჭურჭლე სითხის...
მორტონი. ეგ არაფერი, სიკვდილს ნაღდად
გადარჩენილხართ.
ეთერთან ახლოს ნაყვერჩხალიც რომ მიიტანო
უმალ იფეთქებს.
ჯექსონი. ეხლაც მიკვირს როგორ გადავრჩით,
რომ არ დავიწვით მძინარენი, მიკვირს ღმერთმანი.
(მორტონი აიღებს ცხვირსახოცს და დაასხამს სითხეს.
მიიდებს ცხვირზე და დაიწყებს ღრმად შესუნთქვას)
აჰანდე, ჩემი ცხვირსახოციც. დაასხი აქაც!
(მორტონი დაასხამს სითხეს. ორთავენი სუნთქავენ
ღრმად. დაჯდებიან სკამზე. სუნთქავენ ხშირ-ხშირად.
მორტონი ნელნელა ჩამოცურდება სკამიდან და იატაკზე
გაიშხლართება. ჯექსონი სუფრის კიდეს წაავლებს ხელს
და ისიც ეცემა. სუფრას თან დაითრევს და მაგიდიდან
ყველაფერი გადაიყრება. ხმაურზე ოთახში შემოიხედავს
ლოლიტა და იწყებს კივილს. მის კივილზე ქუჩაში ჩერ-
დებიან გამვლელნი. ოთახში შემოდის ფიქსი)
ლოლიტა. გვიშველე ხალხნო! ვაი ჩემს ბედს, გვიშველე
ხალხნო!
ფიქსი. ამას რას ვხედავ! ერთმანეთი ნუთუ დახოცეს?
ლოლიტა. არა და არა! შეცდომაა საბედისწერო.
სადა ხარ ღმერთო, გამაქვავე, ვაიმე ბედკრულს.
(ჩაიჩოქებს მორტონთან)
ჩემო ბატონო! ცოცხალია, ჰო, სუნთქავს ჩარლიც!
(ვიდრე ფიქსი და ლოლიტა ორთავეს დივანებზე მოა-
თავსებენ, შეკრებილ ხალხში გამოჩნდება ფოსტალიონ-
ნი, რომელიც მიისწრაფის მორტონის სახლისკენ)
I მოქალაქე. სად მიწანწალებ!
II მოქალაქე. სად მიძვრები შე მამაძაღლო!
ფოსტალიონი. სადაც შენ ძვრები მამაჩემის უფროსო
ძმაო.
II მოქალაქე. შენთვის მოვიცლი.
I მოქალაქე. ჩააფარე!
ფოსტალიონი. ჭკუას მოუხმეთ!
III მოქალაქე. ნეტავ რა მოხდა?
IV მოქალაქე. ერთმანეთი დაუხანჯლავთო.
V მოქალაქე. (დგას და გამალებით პირჯვარს იწერს, თან
რაღაცას ჩიფჩიფებს)
I მოქალაქე. შევიდეთ სახლში.
III მოქალაქე. მიშველება სჭირდებათ იქნებ...
II მოქალაქე. პოლიციელებს დავუცადოთ, ჩვენც არ
გავებათ.
ფოსტალიონი. ეს რა ხალხია, გზა მიტიეთ!
II მოქალაქე. გაქვავდი აქვე.
I მოქალაქე. ამბობენ თურმე მიუსწროო ცოლის
საყვარელს.
IV მოქალაქე. ოხ, ჯენტლმენებო, გათახსირდა მთელი
ქვეყანა.
V მოქალაქე. „ნუ იმრუშებ, ნუ კაც-ჰკლავ, ნუ იპარავ,
ნუ ცილსა სწამებ, პატივ-ეც მამასა შენსა და დედასა
შენსა". (სარკმელში გამოჩნდება ფიქსი)
II მოქალაქე. ხედავთ? ბანკირი...
I მოქალაქე. ეგ ფიქსია...
III მოქალაქე. ვის უნდა ენდო...
I მოქალაქე. თურმე ბანკირი შეიტყუეს გასაძარცვავად.
V მოქალაქე. „ცანი და ქვეყანა წარხდნენ, ხოლო
სიტყვანი ჩემნი არ წარხდნენ."
II მოქალაქე. მაგ წუპაკებმა ოქროს ქისა ჩაიგდეს
ხელში.
ფოსტალიონი შე უპატრონო, ქოფაკივით ნუ იყეფები.
III მოქალაქე. შე უძირფესვო...
(II მოქალაქეს) ეამბორე ჩემს მაგივრადაც.
II მოქალაქე. აჰა, გაჩუქებ. (მისკენ მიაგდებს
ფოსტალიონს)
ფოსტალიონი. არ გაბედო შე დამთხვეულო!
IV მოქალაქე. აგერ, მოდიან...
III მოქალაქე. პოლიცია.
V მოქალაქე. „არა მოვედ წოდებად მართალთა, არამედ
ცოდვილთა, რათა შეინანონ."
(შემოდის ორი პოლიციელი. შედიან მორტონის სახლში.
მორტონი და ჯექსონი ცდილობენ წამოდგნენ)
I პოლიციელი. რა ამბავია ბატონებო!
II პოლიციელი. მოშორდით ყველა.
I პოლიციელი. სახლის პატრონი რომელია!
ფიქსი. აი, ეგ გახლავთ.
II პოლიციელი. თქვენ კი ვინა ხართ? ო, ბოდიში, ველარ
გიცანით.
I პოლიციელი (ფიქსს) იქნებ იცოდეთ აქ რა მოხდა!
ფიქსი. კბილი ამტკივდა,
თქვენც კარგად იცით, რომ ამ ექიმს მრავალი აქებს.
მოველ, ვერ ვნახე. გავიარე. ისევ დავბრუნდი.
რასაც თქვენ ხედავთ, მეც ეს ვნახე.
I პოლიციელი. ეს ქალბატონი?

ფ ი ქ ს ი. ექიმ მორტონის მეუღლეა.
მ ო რ ტ ო ნ ი. მიღწეულია.
ადექი ჩარლი! ღმერთმა დაგვცა, რომ აღვსდგეთ ძლევით.
თქვენ ვინ ბრძანდებით ბატონებო, ან აქ რა გნებავთ?
(ჩარლი ოთხზე დადგება)

I პ ო ლ ი ც ი ე ლ ი. რა ამბავია? ეს ვინ არის? თქვენ ვინ ბრძანდებით?

მ ო რ ტ ო ნ ი. პატრონი... ბოთლის... სადაც ღმერთი ჩაგვიმწყვდევია
და აწ დღეიდან ვერ წაგვივა, არსად გავუშვებთ.

I პ ო ლ ი ც ი ე ლ ი. იწამეთ ღმერთი, პამპულობას თავი ანებეთ.

მ ო რ ტ ო ნ ი. ღმერთო მომკალი, საპამპულო რა შემამჩნიეთ!

II პ ო ლ ი ც ი ე ლ ი. (უყურებს ჯექსონს)
ეს საცოდავი ქოფაკივით დაოთხებულა.

I პ ო ლ ი ც ი ე ლ ი. წამოეშველეთ, დასვით სკამზე.
(მორტონს) თქვენ რაღაც ბრძანეთ.

მ ო რ ტ ო ნ ი. ამ ბოთლში გვიზის ძილის ღმერთი, თვით მორფეოსი.
(წამოდგება)
გინდათ დარწმუნდეთ? შეისუნთქეთ...

I პ ო ლ ი ც ი ე ლ ი. რომ ვიგორაო?

მ ო რ ტ ო ნ ი. აქ ღმერთია...

I პ ო ლ ი ც ი ე ლ ი. მანდ, ბოთლში ღმერთი? ფუი, ეშმაკს,
ეგ თქვენთან დარჩეს და მეორედ ნუ გაგვაწვალებთ.
(ჯექსონს სკამზე დასვამენ. ჩუმად მიმართავს ფიქსს)

ჯ ე ქ ს ო ნ ი. ხედავ რა შევძელ! ეს ხომ ჩემი აღმოჩენაა.
ამ ქვეყანაზე ყველა ტკივილს ბოლო ეღება.

ფ ი ქ ს ი. (თავისთვის)
კბილის ექიმს რა გამოლევს ამ ქვეყანაზე.
ვატყობ ეს კაცი მსოფლიოში ერთადერთია.
(ჯექსონს)
თქვენ სადა ცხოვრობთ? მისამართი მიბოძეთ თქვენი.

I პ ო ლ ი ც ი ე ლ ი. დიდება უფალს! ყველაფერი კარგად დამთავრდა.
თქვენ, ჯენტლმენებო! სხვა დროისთვის იყავით ფრთხილად.
ძმაო მაკ კინლედ, ჩვენ წავიდეთ.
დაიმახსოვრეთ:
თუ გორაობა კვლავ მოგინდეთ, ნუ მიაყოლებთ
ამგვარ კივილს მინაზებულ აკომპანიმენტს.
(გადიან. ეზოში ხალხი შემოეხვევა)

I მ ო ქ ა ლ ა ქ ე. რა ამბავია?
II პ ო ლ ი ც ი ე ლ ი. არაფერი.
II მ ო ქ ა ლ ა ქ ე. როგორ თუ არა!
III მ ო ქ ა ლ ა ქ ე. ჩვენ რას გვეტყვიან, ჩასაჯიბავს ჩაიჯიბებდნენ,
რათა მკვლელობა თუ გაძარცვა მიაფუჩეჩონ.
ფულის გულისთვის საფლავივით დადუმდებიან.
IV მ ო ქ ა ლ ა ქ ე. მაინც რა მოხდა?
II პ ო ლ ი ც ი ე ლ ი. არაფერი. გთხოვთ დაიშალოთ.
I მ ო ქ ა ლ ა ქ ე. არაფერიო? მაშ რას ვდგევართ!
II მ ო ქ ა ლ ა ქ ე. თფუი, მაგათი...
IV მ ო ქ ა ლ ა ქ ე. არც მკვლელობაა?
II მ ო ქ ა ლ ა ქ ე. არც გაძარცვა?
I მ ო ქ ა ლ ა ქ ე. აღარც მრუშობა?
II მ ო ქ ა ლ ა ქ ე. მაშ რას ჰკიოდნენ ეგ ოხრები.
IV მ ო ქ ა ლ ა ქ ე. წამო, წავიდეთ.
V მ ო ქ ა ლ ა ქ ე. არაფერია? დრო დავკარგე. ღმერთო, მფარვიდე.
VI მ ო ქ ა ლ ა ქ ე. (მანამდე ჩუმად მყოფი)
არაფერია? დაგენაცვლე, არაფერია?
(მიდიან)
ლ ო ლ ი ტ ა. რა მოგივიდათ ძვირფასებო...
მ ო რ ტ ო ნ ი. არის მიზანი...
ლ ო ლ ი ტ ა. შემაძრწუნებელ საქმეს რატომ ეპოტინებით!
მ ო რ ტ ო ნ ი. ჩემო ლოლიტა, მე მაქვს ქვეყნად დანიშნულება,
რასაც ვერასდროს ვუღალატებ სიცოცხლის ფასად.
ჩემო ძვირფასო, დრო დადგება, როცა ქვეყნიდან
განვდევნი ტკივილს, რათა ვიხსნა კაცობრიობა.
მომიახლოვდი ჩემო ჩარლი, ჭირის გამყოფო,
გულზე მიგიკრა ნიშნად ჩვენი გამარჯვებისა.
(გადაეხვევიან)

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მოქმედება მეორე

### სურათი I

საოპერაციო ოთახი. ექვსი ექიმი — მამაკაცი, ფრაკებში გამოწყობილნი. მეორე ოთახიდან მოისმის ღრიალი.

ხ მ ა:
არ მინდა, არა!.. გამიშვი-ით!.. მი-შვეე-ლეეთ!
არ მინდა!.. ვაი... ვაი... ვაი.. მო-მეე-შვიით!
(ყვირილი გადადის გაურკვეველ ღრიალში
და უეცრად წყდება)

I ე ქ ი მ ი. კაცობრიობა მიეჩვია კივილს და ღრიალს.
გესმით? დაწყნარდა. ავადმყოფი ახლა შოკშია.
დაწყნარდა, რადგან შოკში მყოფნი ტკივილს ვერ გრძნობენ.

ბ ი გ ე ლ ო უ. ასე უგრძნობნი გვიკვდებიან, ვაი, ჩვენს ყოფნას.
ვეღარ შევძელით ტკივილისგან ვიხსნათ ტანჯულნი.
ჩვენ, დასტაქარნი ვერ ავმაღლდით ხელოვნებამდე.
თერაპევტები მართებულად გვარქმევენ დალაქს,
იმ განსხვავებით, რომ ჩვენ ვხოცავთ, ისინი არა.
ბოლოს და ბოლოს მოეღება ამასაც ბოლო.

I ე ქ ი მ ი. თქვენც გეხსომებათ, ჰორაციო უელსიც იყო
ორიოდ წლის წინ ამ ოთახში, სადაც ეცადა
უმტკივნეულოდ ამოეღო კბილი კაცისთვის,
რომლის გოდებამ შეაძრწუნა აპალაჩებიც.

II ე ქ ი მ ი. უსაქმო მღვდელმა ჟოზეფ პრისტლმა აღმოაჩინა
აზოტის გაზი, ხოლო ჰემფრი დევის ცდუნება
ესუნთქა იგი, აფთიაქარს და მეოცნებეს,
მისი მომწამვლელ თვისებათა გამოსაკვლევად,
დამთავრდა იმით, რომ მსოფლიო შეაწრიალა.
ბოლოს და ბოლოს „საპატიო ლეგიონერის“
ორდენი მისცა თავმოყვარე ნაპოლეონმა.

ბ ი გ ე ლ ო უ. გისმენთ და მიკვირს ამდაგვარი მსჯელობა თქვენი.
თქვენც კარგად იცით, ჯენტლმენებო, რომ ჟოზეფ პრისტლის
დიდ აღმოჩენებს: ჟანგბადსა და აზოტის ქვეჟანგს
კაცობრიობა ვერასოდეს ვერ დაივიწყებს.
პროვინციელი მღვდელი იყო თუ უსაქმური,
მისი საქმენი ღაღადებენ მჭევრმეტყველურად.

II ე ქ ი მ ი. ჰო, ჰემფრი დევიმ, ჩვიდმეტი წლის ყმაწვილმა კაცმა
შეისუნთქა რა გაზი იგი, გონს რომ მოეგო,
აღტაცებულმა საოცარი დასწერა ლექსი:

გადავწყვიტე, გავბედე,
ჩავისუნთქე აირი.
დამესია ოცნება,
ფიქრი ნაირნაირი.
ყურში სმენა მიყუჩდა,
პირში გემო გამიქრა.
ცხვირი წამომილურჯდა,
ლოყის ფერი გამიკრთა.
თვალებიდან ღვარ-ღვარად
ცრემლი გადმოკვარკვალდა.
მოვიშალე სახსრებში,
მუხლი ამიკანკალდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი, მკლავი, საჯდომი,
აქეთ — იქით გაფრინდა.
მე მეგონა ვიღაცა
მომადგა და დამფლითა.

**ბიგელოუ.** რაღაც არ მახსოვს ამნაირი რამ დაეწეროს,
დევის ლექსები როდი გახლავთ ხელწასაკრავი,
მას, დიდ მეცნიერს, დიდი გული ჰქონდა პოეტის.
II ექიმი. რაც მართალია, კი დაწერა რაღაც ამგვარი.
III ექიმი. იქნებ არც ახსოვს და თავისი შემოგვატყუა.
I ექიმი. იმ დღეს უელსი გაიძურწა დამდუღრულივით,
მას შემდეგ არსად შემხვედრია.
II ექიმი. თავის კბილს ეძებს.
I ექიმი. ვის მიაქვავა?
II ექიმი. ვიღაც ჯამბაზს. ვინმე კოლტონი
ქალაქ და ქალაქ დადიოდა ფულის სახვეჭად,
თან ატარებდა „მალხენ გაზსაც“, მსურველთ ათრობდა
მისი ჩასუნთქვით, და ისინი ჩქმეტას ვერ გრძნობდნენ.
უელსი თურმე არენასთან მიეჭრა კოლტონს,
ფული აძლია და მოსთხოვა ილუზიონისტს
მეც დამათვრე და საღი კბილი ამომიღეო.
ბიგელოუ. ასე თუ ისე, იგი ახლოს იყო მიზანთან.
ვისგან ისწავლა ეგ არ ვიცი, მაგრამ შეეძლო
მტკივნეულ კბილის ექსტრაქცია უმტკივნეულოდ.
ვერ ამიხსნია, ჰორაციო მაშინ დამარცხდა,
როდესაც უნდა ეზეიმა ძლევა ტკივილზე.
აქვე დაემხო ოცნებანი მეოცნებისა
და საქმის კაცის. მისი მარცხი ვერ ამიხსნია.
ორთაბრძოლაში ძილის ღმერთი გამოიწვია,
მუდამ მძლეველი მხოლოდ იმ დღეს იქნა ძლეული...
შემდეგ, ეხ, შემდეგ მეოცნებემ თავი მოიკლა.
უელსის მიერ საკუთარი ვენის გადაჭრამ
მის სიცოცხლესთან ერთად ჩვენი რწმენაც დაშრიტა.
III ექიმი. ოპერაცია ზღაპარია უმტკივნეულოდ.
რას იტყვის ჩვენი მედიცინის ისტორიკოსი?
(მიმართავს I ექიმს)
I ექიმი. შვიდი წლის წინათ დიდმა ფრანგმა ქირურგმა ველპომ
დამაჯერებლად განაცხადა საჯაროდ, ასე:
„ოპერაცია ქიმერაა უმტკივნეულოდ,
რაზედაც ფიქრი მიმაჩნია შეუწყნარებლად;
ქირურგის დანა და ტკივილი ერთმანეთისგან
განუყოფელი მცნებებია ავადმყოფისთვის.“
III ექიმი. სახელგანთქმულიც რომ არ იყოს, დაეჯერება.
მაგდაგვარ ტკივილს ბალღობიდან ვიცნობთ ყველანი.
I ექიმი. ძველმა ბერძნებმა უხსოვარ დროს თქვეს, რომ „ტკივილი
ჯანმრთელობისთვის მოდარაჯე ქოფაკიაო.“
მოვკლათ ქოფაკი?
IV ექიმი. ნუ იყეფებით.
I ექიმი. ეგ ბრძანეთ ჩემ-ზე?
V ექიმი. არა, მე-ზე.
IV ექიმი. ჰოი, მკურნალნო! სხვები როგორ უნდა განკურნოთ,
როცა საკუთარ ნერვებისთვის ვერ მოგივლიათ.
არაფერია აქ სადაო. ამაოდ ღელავთ.
განგების ძალამ გადმოგვხედოს მოწყალე თვალით
და მართლაც მოხდეს დაჩოქება მორფეოსისა.
ჩვენ, ჰიპოკრატეს მიმდევრებმა უნდა მივსდიოთ
მის ყოველ ნათქვამს ავადმყოფის საკეთილდღეოდ.
რა თქვა უბრძნესმა: „Divinum opus—sedare dolorem“, —
„ღვთაებრივი ხელოვნებაა ტკივილების მოსპობა.“
ბიგელოუ. თქვენი ბაგენი ღაღადებენ ჭეშმარიტებას,
რაც სამწუხაროდ მრავალ მკურნალს არ ჰხსომებია.
ტკივილი მოჰგავს იმ მეგობარს, რომელიც პირში
გახლის სიმართლეს, თუნდაც სასტიკს, მოურიდებლად.
აწმყოს და მყოფადს გადაგიშლის ხელისგულივით,
მხარდამხარ წავა შენთან ერთად ჭირში და ლხინში.
ტკივილს ნუ ჩათვლით სავალალო გამოვლინებად.
იგი სიცოცხლის გუშაგია, და პირუთვნელიც.
მეგობარივით გიხმობს: ძმაო, ფხიზლად იყავი,
დროზე მიხედე შენს სატკივარს, დამიჯერეო.
I ექიმი. ასე არა ვთქვი? რათ გამლანძღეს? ხანდაზმულობას
არ სცე პატივი საკადრისი, სად გაგონილა?
V ექიმი. ხანდაზმულობა სიბრძნეს როდი ნიშნავს ყოველთვის.
ზოგჯერ ჭაბუკიც ბრძენი ხდება ჭაბუკობის ჟამს.
I ექიმი. ჰქმენ კარგი საქმე, მას გალანძღვა ვერაფერს ავნებს, ცუდს კი ბრწყინვალე სიტყვებითაც ვეღარ დაფარავ.
ბიგელოუ. ძვირფასო ძმებო, მკურნალებო! მისმინეთ კიდევ.
ამდაგვარია, როგორც ვთქვი, ტკივილის არსი.
თქვენც კარგად იცით, მაგრამ ვფიქრობ, არ გეწყინებათ,
რომ შეგახსენოთ სადღეისო მდგომარეობა.
დასაბამიდან ტკივილს ებრძვის კაცობრიობა.
უფრო სწორად რომ მოგახსენოთ, ებრძვის სატკივარს,—
დაავადებას, პირველწყაროს ყველა ტკივილის.
ამასთანავე, ყოველ ტკივილს, რაც კავშირშია
ოპერაციულ მკურნალობის ყველა მეთოდთან.
ბევრი სნეული არ იკეთებს ოპერაციას
ძალზე უბრალოს, ვინაიდან მტკივნეულია.
ოპერაცია უეჭველად გადაარჩენდა,
მაგრამ ტკივილის დიდი შიშით უარს ამბობენ
და იქ მიდიან, საიდანაც არ ბრუნდებიან.
უმტკივნეულოდ გაკეთებულ ოპერაციას
კაცობრიობა ელოდება სულმოუთქმელად,
მაშინ გახდება ქირურგია მეცნიერებად
და გადიხსნება უსასრულო შესაძლებლობა.
ადამიანი არ იქნება ასე ბეჩავი
და განწირული სასიკვდილოდ ტკივილისაგან.
ეს ხომ ასეა. მაგრამ მე დღეს სხვა რამ მაწუხებს.
თუ კი მორტონი ექიმებთან არ განაცხადებს
ნივთიერების ნამდვილ სახელს, შემადგენლობას,
მისი დაშვება ავადმყოფთან მკრეხელობაა.
ასე მოითხოვს საექიმო ეთიკა ჩვენი.
მაგრამ ჰოსპიტლის მთავარ ქირურგს, ბატონ უორენს
სიამოვნებით მიუცია მისთვის ნებართვა.
ცნობილ პროფესორს, ბევრი ქვეყნის აკადემიკოსს
რისთვის დასჭირდა შეუბღალველ რეპუტაციის
რისკზე შეგდება. ვერ გავუგე აზრი მეცნიერს.
ვარ გაოცებას, მაგრამ რა ვქნა. იქნებ საწყაულს
ჩვენი ეთიკის არტახები ეპატარავა.
იქნებ სიახლეს, ისიც ამგვარს, მოაქვს ჯერ კიდევ
ართქმული სიტყვა საკოდექსო ფორმულისათვის.
(შემოდის უორენი. მისალმება. უორენი საათს დახედავს. ბრძანების კილოთი:)
უორენი. შემოიყვანეთ ავადმყოფი!
(შემოჰყავთ ავადმყოფი)
სერ ბიგელოუ!
(ხელით ანიშნებს, რომ საოპერაციო მაგიდაზე დააწვინოს. ბიგელოუ გაოცებით შეჰყურებს უორენს და თან აწვენს ავადმყოფს)
სერ ბიგელოუ! გააცანით ბატონ კოლეგებს.
ბიგელოუ. ავადმყოფი: ჟილბერ ებოტი,
ოცი წლისა, ამერიკელი.
დიაგნოზი: სისხლძარღვოვანი
დიდი სიმსივნე ქვედაყბისა.
(უორენი სათითაოდ შეხედავს ყველა თანდამსწრეს)
გავბედავ რჩევას: დაველოდოთ.
უორენი. სერ ბიგელოუ!
ბატონ მორტონს კაცობრიობა
დასაბამიდან მოელოდა... და უფრო მეტიც, —
თხუთმეტი წუთიც გადუმატა ჩვენი წყალობით.
I ექიმი. იქნებ სხვაგან ჰქმნის ახალ ერას ქირურგიაში.
(იცინიან)
უორენი: და თუ ეს ხდება ჩვენთვის უცნობ მიზეზთა გამო,
სახელს მოუხვეჭს იმ ბედნიერ საავადმყოფოს.
(ყველა იცინის უორენისა და ბიგელოუს გარდა. უორენი მიდის საოპერაციო მაგიდასთან. იღებს სკალპელს, დაიკავებს სამი თითით და მაღლა ასწევს სკალპელიან ხელს. ამ დროს შემოდის მორტონი რომელსაც მოაქვს ხელსაწყო. უორენი მისკენ დინჯად შემობრუნდება. მკაცრი ხმით:)
რა გაეწყობა! მზად არის თქვენი ავადმყოფი...
(მორტონი მიდის ავადმყოფთან, სახეზე დააფარებს სანარკოზე ნიღაბს. გულისჯიბიდან ამოიღებს პატარა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოთლს. წვეთ-წვეთობითასხამს ნიღაბზე. სიჩუმე. რამოდენიმე ხნის შემდეგ:)
მ ო რ ტ ო ნ ი. მზად არის თქვენი ავადმყოფი!
(ოთახი ბნელდება. განათებულია მხოლოდ საოპერაციო არე — ავადმყოფის კისერი. უორენი იწყებს ოპერაციას. სწრაფად მთავრდება ოპერაცია. ავადმყოფს შეუხვევენ კისერს. ყველა გაუნძრევლად დგას. ავადმყოფი შეირხევა. იღვიძებს)
ა ვ ა დ მ ყ ო ფ ი. რატომ არ იწყებთ, პროფესორო, ოპერაციას?
(ოთახი გაკაშკაშდება. უორენი მოტრიალდება დამსწრეებისკენ)
უ ო რ ე ნ ი. ეს... ბატონებო! მოტყუება ანდა მცდარობა ნუ გეგონებათ...
(ავადმყოფი გაჰყავთ. უორენი სახიდან ოფლს მოიწმენდს. შემოტრიალდება მორტონისკენ)
დამრთეთ ნება, რომ გეამბოროთ
მაგ ნათელ შუბლზე.
(მიდის და ჰკოცნის)
ახალგაზრდავ, თქვენ ხართ დიადი.
მე ვეამბორე, ბატონებო თვით უკვდავებას.
ის, რაც ვერ შესძლო ალექსანდრე მაკედონელმა
ცეცხლით და დაშნით, მან შეიძლო უიარაღოდ
ნათელ გონების ძალითა და გულის კარნახით.
(მორტონს)
ქვეყნიერებას შენ დაიპყრობ და მადლიერი
კაცობრიობა შენს დიდ ამაგს არ დაივიწყებს.
ჩემი მიწურვილ სიცოცხლის ჟამს მქონდა უფლება
უკვდავებასთან მესაუბრა როგორც თანასწორს.
კურთხეულ იყოს შენი მოსვლა ამ ქვეყანაზე.
ბ ი გ ე ლ ო უ. ჩვენ დღეს რაც ვნახეთ შემოივლის ქვეყნიერებას.
მ ო რ ტ ო ნ ი. გულით მადლობა ყოველგვარი დახმარებისთვის.
თქვენმა კეთილმა გულმა იცის გულის მალამო.
განთქმულ დასტაქარს სხვისი ქება რომ შეგძლებიათ
ამით თქვენ უფრო მიდასტურებთ, რომ არ შევმცდარვარ,
როცა მოგმართეთ. ყველაფრისთვის დიდი მადლობა.
(თავის დაკვრით ემშვიდობება)
უ ო რ ე ნ ი. ეს ახალგაზრდა აქ მოვიდა, როგორც უცნობი,
წავიდა, როგორც მსოფლიოში სახელგანთქმული,
უპირველესი მეცნიერი მეცნიერთაგან.
დღეს, ამ ოთახში ძლეულ იქნა თვით მორფეოსი,
მის საიდუმლოს აეხადა შავი მანტია.
სერ ბიგელოუ! მომილოცავს, ამიერიდან
შენი სახელი ისტორიის ფოლიანტებში
დარჩება მარად, დიახ მარად, ვით მონაწილის
დიდი ჭიდილის,
ძილის ღმერთის დამარცხების ჟამს.
სერ ბიგელოუ! ამ ასაკით შერჩი მომავალს.
სერ ბიგელოუ!

## ს უ რ ა თ ი II

სანოტარო კანტორა. არიან ნოტარიუსი, ჯექსონი და ფიქსი.
ნ ო ტ ა რ ი უ ს ი. გამოგონების პატენტისთვის გჭირდებათ ოქმი
ბეჭედდასმული, ღერბიანი ქაღალდი ჩვენი?
არ არის ძნელი. მოითმინეთ ორიოდ კვირით.
ფ ი ქ ს ი. დღესვე გვჭირდება.
ნ ო ტ ა რ ი უ ს ი. ასე სწრაფად?
ჯ ე ქ ს ო ნ ი. არვინ დაგვასწროს...
ნ ო ტ ა რ ი უ ს ი. მაშასადამე...
ფ ი ქ ს ი. ჰო, ასეა.
ნ ო ტ ა რ ი უ ს ი. ვინ გყავთ მოცილედ?
ჯ ე ქ ს ო ნ ი. ერთი ექიმი...
ფ ი ქ ს ი. პროფესორო, არ ღირს სათქმელად.

ჯ ე ქ ს ო ნ ი. მე ვიცნობ იმას, უბრძოლველად არ დასთმობს პატენტს.
ფ ი ქ ს ი. გამოგონება თქვენ გეკუთვნით.
ჯ ე ქ ს ო ნ ი. მასაჩუსეტსის
ქირურგებთან მან გაიტანა საჩვენებლად
ჩემი ეთერი, ტკივილების დასაყუჩებლად.
იქნება ვინმე შეუჩნდეს და ურჩიოს მორტონს
გამოგონების მარტოდმარტო დასაკუთრება.
ცოცხალი თავით არასოდეს დავუშვებ ამას.
ნ ო ტ ა რ ი უ ს ი. უფლება თუ აქვს, აღიარეთ.
ფ ი ქ ს ი. არავითარი.
ჯ ე ქ ს ო ნ ი. მეგობრად ვთვლიდი ნამოწაფარს, ვანდობდი ყოველს.
მან ჩემი რჩევით ის იხმარა... ჩემგან მალულად,
ერთი სიტყვითაც არაფერი გამაგებინა.
ახლა ინდომებს მიითვისოს ნივთიერება...
ფ ი ქ ს ი. ბატონი ჩარლის, პროფესორის გამოგონება.
ჯ ე ქ ს ო ნ ი. მაგრამ იცოდეთ, მე უსისხლოდ არ დავთმობ ამას.
რომ ჯანზე ვიყო, დუელშიაც გამოვიწვევდი.
ნ ო ტ ა რ ი უ ს ი. გეცადათ საქმის მოგვარება სისხლდაუღვრელად.
ჯ ე ქ ს ო ნ ი. ამად მოვსულვარ, მსურს გაუწყოთ თხოვნა მცირედი:
მე, ჩარლი ჯექსონს და... ბატონო, ამ ადამიანს,
პატიოსნებით ვინც ზეცამდე ამაღლებულა...
ნ ო ტ ა რ ი უ ს ი. (თავისთვის)
მაშასადამე, თვითონ ზეცა დადაბლებულა.
ჯ ე ქ ს ო ნ ი. თქვენ რაღაც ბრძანეთ!
ნ ო ტ ა რ ი უ ს ი. მსურდა მეთქვა, ჩავწერე ასე:
პატიოსნებით ვინც ზეცამდე ამაღლებულა.
ჯ ე ქ ს ო ნ ი. დიახ. მოვედით, რათა დავდოთ ხელშეკრულება...
ნ ო ტ ა რ ი უ ს ი. (თავისთვის)
ხელშეკრულება. შვილო ჩემო, ფეხებსაც იკრავთ.
ჯ ე ქ ს ო ნ ი. თქვენ რაღაც ბრძანეთ.
ნ ო ტ ა რ ი უ ს ი. მსურდა მეთქვა, ხელშეკრულება?
ჯ ე ქ ს ო ნ ი. დიახ, ბატონო. მეორე მხარე...
ფ ი ქ ს ი. მე, მაკ ლი ფიქსი...
ჯ ე ქ ს ო ნ ი. ჩემი კუთვნილი ჰონორარის იყოს მეურვედ.
ნ ო ტ ა რ ი უ ს ი. (წერს)
იყოს მეურვედ. ის, მეორე? თქვენი მეტოქე...
ჯ ე ქ ს ო ნ ი. ბატონო ჩემო, მას როგორმე გავუსწორდები.
შევსძლებ ვასწავლო უფროსების პატივისცემა
ან გადაჰყვება ნამოქმედარს, ყოვლად უმგვანოს.
ნ ო ტ ა რ ი უ ს ი. მე ვგრძნობ, არ გიყვარს იგი გულით,
თუ კი გაქვს გული,
მე ვგრძნობ იმასაც, შენი სული,
თუ კი გაქვს სული,
მზადაა ემოს ეშმაკს, ოღონდ მისწვდე საწადელს,
რომ ძმა აქციო ამქვეყნიურ არარაობად.
ფ ი ქ ს ი. ერთი უბრალო დანტისტია, კბილის ექიმი.
ნ ო ტ ა რ ი უ ს ი. გავლენიანი?
ფ ი ქ ს ი. ისემც... არა!
ნ ო ტ ა რ ი უ ს ი. დოვლათიანი?
ფ ი ქ ს ი. მისი შეძლება ერთ სახედარს აეკიდება.
ნ ო ტ ა რ ი უ ს ი. გონიერთათვის დიდი ცოდნა არის სიმდიდრე,
უგონოთათვის ოქროს ზოდიც სიღარიბეა.
ფ ი ქ ს ი. საქმეც ის არის, ბევრის ცოდნა არ არის სიბრძნე.
ნ ო ტ ა რ ი უ ს ი. სწორია, მაგრამ თავად სიბრძნე ცოდნის გარეშე
არა ყოფილა არასოდეს...
ფ ი ქ ს ი. ესეც სწორია.
ხელს არ მოგვცემს გახმაურება.
ნ ო ტ ა რ ი უ ს ი. გასაგებია.
ფ ი ქ ს ი. (აძლევს ქისას)
ჩვენში დარჩება საიდუმლოდ.
ჯ ე ქ ს ო ნ ი. ჰო, საიდუმლოდ.
ნ ო ტ ა რ ი უ ს ი. რაკი მოხვედით, რაკი ითხოვთ ჩემს დახმარებას,
მე გიწვდით ხელებს, გულუხვად რომ ამივსეთ განძით.
არ ვიცი შვილო, ბოროტია ის თუ კეთილი,
არ შევუდგები ამის განსჯას, რადგან ცხოვრებამ
მე შემაჩვია გულგრილობას ხორციელთ მიმართ.

მაგრამ იცოდე: თუ კეთილს ებრძვი უწმინდურ გულით,
აქ გულგრილობა არაფერი მოსატანია.
თუ ბოროტს ებრძვი, თვით უფალიც ხელს მოგიმართავს,
იყო გულგრილი, გასაკვირი არაფერია.
თუ კეთილია, თვით უფრთხილდი სიმართლეს მისას,
სინათლეს მისას, თვით არ იქცე არარაობად.
თუ ბოროტია, მაშინ ბრძოლა მართებულია.
იცოდე ესეც: შვილო ჩემო, ვიდრე გასწავლი
ბრძოლის მოგების საიდუმლო საშუალებას,
იმ შენს მეტოქეს მოუნახე ისეთი ბზარი,
მისი კაცობის, ხასიათის ისეთი ბზარი,
სადაც ჩაჯდება თუნდაც პირი სამართებლისა.
ეს კი იქცევა ისეთ სოლად, რომელიც აპობს
მაგარ და ძლიერ სხეულების ერთიანობას.
მანიშნე ბზარი და საომარ ხერხს შეგასწავლი,
შენს სასარგებლოდ გადაწყდება. მერწმუნე მოხუცს.
მანიშნე, შვილო, მცირე ბზარი მტრის დამზაფრავი.
ბრძანე და გისმენ.

ფ ი ქ ს ი. მას ჰყავს ცოლი, ულამაზესი...
ნ ო ტ ა რ ი უ ს ი. ეჭვიანი ქმრის დამარცხება...
ფ ი ქ ს ი. გაადვილდება.
ნ ო ტ ა რ ი უ ს ი. ულმერთობაა.
ფ ი ქ ს ი. აი, ღმერთი ამქვეყნიური. (აძლევს ბანკნოტებს)
ნ ო ტ ა რ ი უ ს ი. თქვენ მაიძულებთ.
ფ ი ქ ს ი. ასე ფიქრობთ? იფიქრეთ ასე.
ნ ო ტ ა რ ი უ ს ი. ძალადობაა...
ფ ი ქ ს ი. თუნდაც ასე. (კიდევ აძლევს ბანკნოტებს)
რას **ბრძანებთ ახლა?**
ნ ო ტ ა რ ი უ ს ი. თქვენს ბანაკში ვარ.
ფ ი ქ ს ი. პატენტის საქმე?
ნ ო ტ ა რ ი უ ს ი. გაჩარხულია.
გელით პარასკევს, ზუსტად ამ დროს.
ფ ი ქ ს ი. მაშასადამე!
ნ ო ტ ა რ ი უ ს ი. გაჩარხულია.
ჯ ე ქ ს ო ნ ი. კარგად!
(ხელის აწევით ემშვიდობება და მიდის)
ნ ო ტ ა რ ი უ ს ი. სულ კარგად ბრძანდებოდეთ! მალენახვამ-
დის!
(ფიქსი და ჯექსონი გადიან. ფიქსი ისევ ბრუნდება)
ფ ი ქ ს ი. კანტორის ხოჭოვ, ფრთხილად იყავ, თუ ხელთ
მოგიგდე
შენივე ყბებით შენსავ ენას ჩაგაკვნეტინებ.
ბედი გქონია, მაგ დამთხვეულს არ გაუგია
შენი ყბედობა, თორემ აქვე გაგაციებდი.
(მაგიდიდან აიტაცებს ქისას)
ნ ო ტ ა რ ი უ ს ი. მანდ ოქროა!
ფ ი ქ ს ი. მე არ გიბოძე?
ნ ო ტ ა რ ი უ ს ი. და ისევ შენ ამომაცალე.
ფ ი ქ ს ი. ძველო ვირთაგვავ, ამოგაცლი ენას, იცოდე.
ნ ო ტ ა რ ი უ ს ი. არ შემიცოდებ?
ფ ი ქ ს ი. უკუღმართო, რატომ და რისთვის!
შენ ვის იბრალებ! შენ, ბუნების შეცდომილება.
ნ ო ტ ა რ ი უ ს ი. აუგს აუგით მოგაგებებს ბედი მსახვრალი.
ფ ი ქ ს ი. შენ, შენ, შენ, რატომ, რატომ ბედი არ გაგაშეშებს!
ნ ო ტ ა რ ი უ ს ი. მე ბრძენი ღმერთის მხედველობის ორბიტს
გადავცდი,
მკვდარი ვგონივარ, და ვმოქმედებ სურვილისამებრ.
შენ კი სიბილწე გამოგაცლის სიცოცხლის ძალას.
განვედი ჩემგან...
ფ ი ქ ს ი. კვლავ გიბრუნებ. (მიუგდებს ქისას)
ნ ო ტ ა რ ი უ ს ი. რომ კვლავ წამართვა?
ფ ი ქ ს ი. გიბრუნებ, რათა მიაშავო ენას საკეტი.
ნ ო ტ ა რ ი უ ს ი. ოქროს წართმევა შეიძლება, პატიოსნება
არ წაირთმევა, ის განძია ხელშეუხები.
ფ ი ქ ს ი. რატომ გრიალით არ ემხობა ზეცის გუმბათი,
რატომ ფეხებქვეშ დედამიწა არ დაიფშვნება!
ეს რა მომესმა! ვინ შენა და პატიოსნება?
განრისხდი ზევსო და დამლახვრე, მონა უღირსი.
ნ ო ტ ა რ ი უ ს ი. ორ მგელში ერთი კეთილია, უფრო კეთილი.
ფ ი ქ ს ი. ამ მგლის სიკეთემ უთვალავი რომ მიითვალა?
ნ ო ტ ა რ ი უ ს ი. შენ გულუხვობდი.
ფ ი ქ ს ი. ისარგებლე...
ნ ო ტ ა რ ი უ ს ი. მორჩი, მომეშვი.
(წამოდგება, ამ დროს კანტორაში შემოვა ჯექსონი)

ფ ი ქ ს ი. ოი, არა მსურს შეგაწუხოთ ამ გაცილებით.
ახ, ბრძანდებოდეთ, მოწყალეო, ნუ შეწუხდებით.
ჩარლი, ახლავე. შევრჩი ბრძენს და უპატიოსნესს.
(გადიან).
ნ ო ტ ა რ ი უ ს ი. მაშ, სამართალი დაძაბუნდა? სწორედ ასეა,
თორემ ამ ერთსაც არ ისვრიდა უფსკრულისაკენ.
ამ აფთარს ხელში გასაგლეჯად არ ჩაუგდებდა.
სადა ხარ ღმერთო? ცათა ძინა? დიდება შენდა!
მე შენი მონა შეგღაღადებ, მოხედე ტანჯულთ,
ვიდრე ეშმაკნი პატიოსნებს სულს ამოხდიან
და არ გახდიან უკეთურნი ლაფში სათრევად.
ირგვლივ ლაფია, მეც ჩავეფალ უკვე კისრამდე,
მილიმეტრობით ჩამიზიდა ჭაობის ლექმა.
გული სხვას ამბობს, საქმეებით სულ სხვა კაცი ვარ,
ჩემს გაორებულ არსებაში კეთილი გარბის,
როდესაც ოქროს წკრიალს ისმენს ყურები ჩემი.
დიდება შენდა! გადმოგვხედე ღმერთო ძლიერო!
(შემოდის კანონიკი, თავის დაკვრით ესალმებიან
ერთმანეთს. ქუჩიდან მოისმის სიმღერა:)
ს ი მ ღ ე რ ა:

**ყეყეჩი და ბებერი,**
მოდის დამტარებელი,
ბევრის დამდარდებელი,
ბევრის გამხარებელი.

(შემოდის ფოსტალიონი)
ფ ო ს ტ ა ლ ი ო ნ ი. მათუსალებო! სალამი თქვენდა!
ნ ო ტ ა რ ი უ ს ი. ჭკუას მოუხმე.
ფ ო ს ტ ა ლ ი ო ნ ი. ადვილად იტყვით, სულ ადვილად, მაგრამ
სად არის?
ვიდრე ამ ქვეყნად მოვიდოდი, თქვენ დაიტაცეთ.
და იქნებ მაშინ, ზეცისაკენ გზას რომ გაიგნებთ,
არ დაგჭირდებათ იმ გრძელ გზაზე ჭკუის ტარება,
რადგანაც ღმერთი გონიერის მტერია მუდამ.
მაშინ თქვენს ჭკუას მოვიტაცებ, მათუსალებო.
ორთავეს ჭკუა ჩემს გოგრაში ლაყეც იქნება,
რადგანაც იგი დაგიწნეხათ ჟამთა სიმძიმემ.
ნ ო ტ ა რ ი უ ს ი. ხანდახან ბრიყვთან მუსაიფი უფრო
გამშვიდებს,
ვიდრე გონებით გამორჩეულ არამზადასთან.
თუ არ გიბრძანე, გააგრძელებ ლაქლაქს დილამდე.
ფ ო ს ტ ა ლ ი ო ნ ი. დილას საღამო ენაცვლება, და ასე შემდეგ
მათუსალებო! თქვენ გაზეთებს არც კი კითხულობთ,
იქნებ არც გესმით, რომ გაზეთი ქვეყნის სარკეა.
დროგამოშვებით გადაშალეთ, შიგ ჩაიხედეთ,
თქვენს თავსაც ნახავთ და გონებას საზრდოს მიაწვდით.
რომ წაგეკითხათ, გაიგებდით, რა მოხდა გუშინ:
ათასრვაასორმოცდაექვსის თექვსმეტ ოქტომბერს
ისტორიაში არმომხდარი ამბავი მოხდა:
ოპერაცია გააკეთეს უმტკივნეულოდ.
ნ ო ტ ა რ ი უ ს ი. ვიცით ძვირფასო, უშენოდაც
ვცნობიერდებით.
გაზეთ „ბოსტონის ყოველდღიურ მიმოხილვაში“
პირველ ოქტომბრის რიცხვით ნახავთ ამდაგვარ ცნობას:
„ექიმ მორტონმა ლეთეონის ნარკოზით შესძლო
მტკივნეულ კბილის ექსტრაქცია უმტკივნეულოდ“.
თურმე წინადღეს მან შეიძლო შეუძლებელი.
გუშინდელ გაზეთს კი იქ ნახავ, იმ მაგიდაზე.
ყბამორღვეულო, ხედავ, გაზეთს თურმე ვკითხულობთ.
წერილებია?
ფ ო ს ტ ა ლ ი ო ნ ი. ბისკვიტები.
ნ ო ტ ა რ ი უ ს ი. ამოალაგე!
ფ ო ს ტ ა ლ ი ო ნ ი. ამოგილაგებ, სათითაოდ ამოგილაგებ,
ამასთანავე არ მოგაწყენ, მოკლედ გაგაცნობ
აზრთა რაობას, მიმობნეულს ამ ქაღალდებზე.
ამათში მხოლოდ ყურადღების ღირსია ერთი,
მდიდარ ბანკირის, კლაუდიოს ბარათის არსი.
ის საიდუმლო თათბირისთვის გიწვევთ ვილაში.
თუმცა არა წერს, მაგრამ ჩვენ რა გაგვეპარება.
ექიმ მორტონის სანარკოზო ნივთიერების
დაპატენტება. აი, აზრი აქ მოქცეული.
ამაში კი... (უჩვენებს მეორე წერილს)
ნ ო ტ ა რ ი უ ს ი. დატოვე! გასწი!
ფ ო ს ტ ა ლ ი ო ნ ი. სად გავსწიო? ფოსტის ცხენი ვარ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხენი სხვას ფიქრობს,
მხედარი სხვასა.
თქვენ რას მიბოძებთ
მე ფეხის ფასად?
არვის გავუმხელ
არაფერს, არსად,
თუ კი ეს მოსვლა
არ დამეთარსა.
(ნოტარიუსი აძლევს ფულს)
გამობრძმედილნო ცხოვრებაში, გტოვებთ, ნახვამდის!
უნდა გავსწიო კეთილ ხალხთან, კიდევ შემორჩნენ.
(გადის სიმღერით:)
ისე, როგორც შეჰფერის,
მიდის დამტარებელი,
ზოგის დამდარდებელი,
ზოგის გამხარებელი.

კანონიკი. საიდან იცის შინაარსი წერილებისა?
ყველა ფურცელი მონდომებით დაწებილია.

ნოტარიუსი. არ გაგიგიათ? სულწასული ფოსტმეისტერი,
თფუი, ეშმაკს, გახლავთ მეტად ცნობისმოყვარე,
აუცილებლად ყველა წერილს გადაიკითხავს,
იმდიდრებს ცოდნას და იოკებს სულწასულობას.
დამტარებელსაც, ამ ყეყეჩსაც არ ერიდება,
მის თანდასწრებით ბარიტონით კითხულობს ხშირად.

კანონიკი. დამტარებელმა რომ ახსენა...

ნოტარიუსი. ჰო, კლაუდიო?

კანონიკი. და მორტონიც.

ნოტარიუსი. ეგ კლაუდიო ბანკირია. მეტად გაქნილი,
ხოლო მორტონი ექიმია, ცხვარი საკრეჭი.
აღმოაჩინა სასწაული, ჯერ არნახული,
არგაგონილი, საოცარი ნივთიერება,
რითაც ავადმყოფს აძინებენ და ქირურგები
ოპერაციას უკეთებენ გულდამშვიდებით.

კანონიკი. და კლაუდიო...

ნოტარიუსი. ქსელში აბამს გამომგონებელს.

კანონიკი საიდან იცით?

ნოტარიუსი. დამიჯერეთ, ასე იქნება.

კანონიკი. მაშ, სამართალი? დიდმეცნიერს როგორ
შეჰკადრებს?

ნოტარიუსი. ღმერთს გაჰყიდიან, მშობელ დედას არ
დაინდობენ,
და დაიჯერებთ ხელი უშვან სარფიან საქმეს?

კანონიკი. მაშ, სამართალი?

ნოტარიუსი. ზღაპარია.

კანონიკი. ვერ დავიჯერებ.

ნოტარიუსი. მე ევროპიდან სამართალმა გამომაძევა,
ახალმოშენემ აქ მოვითქვი სული ლტოლვილი
და მაშინათვე დამეძგერა უსამართლობა.
ნუ დაიჯერებთ. თქვენ სად ცხოვრობთ? აქვე, ჩემს
გვერდით.
ნუ დაიჯერებთ თუ კი გულით არ გეჯერებათ.
ეს მატერიკი ორჯერ იქნა აღმოჩენილი,
იგი მესამედ მე, მოხუცმა აღმოვაჩინე
და მას დავარქვი ავაზაკთა სააპარეზო.
მე რომ შემეძლოს ამერიკას გავაუქმებდი
და ხელმესამედ არასოდეს აღმოვაჩენდი.

კანონიკი. თქვენ ნუ ჩაიდენთ უმსგავსობას სიმდიდრის
ფასად,
საკუთარ ნამუსს ქალწულივით ჰმართებს სიფრთხილე,
რათა შემთხვევით არ აერთვას უბიწოება.
თუ ქალიშვილმა საქალწულე აპკი დაჰკარგა
მისი აღდგენა შეიძლება ქირურგის დანით,
მაგრამ სიბილწე მასში უფრო გაიდგამს ფესვებს
და საშიშია ქვეყნისათვის. მათ როგორც გველებს,
შეპარულებს ხალხთ სადგომებში, უნდა მოსპობა,
რათა მარადი მაგალითად იქცნენ სხვებისთვის...
მორტონს მოეშვით, მისმა მამამ სისხლი გაიღო,
რათა ჩვენ მშვიდად გავყოლოდით ცხოვრების ბილიკს.
მან სიკვდილის წინ დაუბარა თავის მეგობარს...
თეთრი დელფინი ოდესმე თუ გაგიგონიათ?

ნოტარიუსი. დიახ, მამაო.

კანონიკი. ჰოდა, იგი მფარველობს მორტონს.
თქვენ შეგიძლიათ კლაუდიოს დაგებულ მახეს
არ მოაყოლოთ მეცნიერი, რომელიც მხოლოდ
თავისი საქმით გართულია და არცა ეჭვობს,
პარაზიტები რომ ეძებენ მაგგვარ საკბილოს.
სხვათა და სხვათა... ათასნაირ მიზეზთა გამო
მე, ხელებშეკრულს, ამ საქმეში ჩარევა არ მსურს,
თორემ ვერავინ დამასწრებდა გახსნას კვანძისას.
ვინც კარიერას და სიმდიდრეს გაედევნება
მეცნიერებას ეთიშება საბედისწეროდ.
ის ცხოვრობს მხოლოდ დღევანდელი ცხოვრებისათვის.
ამგვარად ყოფნას სიცოცხლეც კი არ დაერქმევა.
ამიტომ მორტონს, დიდ მეცნიერს, არა ჰგონია,
რომ იგი გახდა ობიექტი დასაძიძგნავი.
წუპაკ საქმეში არასოდეს არ გაერიოთ,
თვალისჩინივით გაუფრთხილდით საკუთარ ნამუსს.
ნუ აენთებით გამდიდრების მწვავე სურვილით.
აი, რას ამბობს სახარება წმიდა ლუკასი:
„უადვილეს არს მანქანისა საბელი ხვრელსა
ნემსისასა განსვლად, ვიდრე მდიდარი
შესვლად სასუფეველსა ღვთისასა.“

ნოტარიუსი. მიბრძანეთ ერთი: დაძინება თუ ეურჩება
განგებას ღვთისას?

კანონიკი. (წამოდგება და სიარულს დაიწყებს)
შეგახსენებთ, ბატონო ჩემო.
ღმერთმა ადამი როცა ნახა დაძინებული,
გვერდიდან ნეკნი ამოუღო, რათა შეექმნა
მშვენიერ სქესის წარმომშობი ამ ქვეყნად — ევა.
თუ ღმერთს დასჭირდა მიემართა მძინარისათვის,
ადამიანებს მით უმეტეს სჭირდებათ იგი.
ჩემი თხოვნაა გულითადი: ნუ მიაძინებთ
საკუთარ ნამუსს.

ნოტარიუსი. შევეცდები, მამაო ჩვენო!

## სურათი III

კლაუდიოს ბინა. არიან მორტონი და კანონიკი.

მორტონი. ამ ქვეყანაში დასასრული აქვს ყოველივეს,
მხოლოდ ჩემს სევდას დასასრული არა ჰქონია.
მე კლაუდიოს ვუჯერებდი, რადგან მეგონა
არ ჰქონდა სული მდაბალი და მერკანტილური.
ახლა ვრწმუნდები: სულიერი მეტამორფოზა
გამდიდრებულის მანკიერი ხვედრი ყოფილა.
მემკვიდრეობით მიღებული მისი სიმდიდრე,
არა თუ მისთვის, სხვისთვის იქცა უკვე ხაფანგად.
ჩვენი ბანკირი, უმდიდრესი მემამულის ძე,
მოდის ზვავივით და ოჯახებს ანგრევს გზა და გზა.

კანონიკი. ჩემო კეთილო, რათ მიმართეთ ამ კლაუდიოს?

მორტონი. თვითვე მირჩია დამდგომოდა გამოგონებით
მოსალოდნელი შემოსავლის მომწესრიგებლად.

კანონიკი. მე კი გირჩევდით მიგემართნათ
მთავრობისათვის.

მორტონი. ამერიკაში თქვენ ამაოდ დაუწყებთ ძებნას
იმგვარ მთავრობას, გონებაში რომ დაგვისახავს,
რომ ერთმანეთის მსახურები ვიყოთ გულღია.
ძალაუფლება ჩავაბარეთ და არ ვთხოვთ პასუხს.
ალბათ, ამიტომ გათამამდნენ და გაყაჩაღდნენ.
მთავრობას მუდამ საკუთარი საზრუნავი აქვს,
არა სცალია ხალხისათვის, რადგანაც ხალხი
ნაყარ-ნუყარი მასალაა მთავრობისათვის.
აირჩევს იმას, რაც საკუთრად მასვე სჭირდება
განმკარგულებლის პოზიციის განსამტკიცებლად.
ვინ არის ხალხი? ვის სცალია მასზე საფიქრად?
დიდიხანია განცხადება მივართვი კონგრესს,
ვერ მოიცალეს, ვინა ვარ მე? არარაობა,
რადგან მთავრობა თვით გამხდარა არარაობად.
თუმც არც ასეა, ამერიკის განსადიდებლად
მომავლისათვის ჩემი ღვაწლი საკმარისია.
ის კაცუნები, მთავრობაში დღეს რომ გამძვრალან,
შემორჩებიან ისტორიას ავაზაკებად.
ამ გაქსუებულ ყალთაბანდებს როგორ შეასმენ
დიადი საქმის სულსა და გულს, ყრუნი არიან.
უპატრონოა ეს ქვეყანა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

კ ა ნ ო ნ ი კ ი. იყუჩე შვილო.
მაღლით ღმერთია კაცთა მოდგმის მწყემსი კეთილი.
მ ო რ ტ ო ნ ი. ღმერთი შორსაა. მე მჭირდება ადამიანი,
ადამიანი, ვინც ჩემს გვერდით შრომობს და ფიქრობს.
ადამიანი, ვინც ამაღლდა ჩვენივე ნებით,
რომელმაც იცის სადღეისო გულისწუხილი
ყოველ ჩვენგანის. მაგრამ გაჰქრა ადამიანი
ჩვენგანვე შექმნილ სამთავრობო სიმაღლეებზე.
კ ა ნ ო ნ ი კ ი. ვაკეში მყოფი სხვანაირად ხედავს ქვეყანას,
მთაზე შემდგარი მიესწრაფვის უსაზღვროებას.
მ ო რ ტ ო ნ ი. ეს კარგად ვიცი: მთა და ბარი არ გასწორდება,
მაგრამ გონება, — კაცთა მოდგმის დიდი სიმდიდრე
უნდა გადასწვდეს მთელ ქვეყანას ხალხთა სიკეთედ.
კ ა ნ ო ნ ი კ ი. ამ პლანეტაზე ეგ სიმდიდრე ერთადერთია,
რაც ბრძენმა ღმერთმა ყველას მისცა თითქმის თანაბრად.
მ ო რ ტ ო ნ ი. ეგ როგორაო?
კ ა ნ ო ნ ი კ ი. არვის უთქვამს: არ მაქვს გონება.
ჭკუის სიმცირეს არ უჩივის ქვეყნად არავინ.
მ ო რ ტ ო ნ ი. აღიარება ამ საკითხის ერთი მხარეა,
მაგრამ ცხოვრება სხვას გვიჩვენებს... ეჰ, კლაუდიო
კვლავ იგვიანებს. მე კი საქმე მიხმობს სასწრაფოდ.
როგორც ძველ ნაცნობს, გაგიბედავთ, რათა გადასცეთ
ჩემი სურვილი ბატონ ბანკირს, მტერს თუ მოკეთეს
ვერ გავერკვიე. ჰოდა, მინდა დათანხმდეს ჯექსონს.
მე ვიცი ჩემი მასწავლებლის პატიოსნება.
და თუ ის ითხოვს შემოსავლის მხოლოდ ათ პროცენტს,
ეს იმას ნიშნავს, რომ დამითმო მან ლომის წილი,
მაგრამ არა სთმობს პრიორიტეტს აღმოჩენისა.
ბრძოლა გრძელდება და არ ვიცი რით დასრულდება.
მე ძლივს ვიკავებ სულის ღელვას, მირჩიეთ რამე.
კ ა ნ ო ნ ი კ ი. იყუჩეთ-მეთქი, ახალგაზრდავ, იყუჩეთ-მეთქი.
ნუ აფაფრდებით, არ დამდგარა ჟამი განკითხვის.
ვით ზღვაში შეჭრილ პიტალო კლდეს ეხეთქებიან
დიდი ტალღები, აფაფრულნი, გამძვინვრებულნი,
ასევე გელით მოვლენათა შემოტევანი.
მაგრამ კლდე იგი დაშთენილა კვლავ კლდე-პიტალოდ,
მხოლოდ ტალღები დაფშვნილან და უკუქცეულან.
მ ო რ ტ ო ნ ი. რომ უფრო დიდი მძულვარებით
ძალმოცემულმან
დაამხოს იგი ხელახალი შემოტევისას.
კ ა ნ ო ნ ი კ ი. იყუჩეთ-მეთქი! კარგად ვიცნობ ზღვათა
სტიქიონს.
მე, ზღვის მგელს... როგორც იტყვიან... და დაიმოწმებენ,
მესმის ცხოვრების აზვირთების დაუნდობლობა.
იმედიანად უნდა ცქერა და მომზადება.
მ ო რ ტ ო ნ ი. მხოლოდ იმედი დამრჩენია მომავლის დღეთა.
კ ა ნ ო ნ ი კ ი. განათლებულის იმედები ხშირად მეტს ნიშნავს,
ვიდრე სიმდიდრე, თუნდ უსაზღვრო, გაუნათლებლის
მ ო რ ტ ო ნ ი. იმედის აფრა დამიფლითა მოყვასის მტრობამ.
ჩვენი მთავრობის გულცივობამ სული დამიზრო.
მე ვგავარ ტაძარს, უწინ დიადს, დღეს მიტოვებულს,
რომელსაც ახლა ეშმაკები ეუფლებიან.
კ ა ნ ო ნ ი კ ი. ურაგანის დროს დიდი ხენი წელში ტყდებიან,
ბალახები კი თავისუფლად, თავს მშვიდად გრძნობენ.
მ ო რ ტ ო ნ ი. დიდია ჩემი საწუხარი, რადგან დიდია
გაწეულ შრომის და შედეგის უცნაურობა.
კ ა ნ ო ნ ი კ ი. დიდ ზღვაში დიდი გემით უნდა განავარდება,
მშვიდ ყურეში კი ნავით მშვიდად შეიძლებ ცურვას.
ის, ვინც სიცოცხლეს გონივრულად გამოიყენებს,
მას ცხოვრებაში დამარცხება არ უწერია.
მოწყალე თვალით გადმოხედავს მაღლით უფალი.
მ ო რ ტ ო ნ ი. დიდება უფალს, მაგრამ საქმეს გულცივად
არჩევს.
მას ხომ კეთილნიც მიმართავენ და ბოროტებიც.
კ ა ნ ო ნ ი კ ი. ადამიანი თავის ძალას უნდა დაეყრდნოს,
არ იქონიოს ციურ არსთა მცირე იმედიც,
რადგან ზეცაში არ არიან ის არსებანი,
ვისაც ვმორჩილებთ, ჩვენი რწმენით ღმერთებს რომ
ვარქმევთ.
მაგრამ უმისოდ ჩვენ ცხოვრება არ შეგვიძლია.
კეთილ საქმეებს მოვათავსებთ გარკვეულ რიგში
და სათავეში დავასკუპებთ ღმერთს — გამოგონილს,
და ერთის სახელს: კეთილ ღმერთის სახელს მივაწერთ
ყოველ სიკეთეს, ჩვენი აზრით რაც სიკეთეა.
და ასე შემდეგ... ყოველივეს ჰივუჩენთ ადგილს.
მ ო რ ტ ო ნ ი. ეგ, თქვენ, მამაო?..
კ ა ნ ო ნ ი კ ი. ჰოო, შვილო. რა არის ღმერთი?
ჩვენი გონების, ჩვენი ნდომის ტკბილი ნაყოფი.
ასეა, რადგან ადამიანს სჭირდება რწმენა...
ღმერთი კაცთმოდგმის არის საფარი,
არვინ ყოფილა მისი მნახველი.
ღმერთის მყოფობა არის ზღაპარი,
იგი ჩვენშია რწმენის სახელით.
მ ო რ ტ ო ნ ი. ეგ, თქვენ... მამაო?
კ ა ნ ო ნ ი კ ი. ჰოო, შვილო. ასეა, შვილო.
ადამიანებს უნდა სწამდეთ ვინმე ან რამე,
ისე ცხოვრება უმძიმესი ხვედრია ქვეყნად.
მ ო რ ტ ო ნ ი. მამაო ჩვენო! თქვენს ნაუბარს დავუფიქრდები.
რაცა თქვენ ბრძანეთ სიმართლეს ჰგავს.
დავუფიქრდები...
ამბობენ: ერთმა რომაელმა იმპერატორმა,
ხელს რომ აწერდა სასიკვდილო განაჩენს, თქვაო:
„უბედური ვარ, უბედური, წერა რომ ვიცი."
მე კი ვიტყოდი: უბედური არა ვარ, რადგან,
ძალმიძს ვიფიქრო და ნაფიქრი ავწონ-დავწონო
ასე, მამაო! გულმხურვალედ გემშვიდობებით.
თქვენს კეთილ საქმეს შვილიშვილნი მოიგონებენ.
(ხელის ჩამორთმევით სცილდებიან ერთმანეთს)
კ ა ნ ო ნ ი კ ი. ეს ახალგაზრდა ჭეშმარიტად მეცნიერია.
მეცნიერებას არა ჰყოფნის ერთი სიცოცხლე
და სიცოცხლეში მოსავალი მეცნიერების
ძნელზეძნელია მოსამკელად. მისი ნაყოფი
სხვა თაობათა წილხვედრია, მათი შუქია.
ეს ახალგაზრდა სამწუხაროდ განწირულია,
რადგან ცხოვრება მეტისმეტად უმადურია.
ნათელ გონებას და კეთილ გულს, პატიოსნებას
წინ აღსდგომია ეს ცხოვრება დამყაყებული.
დიდების ნაცვლად სიცოცხლეში მარცხი მოელის,
ბრძნული ნაყოფი სამოშივე გაწყალებულა.
(ეზოში შემორბის ნათან, თან გაზეთს აფრიალებს)
ნ ა თ ა ნ. სადა ხართ ხალხნო! შემოჯარდით! ისმინეთ ყველამ:
თეთრი დელფინი ზღვაში ისევ ადგაფუნდება,
თეთრი დელფინი! (შემოდის კლაუდიო)
კ ლ ა უ დ ი ო. რას ღრიალებ!
ნ ა თ ა ნ. ოჰ, მამაჩემო,
თეთრი დელფინი ცოცხალია...
კ ლ ა უ დ ი ო. ვინ ოხერია!
ნ ა თ ა ნ. შენ აგრერიგად მის ხსენებას ვერ მოგიწონებ.
ის რესპუბლიკის მტრების რისხვად გვევლინებოდა.
კ ლ ა უ დ ი ო. თეთრი პირატი? რესპუბლიკა, ოხ,
რესპუბლიკა!
ნ ა თ ა ნ. ნუ, მამაჩემო, ნუ ეძახი გმირთაგმირს პირატს.
მოხუც კანონიკს ოი, რარიგ გაუხარდება!
სადა ხარ, სადა? საღ გეძებო კეთილო ძია.
(შედიან დარბაზში)
აქ ბრძანდებით?
(მისალმება. შემოდიან ანა და მერი)
ა ნ ა. (კლაუდიოს).
იგვიანებთ. დიდი ხანია
ჩვენი მოძღვარი გელოდებათ, ჩემო ბატონო.
ნ ა თ ა ნ. თქვენ თუ გაიგეთ საოცარი ესე ამბავი?
კ ა ნ ო ნ ი კ ი. ეგ რაზე ბრძანეთ? საოცრების არა მწამს, არა.
თქვენთვისაც მითქვამს არაერთგზის... მომეცით...
წყალი...
ვერა ვარ კარგად. აღსასრული მიახლოვდება.
(ნათანი წყალს აწვდის)
გულის შეტევა ძლიერდება საბედისწეროდ.
ყველაზე ზუსტად გულის სნებით შეპყრობილები
გრძნობენ სიკვდილის დაუნდობელ მოახლოებას.
ასე... მოვსულვარ, რომ შეგხედოთ უკანასკნელად.
ა ნ ა. რად ბრძანებთ აგრე, კანონიკო.
კ ა ნ ო ნ ი კ ი. ასე კია და...
ნ ა თ ა ნ. იუწყებიან...
ა ნ ა. ადამიანო, დაასვენე.
(კანონიკს)
პირველ ნახვითვე შეგიყვარეთ, როგორც მშობელი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სულ მარტოდმარტო დარჩენილი შორს, ესპანეთში.
(ტირის)
კანონიკი. ცრემლი არ გინდათ, მოწყალეო... ანა გოგონი.
ო, მაპატიეთ ქალბატონო, მოხუცს, მომაკვდავს...
(ანას დაჟინებულ ცქერაზე მოხუცი თავს ჰხრის)
წყალი...
(ანა აწვდის წყალს).
ანა. ბატონო, ღელავთ? მშვიდად... გაძლევთ უფლებას
მომმართოთ ასე. ოცი წლის წინ... რა დრო გასულა!
სამამამთილო, ცხონებული, ასე მეძახდა.
ნათან. თქვენ მოგმართავთ, არ მომისმენთ?
კანონიკი. ჩვენ გისმენთ, ნათან.
ნათან. აი, „ბოსტონის ყოველკვირის მიმოხილვაში“
იუწყებიან: დავადგინეთ, რომ მეკობრენი
თურმე ღალატით თავს დასხმიან თეთრ დელფინს
ზღვაში.
თეთრი დელფინი ამ ბრძოლაში გადარჩენილა
და სხვის ტანსაცმლით უგზო-უკვლოდ გადაკარგულა.
მისი ხომალდი, მეკობრეთგან მიტაცებული
მის ერთ მეგობარს რაღაც ხერხით ხელთ ჩაუგდია.
მან სამ წელიწადს მოიარა მთელი მსოფლიო,
დიდი თუ მცირე ზღვა, კუნძულნი უკაცრიელნი.
ეძებდა გმირთგმირს, ბილწ ღალატით ძლეულს და
დევნილს...
სთხოვს ხელისუფალთ, რომ მოძებნონ თეთრი დელფინი,
რათა ზეიმით ჩაიბაროს იგი ხომალდი,
სახელოვანი, რესპუბლიკის მტერთა მზარავი.
ისმინეთ ყველამ: მეგობარი ეძებს მეგობარს,
ბედისგან ასგზის განწირულს და იმავ ბედისგან
კაცს ასმეერთედ ამაღლებულს მეშვიდე ცამდე.
(კანონიკი აჩქარებულად სუნთქავს.
კარებზე ძალუმად აკაკუნებენ)
ხმა გარედან. გახსენით კარნი!
(ნათანი აღებს კარებს. შემოდის ხუთი მეზღვაური.
შეიარაღებული მეთაურის გვერდით მოდის მხატვარი)
მეზღვაურთა მეთაური. ბატონებო! დიდი ბოდიში,
აქ მომასწავლეს.
შინ თუ ბრძანდება კლაუდიო, სახლის პატრონი.
კლაუდიო. მე ვარ! რა გნებავთ?!
მეზღვაურთა მეთაური. მხოლოდ სიმართლე! თქვით
სად არის თეთრი დელფინი!
ანა. რაო, რა ბრძანეთ?
ნათან. ვინა?
მერი. აა?!
კლაუდიო. რაო?
მეზღვაურთა მეთაური. მე გეკითხებით: მამათქვენი
სად არის ახლა,
სახელგანთქმული მეომარი თეთრი დელფინი,
კაპიტანი რიპო რიენო!
კანონიკი. (აღელვებული)
ჯეკ! (იგი გაოცებით აცქერდება კანონიკს)
მხატვარი. ამ კანონიკთან ვიყავ წუხელ, ძილში ბოდავდა
სადა ვკვდებიო გარიყული თეთრი დელფინი.
(კანონიკი გადაიძრობს პარიკს)
ჯეკ. რიპო!
რიპო. ჯეკ!
(ჯეკი მივარდება და გადაეხვევა. ანა გულწასული ეცემა
სავარძელში. ყველა გაშეშებულია. ნათან, თითქოს ბუ-
რუსიდან გამორკვეული, მიდის რიპოსთან)
ნათან. მაშ, ყოველივე, რაც მიამბეთ, თქვით, მართალია?
(დაუჩოქებს)
ო, კიდევ ერთხელ, მხოლოდ ერთხელ დამიდასტურეთ
ან უარჰყავით!..
რიპო. სიმართლეა, მწარე სიმართლე.
ნათან. მაშ, მამაჩემი... ძმის მკვლელია? ვაიმე, დედა!
რიპო. იყუჩე შვილო. გაუძლი უეცარ დარტყმას.
ასე არ მსურდა, მაგრამ მოხდა... წადი, გაშორდი
წყეულის ბუნაგს.
(იხსნის ქამარს და აწვდის)
ამ ქამარშია ჩემი ანდერძი.
შენთვის მაქვს კერა სამშობლოში, იქ, ესპანეთში.
იქ ანას მსგავსი ანგელოზნი იბადებიან.
მე რაც გამაჩნდა აგრერიგად გავანაწილე:
შენ, შენს დას მერის, ანა—გოგონას, ექიმ მორტონს,
იმ ბედუკუღმართ და უდიდეს გამომგონებელს.
მას მამაშენმაც აურია გზა-კვალი, შვილო.
დღეს, ჩემმა შემცვლელ კანონიკმა წაუღო ფული
და ამ ანდერძით რაც ეკუთვნის სწრაფად გაეცი...
მოშორდი ამ სახლს, მხოლოდ დედას ნუ დაივიწყებ.
მოშორდი აფთარს.
კლაუდიო. გეკითხები: შვილს რატომ მართმევ?
რიპო. მეც გეკითხები: რათ წამართვი შვილი და ცოლი,
შვილიშვილები, სიხარული, რძლის თბილი გული·
არაფერს გართმევ, არას გერჩი უძღებო შვილო.
მე ჩემს შვილიშვილს ვუანდერძე სიმართლია შუქი.
შენ კი, უძღებო, ვერ შეგინდობ სიკვდილის ჟამსაც.
კლაუდიო. თუმცა მამა ხარ, თვით უფალსაც ვერ ვაპატიებ
ამ სისასტიკეს, თავის მოჭრას, ვერ გაპატიებ.
(იძრობს რევოლვერს)
ნათან. ჯერ მე მესროლე და ჩემს მკერდზე გადაიარე,
მოკლე გზით მიხვალ...
ჯეკ. (მივარდება კლაუდიოს)
იარაღი მომეცი-მეთქი!
თუმცა იარაღს ლაჩარისთვის არავინ სჭედავს,
ლაჩარის ხელში უფრო ხშირად იცის ქუხილი.
შენს ოქროს ტომრებს დაუბრუნდი დიდო კაცუნავ.
მომეცი ახლავ!
(აართმევს რევოლვერს)
დაუბრუნდი საჩხაკუნებელს!
მიზნის მიღწევა შენ გველური სრიალით იცი...
შენ, ჩემო ნათან, გაუმთელებ დაჭრილ გულს პაპას,
რომელიც შენი სიყვარულით ცოცხლობდა მხოლოდ
და ამით შესძლო მოქალაქის ვალის გადახდა
თანამზრახველთა და წინაშე რესპუბლიკისა.
მეზღვაურებო! გაუმარჯოს რიპო რიენოს,
რკინის კაპიტანს!
მეზღვაურები. ვაშა და ვაშა ბებერ კაპიტანს!
ჯეკ. რკინის კაპიტანს!
მეზღვაურები. რკინის კაპიტანს, ჩვენს თეთრ დელფინს
ვაშა და ვაშა!
რიპო. საჭურველი ნეტავ ჩამაცვა,
უკანასკნელად, სიკვდილის წინ...
ჯეკ. ჯონ! ჯეკ! დინ! ბულ! ბობ!
(მეზღვაურებს შემოაქვთ რიპოს ტანსაცმელ-საჭურველი)
ათი წელია ამ დღის რწმენით ვუფრთხილდებოდი
უკანასკნელი შენი ბრძოლის უტყვ მონაწილეს.
რკინის კაპიტანს შესამოსი მოუსადაგეთ!
(ჩააცმევენ)
რიპო. ძმებო! დიდება რესპუბლიკას!
მეზღვაურები. ვაშა! დიდება!
რიპო. ისმინეთ ჩემი ეს ბრძანება — უკანასკნელი:
მე ექვსათეულ წელიწადის საზღვარზე ვდგევარ
და მომიჯნავედ სიკვდილია მხოლოდ და მხოლოდ.
ამიტომ ვბრძანებ:
დაუნდობლად ჟლიტეთ ყველანი,
მოსპეთ ყოველი, უზოგველად, რაც წინ შემოგხვდეთ
დამაბრკოლებლად სამშობლოის დიდების გზაზე.
იყავით მუდამ ჩვენი ქვეყნის მცველთა რიგებში
მეწინავენი, არასოდეს არ დაიხიოთ,
თუნდაც ატლანტის ოკეანე აზავთდეს თქვენს წინ.
სამშობლოსათვის ვაჟკაცური სიკვდილის წილხვედრს —
დიდებას თქვენსას ვერაფერი დაებურება.
ეგ, დაფლეთილი და ბრძოლებში ბოლომომწვარი,
ჩვენი სახელით გაუგზავნეთ, დროშა, პრეზიდენტს.
იყუჩეთ ახლა და მაცალეთ მოვკვდე გულმშვიდად,
თუ ჩემს ბედში მყოფს შეუძლია იყოს გულმშვიდი.
მე ცხოვრებაში შემხვედრია ბევრი ღალატი,
მაგრამ არასდროს არავისთვის მიღალატია.
მე კი მღალატობს... საკუთარი... გული მღალატობს.
მეტს ველარ იტანს ბებრის გული, ტანჯული გული.
ჯეკ. რკინის კაპიტანს რკინის გული არ უღალატებს.
რიპო. ეგ რკინის გული ჯოჯოხეთურ ღალატთა ღუმელს
ვერ გადაურჩა უვნებელი, დაუფერფლავი.
ჩამოჰკრა ზარმა, დრო მოვიდა, განკითხვის ჟამი.
მკერდში მიქრება ნაღვერდალი უკანასკნელი.
თქვენ წამასვენეთ ჩემს ხომალდზე. იმავე წესით,
ჩვენ რომ ვიცოდით, გადამიშვით უძირო ზღვაში,

სადაც უკლებლად რესპუბლიკის და ჩემი საქმის
თანამებრძოლნი და მართალნი განისვენებენ.
ანა — გოგონი! მოდი შვილო, მსურს შენს კალთაზე
მტანჯავ ფიქრებით გაბურღული თავი ჩამოვდვა
და მოვკვდე მშვიდად, ვით კვდებიან სისხლდაცლილები,
გამარჯვების წინ ბრძოლის ველზე დაცემულები.
(ანა ტირილით უახლოვდება)
ჯ ე კ. შენ საჭირო ხარ, კაპიტანო, საქმენი გხმობენ.
რ ი პ ო. იმ გემს გაბარებ, ემსახურე სამშობლოს შენსას,
იმ ძველებური აღგზნებით და თავგამოდებით.
ეს შენ გიხმობენ დიად საქმის გასაგრძელებლად.
გონიერებას უხმე მუდამ. არ გაცუდდები.
მე კი... მას შემდეგ... უკეთესი არ მინატრია,
ვიდრე სიკვდილი, ეჰ, ოჯახურ სიმყუდროვეში.
შვილო ანა...
ა ნ ა. აქა ვარ მამა!
რ ი პ ო. იყავ დღეგრძელი...
(კვდება. ყველანი თავებს დახრიან)
ჯ ე კ. უმტყუნა გულმა მას პირველად
და ეს აღმოჩნდა უკანასკნელი.

## მოქმედება მესამე

### სურათი I

მორტონის ბინა. მორტონი და ლოლიტა. მორტონი აკეთებს ხელსაწყოს. ლოლიტა კემსავს მორტონის შარვალს. გარედან ისმის სიმღერის ხმა.
ხ მ ა:

ახალგაზრდა ბებერი
მოდის დამტარებელი,
გავახარებ, ვინც არის
ჩეძი გამხარებელი.

(შემოდის ფოსტალიონი)
ფ ო ს ტ ა ლ ი ო ნ ი. სალამი მტრედებს!
მ ო რ ტ ო ნ ი. სიხარული ნუ დაგელევათ.
ფ ო ს ტ ა ლ ი ო ნ ი. სასიხარულოს ეს ქვეყანა არაფერს მაძლევს.
ამ ბარათების პატრონები მასაჩუქრებენ.
მ ო რ ტ ო ნ ი. წესი წესია, ჩემო კარგო, მიიღებთ კუთვნილს.
იქნებ ბარათი იუწყება სასიხარულოს.
ფ ო ს ტ ა ლ ი ო ნ ი. რა მოგახსენოთ. ცხვირის ჩარგვა სხვათა საქმეში
არა მჩვევია. პატიოსანს არ ეკადრება.
(აწვდის წერილებს)
მ ო რ ტ ო ნ ი. თქვენ ჩემთან მუდამ კარგი ამბით მოდიხართ ძმაო,
თქვენი დანახვა, შორიდანაც, გულს უხარია.
ჩემს ჰორიზონტზე ერთი თვეა აღარ მოსჩანდით.
ფ ო ს ტ ა ლ ი ო ნ ი. თქვენთან მასლაათს არაფერი არ მირჩევნია.
დიდს და პატარას, როგორც ტოლი ესაუბრებით.
გქონდეთ სიმდიდრე, კარისკაცად დაგიდგებოდით,
ამდენ ხეტიალს ბრძენთან ყოფნას ვამჯობინებდი.
საღამოობით ჭიქა ჩაის შევექცეოდით,
თქვენ მიამბობდით ათასნაირ საოცრებაზე,
რაც კი არსებობს სამყაროში. მე გიამბობდით
ადამიანთა უსულგულო სულზე და გულზე.
თქვენ კარგად უწყით საიდუმლო საოცრებათა,
ადამიანთა ბნელ ბუნებას მე აგიხსნიდით.
თქვენ მიამბობდით, რა ახარებს ადამიანებს,
მე გიამბობდით, როგორ ფლეთენ ადამიანებს.
ეჰ, ბევრზე ბევრი გვექნებოდა საამსოფლიო
სიხარულზე და კაეშანზე სამუსაიფო.
მ ო რ ტ ო ნ ი. ჩემი პატარა სახლის კარი ღიაა თქვენთვის.
როცა დრო გექნეთ, შემოაღეთ შინაურულად.

(ლოლიტა ასწევს შარვალს და განაკერს შუქზე გახედავს)
ფ ო ს ტ ა ლ ი ო ნ ი. ჩვენო ექიმო, ტანსაცმელი შემოგხუნდათ,
არ დაიდარდოთ. განახევში მხოლოდ ბრიყვები
იჭყიტებიან, რადგან ჭკუა სხვაფრივ არ ჰყოფნით.
მოვა სიმდიდრე. სამართალი მიირთმევს საჭმელს.
უსმელ-უჭმელი სამართალიც ჰლექიანდება.
ახლა ბოდიში. მე წავედი, კარგად მეყოლეთ.
საქმენი მხმობენ, დაყოვნება არ შემიძლია.
მ ო რ ტ ო ნ ი. ო, მოითმინეთ, ფეხის ქირა... ბატონო ჩემო!
ფ ო ს ტ ა ლ ი ო ნ ი. არაფერია, ნუ სწუხდებით, კვლავ შემოვივლი. (გადის. მორტონი კითხულობს წერილს)
მ ო რ ტ ო ნ ი. ხედავ, ლოლიტა, ღმერთო ჩემო, გესმის ლოლიტა!
რუსთა არმიის გამოჩენილ ქირურგს პიროგოვს
სადღაც სალტაში, ბრძოლის ველზე, ჩემი ეთერით
უკეთებია უამრავი ოპერაცია.
(წამოდგება და დაიწყებს სიარულს)
ყოჩაღ რუსეთო! შენ დაასწარ ჩემს ამერიკას,
სადაც ფულებზე მეტს ზრუნავენ, ვიდრე ხალხებზე.
იცი? ლოლიტა, მებრძოლისთვის რარიგ ძნელია,
როდესაც იცის თუ დაიჭრა, ტანჯვით მოკვდება.
მას პირველ რიგში ტკივილები უღებენ ბოლოს,
ოპერაცია უხშირესად ამძიმებს ტკივილს.
რარიგ დიდია სიხარული, როდესაც იცის
მის ტკივილებზე მზრუნველობით ფიქრობს სარდლობა.
ასეთ მეომარს უბრალოდ ვერ წამოაჩოქებ,
იგი მგელია, შევარდნილი თხათა არვეში.
უნდა გაგება, აი, ამას უნდა გაგება.
მე ამერიკის კონგრესმენებს ვერ შევაგონე
ამ აღმოჩენის მორალური ძალის სიმტკიცე.
ათასრვაასორმოცდაშვიდის თოთხმეტ სექტემბერს,
როდესაც დიდი სისხლის ფასად დასცეს მეხიკო,
ერთი წლის იყო ჩემი პირმშო — ეგ აღმოჩენა.
ნიუ-მექსიკო, ტეხასი და კალიფორნია
როცა აღმოჩნდა ამერიკის შეერთებული
შტატების ფრთებქვეშ, ზღვიდან-ზღვამდე გადაიჭიმა
ამ სახელმწიფოს ვრცელი მკერდი, მკერდი უგულო,
რადგან გულიანს არ შეეძლო შორით ემზირა
საკუთარ შვილთა სასიკვდილო კრუნჩხვებისათვის.
ხომ გახსოვს რა თქვა სენატორმა თომას კორვინმა:
„— მე რომ ვიყო მექსიკელი, ასე ვიტყოდი:
ნუთუ ადგილი არა გყოფნით თქვენს ქვეყანაში
საკუთარ მკვდრების უცოდველად დასამარხავად!
შემოგვესიეთ? შეგაგებებთ სისხლიან ხელებს
სტუმართმოყვარე საფლავებში მისაბრძანებლად“...
რამდენი შთანთქა სასაფლაოს უძღებმა ხახამ,
რამდენ მეომრის გადარჩენა შეიძლებოდა,
რომ შეესყიდათ აღმოჩენის ჩემი პატენტი.
მე ჩემი შრომის საფასური მინდოდა მხოლოდ.
შემოსავალი მე სხვა მხრიდან არ გამაჩნია
და თუ დავკარგე რაც მეკუთვნის, როგორღა შევძლებ
კვლავ ვიმუშაო, ვიაზროვნო. ჰოდა, მთავრობას
არ გაეგება მეცნიერთა ცხოვრების ხვედრი,
რადგან მას თვითონ უამრავი ოქრო შემოსდის
ათასნაირი არხიოა და ბედის თამაშით.
მასში გამძვრალი ყველა წევრი ივსებს სალაროს.
შენ კი ვინ გდიხარ? შემოსავლის თუ ერთი გზა გაქვს,
მასაც დაგიხშობს, გამოგწუწნის სიცოცხლის ძალას,
რათა მთავრობის ბოროტებას წინ არ აღუდგე...
ბოლოს და ბოლოს რომ ეთხოვათ, ისეც დავთმობდი.
ო, ღმერთო ჩემო! ვის ხელშია ბედი ქვეყნისა!
ლ ო ლ ი ტ ა. კარგი, დამშვიდდი, მღელვარება გაწყენს, ძვირფასო.
მ ო რ ტ ო ნ ი. შენც კარგად იცი, რომ სიმშვიდე არ დაჰყოლია
არსებას ჩემსას...
(კარზე კაკუნი)
ხ მ ა. შეიძლება?
ლ ო ლ ი ტ ა. რატომაც არა, შემობრძანდით!
(კარებს აღებს)
ხ მ ა. აი, წერილი, ბატონ მორტონს!
(გამოღებულ კარებში აწვდის წერილს)
მ ო რ ტ ო ნ ი. ალბათ მევალის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლ ო ლ ი ტ ა. მღელვარება გაწყენს, ბატონო.
(გადასცემს წერილს)
მ ო რ ტ ო ნ ი. (წერილს დახედავს)
ხომ ვთქვი, ასეა. (წერილს მაგიდაზე დააგდებს)
რათ გამომყევი?
ლ ო ლ ი ტ ა. ასე მსურდა.
მ ო რ ტ ო ნ ი. ასე მსურდა... რატომ გლეხად არ დავიბადე,
შენ კი გლეხქალად. გვექნებოდა მყუდრო ოჯახი,
მიწის ნაკვეთი, სახლი, ეზო, ბაღი ხეხილის,
ძროხა და ხარი, ცხენი, ღორი, დიდი ქოფაკი.
ლამაზი ცოლის პატრონს უნდა ჰყავდეს ქოფაკი.
ლ ო ლ ი ტ ა. კარგი, ჰო, კარგი. დაისვენე. ყავას ინებებ?
მ ო რ ტ ო ნ ი. ქვეყნის ნამუსი, უებარი პატიოსნება
მხოლოდ გლეხია თუ ძალით არ გაათახსირე.
ჩვენს ქვეყანაში გლეხიკაცი დაჩაგრულია,
სენატორები საყრდენ მიწას ფეხქვეშ აცლიან.
მის ნამოღვაწარს გულმოდგინედ შეექცევიან,
გამოძღებიან, რათა უფრო დამძიმებულნი
მხრებზე შეასხდნენ და სასუნთქი გზები დაუხშონ.
ის კი არ ესმით, რომ გლეხკაცი თუ მდიდარია,
თვით სახელმწიფოც ძლიერია მტერთა წინაშე.
ღარიბისათვის სულერთია ვინ იბატონებს:
მართლა ეშმაკი თუ კეთილის სახით ეშმაკი,
ოღონდ მიეცი მიწა, სივრცე სასაპარეზო,
თოხით და ბარით ექვეთება პლანეტის საფარს
და დაგიპურებს, შეგიმოსავს ურიცხვ არმიას,
რათა დაიცვა თავი ზინზე ავაზაკისგან
გლეხის გარეშე არაფერი არ შეიქმნება,
თვით ნიუ-იორკი გადიქცევა უვრცეს აკლდამად.
მქონდეს უფლება ვაშინგტონის კაპიტოლიუმს
დაუყოვნებლივ ფერად დროშას მოვაცილებდი
და დავკიდებდი გლეხი ქალის ჩანაცვამ ნიფხავს.
(კარზე კაკუნი. ლოლიტა გადის და ორი წერილით
დაბრუნდება)
ვიცი რაც არის.
(წერილებს გამოართმევს და მაგიდაზე დააგდებს)
სანანური არ მექნებოდა
შენ რომ მაშინვე გაყოლაზე გეთქვა უარი.
ლ ო ლ ი ტ ა. რომელ ქალს უთქვამს სიყვარულზე უარი,
კარგო!
მ ო რ ტ ო ნ ი. რათ შემიყვარე მდიდარმა და ასე ლამაზმა?
ლ ო ლ ი ტ ა. ლამაზ და მახინჯ ქალს არ არჩევს ბრმა
სიყვარული.
ჭკუიანსა და უჭკუო ქალს არას დაგიდევს
სიყვარულია თუ ბუნების გარდუვალობა,
ხოლო სიმდიდრე თვითონ არის ადამიანი.
მ ო რ ტ ო ნ ი. ხომ გაიტანჯე?
ლ ო ლ ი ტ ა. რაა ტანჯვა?
მ ო რ ტ ო ნ ი. ჩემთან ცხოვრება.
ლ ო ლ ი ტ ა. გასათხოვარი ქალიშვილი რომ ვიყო ახლა
და შემძლებოდა წარსულისთვის გადამეხედა,
თვალდახუჭული, უყოყმანოდ კვლავ გაგყვებოდი.
შენც კარგად იცი, რად მაწვალებ? გთხოვ, დაისვენე.
მ ო რ ტ ო ნ ი. მე დაუნდობელ ცხოვრებისგან ვარ გატანჯული
და ამიტომაც ვშრომობ ამდენს, გადაქანცვამდე,
და შრომა ჰკურნავს ჩემი გულის ყველა ჭრილობას.
ლ ო ლ ი ტ ა. მე ისეც ვიცი: შესვენება უხდება შრომას.
(ლოლიტა მივა და ლოყაზე ჩამოუსვამს ხელს)
მ ო რ ტ ო ნ ი. მომეცი ხელი... რად ვერ ვხედავ... ნიშნობის
ბეჭედს...
ლ ო ლ ი ტ ა. ალბათ აქ არის. კარადაში თუ შევინახე.
მ ო რ ტ ო ნ ი. სად არის-მეთქი!
ლ ო ლ ი ტ ა. აქ იქნება...
მ ო რ ტ ო ნ ი. სად არის-მეთქი!
ლ ო ლ ი ტ ა. (ამოოხვრით)
დავაგირავე. მამაჩემი მზითევს მიბრუნებს.
ორ-სამ დღეშიო, ასე მითხრეს, დანამდვილებით.
მ ო რ ტ ო ნ ი. ო, ღმერთო ჩემო, და შენ მაინც არ ნანობ
ჩემთან?...
ლ ო ლ ი ტ ა. ჰო, ნუღარ იტყვი... იცი, ვილი, მივალ მამასთან...
მ ო რ ტ ო ნ ი. ნუ გამაგონებ, ნუ მამცირებ...
ლ ო ლ ი ტ ა. რატომ ძვირფასო,
მამასთან მისვლით ჩემი ქმარი არ დამცირდება.
ის შენ გაფასებს, ასე მითხრეს, გაქებს კიდევაც,
პრომეთეაო ჩემი სიძე, უტრაბახია.
მე მუდამ ვგრძნობდი, მამაჩემი არ გამწირავდა
და ჩემს სიყვარულს, შენს გაყოლას მაპატიებდა.
მე შენთანა ვარ ბედნიერი, ეს იგრძნო მამამ
და მის სიკერპეს აღარ შერჩა ძველი სიმაგრე.
გამიშვი, წავალ. საღამოსთვის აქვე ვიქნები.
მ ო რ ტ ო ნ ი. მიხვალ იმასთან, ვინც მდიდარი კაცის
უფლებით
ვაჟი წამართვა, აქაოდა ვერ მოუვლიო.
ლ ო ლ ი ტ ა. შვილიშვილია.
მ ო რ ტ ო ნ ი. ჩემი?.. შვილი.
ლ ო ლ ი ტ ა. ჩემო ძვირფასო.
შვილს ნადირებიც არა თმობენ, ჩვენ განა დავთმეთ,
ეს მხოლოდ შენი ხელშეწყობის მიზნით კეთდება.
აბა, მითხარი, როცა ნახვა მოგსურვებია
ოციოდ წუთში აქ არ იყო ჩვენი ვაჟკაცი?
გამიშვი, წავალ. საღამოსთვის აქვე ვიქნები.
მ ო რ ტ ო ნ ი. ეს თუ სიხარულს მოგანიჭებს...
ლ ო ლ ი ტ ა. ოჰ, განუსაზღვრელს.
მ ო რ ტ ო ნ ი. მდიდრის ქალიშვილს გატყობ ლტოლვას
სიმდიდრისაკენ.
ლ ო ლ ი ტ ა. წლების მანძილზე ჭირში-ლხინში ერთად
ვყოფილვართ.
არასდროს იყავ ასე მწარე ენის პატრონი.
რა მოგდის ვილი? მე ჩემს კუთვნილს ვეპატრონები.
თუ შენ არ გინდა... ამ კაბასაც გავყიდი ხვალვე.
მ ო რ ტ ო ნ ი. ვიხუმრე, ისე, ჰოდა, კარგო, არ დაგაღამდეს.
(ლოლიტა გადის. ისევ მალე ბრუნდება)
ლ ო ლ ი ტ ა. ის იყო, ჭიშკარს მივადექი, რომ შემომესმა
სარკმლის ხმაური, ვიღაცამ რომ სწრაფად მიხურა.
მოვიხედე და ვნახე მღვდელი, გრძელი, ხმელ-ხმელი,
წვერები ჰქონდა თეთრი, თეთრი...
მ ო რ ტ ო ნ ი. ჩემო ლოლიტა, ნახე მღვდელი კოჭლი,
მსუქანი,
წვერები ჰქონდა შავი, შავი...
ლ ო ლ ი ტ ა. წვერები ჰქონდა შეკრეჭილი, სულ თეთრი,
თეთრი.
მ ო რ ტ ო ნ ი. წვერები ჰქონდა მოშვებული, სულ შავი, შავი.
ლ ო ლ ი ტ ა. გამოცანაა?
მ ო რ ტ ო ნ ი. ჭეშმარიტად!
ლ ო ლ ი ტ ა. სარკმელში რაღაც შემოაგდო...
მ ო რ ტ ო ნ ი. მიდი და ნახე.
ლ ო ლ ი ტ ა. ჰა, ეს რას ნიშნავს?
მ ო რ ტ ო ნ ი. ჩემო კარგო, ვიცი და ვმალავ?
(ლოლიტა გადის. შემოაქვს ორი ბარათი)
ლ ო ლ ი ტ ა. ა, ეს ყოფილა...
(აძლევს ბარათებს)
მე გავფრინდი, კვლავ მოვფრინდები.
(მიდის. მორტონი მიუჯდება მაგიდას. გახსნის ახლახან
შემოტანილ წერილს, საიდანაც გადმოცვივა ფულის
ბანკნოტები)
მ ო რ ტ ო ნ ი. საოცარია, ჩემი ფული არავის ჰმართებს.
რატომ აგზავნის? ვინ აგზავნის? ჰო, აქ სწერია:
„პატივცემულო"... ნდა. ნდა. ნდა. ოჰ, ოჰ, ვერ გავიგე:
დავიმახსოვრებ, არ იქნება რომ არ გამოჩნდეს.
სამაგიეროს უეჭველად...
(დახედავს მეორე წერილს)
ახ, ისევ ჩარლი...
(გახსნის ბარათს)
ხელსაც არ აწერს საცოდავი, ფიქსის მორჩილი.
ასე რამ წარყვნა, რომ მეგობარს მარყუჟს მიმზადებს.
ო, ჩარლი, ჩარლი, არ იფიქრო იქ თავი გავჰყო.
იმ შენს დახლართულ კვანძის გახსნის თვით გეშინოდეს.
თუმცა ამ წერილს თვით კაენის ბეჭედი აზის,
ჩემი ეთერი თუმც გამხდარა მეგობრისათვის
ხედ ცნობადისა კეთილისა და ბოროტისა,
თვითვე უფრთხილდი მოსალოდნელ გრიგალის
გრგვინვას.
ეს დაემატოს კოლექციას ჩარლის საკითხში.
(შეინახავს სქელ საქაღალდეში. გაშლის მესამე წერილს)
აი, მშვიდობის მაძიებელს გავხსენებივარ.
გასაგებია, ყველაფერი გასაგებია.
მიწაში მცხოვრებთ ხის რტოები ფესვი ჰგონიათ,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რამეთუ იგი ამ რტოებით ჰკვებავს იმ ფესვებს.
მიწაზე მცხოვრებთ მიწის ტოტნი ფესვი ჰგონიათ,
რამეთუ იგი ამ ტოტებით ხეს ასაზრდოებს.
ამ ორი ახსნის სიმართლეში ვერ დავეჭვდებით,
რადგანაც არსი ორივესი არის მართალი,
ორივე აზრი მართალია თავისებურად.
ამის ავტორსაც ამდაგვარად გადუწყვეტია,
ჯექსონის აზრი პრაქტიკაში შენ დანერგეო,
ამ აღმოჩენის შემოქმედი ორთავე ხართო.
დაუკითხავად დაგიწყებენ ჭკუის სწავლებას.
ანონიმია. ვაჟკაცობა არა ჰყოფნია.
ჩარლის ბრალია ყოველივე, მან მაშინათვე
იერიქონის საყვირივით მორთო ღრიალი.
განხეთქილების ვაშლად იქცა ფიქსის ჩარევა.
(სათითაოდ კითხულობს ყველა წერილს. ძლიერ
ღელავს. ვერ ისვენებს: ხან დაჯდება, ხან წამოდგება)
ოჰ, წყეულებო! ესღა აკლდა ჩემს მარტვილობას.
(ერთ წერილს დიდხანს დაჰყურებს. დაჭმუჭნის, ისევ
კარგად გაასწორებს. მღელვარე ხმით:)
ო, ღმერთო ჩემო, მოვიქანცე ამდენ ჭიდილით.
არაფერია შეჭიდება უდიდეს ღმერთთან
ულმერთოები რომ მახვილებს ზურგში არ გცემდნენ,
ულმერთოები რომ საჭმელში გესლს არ გიღვრიდნენ,
ულმერთოები რომ სულში სამუმს არ გშთაგბერავდნენ,
ულმერთოები რომ გონებას არ გიბინდავდნენ.
თუ ხარ ღარიბი, რადა ხარო, არ კითხულობენ,
არავინ გაქცევს ყურადღებას, თუნდაც გჭიროდეს
ვით უდაბნოში გზააბნეულს გზა ან მეგზური.
წაბორძიკებულს თუ გნახავენ ხელს უფრო გკრავენ
და წაქცეულის მანჭვა-გრეხვით სულს იოხებენ.
მწყურვალს და მშიერს ვინ მოგაწვდის წვეთსა და
ნამცეცს,
ვინ რად მიიჩნევს ბალახ-ბულახს, გადაგივლიან,
გადაგჯეგავენ, გაგსრესავენ, არც დაგხედავენ.
თუ ხარ ღარიბი, თან ლამაზი ცოლის პატრონი,
რას არ იტყვიან, იყბედებენ, იჭორავებენ.

უპატიოსნესს უზნეობას დააბრალებენ,
ჭორის ჯურღმულში სასიკვდილოდ გადაისვრიან.
შენს ლამაზ ცოლზე ნადირობენ თვით ნადირები.
ხეხილს ხედავენ, მაგრამ ღობეს ველარ ამჩნევენ,
თვალსისხლიანებს ინსტიქტები მიაქანებენ,
ვით ცოფიან ძაღლს სისხლში მჯდარი ავი ძალები.
შენი შვილები მათ სჭირდებათ ყურმოჭრილ ყმებად,
ისევ თავიანთ შვილებისთვის მოსამსახურედ.
თუ ხარ მდიდარი, საიდანო, არ კითხულობენ,
ხარ ყურადღებით გარმოსილი, თუნდაც მშობლები
ავაზაკივით დაუნდობლად გყავდეს ნაძარცვი.
მუდამჟამს პატივს მოგაგებენ, გეფერებიან,
თუნდაც მათს გულში შურის ძალამ ფრთები გაშალოს.
ძალაუფლება თუ ხელთ იგდე, არავინ გკითხავს
ეგ როგორაო! შენი ნიჭით, არწივის ფრთებით
თუ მზაკვრულ ხერხთა უმზაკვრესი გამოყენებით,
ზე ვით ახველი, ღირსეულად — ღირსებით სავსე
თუ მლიქვნელობით, გესლთა ფრქვევით, გველურ
სრიალით.

ადამიანთა უმწეობავ, არარაობავ,
როდისღა ჰპოვებ შენს სამარეს, შვილიშვილთათვის
გარდასულ დროთა სატკივარის მისათითებლად.
მდიდართა ცოლებს თუ მრუშობა ეპატიებათ
და ზოგის ქმარი ამით უფრო წინაურდება,
ღარიბთა ცოლებს, — პატიოსნებს, რაღას ერჩიან!
იქნებ იმიტომ?.. შურისგება?... კეთილინებონ
და კვლავ ერთმანეთს მიაგებონ მისაგებელი.
ადამიანთა სულმდაბლობავ, მე შენ გაფურთხებ
და მე წინასწარ ბოდიშს ვიხდი ფურთხის წინაშე,
რადგანაც იგი ამის შემდეგ უწმინდურდება.
საბრალო ფურთხო, შენ გაგწირე, ჰოდა, დღეიდან
ადამიანთა სულმდაბლობას ექმენ გვირგვინად.
მე რას მერჩიან, ვერ გავიგე, ჩემგან რა უნდათ!
მქონდა სიმდიდრე, გადავაგე სახალხო საქმეს,
მქონდა სახელი, გადამიგდეს ლაფში სასვრელად.
მქონდა სახლკარი, გამიყიდეს დაუკითხავად,
შემრჩა მეუღლე, ერთადერთი ადამიანი
თანამებრძოლი, შთამნერგავი უდრეკელ ძალთა,
რათა მეხილა გამარჯვება კარზე მომდგარი
ბოროტ ძალებმა არ დაინდეს უსპეტაკესი
ჩემი მეუღლეც, ერთადერთი ადამიანი,
ვისმა სიცოცხლემ გაამშვენა ჩემი არსება
და შთამაგონა ჩემი რწმენის უძლეველობა.
რა ხელმა შესძლო შეეთითხნა ეს უმსგავსობა,
ეს უმსგავსობა, უმსგავსოთა შორის უმსგავსო.
და თუ ამაში ღმერთის ნებაც გარეულია,
მე შემიძლია მხოლოდ ესღა ვთქვა გულახდილად:
მანვე დამშალა.
ვინც აღმაშენა.
თვალით უხილავს რას ვემდური, როცა მოყვასი,
თითქოს შენს გულთან შეზრდილი და განუყოფელი,
სასიკვდილოდაც გაგიმეტებს. ის ვინც მიგაჩნდა
გონიერების და სიწმინდის განსხეულებად,
ვინც ტალანტებში მიათვალე. რა, რა ყოფილა,
ლიუციფერზე უფრო უზნო და უმსგავსობა.
მწამს: ტალანტი და ბოროტება ერთად ვერ სძლებენ,
გენიოსობა უმანკოა აკვნის ბავშვივით.
უკვდავიაო გენიოსი სიკვდილის შემდეგ,
ხმა იდუმალი ჩამჩურჩულებს ყველგან, ნიადაგ.
თუ ჩემში ვებრძვი ბოროტების ყოველ საწყისებს
მხოლოდ იმიტომ, რომ ტალანტი მგონია თავი.
ტალანტი მუდამ ბრძოლაშია იმ სიფლიდესთან,
რითაც უნიჭო კაცი იძენს ოქროს და სახელს.
იმ სიფლიდესთან, რასაც კაცნი მოსავენ შუქით,
თუმცა ეს შუქი ოქროსაგან ანარეკლია.
ჩვენ, ჩვენ საწყალნი, საცოდავნი, ჩვენივე ნებით
უნიჭოს, ჯოჯოს განვადიდებთ, რადგან აქვს ოქრო
და ტალანტები მსახურებენ ნარეცხის ფასად.
რად ხდება ასე?
(გადასწევს ფარდას. გამოჩნდება ნახატი: აბაზანაში
მწოლი ვენებგადაჭრილი ჰორაციო)
ჰორაციო, შენ გეკითხები,
მასწავლებელო, მეგობარო, სულზე უტკბესო.
რად ხდება ასე? ჰორაციო, შენ გეკითხები,
რად ხდება ასე? უნიჭობას ვმორჩილებთ, მაშინ,
როცა გონება მნათობივით ბრწყინავს ჩვენს გვერდით,
და ჩვენ ვერ ვამჩნევთ ბილწი კაცის ჩრდილში
ტალანტსა,
რადგან რეგვენი ღრუბელივით აჰფარებია.
რად ხდება-მეთქი, ჰორაციო, ძმაო, მითხარი.
თუკი ტალანტად მონათლავენ ცოცხალ არსებას,
გენიოსობას ანიჭებენ სიკვდილის შემდგომ.
არ დაიჯერო მეგობარო, არ დაიჯერო,
ვისაც სახელის სადიდებელ სანთელს უნთებენ
ნუ გეგონება ის კეთილი იყოს ყველაზე,
ნურც გონიერი, თუ სიკეთეს შემართა ხელი.
სხვების ტკივილის გაყუჩება შევძელი, მაგრამ
ველარაფერი მოვუხერხე ტკივილებს ჩემსას.
(ეზოდან ისმის ხმაური. გამოჩნდება ბიგელოუ)

ბ ი გ ე ლ ო უ. მოდის დიდება! მეგობარო! გახსენ კარები!
კარები ფართოდ! ფართოდ-მეთქი, დიადო მორტონ!
(მორტონი ყურებზე მიიფარებს ხელებს.
სასოწარკვეთით შეჰყურებს ჰორაციოს სურათს)

მ ო რ ტ ო ნ ი. ჩემმა ყურებმა ისევ იწყეს მძაფრად შხუილი,
ძმაო, ბედკრულო ჰორაციო, მოვდივარ შენთან.
ო, ჰორაციო... ჰორაციო, მოვდივარ, დამხვდი!
(უეცრად გულზე მიიდებს ხელს)
სულზე უტკბესო ჰორაციო... მოვ...
(ეცემა. შემოდის ბიგელოუ. სწრაფად მივა
მორტონთან. დაიჩოქებს. მკერდზე ყურს მიადებს.
დაჩოქებული დაჰყურებს მორტონს. მიმართავს
სტუდენტებს)

ბ ი გ ე ლ ო უ. დაგვაგვიანდა, სამუდამოდ დაგვაგვიანდა.
ჰოი, სიკვდილმა მხოლოდ წამით, წუთით დაგვასწრო.
ადამიანთა მოდგმის ტანჯვის დასათრგუნავად
ყველაზე მეტი მან შეიძლო, რაც კი ოდესმე
ამ ქვეყნად მცხოვრებს შესძლებია, და აჰა, ხვედრი
კაცური კაცის, არაკაცთა უკაცურობით.
თუმცა მზე ხშირად მოექცევა ჩვენს ქუსლთა ქვემოთ,
ასევე ხშირად დაგვკაშკაშებს თავზე სიცოცხლედ.
აქ, ბატონებო, დამხობილა თვით უკვდავება,

გთხოვთ დაიჩოქოთ, ახლოს, ახლოს, ხელი შეახეთ
სანამ თბილია უკვდავება· ოჰ... სამახსოვროდ...
ღმერთის ძომრევი საკუთარ გულს ვერ მოერია.
(გადაქანდება. შეაკავებენ და მიჰყავთ
დივანისაკენ. ეზოში შემორბის ლოლიტა)
ლოლიტა. ვილიამ თომას გრინ მორტონ! გესმის, ვილი!
მამა დათანხმდა.
(სწრაფად შემოდის ოთახში. მიმოიხედავს.
თვალებგაფართოებული დააცქერდება მორტონს.
მკერდზე მიხუტებული ქისა გაუვარდება და
მიმოიპნევა ოქრო)
რა ამბავია, ბატონებო! რა მჭირს უბედურს.
ჩემო ბატონო,
(ზედ დაემხობა)
ნუთუ... ღმერთო, რად გაგვიმეტე.
შენ კი სულისდგმავ, რად გასწირე შენი ლოლიტა,
შენი საცოლე... ხომ ვიყავი... გავხდი მეუღლე...
და გავხდე ქვრივი? შენი ქვრივი? ეს არ მოხდება.
სადა ხარ ღმერთო, შე უღმერთოვ! თან... თან...
ბიგელოუ. (წამოიწევს დივანიდან)
მიხედეთ-მეთქი, ადამიანს!
(ბიგელოუ ადგება. ერთ-ერთი სტუდენტი მიდის
ლოლიტასთან)
სტუდენტი. დაგვაგვიანდა!
სიკვდილის ღმერთმა მიითვალა სასუფეველში.
ბიგელოუ. ყოველ სიყვარულს ასცდეხოდეს ბედი ასეთი,
თუმცა უკეთესს რას ინატრებს ადამიანი.

## სურათი II

გაჩირაღდნებული დარბაზი. ცეკვავენ ჯენტლმენები და ნახევრად შიშველი ქალები. სცენის მეორე ნახევარზე მოჩანს ქალაქის კვარტალი. ქუჩაში გამოჩნდება ლანდი. ჯაზი ხმაურობს. თავაწყვეტილი ცეკვა. შემოდის ფოსტმეისტერი, აღელვებულია. მოცეკვავენი შეაცქერდებიან და გაშეშდებიან.
კლაუდიო. როგორც ყოველთვის, მოდიხართ გვიან და
ძველი ამბით.
ფოსტმეისტერი. არა, ამჟამად ძველმანისთვის არა
მცალიან.
ფიქსი. იქნებ გვაუწყოთ!
I ქალი. რატომაც არა, არ დაგვზარდება.
(მოცეკვავენი არ ცალკევდებიან, ისე შეჰყურებენ)
ფოსტმეისტერი. სიზარმაცე მე სხვისიც მძულს, არამც
თუ ჩემი.
ბრძენნი ამბობენ: სიზარმაცე ნიჭის ჟანგია.
კლაუდიო. თითქოს ჩემს გულზე დაწერილი წაიკითხაო.
ფიქსი. გიცნობთ ბანკირო. (დაცინვით) გცნობთ, ვით
ნიჭიერს.
კლაუდიო. საქმე ის არის შესძლო ნიჭის გამოყენება.
უმნიშვნელოა ვის ეკუთვნის, შენა თუ სხვასა.
II ქალი. ფილოსოფიას გთხოვთ მოეშვათ.
კლაუდიო. ცხოვრებისეულს?
III ქალი. იწამეთ ღმერთი ყოვლისმხილველი, გვამცნეთ
სიახლე.
ფოსტმეისტერი. როცა ღმერთები კამათობენ —
მოკვდავნი სდუმან.
ფიქსი. ფოსტმეისტერო! გვარქვი ამბავი.
ფოსტმეისტერი. ცნობა ასეთი... ევროპიდან... ცნობას
ხელს აწერს...
სახელგანთქმული... თვით... პარიზის... აკადემია.
ა-ამერიკის კონტინენტის ორ მოქალაქეს
აკადემიამ მიანიჭა დიდი პრემია.
(ყველანი ფოსტმეისტერს შემოეხვევიან)
ხმები: — რაო?
— რამდენი?
ფოსტმეისტერი. ჯენტლმენებო! არ გსურთ იცოდეთ
ვინ არიან პრემირებულნი?
ხმები: — ვინ?
— ვინ არიან?
— გვაღირსე სიტყვა!
— ვინ!
ფოსტმეისტერი. მორფეოსის დამჩოქებელნი!
ხმები: — რაო?
— რას ჩმახავს!
— ზღაპრებით გვართობს!
— სიცხიანია!
— შუბლი უხურს!
— სად გადაყლურწე?
— გვაბითურებს!
— გაიმეორე!
— კიდევ ერთხელ გაიმეორე!
ფოსტმეისტერი. ქალბატონებო! ბატონებო! რა მოგივიდათ?
IV ქალი. ახლა გვიბრძანე: ვის წაუჩოქეს?
ფოსტმეისტერი. წამოაჩოქეს ძილის ღმერთი, თვით
მორფეოსი.
კაცობრიობას მოაშორეს ტკივილის შიში.
ახლა თქვენ ძალგიძთ გაიკეთოთ ოპერაცია
და ტკივილისგან, როგორც წინათ, აღარ მოკვდებით.
ყველანი. ააააა!
ფოსტმეისტერი. ესენი გახლავთ: ვილიამ თომას გრინ
მორტონი...
კლაუდიო. ჩემი მორტონი, მეგობარი ჩემი, მორტონი.
ო, ჯენტლმენებო! აქვე, ხვალვე თქვენ ნახავთ მორტონს.
ფიქსი. (დაცინვით)
დიახ, თქვენ ნახავთ, ჯენტლმენებო! რომ არსებობდეს.
დალია სული, როგორც თევზმა გამორიყულმა.
კლაუდიო. არ დაიჯეროთ!
ფიქსი. ნუ დაიჯერებთ! ფუფალასთან მოიკითხავდეთ.
კლაუდიო. საოცარია სად გაიგეთ, ვისგან და როდის?
ფიქსი. ზოგიერთები მეგობრებზე ასე ზრუნავენ.
ფოსტმეისტერი. მაცალეთ ხალხნო! მეორეა... ჩარლი
ჯექსონი!
ფიქსი. ზოგიერთები მეგობრებზე ვითომც ზრუნავენ.
(ცერით უჩვენებს კლაუდიოს)
ხოლო ჩარლ ჯექსონს, ჩემს მეგობარს, ხვალ
წარმოგიდგენთ,
ბალიც იქნება შესაფერად თვალისმომჭრელი.
ჩარლი ექიმი, ქიმიკოსი და პროფესორი
ჩემს გულში იყო, და იქნება აწ და მარადის.
I ქალი. ო, ჩარლი, ჩარლი! შენ გახდები მილიონერი?
დახედეთ ბედსა, სად მოგწვდება, ვერც კი გაიგებ,
არაფრის მქონეს მარმარილოს ძეგლსაც აგიგებს.
ფოსტმეისტერი. ო, მოწყალეო ქალბატონო, მას
ჰქონდა თავი.
I ქალი. მან ხელი მთხოვა... უარვყავი. სად მქონდა თავი?
I მამაკაცი. რაც არ გაგაჩნდა, რას მისცემდი ჩემო
ფუნთუშა!
II მამაკაცი. რაც აქვს ფუნთუშას, გააჩნია ყოველ
დედაკაცს,
ოღონდ ზომაში, გაბარიტში არის სხვაობა.
I ქალი. ესეც იცოდეთ: მამაკაცად ნუ ჩათვლით ყველას,
ვინაც შარვალში მალავს თავის ბანჯგვლიან კანჭებს.
მამაკაცობას ამტკიცებენ მხოლოდ ქალები.
ახლა კი მოსწყდით, ცვედანებო, აქაურობას.
ვაი, თქვენს ჯილაგს...
ფოსტმეისტერი. გულმოწყალევ, ნუღა დაგვწყევლი.
I ქალი. თქვენ, ჯენტლმენებო! მე ფეხებზე მკიდიხართ,
იცით?
ფოსტმეისტერი. ნუ, ქალბატონო, ეს ძალიან უხეში
თქმაა.
ასე თუ იტყვის ბალაგანში ცირკის მასხარა.
თქვენ კი ვერ იტყვით, თუნდაც იყოთ ასგზის უზრდელი,
რადგან ფეხებზე მამაკაცებს ჰკიდიათ მხოლოდ.
თქვენ შეგიძლიათ ამოშაქროთ და მოგვახალოთ:
თქვენზე ნაკლები დიდყურება შევარცხვინე-თქო.
(იკრიბებიან კლაუდიოსა და ფიქსის ირგვლივ.
დარბაზში მყოფნი ორ ჯგუფად იყოფიან. შემოაქვთ
სასმისები)
ფიქსი. ავსწიოთ თასი, ვადღეგრძელოთ ჩარლი... ჯექსონი!
კლაუდიო. ასწიეთ თასი, ადღეგრძელეთ დიდი მორტონი.
ხმები:
— ეს გაუმარჯოს!..
— მორტონს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ჯექსონ!

(სცენის მეორე ნახევარში ქუჩაში მოლასლასებს ლანდი, დაგლეჯილი ტანსაცმლით, ხელში პატარა ფუთა უჭირავს, მას ხან გულმკერდში იხუტებს, ხან იღლიაში ამოიჩრის. სუსტად განათებულ ქუჩაში მოლასლასებს მამაკაცი)

უ ც ნ ო ბ ი. მორტონ, ოჰ, მორტონ! ჩემო ძმაო, სადა ხარ, სადა?
ეს ვინ ახსენებს სნეულ ჯექსონს, ასე ხმამაღლა!
რად ახსენებენ ასე ბევრნი, რად ახსენებენ!
ოჰ, ეს მზარავი სნეულება აქაც გამომყვა.
არც აქ მასვენებს, მოჩვენება დამსდევს კვალდაკვალ.
წამომეწია და კვლავ ცდილობს გამსრისოს, ვაჰმე!

ხ მ ე ბ ი:
— მორტონ!
— ჯექსონ!

უ ც ნ ო ბ ი. ოჰ, ღმერთო ჩემო, ღმერთგამწყრალი მოგმართავ ისევ,
მარქვი, რა არის ჩემს უბედურ თავზე დამტყდარი.
ნუთუ მორტონი აღსდგა მკვდრეთით, ჰოი, ნეტავი,
ფიცხო ჭაბუკო, უბედურო, ბედის ზიარო.
(ისმის აჩქარებული ფეხის ხმა, მორბიან).
აქაც მომაგნეს, ყაჩაღები, არ მასვენებენ...
იყო მიზანი... იყო... იყო... იყო? რა იყო?
(ეცემა. შემორბიან მდევრები)

I მ დ ე ვ ა რ ი. იქნებ აქ არის, სადმე ბნელში, აქეთ მორბოდა.
მიეგდებოდა სადმე, ბრიყვი, ეგ უპატრონო.

II მ დ ე ვ ა რ ი. აქეთ, აქეთკენ, ვიღაც გდია, აქეთ ფარანი!
(გამოჩნდებიან მხატვარი და მერი)

მ ხ ა ტ ვ ა რ ი. ო, ღმერთო ჩემო! ეს ხომ... ეს ხომ... ეს, ჯექსონია.
ბრძენი ჯექსონი, ბედისაგან დამდაბლებული
და განწირული უმოწყალოდ, აქ სადა გდია.

III მ დ ე ვ ა რ ი. თვითონ ვინ გდიხარ ახალგაზრდავ! რას უბედობ ამდენს!
გადარეული, საგიჟედან გამოქცეული,
ეგ ჭუჭყიანი ცხედარია, სხვა არაფერი.
შენ როგორ ბედავ, რომ მას არქმევ ბრძენს და წამებულს!

მ ხ ა ტ ვ ა რ ი. ეს ჯექსონია, ბატონებო, დიდი სწავლული...

II მ დ ე ვ ა რ ი. ისეთს დაგთხლიშავ, მამაშენად გეჩვენოს ვირი.

აბა, მოუსვი... გუშაგებო! აქეთკენ მალე!
ეს გვამი მორგში წაათრიეთ. ეჰეი, მარდად!
(გადიან და მიათრევენ დაცემულს)

მ ე რ ი. ამ გზით ნუ წავალთ, ჩემო კარგო, აქ გავუხვიოთ.

მ ხ ა ტ ვ ა რ ი. გზა რას გვიშავებს, ქუჩა ქუჩაა. მაგრამ იცოდე
გამოქცეული ცხოვრებიდან. დამცირებული
აღარ იქნება ახალგაზრდობა მომავლის დღეთა
გამჩირაღდნები. არ შევუკრთეთ შემხვედრ სიბნელეს.
იმ მხარეს ბნელა. თუმც სარკმლები განათებულან.
აქ კი შუქია, თუმც დაიწვა მნათი ვარსკვლავი.
იცი, ვინ იყო ეს ჯექსონი? უდიადესი.
ჩვენს გვერდით იყო გენიოსი და ვერ შეიცნეს.
ნუთუ ასეა ცოდვილ ქვეყნად ტალანტის ხვედრი!
მე მაინც მჯერა გამარჯვება პატიოსნების.
პატიოსნების ბეწვის ხიდზე უნდა ვიაროთ
და არ შევშინდეთ, რომ როდისმე ჩაწყდება იგი.
თუ იგი წყდება, უკეთურიც შემდგარა ხიდზე.
ამიტომ არის, რომ ბოროტი სახლობს ნაპირზე.
მერი ძვირფასო, წამო ჩემთან, დღეიდან ჩვენთან.
(მიდიან)

გ ა მ ვ ლ ე ლ ი. დაცემა მუდამ მწარე იყო, ასეც იქნება.
თუმც დაცემულან ბუმბერაზნი, სხვათა დამძლევნი,
მაგრამ მათ ახლავს სიდიადე თავისებური.
დაეცა ერთიც, თვით ტკივილის მუხლზე დამცემი,
მაგრამ აღსდგება უკვდავების შუქით მოსილი.
დღეს ამერიკის კონგრესმენთა სასწრაფო სხდომამ
ორთავე სწავლულს მიანიჭა დიდი პრემია
და მათი ღვაწლის და სახელის უკვდავსაყოფად
ამერიკაში მათი ძეგლის აღმართვა ბრძანა.
განრისხდნენ. რადგან ფრანგთა ნიჭმა შეიძინა ნიჭი,
რად დაგვასწროო უცხო ხალხმა, ამაზე სწუხან.
მათ სიცოცხლეში თბილი სიტყვა არც კი აღირსეს,
განცხადებებსაც დაჰყურებდნენ ზვიად დუმილით.
დღეს დათაცურდნენ, მაგრამ ვაი, დაგვიანებით.
ალბათ პირადი ინტერესის დაცვა ინდომეს.
ქვეყნის მმართველთა გულცივობავ, იყავ წყეული!
კაცობრიობის გარიჟრაჟი წევს ბნელ აკვანში
არა სიკვდილით, გათანგული სალათას ძილით
და მომავალში იჩახჩახებს მზედ და სიცოცხლედ.
თუმცა ფრთებს ჰშლიან აჩრდილები, ახალგაზრდები
სიმართლის გზაზე შედგებიან და მიაკვლევენ.
სიმართლე მუდამ საძებნია, მაგრამ ასეა:
ადრე თუ გვიან ჰპოვებს იგი, ვინაც დაეძებს!

**«САБЧОТА ХЕЛОВНЕБА» № 9 1968**

**ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ, ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ, ТЕОРЕТИЧЕСКИЙ ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЖУРНАЛ МИНИСТЕРСТВА КУЛЬТУРЫ ГРУЗИНСКОЙ ССР**

**С. Джорбенадзе**

## РАНЯЯ ПОПЫТКА СОЗДАНИЯ УНИВЕРСИТЕТСКОГО КОМПЛЕКСА

Проф. С. Джорбенадзе в своей статье подробно рассказывает о постройке здания Тбилисского государственного университета, одним из главных создателей которого является Нико Цхведадзе, и дальнейших трудностях расширения и создания нового университетского комплекса.

В статье впервые публикуется письмо бывшего ректора университета Ивана Джавахишвили, посланное в 1926 году 26 февраля Тбилисскому Исполнительному Комитету, о расширении здания университета.

В полувековой юбилей своего существования Тбилисский университет получает в подарок 14-этажное здание. Но бывший цхведадзевский корпус всегда будет принадлежать университету, как символ беззаветной преданности грузинского народа делу просвещения в нашей Республике.

**Алексей Барнов**

## ПРЕДШЕСТВЕННИК ГРУЗИНСКОГО УНИВЕРСИТЕТА

Прошло девяносто лет с тех пор, как благодаря стараниям наших предков в Грузии возродилось просвещение и был заложен фундамент основанию первого грузинского четырехклассного училища.

Как известно, в древней Грузии было много светских и духовных училищ — низшие, средние и высшие академии.

Наиболее значительными из этих древнейших очагов культуры и науки были:

В III—IV вв. недалеко от Фазиси большой центр — риторическая школа философского просвещения;

Гелатская академия, основанная при Давиде Строителе в 1103—1110 гг.

Икалтойская академия — основанная Арсеном Икалтойским, в 1120 годах.

Гремская академия, Телавская семинария и много других.

Грузинские ученые и в других странах основывали семинарии и монастырские центры — в Греции, Сирии, Палестине и др.

В Тбилиси первое грузинское училище было основано в 1626 году. В этом учили-

ще подготовляли учеников для отправки в какое-нибудь высшее училище Европы. К 1782 году было уже около шестнадцати училищ, но к 1800 году в Тбилиси уже не было ни одного учебного заведения, т. к. город подвергался нашествию врагов.

Спустя 80 лет передовым деятелям Грузии удалось возродить просвещение в стране, и в Тбилиси было основано 4-классное учебное заведение.

Автор подробно рассказывает о путях просвещения грузинского народа после возобновления работы учебных заведений в Грузии.

**Русудан Хантадзе**

## МИР ХУДОЖНИКА

Спектакль начинается с театральной афиши. За последние 5 лет на театральных афишах многих театров Тбилиси все чаще и чаще стала появляться надпись: художник спектакля — Мамия Малазония.

Творческий путь молодого художника невелик. В 1962 году он окончил Тбилисскую Академию художеств. Театральные декорации, живопись, книжная графика, декорации кинофильмов — вот жанры, в которых успешно работает он. Поэтому, говоря о творчестве молодого художника трудно отделить их друг от друга. Трудно сказать, какой из жанров — театральную декорацию, книжную графику или кинодекорацию предпочитает М. Малазония. К каждому из них он относится с большой серьезностью, вдумчивостью и ответственностью.

**Тамара Гомартели**

## ДРАМАТИЧЕСКИЙ КОЛЛЕКТИВ УНИВЕРСИТЕТА

В статье рассказывается о создании и деятельности самодеятельного драматического коллектива Тбилисского университета, начиная с первых нерешительных шагов в 1928 году и кончая сегодняшним днем.

С самого начала существования у университетского драматического кружка на пути было много трудностей.

Автор подробно описывает постановки, осуществленные кружком, игру студентов, преподавателей.

В разное время руководили кружком Васо Кушиташвили, Бухути Закариадзе, Нодар Чхеидзе.

Университетское руководство всегда оказывало большую поддержку драмкружку. Здесь было выявлено много способных певцов и любителей сцены.

По словам автора, история драматического кружка государственного университета — неразделная часть истории грузинского театра.

## ТВОРЧЕСТВО СТУДЕНТОВ ФАКУЛЬТЕТА ИСКУССТВА УНИВЕРСИТЕТА

Плодотворными результатами характеризуется творчество искусствоведческого факультета Тбилисского государственного университета. Результаты эти еще раз подтверждают, насколько оправдало себя введение этого факультета. Выставки студенческих работ показывают, сколько способной молодежи овладевают тайнами искусства.

У студентов все условия для овладения знаниями, мастерством. С ними занимаются опытные художники, искусствоведы.

Факультет — еще один очаг музыкального просвещения. Тбилисский государственный университет взял на себя огромную воспитательную миссию — творческое воспитание молодежи всех отраслей искусства. вдумчивостью и ответственностью.

Перед искусствоведческим факультетом Тбилисского государственного университета открываются широкие перспективы.

**Григол Закарая**

## ПЕРВЫЙ ЮБИЛЕЙНЫЙ

Во всех уголках Грузии молодежь готовится к достойной встрече 50-летнего юбилея Тбилисского государственного университета.

Еще 48 лет назад периодическая пресса отметила 2-х летие со дня основания Тбилисского государственного университета.

Тогда-то, 26 января 1920 года, вышел первый номер «Грузинского студента», органа Тбилисского государственного университета (одновременное издание), который был посвящен этой знаменательной дате.

**Тамара Парцхаладзе**

## МОНОГРАФИЯ О ТАЛАНТЛИВОМ СКУЛЬПТОРЕ

Не так уж богата наша книжная полка книгами о грузинском изобразительном искусстве. За последнее время искусствовед Игорь Урушадзе обогатил литературу об изобразительном искусстве двумя книгами, изданными на русском языке: монографию «Силован Какабадзе» (издательство «Литература и искусство») и «Искусство Грузинской ССР» (московское издательство «Советский художник»).



Игорь Урушадзе знакомит читателя с началом творческого пути скульптора, отмечает, что только после установления Советской власти у С. Какабадзе была возможность получить профессиональное образование.

Он был одним из первых учеников во вновь основанной художественной студии, которой руководил известный грузинский художник Мосе Тоидзе.

В небольшой книге школьной библиотеки «Искусство Советской Грузии», Игорь Урушадзе знакомит молодежь с возрождением и развитием грузинского советского искусства.

Книга эта несомненно заинтересует русского читателя.

**Б. Тогонидзе**

## БЛЕСТЯЩЕЕ СОЗДАНИЕ СТРОИТЕЛЬНОГО ИСКУССТВА

Тбилисский государственный университет — центр высшего образования в Грузии, имеет свою полувековую историю, но зданию, в котором расположен университет, более 7 десятков лет.

В статье дается краткий рассказ об истории здания Тбилисского государственного университета.

**Натела Имедадзе**

## ВСПОМИНАЯ С ЛЮБОВЬЮ

В январе 1968 года Тбилисский государственный Университет понес тяжелую утрату — умер заслуженный деятель науки, зав. кафедрой классической филологии Тбилисского государственного Университета, доктор филологических наук, профессор Пантелеймон Александрович Берадзе.

П. А. Берадзе был высоко образованным, скромным, добросердечным, человеком с тонкой душой.

Статья — воспоминание бывшей студентки Тбилисского государственного Университета о любимом учителе.



**Автандил Телия**

## ТАК СОЗДАВАЛСЯ ГРУЗИНСКИЙ ХРАМ НАУКИ

В 1878 году по инициативе Георгия Романовича Эристави было создано «Дворянское общество Тбилисской губернии по поддержке бедных учащихся».

Правительством был утвержден устав этого Общества. На первом же собрании был избран руководящий комитет.

В 1879 году по инициативе руководящего комитета в Тбилиси была открыта первая дворянская грузинская школа. Это событие явилось большим национальным праздником для всех грузин.

В основании этой школы великий писатель и общественный деятель Грузии Илья Чавчавадзе видел залог будущих больших перспектив в деле просвещения и развития культуры грузинского народа.

14 октября 1900 года был празднично заложен фундамент здания дворянской гимназии.

В 1906 году грузинская гимназия перешла в свое собственное здание, несмотря на то, что оно еще не было закончено. В 1915 году строительство здания полностью было завершено.

По просьбе правления Университетского общества и в 1918 году 26 января здание первой дворянской грузинской гимназии было передано Тбилисскому университету.

Грузинская общественность, как большой праздник, отметила рождение грузинского университета, организатором которого был выдающийся грузинский ученый Иван Джавахишвили.

В статье рассказано о создании Грузинского государственного университета.

**Ладо Месхишвили,**

**Нодар Мгалоблишвили**

## АВТОВОКЗАЛ В ЯЛТЕ

На Крымском полуострове, в Ялте, грузинскими архитекторами сооружен один из самых больших автовокзалов в Советском Союзе. Авторами проекта Ялтинского автовокзала являются архитекторы Г. Чахава (руководитель авторской группы), З. Джалагания и О. Нахуцришвили.

После завершения строительства несколько украинских организаций представили на государственную премию 1968 года архитектора Г. Чахава и инженера П. Рисенко.

Союз архитекторов направил авторов статьи, архитекторов Л. Месхишвили и Н. Мгалоблишвили, в Ялту для осмотра и оценки построенного автовокзала.

В статье подробно описан процесс строительства этого монументального здания. Авторы дают высокую оценку труда архитекторов и, по их мнению, авторы Ялтинского автовокзала вполне заслуживают почетного звания лауреатов Государственной премии.

**Шалва Мшвелидзе**

## У ИНДИЙСКИХ МУЗЫКАНТОВ

Индию называют «страной чудес». За последнее время здесь произошли большие перемены, что в корне изменило ее общественно-политическую жизнь и оставило соответствующий след в жизни народа, его культуре и навыках.

Недавно в Индию была командирована группа советских композиторов. Цель советской делегации была знакомство с музыкальной культурй Индии и упрочение творческих взаимоотношений с индийскими музыкантами. С этой целью советские композиторы побывали в Дели, Калькутте, Мадрасе, Мамалапураме, Бомбее, Сикандре и др.

Автор статьи — известный грузинский композитор Ш. Мшвелидзе делится своими впечатлениями, полученными во время поездки по Индии, с читателями нашего журнала.

Автор также рассказывает о встрече нашей делегации с премьер-министром Индии Индирой Ганди.

## ЙОРИС ИВЕНС И ЕГО ФИЛЬМЫ

В ноябре этого года, выдающемуся голландскому кинодокументалисту, лауреату международной Ленинской премии за ук-

репление мира между народами Йорису Ивенсу исполняется 70 лет.

Вот уже 40 лет, как имя этого «летучего голландца» не сходит с мирового экрана. Многие его произведения вошли в сокровищницу мирового кино.

В статье обрисовывается жизненный и творческий путь Йориса Ивенса, а так же рассматривается его последняя работа «17 паралель» по материалам мировой прессы.

Петр Вачридзе,

Георгий Бахтадзе

## ИЗ ТЕАТРАЛЬНОГО ПРОШЛОГО ХОНИ

Хони, которое в настоящее время носит имя известного революционера Александра Цулукидзе — город больших театральных традиций. Еще во второй половине XIX столетия здесь устраивались литературно-музыкальные вечера и театральные постановки. Первое представление в Хони было показано 24 января 1865 года. Была поставлена известная комедия Г. Эристави «Раздел».

В статье дается краткая история театральной жизни Хони.

Несколько лет назад трудящиеся Цулукидзе получили замечательный подарок — новое здание Дома культуры. Исполнилась давнишняя мечта жителей города. В настоящее время драматический коллектив Хони под руководством А. Квинчия ведет плодотворную творческую работу и борется за получение почетного имени народного театра.

Лиана Зангурашвили

## НИНО САКАНДЕЛИДЗЕ

(Заслуженная артистка Аджарской АССР)

В статье рассказывается о жизни и деятельности заслуженной артистки Аджарской АССР Нины Сакanделидзе.

Н. Сакanделидзе ни на минуту не задумалась, когда после окончания Театрального института ей предложили работать в Кутаисском театре.

С тех пор прошло десять лет. Чуткая, скромная, способная, настоящий художник, нежная мать и хорошая супруга — так характеризуют ее все, кто близко знаком с молодой актрисой.

Неукротимая жажда поисков нового, стремление к художественному мастерству и совершенствованию всегда сопровождают творческий путь артистки.

На сцене Батумского театра первой ролью Н. Сакanделидзе была роль Нинико в спектакле «Большой выигрыш», затем Генриеты в спектакле «Две сироты», Тинатин—«Провинциалка», Даро — «Дороги», Изольда — «Распутье», Катерина — «Анжело», Мирандолина — «Хозяйка гостиницы» и мн. др. С большим успехом она исполнила роль Лелы в пьесе М. Мревлишвили «Лавина». Интересный образ молодого скульптора, полного энергии и жизнерадостности— Ирины Кахидзе, создала Н. Сакanделидзе в пьесе «Во дворе злая собака».

Н. Сакanделидзе любит театр, сцену. Не жалея сил, много работает над собой, и действительно, в каждой новой роли чувствуется ее творческий поиск.

Элеонора Макарова

## ТЕАТР ПОД ОТКРЫТЫМ НЕБОМ

На побережье Адриатического моря, в старейшем городе Дубровники, ежегодно проводится театральный фестиваль — «Дубровникские летние игры». Неповторимые прелести этого фестиваля в том, что театральные постановки проходят под открытым небом, одновременно на 26 импровизированных сценах — на порталах церквей, улицах и маленьких площадях, которые окружены домами. На фоне природных декораций оживают произведения классиков мировой драматургии.

На XVII летнем фестивале в Дубровниках были показаны 4 спектакля: две комедии Марии Држичис — «Дундо Мароне» и «Скупой», а также «Саламейский судья» Кальдерона и «Отелло» Шекспира.

Автор анализирует все четыре постановки Дубровникского летнего фестиваля.

Варвара Бебутова-Габуния

## ВОЗРОЖДЕНИЕ НАРОДНЫХ ХУДОЖЕСТВЕННЫХ РЕМЕСЕЛ В ГРУЗИИ

В июне 1936 года был организован кабинет народного творчества, вскоре переименованный в Республиканский Дом народного творчества. Здесь, наряду с разучиванием народных песен и танцев, велась кропотливая работа по выявлению народных грузинских художественных ремесел. Эту работу вел настойчивый, энергичный знаток этого дела, искусствовед Артем Георгиевич Габуния.

В статье рассказывается о выставках работ народных мастеров, об их большом успехе.

Иосиф Мегрелидзе

## ЖУРНАЛИСТ, КРИТИК

Иван Артемович Давитиани — представитель армянских деятелей, проживающих в Грузии. Он бескорыстно посвятил себя делу просвещения грузинского и армянского народов, делу развития искусства и литературы. На протяжении 50 лет И. Давитиани работал педагогом, директором школы, управляющим детских домов в разных селах.

И. Давитиани основывал молодежные хоры, учил их русским, грузинским и армянским песням. Устраивал в селах концерты. И. Давитиани — один из старейших членов Союза журналистов. Он находился в близких отношениях с грузинскими и армянскими писателями и общественными деятелями.

И. Давитиани исполнилось 80 лет со дня рождения и 60 лет общественной деятельности.

## УСПЕХ ГРУЗИНСКОЙ СИМФОНИИ

Народный артист Грузинской ССР, композитор Реваз Габичвадзе в 1964 году создал симфонию для струнного оркестра, фортепиано и литавр. С тех пор симфония звучит на эстрадах нашей Родины и за рубежом. Это произведение получило высокую оценку в Москве, Горьком, Донецке. Недавно аргентинский дирижер Хосе Родриг Фаурес исполнил симфонию в Одессе, Кишиневе и Ленинграде. С большим успехом симфония Реваза Габичвадзе была исполнена в Париже, Будапеште, во Франкфурте, Мюнхене, Дрездене, Праге и др.

В советской и иностранной прессе было высказано множество интересных мыслей и впечатлений относительно этого произведения.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# საბჭოთა ხელოვნება

## შინაარსი


ვლადიმერ ილიას ძე ლენინის დაბადების 100 წლისთავისთვის მზადების შესახებ (სკკპ ცკ დადგენილება) . . . 4

**სერგო ჯორბენაძე —**
საუნივერსიტეტო კომპლექსის შექმნის ადრინდელი ცდა . . . 11

**ალექსი ბარნოვი —**
ქართული უნივერსიტეტის წინამორბედი . . . 16

**რუსუდან ხანთაძე —**
მხატვრის სამყარო . . . 28

**თამარ გომართელი —**
უნივერსიტეტის დრამატული კოლექტივი . . . 30
უნივერსიტეტის ხელოვნების ფაკულტეტის სტუდენტთა შემოქმედება . . . 34

**გრიგოლ ზაქარაია —**
პირველი საიუბილეო . . . 36

**თამარ ფარცხალაძე —**
მონოგრაფია ღვაწლმოსილ მოქანდაკეზე . . . 38

**ბენიამინ ტოგონიძე —**
სამშენებლო ხელოვნების ბრწყინვალე ქმნილება . . . 39

**ნათელა იმედაძე —**
სიყვარულით მოსაგონარი . . . 41

**ავთანდილ თელია —**
ასე იქმნებოდა ქართული მეცნიერების ტაძარი . . . 43

**ლადო მესხიშვილი, ნოდარ მგალობლიშვილი —**
ავტოსადგური იალტაში . . . 47

**შალვა მშველიძე —**
ინდოეთის მუსიკოსებთან . . . 55
იორის ივენსი და მისი ფილმები . . . 60
საბჭოთა საქართველოს ხელოვნება . . . 64

**პეტრე ვაჩრიძე, გიორგი ბახტაძე —**
ხონის თეატრალური წარსულიდან . . . 65

**ლიანა ზანგურაშვილი —**
აჭარის ასსრ დამსახურებული არტისტი ნინო საკანდელიძე . . . 70

**ელეონორა მაკაროვა —**
თეატრი ცოცხალ გარემოში . . . 71

**ვარვარა ბებუთოვა-გაბუნია —**
ხალხური მხატვრული ხელოვნების აღორძინება . . . 74

**იოსებ მეგრელიძე —**
ჟურნალისტი, კრიტიკოსი . . . 78
ქართული სიმფონიის წარმატება . . . 79

**ემელიან ქურდიანი —**
ჭიდილი მორფეოსთან (ტრაგედია 3 მოქმ-ად) . . . 81


გვ. გვ. 3 — ვ. ნეჩიტაილო — „წითელ მოედანზე"; 3 — ო. სკულმე — „ვ. ი. ლენინი ლატვიელ მსროლელებთან კრემლში 1918 წლის 1 მაისს"; 11 — ვ. მჟავანაძე, გ. ძოწენიძე, ლ. ბრეჟნევი, გ. ჯავახიშვილი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში; 13 — ივ. ჯავახიშვილი; 14 — ივ. ჯავახიშვილი და ნ. მარი; ნ. კახიანი, ა. ალადაშვილი, მ. ასათიანი; 16-17-20-28 — თბილისის უნივერსიტეტის დამაარსებელნი, ქართველი საზოგადო მოღვაწეები და საბჭოთა მეცნიერები; 18 — დავით აღმაშენებელი; გელათის აკადემია; 19 — იყალთოს აკადემია; ათონის ივერიის მონასტერი. 20 — პირველი ქართული გიმნაზიის აღმზრდელი-მასწავლებლები; 34-35 უნივერსიტეტის ხელოვნების ფაკულტეტის პედაგოგები და სტუდენტები; 39 — უნივერსიტეტის მშენებლობაზე, მუშებს შორის — ნიკო ცხვედაძე და ინჟინერი ვასილ ჯორჯაძე; 41 — პროფესორი პანტელეიმონ ბერაძე; 47-54 — იალტის ავტოსადგურის საერთო ხედი; არქიტექტორი გიორგი ჩახავა, ვაგზლის წინა ფასადი, შესასვლელი, მისადგომები, ვესტიბიული და სასადილო; 55 — ინდოელი მოცეკვავე ქალი დამაიანტი ჯოში; 57-59 — ინდოელი მუსიკოსები შარან რანი და რავი შანკარი; 65 — 1874 წელს ხონში გამართული წარმოდგენის აფიშა, ქ. წულუკიძის კულტურის სახლი; 67 — ხონის თეატრალური დასი 1913 წელს; 70-71 — მსახიობი ნ. საკანდელიძე როლებში; 78 — ივანე დავითიანი; 74-76 — ქართული ხალხური მხატვრული ხელოსნობის ნიმუშები; 75 — ძმები თომა და ამბროსი ჯიქიები; 76 — მხატვარი ვ. ბებუთოვა-გაბუნია — „არტემ გაბუნიას პორტრეტი; 79 — კომპოზიტორი რევაზ გაბიჩვაძე.


მორიგე ნომერზე **თამარ ფარცხალაძე.** მხატვ. რედაქ. **ა. ბალაგუევი**
კონტროლიორ-კორექტორი **ლ. ღვინიაშვილი**

ხელმოწერილია დასაბეჭდად 15/X-68 წ. უე 02530. ტირაჟი 5000.
შეკვ. № 1341. ქაღალდის ფორმატი $70^1/_8$. ნაბეჭდი თაბახი 6.
სააღ.-საგამომც. თაბახი 16,44. ფასი 1 მან.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო"
**1968**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის მთავარპოლიგრაფმრეწველობის ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი, თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 5.


# Сабчота Хеловнеба

## СОДЕРЖАНИЕ


О ПОДГОТОВКЕ К СТОЛЕТИЮ СО ДНЯ РОЖДЕНИЯ В. И. ЛЕНИНА (постановление ЦК КПСС) . . . 4

**Серго Джорбенадзе —**
РАНЯЯ ПОПЫТКА СОЗДАНИЯ УНИВЕРСИТЕТСКОГО КОМПЛЕКСА . . . 11

**Алексей Барнов —**
ПРЕДШЕСТВЕННИК ГРУЗИНСКОГО УНИВЕРСИТЕТА . 16

**Русудан Хантадзе —**
МИР ХУДОЖНИКА . . . 28

**Тамара Гомартели —**
ДРАМАТИЧЕСКИЙ КОЛЛЕКТИВ УНИВЕРСИТЕТА . 30
ТВОРЧЕСТВО СТУДЕНТОВ ФАКУЛЬТЕТА ИСКУССТВА УНИВЕРСИТЕТА . . . 34

**Григорий Закарая —**
ПЕРВЫЙ ЮБИЛЕЙНЫЙ . . . 36

**Тамара Парцхаладзе —**
МОНОГРАФИЯ О ТАЛАНТЛИВОМ СКУЛЬПТУРЕ . 38

**Бениямин Тогонидзе —**
БЛЕСТЯЩЕЕ СОЗДАНИЕ СТРОИТЕЛЬНОГО ИСКУССТВА 39

**Натела Имедадзе —**
ВСПОМИНАЯ С ЛЮБОВЬЮ . . . 41

**Автандил Телия —**
ТАК СОЗДАВАЛСЯ ГРУЗИНСКИЙ ХРАМ НАУКИ . . 43

**Ладо Месхишвили, Нодар Мгалоблишвили —**
АВТОВОКЗАЛ В ЯЛТЕ . . . 47

**Шалва Мшвелидзе —**
У ИНДИЙСКИХ МУЗЫКАНТОВ . . . 55
ЙОРИС ИВЕНС И ЕГО ФИЛЬМЫ . . . 60
ИСКУССТВО СОВЕТСКОЙ ГРУЗИИ . . . 64

**Петр Вачридзе, Георгий Бахтадзе —**
ИЗ ТЕАТРАЛЬНОГО ПРОШЛОГО ХОНИ . . . 65

**Лиана Зангурашвили —**
ЗАСЛУЖЕННАЯ АРТИСТКА АДЖАРСКОЙ АССР НИНО САКАНДЕЛИДЗЕ . . . 70

**Элеонора Макарова —**
ТЕАТР ПОД ОТКРЫТЫМ НЕБОМ . . . 71

**Варвара Бебутова-Габуния —**
ВОЗРОЖДЕНИЕ НАРОДНЫХ ХУДОЖЕСТВЕННЫХ РЕМЕСЕЛ В ГРУЗИИ . . . 74

**Иосиф Мегрелидзе —**
ЖУРНАЛИСТ, КРИТИК . . . 78
УСПЕХ ГРУЗИНСКОЙ СИМФОНИИ . . . 79

**Емельян Курдиани —**
БОРЬБА С МОРФЕЕМ (трагедия в 3-х действиях) . . . 81


На страницах журнала: 2—В. Нечитаило — «На Красной площади»; 3—О. Скульме—«В. И. Ленин с латвийскими стрелками в Кремле 1 мсая 1918 года» 11—В. П. Мжаванадзе, Г. С. Дзоценидзе, Л. И. Брежнев, Г. Д. Джавахишвили в Тбилисском государственном университете, 14 — И. Джавахишвили и Н. Марр; Н. Кахиани. А. Аладашвили, М. Асатиани; 16-17-20-28—основатели Тбилисского Университета, грузинские общественные деятели и советские уче- 18—Давид Строитель; Гелатская Академия; 19—Икалтойская Академия; 20—Воспитатели—учителя первой грузинской гимназии; 34—35 педагоги и студенты факультета искусства университета; 39—на строительстве университета, среди рабочих—Нико Цхведадзе и инженер Василий Джорджадзе; 40—один из строителей университета В. Джорджадзе; 41—профессор П. Берадзе; 47-54—Автовокзал в ялте; архитектор Георгий Чахава; передний фасад, вход, подступы, вестибюль и столовая автовокзала Ялты; 55—индийская танцовщица Дамаянта Джоши; 57—59—индийские музыканты Шаран Рани и Рави Шанкари; 65—афиша спектакля, поставленного в Хони в 1874 году, Дом культуры г. Цулукидзе; 67—театральная труппа г. Хони в 1913 году; 70—71—актриса Н. Сакандслидзе в ролях; 78—Иван Давитян; 74—76—образцы грузинского народного художественного ремесла; 75—братья Фома и Амвросий Джикия; 76—художница В. Бебутова-Габуния—«Портрет Артема Габуния»; 79—композитор Реваз Габичвадзе.


**Гл. редактор Отар Эгадзе. Редакц. колл. Шалва Амиранашвили, Гела Бандзеладзе, Карло Гогодзе, Дмитрий Джанелидзе, Алексей Мачавариани, Григорий Попхадзе, Натела Урушадзе, Вано Цулукидзе.**

**Тбилиси, ул. Марджанишвили № 5, тел. 95-10-24.**
**Издательство «Сабчота Сакартвело»,**
**Тбилиси, 1968.**

**Комбинат печати, Тбилиси, ул. Марджанишвили, 5.**

SABCHOTA
KHELOVNEBA
SOVIET ART

## CONTENT

PREPARATION FOR 100 YEARS ANNIVERSARY OF V. I. LENIN'S BIRTH (decision of the central committee of CP of the USSR) . . . . . . . . . . . . . . . . . . . : . . . . 4

*Sergo Jorbenadze*
THE FIRST TRIAL OF FOUNDATION OF THE UNIVERSITY COMPLEX . . . . . . . . . . . . . 11

*Alexi Barnov*
FORERUNNER OF THE GEORGIAN UNIVERSITY . . 16

*Rusudan Khantadze*
THE WORLD OF THE PAINTER . . . . . . . 28

*Tamar Gomarteli*
DRAMATIC COMPANY OF THE UNIVERSITY . . . . 30

CREATION OF THE STUDENTS OF THE UNIVERSITY ART FACULTY . . . . . . . . . . . . . . . . . 34

*Grigol Zakaraia*
THE STUDENTS MAGAZINE . . . . . . . . . 36

*Tamar Phartskhaladze*
MONOGRAPH ON HONOURED SCULPTOR . . . . . 38

*Beniamin Togonidze*
WONDERFUL CREATION OF BUILDING ART . . . . 30

*Natela Imedadze*
RECOLLECT WITH LOVE . . . . . . . . . . 41

*Avtandil Telia*
FOUNDATION OF THE TEMPLE OF THE GEORGIAN SCIENTISTS . . . . . . . . . . . . . . . . 43

*Lado Meskhishvili, Nodar Mgaloblishvili*
MOTOR STATION IN YALTA . . . . . . . . . 47

*Shalva Mshvelidze*
AMONG THE INDIAN MUSICIANS . . . . . . . 55

IVENS AND HIS FILMS . . . . . . . . . . 60

THE ART OF THE SOVIET GEORGIA . . . . . . . 64

*Petre Vachridze, Giorgi Bakhtadze*
FROM THEATRAL PAST OF KHONI . . . . . . . 65

*Liana Zangurashvili*
NINO SAKANDELIDZE, HONOURED ARTIST OF THE ADJAR ASSR . . . . . . . . . . . . . . . 70

*Eleonora Makarova*
THEATRE IN VIVID SET . . . . . . . . . . 71

*Varvara Bebutova-Gabunia*
REVIVAL OF FOLK ART . . . . . . . . . . 74

*Iozeb Megrelidze*
JOURNALIST, CRITIC . . . . . . . . . . 78

SUCCESS OF A GEORGIAN SYMPHONY . . . . . . . 79

*Emelian Kurdiani*
„COMBAT WITH MORPHEIOS" (tragedy in 3 acts) . . . 81
VONDERFUL CREATION OF BUILDING ART . . . . 39
REVIVAL OF FOLK ART . . . . . . . . . . 74

Pages: 2 — „On the Red Square" by V. Nechitailo; 3 — „V. I. Lenin Among the Latvian Shots In Kremlin, May 1, 1918" by O. skulme; 11 — V. Mzhavanadze, G. Dzotsenidze, L. Brezhnev, G. Javakhishvili in the Tbilisi University; 13 — I. Javakhishvili; 14 — I. Javakhishvili and N. Mari; N. Kakhiani, A. Aladashvili, M. Asatiani; 16-17-20-28 founders of the Tbilisi University; 18 — David the Builder; the Gelaty Academy; 19 — the Ikalto Academy; 20 — teachers of the first georgian high school; 35 — 35 students and teachers of the Tbilisi University Art Faculty; 39 — on the building of the University; among the workers — N. Tskhvedadze and V. Jorjadze; 40 — V. Jorjadze; 41 — prof. P. Beradze; 47-54 — view of the Yalta Motor Station; architect G. Lezhava; 55 — D. Joshi, indian dancer; 57-59 — Sh. Ran and R. Shankar, indian musicians; 65 — the playbill of the performance in Khoni (1874); palace of Culture in Tsulukidze; 67 — theatral company in Khoni in 1913; 70-71 — N. Sakandelidze in roles; 78 — I. Davitian; 74-76 models of the georgian folk art; 75 — brothers T. and A. Jikia; 76 — „A. Gabunia's Portrait" by V. Bebutova-Gabunia; 79 — composer R. Gabichvadze.

SOCIAL-POLITICAL, LITERARY-ARTISTIC AND THEORETICAL MONTHLY ORGAN OF THE MINISTRY OF CULTURE OF GEORGIAN SSR.

Editor-in-Chief: *Otar Egadze*. Editorial staff: *Shalva Amiranashvili, Gela Bandzeladze, Karlo Gogodze, Aleksi Machavariani, Natela Urushadze, Grigol Popkhadze, Dimitri Janelidze, Vano Tsulukidze.*

Marjanishvili Street 5, Tbilisi, Georgian SSR.

SABTSCHOTHA
CHELOWNEBA
SOWJETKUNST

## INHALT

ZUM 100 JÄHRIGEN GEBURTSTAG VON LENIN ZUR VORBEREITUNGSFRAGE (BESCHLUß DES ZK) . . . . 4

*Sergo Dshorbenadse*
FRÜHERE VERSUCHE DER SCHAFFUNG DES UNIVERSITÄTSGEBÄUDES . . . . . . . . . . . . . 11

*Alexi Barnow*
VORBOTE DER GEORGISCHEN UNIVERSITÄT . . . . 16

*Rusudan Chantadse*
DIE WELT DES KÜNSTLERS . . . . . . . . 28

*Thamar Gomartheli*
DRAMATISCHE LAIENKUNSTGRUPPE IN DER UNIVERSITÄT . . . . . . . . . . . . . . . . 30

KUNSTSCHAFFEN VON STUDENTEN AN DER GEORGISCHEN UNIVERSITÄT . . . . . . . . . . . . 34

*Grigol Sakaraia*
DAS ERSTE JUBILÄUMSJAHR . . . . . . . . 36

*Thamar Pharzchaladse*
MONOGRAPHIE ÜBER DEN VERDIENTEN BILDHAUER . 38

*Beniamin Togonidse*
EIN MEISTERWERK DER BAUKUNST . . . . . . 39

*Nathela Imedadse*
ERINNERUNG VOLL LIEBE . . . . . . . . . 41

*Awthandil Thelia*
SO ENTSTAND DER PALAST DER GEORGISHCEN WISSENSCHAFT . . . . . . . . . . . . . . . 43

*Lado Meschischwili, Nodar Mgaloblischwili*
AUTOSTATION IN JALTA . . . . . . . . . . 47

*Schalwa Mschwelidse*
BEI DEN MUSIKERN INDIENS . . . . . . . . 55

JORIS IVWAINS UND SEINE FILME . . . . . . . . 60

KUNST VON SOVJETGEORGIEN . . . . . . . . . 64

*Peter Watschridse, Georg Bachtadse*
AUS DER THEATRALISCHEN VERGANGENHEIT IN CHONI 65

*Liana Sanguraschwili*
VERDIENTE KÜNSTLERIN DER ADSHARISCHEN AUTONOMISCHEN SOWJETREPUBLIK NINO SAKANDELIDSE . 70

*Eleonora Makarowa*
THEATER IN EINER NATURUMGEBUNG . . . . . 71

*Barbara Bebuthowa-Gabunia*
WIEDERBELEBUNG DES VOLKSTÜMLICHEN KUNSTGEWERBES . . . . . . . . . . . . . . . 74

*Joseb Megrelidse*
EIN KRITIKER UND JOURNALIST . . . . . . . 78

ERFOLG DER GEORGISCHEN SYMPHONIE . . . . . 79

*Emelian Kurdiani*
KAMPF MIT MORPHEOS (TRAGÖDIE IN DREI AUFZÜGEN) . . . . . . . . . . . . . . . . 81

Auf den Seiten: 2-3 Netschitailo „Auf dem Roten Platz". 3 — Skulme „W. I. Lenin unter den Schützen Litauens" in Kreml am I. Mai 1918. 11 — W. Mshawanadse, G. Zozenidse, L. Breshnew, G. Dshawachischwili an der Georgischen Staatsuniversität. 13 — I. Dshawachischwili. 14 — Iw. Dshawachischwili und N. Mari, N. Kachiani, A. Aladaschwili, M. Asathiani. 16-17-20-28 Begründer der Tbilisser Universität, georgische Gesellschaftswissenschaftler und sowjetische Wissenschaftler. 18 — Dawid Agmaschenebeli (Erbauer). Akademie zu Gelathi. 19 — Akademie zu Ikaltho. Iweria-Kloster zu Athoni. 20 — Lehrer-Erzieher des ersten georgischen Cymnasiums. 34-35 Pädagogen und Studenten der Kunstfakultät an der Universität. 39 — Auf dem Bauplatz der Universität. Unter den Bauarbeitern sieht man Niko Zchwedadse und den Ingenieur Wasil Dshordshadse. 40 — Einer der Erbauer der Universität W. Dshordshadse. 41 — Professor Panteleimon Beradse. 47-54 Gesamtansicht der Autostation in Jalta. Architekt Georg Tschachawa. Fasade, Eingang, Zugang, Vorhalle und Speisehalle. 55—Indische Tänzerin Wamajanta Dshoschi. 57-58 Indische Musiker Scharan Rani und Schawi Schankari.65 — Teateranschlag zur Bekanntmachung der Aufführung in Choni 1874. 70 — 71 Schauspieler Sakandelidse in seinen Rollen. 78 — Johann Dawithian. 74 — 76 Muster von Kunsterzeugnissen der georgischen Gewerbemeister. Gebrüder Thomas und Ambrossi Dshikia. 76 — Malerin W. Bebuthowa-Gabunia. „Portrait von Artem Gabunia". 79 — Komponist Rewas Gabitschwadse.

POLITISCH — GESELLSCHAFTLICHE BELLETTRISTISCHE UND THEORETISCHE MONATSSCHRIFT DES KULTURMINISTERIUMS DER GEORGISCHEN SSR.

Chefredakteur — *Othar Egadse*, Redaktionskollegium:
*Sch. Amiranaschwili, G. Bandseladse, K. Gogodse, A. Matschawariani, N. Uruschadse, G. Popchadse, D. Dshanelidse, W. Zulukidse*

Georgische SSR, Tbilisi, Mardshanischwilistr, 5.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ИНДЕКС
76177